

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების  
სამინისტრო  
ნიკო პერაქენიშვილის ინსტიტუტი

სამხრეთ-დასავლეთ  
საქართველოს  
ისტორიის საკითხები

III



გამომცემლობა  
„შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“  
ბათუმი – 2008

**MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF  
GEORGIA  
NIKO BERDZENISHVILI INSTITUTE**

**THE QUESTIONS OF  
SOUTHERN-WESTERN  
GEORGIA HISTORY  
III**

Publishing House  
«Shota Rustaveli state university»  
Batumi - 2008

**МИНИСТЕРСТВО ОБРАЗОВАНИЯ И НАУКИ  
ГРУЗИИ  
ИНСТИТУТ НИКО БЕРДЗЕНИШВИЛИ**

**ВОПРОСЫ ИСТОРИИ  
ЮГО-ЗАПАДНОЙ ГРУЗИИ  
Ш**

Издательство  
«Государственный университет Шота Руставели»  
Батуми - 2008

წინამდებარე გამოცემა ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიის განყოფილების მორიგი კრებულია. მასში თავმოყრილია ბათუმისა და თბილისის სამეცნიერო დაწესებულებებში მოღვაწე ისტორიკოსთა შრომები. მათში გაშუქებულია საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის, რელიგიის, კულტურისა და სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის, ქართველ-თა განსახლებისა და ეთნო-რელიგიურ თავისებურებათა ცალკეული საკითხები. კრებულის ქრონოლოგიური არეალი შეუზღუდავია და მოიცავს სხვადასხვა ეპოქას უძველესი დროიდან დღემდე.

კრებული აქტიურად ეხმარება თანამედროვე საქართველოში არსებულ მრავალ მტკივნეულ პრობლემას. იგი განკუთვნილია სპეციალისტებისა და ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

ედვენება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ **დავით ხახუტაიშვილის** ნათელ ხსოვნას და დაბადებიდან 85-ე წლისთავს.

რედაქტორი – **მალხაზ სიორიძე**  
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

რეცენზენტები – **კახაბერ სურგულაძე**  
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი  
**ოლეგ ჯიბაშვილი**  
ისტორიის მეცნიერებათა აკადემიური  
დოქტორი

ISSN 1987-524X

© გამოცემლობა „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ – 2008

**სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს  
მოსახლეობის ეთნიკური  
შემადგენლობა ადრერკინის ხანაში**

*(კოლხები და კოლხური ტომები წერილობით  
წყაროებში)*

სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ადრერკინის ხანაში წარმოადგენდა კოლხური სამყაროს ერთ-ერთ ძირითად რეგიონს, სადაც, როგორც ფიქრობენ, გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ნივთიერი კულტურის ძირითადი ელემენტები გაფორმდა.

შესასწავლი რეგიონის მოსახლეობაც, ბუნებრივია, ძირითადად კოლხური მოდგმისა იყო. ამდენად, ჩვენი შესწავლის საგანიც კოლხები და კოლხური ტომებია. მიგვაჩნია, რომ საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია იმ ეთნიკური ვითარების გავითვალისწინების გარეშე, რომლის შესახებაც ანტიკური ხანის სხვადასხვა მონაკვეთის ავტორები მოგვითხრობენ. რა თქმა უნდა, ყოველთვის არც ანტიკურ წერილობით წყაროთა ცნობებია ობიექტური და ამომწურავი, მაგრამ იქ მაინც შეიძლება იმგვარი ინფორმაციის მოპოვება, რომლის საფუძველზეც შესაძლებლობა გვეძლევა წარმოვიდგინოთ, თუ რა ტომები და თემები იყო შეფარებული კრებით სახელში “კოლხი,” როგორ ხდებოდა ამა თუ იმ რეგიონში მობინადრე თემებისა თუ ტომთა გაერთიანების სახელის შეცვლა ჰეგემონი თემის სახელის მიხედვით, როგორ და როდის მოხდა კრებითი სახელის “კოლხი” შეცვლა ასეთივე კრებითი სახელით “ლაზი.”

ძვ. წ. VIII საუკუნიდან კოლხებად იხსენიებიან ურარტელთა და ასირიელთა ჩრდილოელი მეზობლები. სპეციალურ ლიტერატურაში არაერთხელ იყო აღნიშნული, რომ “კოლხი” კრებითი სახელია, რომლის ქვეშ მრავალი ქართველური ტომი იყო შეფარებული.

პირველი წერილობითი ცნობა კოლხების სამფლობელო-  
თა ფართოდ გაგრცელების შესახებ პეროდოტე ჰალიკარნა-  
სელთან გვაქვს დამოწმებული. მისი გადმოცემით, “სპარსე-  
ლები ცხოვრობენ და აღწევენ სამხრეთის ზღვამდე, რომელ-  
საც მეწამულს უწოდებენ. ამათ ზემოთ, ჩრდილოეთის მიმარ-  
თულებით, ცხოვრობენ მიდიელები, მიდიელებს ზემოთ სას-  
პეირები, სასპეირებს ზემოთ კოლხები, რომლებიც აღწევენ  
ჩრდილოეთის ზღვამდე, რომელსაც ერთვის მდინარე ფაზისი.  
ეს ოთხი ტომი მოსახლეობს ზღვიდან ზღვამდე” (თ. ყაუხ-  
ჩიშვილი, 1960: 82).

“კოლხიდა” და “კოლხი” არ არის ქართველურ სამყაროში  
შემუშავებული ტერმინები (Г. Цецхладзе, 1988: 82). ქართვე-  
ლური სამყარო არ იცნობს (არ იღებს) ამ ტერმინებს  
მოგვიანო ხანაშიც. უნდა ვიფიქროთ, რომ ბერძნულ სამყაროს  
ეს ტერმინები მიღებული აქვს ახლო აღმოსავლეთიდან. ამის  
მოწმობაა ის უდავო ფაქტი, რომ ასურულ და ურარტულ  
ლურსმულ ტექსტებში კოლხის და კოლხეთის (კოლხა//კულ-  
ხას) ქვეყნის მოხსენიება გაცილებით ადრე იწყება, ვიდრე  
იგი ბერძნულ სამყაროში დაიმკვიდრებდა ადგილს.

პირველ ყოვლისა, ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარე-  
მოებას, რომ კოლხური მოდგმის, “კოლხა” სახელს შეფა-  
რებულ ტომთა გეოგრაფიული გაგრცელების ზონა სხვადა-  
სხვა დროს სხვადასხვაგვარად შემოისაზღვრება. სწორედ ეს  
სურათი, რეალობაზე დაფუძნებული, ასახული უნდა იყოს  
სხვადასხვა დროის ბერძნულ მწერლობაში.

კოლხური მოდგმის პოლიტიკური გავლენის გაგრცელების  
სამხრეთ საზღვრად შეიძლება მივიჩნიოთ თანამედროვე არ-  
ტანუჯის მიდამოები, საიდანაც გვაქვს სარდურ II-ის წარ-  
წერა. არტანუჯის წარწერა მრავალმხრივ საინტერესო დო-  
კუმენტი, რომელშიც სარდურ II მოგვითხრობს: გავემართო  
სალაშქროდ კოლხას ქვეყნის წინააღმდეგ. ეს ქვეყანა /მე  
დავიპყარი/. ქალაქი ილდამუსა, სამეფო ქალაქი კოლხას  
ქვეყნის მეფე /.../ სა-სი დავიპყარი. მისი მისახლეობა გადა-  
ბუგე. კოლხას ქვეყნის /მეფის/ ნაცვლები, რომელნიც იქ  
იყვნენ, გაველიტე. რკინის ბეჭედი გავაკეთებინე, წარწერა  
დავდგი ქალაქ ილდამუსაში. ციხე-სიმაგრეები, ქალაქები  
დავწვი და დავანგრე, ქვეყანა გავაჩანაგე, კაცები და ქალები

გავრეკე (გ. მელიქიშვილი, 1970: 387; Г. Меликишвили, 1960: 289-290). არ არის საფუძველს მოკლებული მოსაზრება, რომ კოლხები არა მარტო პოლიტიკურ უზენაესობას ახორციელებდნენ არტანუჯის მიმდებარე მხარეებზე, არამედ კოლხური მოდგმის ტომების (ჭანების) ინფილტრაციაც ხდებოდა დიაუხის დიალექტზე მოლაპარაკე ტომთა გავრცელების არეალში.

სამწუხაროდ, ჩვენ არ მოგვეპოვება წერილობითი ცნობები, რომლის მიხედვითაც შეეძლებდით დაგვედგინა ძველადმოსავლური ხანის კოლხური მოდგმის გავრცელების ჩრდილოეთი საზღვარი, მაგრამ ნივთიერი კულტურის ძეგლების მონაცემების მიხედვით იგი მდ. ხობის ხეობასაც მოიცავდა და მდ. ენგურის შუაწელის მიდამოებსაც აღწევდა. პირველ რიგში ამის დასტური უნდა იყოს ბოლო წლების აღმოჩენები: ერთგვაროვანი თიხის ჭურჭლის ჯგუფები, დეკორის ზოგიერთ სახეთა ერთგვარობა, დასახლებათა ერთნაირი ტოპოგრაფია და ა. შ. (თ. მიქელაძე, 1974; ე. გოგაძე, 1982; Т. Микеладзе, Д. Хахутаишвили, 1985; Т. Микеладзе, 1990; ე. გოგაძე, 1982).

რაც შეეხება ძველადმოსავლური ხანის კოლხური მოდგმის განსახლების აღმოსავლეთ საზღვარს, ჩვენ არ შეგვიძლია ერთიანი ქრონოლოგიური წარმოდგენა ვიქონიოთ ამის შესახებ. ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, აღნიშნულ ხანაში ის ცენტრალურ ამიერკავკასიაში გადიოდა და, კერძოდ, ნახურ-დაღესტნური მოდგმის დასავლეთ საზღვრამდე აღწევდა, რომლის საბინადროსაც ოთ. ჯაფარიძე სწორედ ქართველური მოდგმის ჩრდილო-აღმოსავლეთით ათავსებს (ო. ჯაფარიძე, 1976).

ამგვარად, როცა ვსაუბრობთ კოლხური მოდგმის ტომების შესახებ, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ვითარება, რომელიც საერთო ქართველურ სამყაროში დროის მოცემულ მონაკვეთში არსებობდა.

ძველი ლურსმული წარწერები იშვიათად შეიცავენ ფართო ეთნიკურ-ტერიტორიული მასივების კონკრეტულ აღწერილობას, მაგრამ თუ აკეთებენ ასეთ განსაზღვრას, მხოლოდ მაშინ, როცა ახდენენ მოცემული რეგიონის სისტემატურ დალაშქვრას, ან ცდილობენ მის ხელში ჩაგდებას (დაპყრობას).

ძველადმოსავლური ხანის დასასრულს ტერმინი კოლხები და კოლხური ტომები აღნიშნავენ ზანურ (მეგრულ-ჭანურ) მოდგმას. სწორედ ეს ზანური მოდგმა ანტიკურ ხანაში განასახიერებს კოლხეთს, კოლხეთის სამეფოს, კოლხურ ტომებს და კოლხურ სამყაროს, რომლის აღწერისას ზოგჯერ ძველი ბერძენი ავტორები ძველ ტრადიციებსაც იხსენებენ და, ფაქტობრივად, რეალობას დაშორებულ სურათზე მოგვითხრობენ, როგორც მათ თანამედროვე სინამდვილეზე.

კოლხურ სამყაროში ძვ. წ. II ათასწ. მიწურულსა და I ათასწ. დამდეგს, როგორც კოლხას გაერთიანების სახელწოდებიდანაც ჩანს, ჰეგემონი იყო კოლხთა ტომი, რომლის თავდაპირველი საცხოვრისის ლოკალიზაციას უფრო მდ. მტკვრის სათავეების რაიონში ახდენენ.

თუ თვალს მივადევნებთ ადამიანთა საზოგადოების განვითარების ისტორიას, თითქოს ყველგან ვადასტურებთ სავსებით ბუნებრივ, მაგრამ ერთნაირ სურათს: დაწინაურებული მრავალრიცხოვანი ოჯახი ხდება თემის ჰეგემონი, ხოლო დაწინაურებული თემი ტომის შემდგომი შემადგენელი და ჰეგემონად გვევლინება.

მიუხედავად აზრთა მრავალგვარობისა, მიგვაჩნია, რომ სახელმწიფო ორგანიზაციის მარტივი მოდელი უკვე წარმოდგენილი იყო ისეთ სოციალურ წარმონაქმნში, როგორიც იყო ტომი, ხოლო სატომო გაერთიანება სახელმწიფოს ფორმირების გარიჟრაჟია. ყველაფერი დამოკიდებული იყო ორ მთავარ ფაქტორზე: I - სატომო გაერთიანების გეოპოლიტიკური მდგომარეობა, ქვეყნის ნაყოფიერება, მოსახლეობის სიმრავლე და ტექნიკური განვითარების დონე; II - საგარეო გარემოცვა, მეზობლების განვითარების დონე, მათი დამოკიდებულება (აგრესიულობა) და ა. შ.

როგორც ჩანს, კოლხეთის სამეფო (კულხა) გაფორმდა ძვ. წ. I ათასწ. დამდეგს ტომთა მსხვილი გაერთიანების საფუძველზე, კოლხი ტომის ჰეგემონობით. როგორც ძველადმოსავლური კულხა/კოლხა, ისე ანტიკური ხანის კოლხები გახდნენ ჰეგემონი ტომი მყარი გაერთიანებისა, რომელიც მიითვლიდა მრავალრიცხოვანი ქართველური (და შესაძლებელია არაქართველური) მოდგმის ტომს. შემდგომში, განსაკუთრებით



მაშინ, როცა კოლხეთის სამეფო დაიშალა, ან მას ცალკეული რეგიონები ჩამოსცილდა, თავი იჩინა რეალურმა სინამდვილემ – ტომთა სიმრავლემ, რომლებიც ერთი ენის ამა თუ იმ დიალექტის კილოზე მეტყველებდნენ.

ქართველური სამყაროს პოლიტიკური, სოციალური და სამეურნეო განვითარების თავისებურებებმა განსაზღვრა ის ვითარება, რომ დღემდე შემოგვრჩა არათუ ქართველური, ზოგჯერ არასამწერლობო ენები, არამედ შემოგვრჩა დიალექტები და კილოები. ამ მხრივ ზანური, ანუ გვიანკოლხური ენა კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს.

როგორც ლურსმული წყაროებით დასტურდება, ძვ. წ. II ათასწ. მიწურულსა და I ათასწ. დამდეგს სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, ჭოროხის შუადინების ჩათვლით, არსებობს ტომთა მსხვილი გაერთიანება, რომლის პეგემონია კოლხების/კილხების ტომი (Г. Меликишвили, 1959: 64-65; გ. მელიქიშვილი, 1970: 371-შმდ.). შემდგომში ამ ტომმა თავისი პეგემონია უფრო ფართო ტერიტორიებზე გაავრცელა, შექმნა საკმაოდ ფართო და სტაბილური, თუმცა მაინც ეფემერული ორგანიზაცია, რომელმაც ქართველურ მოდგმას სახელი გაუთქვა მთელ ანტიკურ სამყაროში. ამ მხრივ გამოირჩევა თქმულება არგონავტების ლაშქრობაზე, ამირანის მითის ბერძნული ვარიანტი პრომეთეს შესახებ და ა. შ.

ძვ. წ. XIII ს-ის დასასრულსა და XII ს-ის პირველ მეოთხედში ასირიულმა ლურსმულმა ტექსტებმა შემოინახეს საინტერესო ცნობები კოლხების შესახებ (Г. Меликишвили, 1962: 320). მაგ. ასირიის მეფე ტიგლათფილასარ I (1115-1077 წწ) თავის წარწერაში მოგვითხრობს, რომ მან გაილაშქრა ჩრდილოეთით “ნაირის ქვეყნის” წინააღმდეგ, რომელსაც სათავეში დიაუხის მეფე სიენა ედგა და, რომლის დასახმარებლადაც მოსული იყო კილხის ქვეყნის 60 მეფე. მან დაამარცხა ისინი და მისდია “ზემო ზღვამდე” (ე. ი. მათ გამოსავალ პუნქტამდე). გ. მელიქიშვილის აზრით, აქ საქმეუნდა გეკონდეს კოლხების “60 მეფესთან”, რომლებიც შავიზღვისპირეთში მოსახლეობდნენ. ჩვენ არ შეგუდგებით იმ განსხვავებული მოსაზრებების გადმოცემას, რომლებიც ამ ცნობილი ტექსტის წაკითხვის შესახებ არსებობს (Г. Мели-

კიშვილი, 1954: 26; Г. Меликишвили, 1962: 320), მაგრამ აღვნიშნავთ, რომ კოლხები მართლაც შავიზღვისპირეთის მოსახლეობა ჩანს და ძვ. წ. XIII ს-ში მათ სახელს უკვე შეძენილი აქვს კრებითი მნიშვნელობა, თუმცა მტკიცე პოლიტიკური ორგანიზაცია (სახელმწიფო) ჯერ არ გააჩნდათ და რჩებოდნენ მეტ-ნაკლებად მყარ სატომო კავშირად (Г. Меликишвили, 1962: 320-321). როგორც გ. მელიქიშვილი ფიქრობს, კოლხი ტომების გაერთიანება თანდათანობით გაძლიერებულია ტიგლათფილასარ I-ის შემდეგ, ხოლო ძვ. წ. VIII ს-ში კილხების (კოლხების) “60 მეფის” ნაცვლად სახეზე გვყავს კოლხას მეფე, როგორც ერთპიროვნული გამგებელი, რომელსაც აქვს სამეფო ქალაქები და ჰყავს მეფისნაცვლები. ეს უკვე ადრეკლასობრივი ტიპის სახელმწიფოა.

ამგვარად, ერთ-ერთი ქართველური ტომი ძვ. წ. II ათასწ. II ნახევრიდან შავი ზღვის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს ტერიტორიებზე სტაბილურად გამოდის სატომო თუ სახელმწიფოებრივი გაერთიანების ჰეგემონად და სახელს აძლევს შავიზღვისპირეთის უზარმაზარ რეგიონს და ცნობილ კულტურას (ცივილიზაციას). ეს სატომო სახელი ანტიკურ (ბერძნულ) სამყაროში იმდენად გავრცელებული ხდება, რომ ძველ ბერძნულში იქცევა ადამიანის საკუთარ სახელად (თ. ყაუხნიშვილი, 1976: 226-238). უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი რამ საყოველთაოდ გავრცელებულია მსოფლიო ხალხების პრაქტიკაში (Б. Гракс, 1939: 308-309).

ძვ. წ. VI ს-ში კოლხი უკვე კრებითი სახელია, რომელშიც ტრადიციის მიხედვით სხვა ქართველური ტომების (მოსხები, ეგრები, მაკრონები, მოსინიკები და ა. შ.) გარდა არაქართველური მოდგმის თემები თუ ტომებიც იყო შეფარებული.

კოლხების შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ჰეროდოტე (თ. ყაუხნიშვილი, 1960: 71-73). კოლხების განსახლების შესახებ მის ცნობებს თუ ერთმანეთს შევადარებთ, ვნახავთ, რომ ზოგან ის ეთნიკურ კოლხებზე მოგვითხრობს, ზოგან, და უმრავლეს შემთხვევაში, კოლხებზე, რომელთა ეთნიკურ პირველსახელს კრებითი შინაარსი შეუძენია. თავისი “ისტორიების” I წიგნის I თავის 104-ე პარაგრაფში ჰეროდოტე წერს: “ხოლო მეოტიდის ტბიდან მდინარე ფაზისამდე და კოლხე-

ბამდე არის 30 დღის სავალი მსუბუქად შეიარაღებული /კაცისთვის/, ხოლო კოლხიდიდან მიდიაში დიდი არაა გადასავალი, არამედ მხოლოდ ერთი ტომია ამ /ქვეყნებს/ შორის. ეს არის სასპიერების /ტომი/” (თ. ყაუხჩიშვილი, 1960: 65). ჰეროდოტეს ამ მონათხრობის მიხედვით, რომელიც, შესაძლოა, რომელიმე უფრო ადრეული წყაროდან იყოს ამოღებული, კოლხების განსახლება მხოლოდ ფაზისის ხეობამდე აღწევდა. თუ გავიხსენებთ, რომ, დროის გარკვეულ მონაკვეთში მაინც, ფაზისის ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით სვანურენოვანი მოსახლეობა ჩანს განსახლებული, გასაგები გახდება, რა საფუძველს ეყრდნობა ჰეროდოტეს ზემოთ მითითებული ცნობა. სხვა ადგილას ჰეროდოტე გვაწვდის ამ ცნობისაგან განსხვავებულ აზრს. კერძოდ, თავისი თხზულების IV წიგნში ის აღნიშნავს: “სპარსელები ცხოვრობენ და აღწევენ სამხრეთის ზღვამდე, რომელსაც უწოდებენ მეწამულს. ამათ ზემოთ ჩრდილოეთის მიმართულებით, ცხოვრობენ მიდიელები, მიდიელების ზემოთ სასპიერები, სასპიერებს ზემოთ კოლხები, რომლებიც აღწევენ ჩრდილოეთის ზღვამდე, რომელსაც ერთვის მდ. ფაზისი. ეს ოთხი ტომი მოსახლეობს ზღვიდან ზღვამდე” (თ. ყაუხჩიშვილი, 1960: 82).

ჰეროდოტეს ამ წყაროში განსაზღვრული არაა, თუ რა ზონამდე აღწევდა კოლხების გავრცელების ჩრდილოეთი საზღვარი. ის მხოლოდ მიუთითებს ზღვას, რომელსაც მდ. ფაზისი ერთვოდა და გვაცნობებს იმის შესახებ, რომ კოლხები ზღვამდე ბინადრობდნენ.

ჰეროდოტე კვლავ ახსენებს კოლხებს ქსერქსეს ლაშქრის აღწერისას. როგორც ჩანს, ეს ის კოლხებია, რომლებიც, მართალია, აქემენიანთა სატრაპიის შემადგენლობაში არ მოხვდნენ, მაგრამ გარკვეულ სამხედრო ბეგარას მაინც იხდიდნენ: “კოლხებმაც დაიწესეს საჩუქრები და ასევე მათმა მეზობლებმა ვიდრე კავკასიონის მთებამდე... ყოველ მეხუთე წელს რომ გადაიხადონ ასი ყრმა და ასი ქალწული” (თ. ყაუხჩიშვილი, 1960: 76). ქსერქსეს ლაშქარში კოლხების ყოფნა ორნაირად შეიძლება აიხსნას: ისინი ან ერთდროულ სამხედრო ბეგარას იხდიდნენ, ან მოქირავნეები იყვნენ. ჰეროდოტეს ინფორმაციით, “კოლხებს თავებზე ხის მუზარადები ჰქონდათ, გამოუქნელი ტყავის პატარა ფარები და

მოკლე შუბები, ამას გარდა - დანები” (თ. ყაუხჩიშვილი, 1960: 113).

პეროდოტეს თხზულებიდან ჩანს, რომ კოლხეთის მოდგმის განსახლების სამხრეთი რეგიონი დასახლებული იყო არაერთი ქართველური მოდგმის ტომით, რომლებიც ადრე ერთი კრებითი სახელის ქვეშ მოიხსენიებოდნენ. მაგ. სტეფანე ბიზანტიელის მიხედვით, რომელიც პეკატეს ცნობას ეყრდნობა, მოსხები კოლხთა ტომია, მატიენების მეზობლად (გეორგიკა III, 1936: 282). მოსხებთან ერთად სპარსული სატრაპიების შემადგენლობაში ვხედავთ რამდენიმე კოლხური მოდგმის ტომს. პეროდოტეს მიხედვით, დარიოსის მიერ ფორმირებული 20 ოლქიდან (სატრაპიიდან) მე-19 სატრაპიაში გაერთიანებული იყვნენ მოსხები, ტიბარენები, მაკრონები, მოსინიკები და მარები და 300 ტალანტს იხდიდნენ (თ. ყაუხჩიშვილი, 1960: 75). ეს ცნობა აშკარას ხდის, თუ რაოდენ ჭრელი იყო კოლხას სამეფოს და ანტიკური კოლხეთის ტომობრივი შემადგენლობა და რამდენად რთულია ამ ტომობრივ ლაბირინთში გარკვევა.

უკანასკნელი პერიოდის არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს იმ ნაწილში, რომელიც მტკვრის ხეობის შესაბამის მონაკვეთს მოიცავს (ოთ. დამბაშიძისა და სხვათა გამოკვლევებით) გვიჩვენა, რომ ძვ. წ. II ათასწ. ბოლოსა და I ათასწ. I ნახევარში ეს მხარე შედის კოლხური ნივთიერი კულტურის არეალში, თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, ამჟღავნებს ზოგიერთ ლოკალურ თავისებურებას, რაც იოლად შეიძლება აიხსნას საბინადრო არეალის გეოგრაფიული პირობების განსხვავებულობით, აგრეთვე სამხრეთული და აღმოსავლური კულტურების შედარებით ძლიერი ზემოქმედებით. ოთ. ჯაფარიძე ეთანხმება მ. არტამონოვს, რომელიც ფიქრობს, რომ კულტურული ერთობა – ეს ეთნიკური ერთობაა (М. Артамонов, 1949: 11). ამასთან, ა. სმირნოვის სამართლიანი შენიშვნით, “კარგად ჩამოყალიბებულ არქეოლოგიურ კულტურას უნდა შეესაბამებოდეს აგრეთვე ენაც” (А. Смирнов, 1969: 8-9). ოთ. ჯაფარიძე ეთანხმება ამ ორი ცნობილი მკვლევარის შეხედულებას და მიდის იმ დასკვნამდე, რომ “როგორც ჩანს, ადრეულ საფეხურზე ენობ-

რივი და ეთნიკური ერთობები ერთიმეორის შესაბამისი უნდა ყოფილიყო” (ო. ჯაფარიძე, 1976: 7).

ამდენად, ძვ. წ. II ათასწ. ბოლოსა და I ათასწ. I ნახევარში ჩვენ საკმაოდ ფართო ტერიტორიაზე ვადასტურებთ ერთგვაროვან ნივთიერ კულტურას, რომლის გავრცელების სამხრეთი საზღვარი ალბათ ჰაღისამდე გაიწევეს, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით – მტკვრის ხეობაში გადადის ბორჯომის ხეობის მიდევნებით და შიდა ქართლის ტერიტორიასაც მოიცავს. რაც შეეხება ჩრდილოეთის მიმართულებით კოლხური კულტურის გავრცელების საზღვრებს, უნდა აღინიშნოს, რომ აქაც, ლოკალური თავისებურებების გათვალისწინებით, ამ კულტურის გავრცელების არეალი კავკასიონის სამხრეთ კალთებს მოიცავს ჩრდილო-დასავლეთ ამიერკავკასიის ჩათვლით.

თუ ჩვენ სამხრეთისა და აღმოსავლეთის პერიფერიაზე ანატოლიურ და დასავლეთ ირანის კულტურათა ზემოქმედების ნიშნებს ვადასტურებთ, ჩრდილოეთით კარგად შეინიშნება ჩრდილო-კავკასიურ კულტურებთან ახლო ურთიერთობის ნიშნები, უფრო კი – კოლხური კულტურის რადიაცია ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალურ და დასავლურ ზონაში.

ყველაფერი ეს, ბუნებრივია, წარმოდგენას გვაძლევს ერთობით ქართველური მოდგმის განსახლების არეალის შესახებ, მაგრამ ჩვენ გვანტერესებს მისი დეტალები, ცალკეული ტომები და ის წარმოდგენები, რაც წერილობით წყაროებში მათ შესახებ არსებობს.

“ლიბერ გენერასიონის” (IV ს) ცნობით, კოლხებსა და იბერებს ცალ-ცალკე ენები აქვთ. ასევე საკუთარი ენა აქვთ სანებს და სხვა ხალხებს. “ლიბერ გენერასიონი” გამოყოფს დამწერლობის მქონე ხალხებსაც, რომელთაგან ქართველური მოდგმისა არცერთი არაა (გეორგიკა I, 1961: 17-18).

V ს. ანონიმი (ანონიმური “პერიპლუსის”) ავტორი მიუთითებს, რომ “დიოსკურიიდან ვიდრე აფსარის წყლამდე წინათ ცხოვრობდა ის ხალხი, რომელსაც კოლხები ეწოდებოდათ და /მერე/ გადაერქვათ ლაზები” (გეორგიკა II, 1965: 6). პროკოპი კესარიელის აზრით კი, “. . . კოლხები შეუძლებელია არ იყვნენ იგივე ლაზები, ვინაიდან ფაზისის მდინარეზე

მოსახლეობენ. ხოლო სახელი “კოლხები,” როგორც სხვა მრავალი ტომებისა, ამჟამად “ლაზთა” სახელად შეიცვალა. გარდა ამისა, ამ ამბების დამწერთა შემდეგ მრავალი საუკუნე გავიდა, რომელმაც ბევრი ცვლილება შეიტანა არსებულ მდგომარეობაში” (გეორგიკა II, 1965: 120).

პროკოპი კესარიელის ცნობების შესწავლა გვარწმუნებს, თუ როგორ შევიწროებულია ქართული მოდემის განსახლების არეალი სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთით 800-1000 წლის განმავლობაში. წერილობითი წყაროების მეშვეობით შესაძლებელი ხდება ამ ცვლილებების ქრონოლოგიურ თანმიმდევრობაზე თვალის მიდევნება. მაგ. ჰეროდოტესა და ქსენოფონტეს დროს ტრაპეზუნტი კოლხების ქვეყანაში დასტურდება: ქსენოფონტეს მიხედვით, მაკრონების ქვეყნის საზღვრიდან ბერძნებმა “იარეს ორ გადასავლად შვიდი ფარსანგი და მივიდნენ ზღვასთან ტრაპეზუნტში – მჭიდროდ დასახლებულ ელინურ ქალაქში, რომელიც სინოპელთა კოლონია იყო კოლხების ქვეყანაში ევქსინოს პონტოს სანაპიროზე. აქ კოლხების სოფლებში (ელინებმა) დაახლოებით 30 დღე დაჰყვეს და აქედან აწარმოებდნენ თავდასხმებს და ანადგურებდნენ კოლხიდას” (თ. მიქელაძე, 1967: 89-90); ასევე, ქსენოფონტეს მეორე ცნობით, ისინი “მივიდნენ ელინურ ქალაქში კერასუნტი, სინოპის კოლონიაში, რომელიც კოლხების ქვეყანაში ზღვის სანაპიროზე (მდებარეობდა)” (თ. მიქელაძე, 1967: 97). ახლა მოვუსმინოთ პროკოპი კესარიელს (VI ს.): ძველ მწერალთაგან ზოგიერთები ამბობენ, რომ “ტრაპეზუნტელთა მოსაზღვრენი არიან ან სანები, რომელთაც ახლა ჭანები ეწოდებათ, ან კოლხები, სხვანაირად ლაზებს რომ ეძახდნენ, რომელნიც ახლაც იმავე სახელს ატარებენ. თუმცა არცერთი ამათგანი სიმართლეს არ შეეფერება. ჭანები ხომ ზღვის ნაპირს ძალიან არიან დაშორებული და არმენიელების გვერდით ცხოვრობენ შუახმელეთზე. . . ჭანები გამოირჩევიან, როგორც არა-ზღვისპირა მცხოვრებლები, კოლხები კი შეუძლებელია არ იყვნენ იგივე ლაზები, ვინაიდან ფასისის მდინარეზე მოსახლეობენ” (გეორგიკა II, 1934: 90-91). რა თქმა უნდა, განსაკუთრებულ ჟღერადობას იძენს ის ფაქტი, თუ რას ფიქრობს თვით ხალხი საკუთარ წარმომავლობაზე.

გავიხსენოთ იოანე ლიდეს (VI ს.) ცნობა, რომ კოლხიდას “ამჟამად ლაზიკეს ეძახიან ჰეგემონისაგან” (გეორგიკა II, 1934: 200). ს. ყაუხჩიშვილის სამართლიანი შენიშვნით, ეს ცნობა ისე უნდა გავიგოთ, რომ “კოლხიდას” იმიტომ ჰქვია ამჟამად ლაზიკე, რომ ამ ქვეყანაში ჰეგემონობა ლაზებს მოუპოვებიათ. აგათია სქოლასტიკოსის ცნობით, “ძლიერსა და მამაც ტომს წარმოადგენენ ლაზები და სხვა ძლიერ ტომებსაც მბრძანებლობენ; ამაყობენ კოლხთა ძველი სახელით და ზომაზე მეტად ქედმაღლობენ, შესაძლებელია არცთუ ისე უსაფუძვლოდ. იმ ტომებს შორის, რომლებიც სხვა სახელმწიფოს ექვემდებარებიან, მე არ მეგულება არცერთი სხვა ესოდენ სახელგანთქმული და მორჭმული, როგორც თავისი სიმდიდრის სიუხვით, ისე ქვეშევრდომთა სიმრავლით, როგორც მიწაწყლის სიჭარბით და მოსავლიანობით, ისე ხასიათის სილამაზითა და სიცქვიტით” (გეორგიკა, 1936: 50-51). სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეული და დადგენილია, თუ როდის დამთავრდა ლაზების მიერ დღევანდელი დასავლეთ საქართველოს გაერთიანება (გ. მელიქიშვილი, 1970: 537-558). ჩვენი მიზნისათვის კი საჭიროა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ თვითონ ლაზები თავს მიიჩნევდნენ ძველი კოლხების შთამომავლებად. ეს რომ ასეა, ადასტურებს არა მარტო აგათია და სხვა ძველი ავტორები, არამედ თანამედროვე ენობრივი მონაცემები და ზანური ენის დიალექტზე მოლაპარაკე ეთნოგრაფიული კოლექტივების გეოგრაფიული განსახლება, აგრეთვე დიალექტთა ერთმანეთისაგან დაშორების ხარისხი.

შუა საუკუნეებში სინამდვილე ისეთია, რომ ზანურ ენაზე მოლაპარაკე ეთნიკური მასივი გაყოფილია ორ დიდ ნაწილად. ბუნებრივია, დაისმის კითხვა, თუ როდის და რა ვითარებაში უნდა მომხდარიყო ამ ერთიანი ეთნიკურ-ენობრივი მასივის “გახლეჩა.” დღევანდელი მდგომარეობით ჯანური და მეგრული იმდენად ახლოსაა ერთმანეთთან, რომ მათი დაშორიშორება დიდი ხნის წინათ არ უნდა მომხდარიყო, ან კიდევ, მათი მჭიდრო კავშირები არასდროს უნდა მოშლილიყო. შეიძლება შემოთავაზებული იყოს ამ მოვლენის ახსნის მესამე ვარიანტიც: რამდენადაც ზანური ენა არასამწერლობო ენად დარჩა, მისი დიალექტების ლექსიკური ფონდი და

გრამატიკული წყობაც ძალიან ნელა იცვლებოდა. ტემპი ამ ცვლილებისა იმდენად ნელი იყო, რომ დღევანდელი ლაზი (ჭანი) და მეგრელი ერთ ენაზე ლაპარაკობენ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ თურქიზმებისა და ბერძნიზმების სიმრავლეს ლაზურში და ქართიზმების სიმრავლეს მეგრულში. ასეთი ვითარება სავსებით გასაგებია და იოლად აიხსნება.

თურქიზმების გამოჩენა ჭანურ დიალექტში შეიძლება დაწყებულიყო ძირითადად XV ს-ის შემდეგ, ხოლო ბერძნული ლექსიკური მოდელის გაჩენა აქ შეიძლება ვივარაუდოთ ქართველური სამყაროს განვითარების კოლხური საფეხურიდან. რა თქმა უნდა, არავინ გამორიცხავს ჭანური დიალექტის ლექსიკაში გარკვეული ოდენობის ქართიზმების შეღწევასაც, მაგრამ აქ ენობრივი ურთიერთობის ისეთი კვანძებია გასახსნელი, რომ საკითხის პროფესიონალთა გარეშე გადაწყვეტა არასწორი იქნებოდა.

რაც შეეხება ზანური მოდგმის კოლხებს, მათ სახელი შეინარჩუნეს მას შემდეგაც, რაც ძველადმოსავლური კოლხას სამეფო დაეცა და ამ გაერთიანების ცენტრმა ჩრდილოეთით გადაინაცვლა. ასეა თუ ისე, ლაზები (მეგრელები) თავს კოლხების უშუალო შთამომავლებად მიიჩნევდნენ ამ 1500 წლის წინათაც და ჩვენ არ გაგვაჩნია რაიმე მასალა არ გავიზიაროთ მათი მოსაზრება საკუთარი გენეტიკური წარმომავლობის შესახებ.

უფრო მდიდარი ცნობები ქართველური მოდგმის ტომების შესახებ გააჩნიათ მომდევნო პერიოდის ავტორებს<sup>მ</sup> მათ შორის აღსანიშნავია ქსენოფონტე<sup>ა</sup> სტრაბონი და ფლავიუს არიანე<sup>მ</sup> სამივე მათგანი სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მიზნით ახლოს გაეცნო ქართველურ სამყაროს<sup>ა</sup> ან მის ამა თუ იმ მონაკვეთს და გარკვეული სუბიექტური მომენტების გათვალისწინებით<sup>ა</sup> მათი ცნობები ჩვენთვის ძვირფასი პირველწარომ<sup>მ</sup>

ქსენოფონტემ (435-355\354 წწ) ძემ<sup>მ</sup> წმ 401 წელს გაიარა ქართველურ ტომთა საბინადრო ტერიტორია ევფრატის სათავეებიდან შავ ზღვამდე (თ. მიქელაძე, 1967: 17-18)<sup>მ</sup> უნდა დავეთანხმოთ თ<sup>მ</sup> მიქელაძეს<sup>ა</sup> რომ მიუხედავად იმისა<sup>ა</sup> რომ **ღანაბასისი**<sup>მ</sup> გარკვეულ მიზანს ემსახურება<sup>ა</sup>



ქსენოფონტე მაინც ბოლომდე ინარჩუნებს  
კეთილსინდისიერებას, როგორც მოხრობელი~~მ~~  
~~მ~~ანაბასისში~~მ~~ თუკი სადმე მუდგანდება კიდევ  
ტენდენციურობა<sup>ა</sup> 'ოველ შემთხვევაში - იმ ნაწევრებში არა<sup>ა</sup>  
რომელიც ქართველურ ტომებს შეეხება<sup>ა</sup> რადგან ქართვე-  
ლური ტომები ქსენოფონტეს პოლიტიკური ინტერესების  
მიღმა იმყოფებიან~~მ~~

ქსენოფონტეს მანაბასისში~~მ~~ მიხედვით ხშირად არ  
ხერხდება ამა თუ იმ ქართველური ტომის საბინადრო  
ტერიტორიის საზღვრების გარკვევა<sup>ა</sup> მაგრამ ჩვენ საშუალება  
გვუძლევია~~მ~~ ი~~მ~~ წარმოვიდგინოთ გეოგრაფიული ზონა<sup>ა</sup>  
სადაც ესა თუ ის ტომი ცხოვრობდა\* ~~მ~~ დავადასტუროთ<sup>ა</sup>  
რომ კოლხას სამეფომ ვერ მოახდინა მის შემადგენლობაში  
გაერთიანებული ქართველური მოდგმის ერთ ხალხად  
კონსოლიდირება\* ~~მ~~ გაგარკვიოთ ამ ტომთა სოციალური  
განვითარების არათანაბრობა\* ~~მ~~ თვალი მივადევნოთ  
მეურნეობრივი განვითარების სურათს\* ~~მ~~ შევისწავლოთ  
დასახლების ტიპები\* ~~მ~~ გავერკვეთ ბერძნული  
ახალშენებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ურთიერთობა-  
თა თავისებურებებში\* ~~მ~~ განვითარების მომდევნო სურათის  
გათვალისწინებით დავადასტუროთ ტერმინი მკოლხისში~~მ~~ რეა-  
ლური შინაარსი დროის სხვადასხვა მონაკვეთში, კოლხას  
სამეფოს იმ ნაწილისათვის მაინც<sup>ა</sup> რომელიც მოგვიანო  
პერიოდის ჭანეთსა და სპერს მოიცავდა~~მ~~

სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ ამიერკავკასიაში<sup>ა</sup> არმე-  
ნების მეზობლად<sup>ა</sup> ძვ<sup>მ</sup> წ<sup>მ</sup> V ს-ის ბოლოს მხოლოდ ქართვე-  
ლური მოდგმის ტომებია საგულებელი~~მ~~ ქსენოფონტეს  
ცნობით კი, კარდუხების ჩრდილოეთი საზღვარი ამ დროს  
მდ<sup>მ</sup> კენტრიტზე გადიოდა<sup>ა</sup> რომელიც მათ არმენთა ქვენიდან  
გამოიყოფდა (თ. მიქელაძე, 1967: 34, 69-70)~~მ~~ მდ<sup>მ</sup> კენტრიტს  
მკვლევარები თითქმის ერთხმად თანამედროვე ბოტან-ჩაისთან  
აიგივებენ (თ. მიქელაძე, 1967: 34)~~მ~~ კარდუხებს თანამედროვე  
ქურთისტანის მთების ზონა ეჭირათ და მათ ეთნიკურ კუთვ-  
ნილებაზე საუბარი საკმაოდ ძნელდება~~მ~~ თუმცა მოცემული  
რეგიონი დღეს ქურთებს უჭირავთ<sup>ა</sup> მაგრამ კ<sup>მ</sup> ლემან-ჰაუპტის  
მიერ გამოთქმულია მოსაზრება კარდუხების ქართველურ

წარმომავლობაზე მისი სიტყვით, ქართ-იბერები ჩრდილო მესოპოტამიიდან მოსული კარდუხებისა და მცირე აზიიდან მოსული მესხების შერევის შედეგად ჩამოალიბდნენ საქართველოს მიწა-წალზე (К. Леман-Хаупт, 1938: 262-263) მ

საინტერესოა ქსენოფონტის განცხადება რომ მის დროს სპარსელებს უკვე აღარ ემორჩილებოდნენ არა მარტო კარდუხები არამედ ხალიბები ხალდები მაკრონები კოლხები, მოსინიკები კოიტები და ტიბარენები (თ. მიქელაძე, 1967: 114) მ ასე შეცვლილა ვითარება დარიოს I-ის მეფობის შემდეგ როცა მითითებული ტომები სპარსელთა მოხარკეები ივნენ და სატრაპიებში შედიოდნენ მ

კარდუხების ქვერის გავლის შემდეგ ბერძენმა მოქირაუნეებმა გადაიარეს ორი სპარსული სატრაპია იო არმენია და დასავლეთ არმენია დასავლეთ არმენია ტაოხების ქვეანას ესაზღვრებოდა რომელიც, ქსენოფონტის აღწერილობით, მთავორიანი მხარე იო ხოლო მოსახლეობა მიუვალ სიმაგრეებში ცხოვრობდა სადაც მთელი სურსათი ჰქონდა ატანილი (თ. მიქელაძე, 1967: 80) მ ტაოხები როგორც ქსენოფონტე გვაცნობებს თავგამოდებით ებრძოდნენ ბერძენს და კარგად იცოდნენ თავისუფლების ფასი მ როცა ელინებმა სისხლისმღვრელი იერიშის შემდეგ მოახერხეს ერთ-ერთი ტაოხური გამაგრებული თავშესაფრის აღება, იქ ელინები მოწმენი გახდნენ საზარელი სანახაობისა: ქალები უფსკრულში ისროდნენ ბავშვებს და თვითონაც თან მიჰვებოდნენ მ ასევე იქცეოდნენ მამაკაცები ერთ მომენტში “ლოხაგოსმა ენეოს სტიმფალიოსელმა დაინახა ლამაზ ტანსაცმელში გამოწობილი მამაკაცი უფსკრულში გადასავარდნად რომ მიისწრაფოდა, ეცა მას შესაჩერებლად მაგრამ მან თან წარიტაცა იგი და ერთიცა და მეორეც გადაეშვნენ კლდიდან და დაიღუპნენ მ (თ. მიქელაძე, 1967: 80-81) მ

თავისუფლების დაკარგვისადმი ამგვარი დამოკიდებულება შეიძლება შეუქმნავდეს ხალხს (ტომს) რომელსაც სათანადო ისტორიული გამოცდილება მიუღია და ამ ნიადაგზე სათანადო ფსიქოლოგიური მიდგომის გამომუშავებაც მოუხწრია მ

მეცნიერთა დიდი ნაწილი ტაოხებს ქართველ მოდგმად მიიჩნევს და მას პროვინცია **იტაოს** უკავშირებს (გ. მელიქიშვილი, 1970: 358-392).

ქსენოფონტეს აღწერილობაში, ტაოხების ქვეწის გავლის შემდეგ<sup>ა</sup> ისინი მიაღწენ ხალიბების ქვეწანას (თ. მიქელაძე, 1967: 81-82)<sup>ბ</sup> ისინი უმამაცესნი ივნენ /იმ ტომებს შორის<sup>ა</sup> რომელთა მიწა-წყალი ელინებმა/ გაიარეს<sup>ბ</sup> /ხალიბები/ ხელჩართულ ბრძოლაში ებმებოდნენ /ელინებთან/. მათ ჰქონდათ სელის აბჯრები<sup>ა</sup> /რომლებითაც/ მუცლის ქვედა ნაწილამდე /ივნენ დაცული/<sup>ა</sup> ხოლო /აბჯრის/ კალთების ნაცვლად მჭიდროდ დაგრეხილი თოკები<sup>ბ</sup> ისინი ატარებდნენ ასევე საბარკულებსა და მუზარადებს<sup>ა</sup> ხოლო ქამრის გასწვრივ - ლაკონური ხმლის მსგავს სატევარს<sup>ა</sup> რომლითაც ჰკლავდნენ მას<sup>ა</sup> ვის ძლევასაც შეიძლებდნენ. . . მღეროდნენ და როკავდნენ, როდესაც მტერი უყურებდა<sup>ბ</sup> მათ ეკავათ აგრეთვე **ჰ** წირთის /სიგრძის/ შუბები<sup>ა</sup> რომელთაც მხოლოდ თითო შუბისპირი ჰქონდათ<sup>ბ</sup> /ხალიბები/ ცხოვრობდნენ სიმაგრეებში და სურსათიც იქ ჰქონდათ ატანილი<sup>ბ</sup> (თ. მიქელაძე, 1967: 81-82)<sup>ბ</sup> ყურადსაღებია<sup>ა</sup> რომ ხალიბებს საკმაოდ ვრცელი ტერიტორია ეკავათ<sup>ა</sup> რადგან ელინებმა 50 ფარსანგი ანუ დაახლოებით **270** კმ გაიარეს<sup>ა</sup> სანამ მიაღებოდნენ მდინარე ჭოროხს (პარპასოს)<sup>ა</sup> რომლის სიგანე **4** პლეთრონია (დაახლ. **100-120** მეტრი) და ხალიბების საბინადროს სკვითინების საბინადროსაგან გამოიწვს (თ. მიქელაძე, 1967: 82)<sup>ბ</sup>

ხალიბთა ქვეწის აღწერისას გაკვირვებას იწვევს ქსენოფონტეს დუმილი ამ ტომის საქმიანობის შესახებ<sup>ბ</sup> ამ დროს ბერძნული მწერლობა უკვე აღიარებდა<sup>ა</sup> რომ ხალიბები რკინის გამოშგონებლები ივნენ<sup>ბ</sup> ამის შესახებ იცის ქსენოფონტემაც<sup>ა</sup> როცა მოსინიკების ერთ-ერთი თემის საქმიანობაზე მოგვითხრობს და მათაც ხალიბებად იხსენიებს (თ. მიქელაძე, 1967: 106)<sup>ბ</sup> ქსენოფონტეს დუმილს ხალიბების ძირითადი საბინადროს მოსახლეობის საქმიანობაზე შეიძლება ორგვარი ახსნა მოექმნოს<sup>ა/ბ</sup> **1** ჭოროხის ხეობაში მობინადრე ხალიბები არ მისდევდნენ მეტალურგიას<sup>ა</sup> რაც სხვა

მონაცემების მიხედვით ძნელად დასაჯერებელია და **==** ბერძენმა მოქირავნებმა ქვეანა გაიარეს ზამთარში<sup>^</sup> ღიღთოვლობაში და თანაც ისეთი გზით<sup>^</sup> სადაც ლითონის მომპოვებელი საწარმოები არ მოქმედებდა<sup>≡</sup> რა თქმა უნდა, ელინები თავის გადარჩენაზე უფრო ფიქრობდნენ, ვიდრე ხალიბების ლითონმომპოვებელ თუ სხვა რიგის საწარმოების ძებნაზე. როგორც ჩანს, არც ადგილობრივი მოსახლეობა ცდილობდა მტრისათვის საკუთარი მეურნეობის რეკლამირებას. პონტოს ადგილობრივი მოსახლეობა კარგად უნდა 'ოფილიო' ინფორმირებული ელინთა დამოკიდებულებაზე ადგილობრივი მოსახლეობისადმი<sup>≡</sup> პონტოსპირა ქალაქები - ტრაპეზუნტი<sup>^</sup> კერასუნტი<sup>^</sup> კოტიორა და ა<sup>≡</sup>შ<sup>≡</sup> ხომ ადგილობრივი მოსახლეობისთვის წართმეულ მიწებზე ოო დაარსებული: **☐**ტრაპეზუნტი - მჭიდროდ დასახლებული ელინური ქალაქი<sup>^</sup> რომელიც სინოპელთა კოლონია ოო კოლხების ქვეანაში<sup>≡</sup> (თ. მიქელაძე, 1967: 89), **☐**ელინური ქალაქი კერასუნტი<sup>^</sup> სინოპის კოლონიაში<sup>^</sup> რომელიც კოლხების ქვეანაში ზღვის სანაპიროზე მდებარეობდა<sup>≡</sup> (თ. მიქელაძე, 1967: 97)<sup>≡</sup> ტიბარენების ქვეანაში მდებარეობდა ქალაქი კოტიორა<sup>≡</sup> სინოპელების განცხადებით, **☐**ეს კოტიორელები კი ჩვენი კოლონისტები არიან<sup>≡</sup> ჩვენ მათ გადავეცით ეს ქვეანა<sup>^</sup> რომელიც ბარბაროსებს წავართვიით<sup>≡</sup> (თ. მიქელაძე, 1967: 108)<sup>≡</sup> როგორც ჩანს, ადგილობრივი მოსახლეობის მტრული განწყობის გამო<sup>^</sup> ქსენოფონტე ბევრს ვერაფერს გვეუბნება ტაოხებისა და ე<sup>≡</sup> წ<sup>≡</sup> **☐**მთის ხალიბების<sup>≡</sup> მეურნეობის დეტალებზე. ფაქტობრივად, ადგილობრივი მოსახლეობისათვის ელინთა ლაშქარი ოო მძარცველთა ჯგუფი<sup>^</sup> რომლის წარმომადგენლებმაც ზღვისპირა კოლხებს მიწები წაართვეს და ადგილობრივი მოსახლეობის შევიწროებას აგრძელებდნენ<sup>≡</sup>

მდ<sup>≡</sup> ჭოროხის მარცხენა სანაპიროზე ელინებს შკვიითინების (შვიდსოფლელები) ქვეანა ელოდებოდა<sup>≡</sup> მათი ქვეანა (ჭოროხის სანაპიროები) შედარებით ვაკობი ოო<sup>≡</sup> **==** კილომეტრის გავლის შემდეგ ელინები მივიდნენ **☐**დიდ<sup>^</sup> მდიდარ და მჭიდროდ დასახლებულ ქალაქამდე<sup>^</sup> რომელსაც

გვიმნიასი ეწოდება<sup>##</sup> (თ. მიქელაძე, 1967: 82-83)<sup>≡</sup> ქვეწიწის მმართველი<sup>^</sup> როგორც ჩანს<sup>^</sup> კარგად იყო ინფორმირებული იმის შესახებ<sup>^</sup> თუ როგორი არმია მოძრაობდა მის ქვეანაში და რა იყო მისი საბოლოო მიზანი<sup>≡</sup> ამიტომ, სანამ ელინები ქალაქს მიუახლოვდებოდნენ<sup>^</sup> ~~მ~~ქვეწიწის მმართველმა ელინებს მეგზური გაუგზავნა<sup>^</sup> რათა ისინი თავის მტრების ქვეანაზე გადაეტარებინა<sup>≡≡≡</sup> როცა ისინი /სკვითინების/ მტრებთან მივიდნენ<sup>^</sup> აქეზებდა /ელინებს/ - გაენადგურებინათ და აეოხრებინათ ეს ქვეანა<sup>≡</sup> ცხადი გახდა<sup>^</sup> რომ იგი ამ მიზნით იყო წამოსული და არა ელინებისადმი კეთილგანწყობის გამო<sup>≡</sup> მეხუთე დღეს მიაღწიეს მთას<sup>^</sup> რომლის სახელი იყო თეხესი<sup>##</sup> (თ. მიქელაძე, 1967: 83)<sup>≡</sup> სწორედ ამ მთიდან მოჩანდა შავი ზღვა და იწებოდა მაკრონების ქვეანა<sup>^</sup> რომელსაც, როგორც ჩანს<sup>^</sup> პონტოს ტავრის ჩრდილო კალთები ეკავა<sup>≡</sup> ამგვარად<sup>^</sup> სკვითინებს ეკავათ პონტოს ტავრის სამხრეთი კალთები მდ<sup>≡</sup> ჭოროხამდე<sup>^</sup> ე<sup>≡≡</sup> ჭოროხის ხეობის მარცხენა კალთები<sup>≡</sup> ზოგიერთი ავტორი ვარაუდობდა<sup>^</sup> რომ სკვითინები ეთნიკურად სკვითების შთამომავლები იყვნენ (B. Худяков, 1930: 421-426). მაგრამ თ<sup>≡</sup> მიქელაძემ და სხვა მეკლევარებმა დაადასტურეს ამგვარი მოსაზრების უსაფუძვლობა<sup>≡</sup> სკვითინების ეთნიკური კუთვნილება ქართველური სამართლსადმი უდავოა. რა თქმა უნდა<sup>^</sup> სკვითინებიც ერთი კოლხური ტომი, ან იქნებ ტომთა გაერთიანებაა<sup>^</sup> რომელიც<sup>^</sup> როგორც ჩანს<sup>^</sup> ზანური მოდგმისა უნდა იწოდებოდეს<sup>≡</sup> მათი ქართიზაცია<sup>^</sup> რაც შუასაუკუნეებში დასტურდება<sup>^</sup> შედარებით გვიან უნდა მომხდარიყო<sup>≡</sup> ასევე უდავოა მათი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაღალი დონე ხალიბებთან და ტაოხებთან შედარებით<sup>≡</sup> ამის კიდევ ერთი დასტური უნდა იქნას სკვითინების მიწაზე არსებული კარგად გამართული საქალაქო ცენტრი, რომლის მსგავსი აქ სხვებიც უნდა იწოდებოდეს<sup>^</sup> მაგრამ ისინი<sup>^</sup> როგორც ჩანს<sup>^</sup> ელინების მარშრუტს მიღმა აღმოჩნდნენ<sup>≡</sup>

ძვე<sup>≡</sup> წ<sup>≡</sup> V საუკუნის მიწურულს ჭოროხის ხეობის ველზე<sup>^</sup> მდინარის მიდევნებით<sup>^</sup> ადგილობრივი მცირე თუ მსხვილი ქალაქების არსებობა ჩვეულებრივი ამბავი უნდა იქნას<sup>≡</sup>

ხეობის სიმდიდრე<sup>ა</sup> სხვა და სხვა ნაწარმის რეალიზაციის კარგი შესაძლებლობა, როგორც ადგილობრივ მთის მოსახლეობაში<sup>ა</sup> ისე ზღვისპირა ელინურ ქალაქებში, ქმნიდა გარკვეულ სტიმულს სასოფლო-სამეურნეო და სახელოსნო წარმოების გაფართოებისათვის<sup>ა</sup> რაც ხორციელდებოდა კიდევ. არ არის გამორიცხული<sup>ა</sup> რომ მთის ტომები გარკვეულწილად შუამავლობდნენ ჭოროხის ხეობის მდიდარ რაიონებსა და ზღვიპირა ქალაქებს შორის ალებ-მიცემაში<sup>ბ</sup> საქმე იმაშია<sup>ა</sup> რომ ისინი ოველთვის აკონტროლებდნენ მთის გადასასვლელებს და ცენტრალური ხელისუფლების არარსებობის პირობებში გზების ერთადერთი პატრონები ხდებოდნენ<sup>ბ</sup> ამასთან დაკავშირებით შეიქმნა ე<sup>ა</sup>წ<sup>ბ</sup> პროქსენების ინსტიტუტი, რომელიც აგვარებდა სავაჭრო-ეკონომიკურ და სხვა სახის ურთიერთობებს სხვადასხვა დაჯგუფებებს<sup>ა</sup> ქალაქებსა და თემებს შორის (თ. მიქელაძე, 1967: 97)<sup>ბ</sup>

შემდეგ ელინები შევიდნენ მაკრონების საბინადროში და სამი დღის განმავლობაში უომრად გაიარეს ის<sup>ბ</sup> ელინებთან დადებული სამშვიდობო ფიციის შემდეგ<sup>ა</sup> მაკრონები ეხმარებოდნენ მათ სურსათით და გზის მოწესრიგებით<sup>ბ</sup> ასე მიაღწენ ისინი კოლხების საზღვარს, რომლის ლაშქარი ერთ-ერთ მაღალ მთაზე საბრძოლველად დარაზმული<sup>ბ</sup> კოლხთა რაზმების გაფანტვის შემდეგ<sup>ა</sup> ელინები სოფლებში შევიდნენ და იქ დაბანაკდნენ. აქ უამრავი სურსათი მოიპოვებოდა (თ. მიქელაძე, 1967: 88-89)<sup>ბ</sup> სწორედ ამ ადგილებში წააწ<sup>ბ</sup>დნენ ელინები პირველად ე<sup>ა</sup>წ<sup>ბ</sup> მათობრებელა თაფლს<sup>ბ</sup> ამ სოფლებიდან <sup>ბ</sup>კმ-ის გავლის შემდეგ ელინები მძივიდნენ ზღვასთან ტრაპეზუნტში - მჭიდროდ დასახლებულ ელინურ ქალაქში<sup>ა</sup> რომელიც სინოპელთა კოლონია ოო კოლხეთის ქვეანაში ევქსინის პონტოს სანაპიროზე<sup>ბ</sup> (თ. მიქელაძე, 1967: 89-90)<sup>ბ</sup>

მაკრონების ეთნიკურ კუთვნილებას რაც შეეხება<sup>ა</sup> ეს, უდავოდ, ჭანური ტომია<sup>ა</sup> რომელიც ადრე სახელ მ<sup>ბ</sup>კოლხის<sup>ბ</sup> ქვეშ ოო შეფარებული<sup>ბ</sup> ახლა კი<sup>ა</sup> როგორც დეტალების გარკვევით დასტურდება<sup>ა</sup> ეს არის საკუთარი სახელის მქონე ზანური თემი (ტომი)<sup>ბ</sup> ასეთივე ზანური თემია (ტომია) დრი-

ლები<sup>ა</sup> სადაც ელინებმა ილაშქრეს სურსათის მოსაპოვებ-  
 ლად<sup>ა</sup> მაგრამ დიდი ზარალიც განიცადეს<sup>ა</sup> თუმცა არიან  
 ფიქრობს<sup>ა</sup> რომ ისინი ხანები არიან (ფლავიუს არიანე, 1961:  
 89). რამდენადაც დრილებისა და მათი დასახლების აღწერი-  
 ლობა ქსენოფონტეს “ანაბასისში” იძლევა საინტერესო მასა-  
 ლებს ანტიკური ხანის კოლხეთის დასახლების გარკვეული  
 ტიპის შესასწავლად<sup>ა</sup> ჩვენ სპეციალურად შევჩერდებით მას-  
 ზე<sup>ა</sup> როდესაც ელინები დრილების ქვეანაში მივიდნენ<sup>ა</sup>  
 დრილებმა გადაწვეს და მიატოვეს ის სიმაგრეები<sup>ა</sup>  
 რომლებიც, მათი ფიქრით<sup>ა</sup> ადვილად ასადები ორ<sup>ა</sup> ერთი  
 სიმაგრე მათი დედაქალაქი ორ<sup>ა</sup> იქ მოუარა თავი სუველას<sup>ა</sup>  
 მას გარშემო ხრამი ჰქონდა და სიმაგრე მისადგომად  
 სახიფათო ორ<sup>ა</sup> მას გარშემო განიერი ორმო და მიწის  
 რილი ჰქონდა შემოვლებული<sup>ა</sup> ხოლო ამ რილზე აღმართული  
 ორ მესერი და მრავალი ხის კოშკი<sup>ა</sup> სიმაგრიდან ხრამში  
 დაშვება მხოლოდ სათითაოდ შეიძლებოდა<sup>ა</sup> შეკრიკმა  
 /ქსენოფონტეს/ უთხრა<sup>ა</sup> რომ სიმაგრე სავსეა მრავალი  
 სიმდიდრით<sup>ა</sup> მაგრამ მისი ალბაც შეუძლებელია<sup>ა</sup> რადგან იგი  
 მიუვალია და არც მისგან დახვევა ადვილი<sup>ა</sup> ქალაქის  
 შიგნით არის სიმაგრე (დშიდა ციხე<sup>ა</sup>)<sup>ა</sup> სადაც ჩასაფრებული  
 ოფილა მრავალრიცხოვანი მტერი<sup>ა</sup> შიდაციხის  
 დათვალიერების შემდეგ (ელინებმა) დაასკვნეს<sup>ა</sup> რომ სიმაგრე  
 სრულიად მიუვალია... სიმაგრისაკენ მიმავალი გზის ორივე  
 მხარეს იდგა ხის სახლები” (თ. მიქელაძე, 1967: 88-95)<sup>ა</sup>  
 მოიერიშე მტერს დრილები სახლების სახურავის ღემოდან  
 ხის დიდ კოჭებს ესროდნენ... სახლები იდგა სიმაღლის  
 თხრილთანაც” (თ. მიქელაძე, 1967: 95)<sup>ა</sup> ელინებმა თავის  
 გადასარჩენად ქალაქი ცეცხლს მისცეს<sup>ა</sup> როგორც იგი  
 მოგვითხრობს<sup>ა</sup> დგადიწვა მთელი ქალაქი<sup>ა</sup> სახლები<sup>ა</sup>  
 კოშკები<sup>ა</sup> მესრის სიმაგრე და ველაფერი სხვა<sup>ა</sup> გარდა შიდა  
 სიმაგრისა<sup>ა</sup> (თ. მიქელაძე, 1967: 96)<sup>ა</sup>

ბოლო ათწლეულების არქეოლოგიურმა გათხრებმა  
 სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთში და,  
 საერთოდ, აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში დაადას-  
 ტურა<sup>ა</sup> რომ გამაგრებული სამოსახლოები დამახასიათებელია

არა მარტო პონტოს ქედის<sup>ა</sup> არამედ მცირე და დიდი კავკასიონის ზღვისკენ მიქცეული მხარეების მთის<sup>ა</sup> მთისწინა და ბარის რაიონებისათვისაც<sup>ჲ</sup> ეს უპირატესად ითქმის გვიანი ბრინჯაოს, ადრეული რკინისა და ანტიკური პერიოდის შესახებ<sup>ჲ</sup> ადრერკინის და ანტიკური პერიოდის ნამოსახლარების გათხრამ ბათუმში **მთამარის ციხეზე**<sup>ჲ</sup> დაადასტურა<sup>ა</sup> რომ ადრეულ ხანაში ციხეს იცავდა ხის მესერი<sup>ა</sup> რომელსაც გარს უვლიდა თხრილი და მიწაწრილი (ა. კახიძე, დ. ხახუტაიშვილი, 1989: 56-57). ასეთივე სურათი დასტურდება ქობულეთის გორა-ნამოსახლარ **მამაქედურის**<sup>ჲ</sup> გათხრების დროს, სადაც თხრილის შესავსებად მდ<sup>ჲ</sup> ოჩხამურის წალი უნდა 'ოფილი'ო გამოენებული (Т. Микеладзе, Д. Хахутаишвили, 1985: 20-21). მსგავსი საფორტიფიკაციო სისტემის ნაკვალევი აღმოჩენილია კოლხეთის დაბლობის მრავალ შესწავლილ ნამოსახლარზე<sup>ჲ</sup> ამასთან<sup>ა</sup> თუ ზღვისპირა ზოლში ზღუდეები და სახლები ხისგან აიგებოდა<sup>ა</sup> შიდა რეგიონებში საშენ მასალად ქვა და ალიზი გამოენებოდა (Т. Микеладзе, Д. Хахутаишвили, 1985: 21).

საინტერესოა აღინიშნოს<sup>ა</sup> რომ ხის მშენებლობის არქიტექტურული ხერხები<sup>ა</sup> რაც ჩვენ ძველ წერილობით წარწერებში გვაქვს დადასტურებული ზანური მოდგმის ბინადრობის ზონისათვის<sup>ა</sup> თითქმის არ შეცვლილა გვიან ხანამდე<sup>ჲ</sup> ჩვენ გვაქვს ფლავიუს არიანეს ცნობა<sup>ა</sup> რომ ფაზისში **მორმაგი** თხრილი ერტმის კედელს<sup>ჲ</sup> ორივე ფართოა<sup>ჲ</sup> წინათ კედელი თიხისა ორ და ხის კოშკები იდგა მასზე<sup>ჲ</sup> (ფლავიუს არიანე, 1961: 39-40)<sup>ჲ</sup> ისპანის ადრებრინჯაოს ხანის ტორფქვეშა ნამოსახლარის გათხრისას გამოვლენილი ძეღური (მორებით ნაგები) სახლი ისეთივე ჭდეებით ორ ნაგები<sup>ა</sup> როგორც აგებდნენ სახლებსა და სამეურნეო ნაგებობებს (სასიმინდეებს და ა<sup>ჲ</sup>შ<sup>ჲ</sup>) დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ მხარეში (ნ. ხახუტაიშვილი, 1986: 94-112; ლ. სუმბაძე, 1968: 201-202).

ქსენოფონტეს გადმოცემით, შემდეგ ელინები შევიდნენ მოსინიკების მიწა-წალზე<sup>ჲ</sup> ეს ტომი პირველად იხსენიება ჰეკატე მილეტელთან (ნ. ლომოური, 1963: 3-35)<sup>ჲ</sup> სტეფანე



ბიზანტიელის ცნობით **მჰეკატე** ამბობს<sup>10</sup> **მ** რეტიბარენებს აღმოსავლეთით ესაზღვრებიან მოსინიკები<sup>11</sup> (**გეორგიკა<sup>12</sup> III<sup>13</sup> მმ**)**მ** **მ** მაქსიმოვას აზრით **მ** მოსინიკი<sup>14</sup> ეთიკური ტერმინი კი არაა<sup>15</sup> არამედ ხის კოშკებში მცხოვრებ ხალხს აღნიშნავს (**М. Максимова, 1951: 277**). იგ<sup>16</sup> ჯავახიშვილის აზრით, სიტ<sup>17</sup>ვა მოსინიკი (**მო-სინიკ<sup>18</sup>** სადაც ორი სს აფრიკატს<sup>19</sup> უფრო **Φ-თ** გადმოსცემს) **მ**ჭანიკ<sup>20</sup> ფორმამდე დაი<sup>21</sup>ვანება (ივ. ჯავახიშვილი, 1913: 26)**მ** თ. მიქელაძის აზრით **მ**არ არის გამორიცხული<sup>22</sup> რომ **მ**მო-სსენიო<sup>23</sup> სახელი გადმოსცემდეს სვან სახელს<sup>24</sup>**მმმ<sup>25</sup>** მისი აზრით მოსინიკების სამხრეთში სახლობა არ უნდა ი<sup>26</sup>ოს დამაბრკოლებელი გარემოება ასეთი ვარაუდისათვის<sup>27</sup> რადგან **მ**არის მასალა<sup>28</sup> რომელმაც სვანების სამხრეთიდან მოსვლა დაგვიდასტურა<sup>29</sup> (**თ. მიქელაძე, 1967: 137-138**)**მ** ჩვენ ეჭვი არ გვეპარება<sup>30</sup> რომ მოსინიკები ზანური (**ჭანური**) მოღვმის ტომია<sup>31</sup> მისი საბინადრო<sup>32</sup> ამასთან<sup>33</sup> ისეთ ტერიტორიებს მოიცავდა<sup>34</sup> რომელიც ხელს უწ<sup>35</sup>ობდა ერთი მხრივ ინტენსიური სოფლის მეურნეობის (**მევენახეობა<sup>36</sup> მემინდვრეობა<sup>37</sup> მეზღვეობა<sup>38</sup>**)<sup>39</sup> ხოლო მეორე მხრივ - მეთევზეობის განვითარებას<sup>40</sup> გარდა ამისა<sup>41</sup> მართალია, ქსენოფონტე არაფერს ამბობს ამის შესახებ<sup>42</sup> მაგრამ ანტიკური ავტორები მოსინიკებს სპილენძისა და სპილენძის ჭურჭლის წარმოების ოსტატებად მიიჩნევენ<sup>43</sup> არისტოტელეს სიტ<sup>44</sup>ვით, **მ**ამბობენ<sup>45</sup> რომ მოსინიკური სპილენძი გამოირჩევა მკვეთრი ბრწყინვალეებით და მეტისმეტი სითეთრით. მას ურევენ არა კალას, არამედ იქაურ განსაკუთრებულ მიწას, რომელსაც აღნობენ სპილენძთან ერთად. ამბობენ<sup>46</sup> რომ ასეთი შენადნობის გამომგონებელმა არავის გაუშლავნა თავისი საიდუმლო. ამიტომ<sup>47</sup> რომ ამ ადგილებში უწ<sup>48</sup>ინ გაკეთებული სპილენძის ჭურჭელი გამორჩეულია<sup>49</sup> ხოლო ახალი გაკეთებული აღარ /გამოირჩევა/<sup>50</sup> (**თ. ყაუხჩიშვილი, 1969: 68**)**მ**

ამგვარად<sup>51</sup> არისტოტელეს დროს მოსინიკებში თითქოს დაქვეითებულია ხელოსნობის აღნიშნული დარგი<sup>52</sup> აქვე უნდა ითქვას<sup>53</sup> რომ სტრაბონი უკვე აღარ იხსენიებს მოსინიკებს<sup>54</sup> მაგრამ<sup>55</sup> როგორც ჩვენ გვგონია<sup>56</sup> არა იმიტომ<sup>57</sup> რომ ისინი

სადღაც ჩრდილოეთში გადასახლდნენ<sup>ა</sup> არამედ მათ თავისი რომელიღაც ადგილობრივი სატომო თუ სათემო სახელი აღიდგინეს<sup>ჲ</sup> 'ოველ შემთხვევაში, მოგვიანო ავტორები ტიბარენების მეზობლად მაკრონებს<sup>ა</sup> ქალებსა და სანებს ასახელებენ<sup>ჲ</sup> სტრაბონის სიტყვით, **მ**ტრაპეზუნტისა და ფარნაკიის ზემოთ ცხოვრობენ ტიბარენები<sup>ა</sup> ქალები და სანები<sup>ა</sup> რომელთაც უწინ უწოდებდნენ მაკრონებს<sup>ჲ</sup> (თ. ყაუხჩიშვილი, 1957: 203)<sup>ჲ</sup> სტრაბონის ერთი მინიშნებით, მოსინიკებს მის დროს ჰეპტაკომიტეს უწოდებენ<sup>ა</sup> რომლებიც ხის კოშკებში ცხოვრობდნენ<sup>ჲ</sup> **მ**ამიტომ<sup>ა</sup> რომ ძველები მათ მოსინიკებს უწოდებდნენ<sup>ა</sup> რადგან კოშკებს მოსინები ჰქვიათ<sup>ჲ</sup> (თ. ყაუხჩიშვილი, 1957: 204)<sup>ჲ</sup> 'ოველ შემთხვევაში, ასეა თუ ისე<sup>ა</sup> ქსენოფონტე მოსინიკების სახით აღგვიწერს ქართველური (ზანური) მოდგმის ტომთა ჯგუფს მეტად თავისებური სამეფო ინსტიტუტით და ზოგიერთი ტრადიციული ჩვევით<sup>ა</sup> რომელიც მთლად გასაგები არ იყო იმდროინდელი ელინისტათვის<sup>ა</sup> მაგრამ მას შესაბამისი ეთნოგრაფიული ახსნა მოეძებნება<sup>ჲ</sup> ასე მაგალითად<sup>ა</sup> მოსინიკების მეფეებში<sup>ა</sup> რომლებიც მრავალსართულიან ხის კოშკებში ცხოვრობდნენ, როგორც საპატიო ტ'ვეები<sup>ა</sup> **მ** მაქსიმოვამ კულტმსახურები (ქურუმები) დაინახა (М. Максимова, 1951: 277). დიოდორე სიცილიელის ცნობით, მოსინიკების მეფეები მუდმივად “შვიდსახურავიან ხის კოშკებში” ცხოვრობდნენ და იქიდან იძლეოდნენ განკარგულებებს (თ. ყაუხჩიშვილი, 1976: 105)<sup>ჲ</sup> მოსინიკების შესახებ ეფოროსისა და ნიმფიდორისის ცნობაში აღნიშნულია, რომ მოსინიკები **მ**თავის მეფეს<sup>ა</sup> რომელიც რასმე უსამართლოდ განსჯის<sup>ა</sup> ჩაჰკეტავენ და აშიმშილებენ<sup>ჲ</sup> ხოლო ნიკოლოზ დამასკელის გადმოცემით, **მ**მოსინები თავიანთ მეფეს კოშკში დამწვდევულს ინახავენ<sup>ჲ</sup> თუ ვინმემ იფიქრა<sup>ა</sup> რომ /მეფემ/ ოდესმე ცუდად გადაწვიტა /საქმე<sup>ა</sup> მაშინ/ მას შიმშილით კლავენ<sup>ჲ</sup> იმ პურს, რომელსაც ისინი სჭამენ<sup>ა</sup> თანაბრად ჰოფენ და ნაწილს საერთოდ განუკუთვნებენ მეფეს<sup>ჲ</sup> (თ. ყაუხჩიშვილი, 1969: 112)<sup>ჲ</sup>

ქსენოფონტეს გადმოცემით, მოსინიკები სანაოსნოდ მთლიანი ხისაგან გამოკვეთილ ნავეებს იქნებდნენ (თ. ყაუხჩი-

შვილი, 1967: 99)≡ მდიდარი ოჯახები ბავშვებს მოხარშული წაბლის ნამცხვრით კვებავდნენ და სხეულზე ტატუირებას უკეთებდნენ (თ. ყაუხჩიშვილი, 1967: 105)≡ მოსინიკთა შეიარაღებას შეადგენდა<sup>ა/ა</sup> სუროს ფოთლის მსგავსი ფარი<sup>ა</sup> რომელიც ხარის თეთრბეწვიანი ტავით იო დაფარული<sup>ა</sup> ექვსწერტიანი შუბი შუბისპირით და ბოლოში სფეროთი<sup>ა</sup> ტილოს სიმკვრივის მოკლე (მუხლებამდე) ქიტონი<sup>ა</sup> პაფლაგონიური ფორმის ტავის მუხარადი შუაში ჯილით და რკინის ორღესული ცული<sup>≡</sup> (თ. ყაუხჩიშვილი, 1967: 100)≡ მოკლული მტრისათვის თავის მოკვეთა მოსინიკებშიც 'ოფილა გავრცელებული<sup>≡</sup> (თ. ყაუხჩიშვილი, 1967: 101)≡ ამგვარი ტრადიცია, ქსენოფონტეს გადმოცემით, არსებობდა მთიანეთის ხალიბებში (თ. ყაუხჩიშვილი, 1967: 81-85)≡

ბერძნებმა მოსინიკების სახლებში დიდი რაოდენობით იპოვეს როგორც წინა წელს გაღწეული და დაუნჯებული მარცვლები<sup>ა</sup> ისე ამ წლის ძნებად დაწნული მოსავალი<sup>ა</sup> განსაკუთრებით ასლი. **ღამფორებში აღმოჩნდა ნაჭრებად დაქნილი და დამარილებული დელფინის ხორცი<sup>ა</sup> /სხვა ჭურჭლებში კი/ შეკაზმული დელფინის ქონი<sup>ა</sup> რომელსაც მოსინიკები ისევე იწენებენ<sup>ა</sup> როგორც ელინები ზეითუნის ზეთს<sup>≡</sup> სხვენებში დაეხვავებიანთ დიდძალი კაკალი<sup>ა</sup> რომლებსაც დაუტისრავი /გული/ ჰქონდა (წაბლი? - ნ<sup>≡</sup>ხ<sup>≡</sup>)<sup>≡</sup> მას უპირატესად საჭმელში იწენებდნენ<sup>ა</sup> ხარშავდნენ მას და აცხობდნენ მისგან პურს<sup>≡</sup> აღმოჩნდა აგრეთვე ღვინო<sup>ა</sup> რომელიც გაუხავებლად /ელინებს/ მწარედ ეჩვენებოდათ მისი მეტისმეტი სიმჟავის გამო<sup>ა</sup> ხოლო წლით გაზავებული - კეთილსურნელოვნად და საამოდ<sup>≡</sup> (თ. ყაუხჩიშვილი, 1967: 104)≡**

მოსინიკების მიწა-წლის გავლის შემდეგ (<sup>≡</sup> სტათმოსი =<sup>180-200</sup> კმ<sup>≡</sup>) ელინები მივიდნენ ხალიბებთან<sup>ა</sup> რომლებიც მცირერიცხოვანნი იწნენ<sup>ა</sup> ემორჩილებოდნენ მოსინიკებს და ცხოვრობდნენ უპირატესად რკინის დამუშავებით<sup>≡</sup> (თ. ყაუხჩიშვილი, 1967: 104)≡ აი<sup>ა</sup> მთელი ინფორმაცია<sup>ა</sup> რომელსაც იძლევა ქსენოფონტე მეტალურგი ხალიბების შესახებ<sup>≡</sup> ქსენოფონტეს ამ ცნობის მიმართ

გაკეთებულ კომენტარში თ~~ე~~ მიქელაძე ხალიბებს საგსებით სამართლიანად ჭანურ ტომად მიიჩნევს<sup>^</sup> ~~მ~~ რომლის კვალი აშკარად ჩანს ვრცელ ტერიტორიაზე მდ~~ე~~ ჰალისის აუზიდან მდ~~ე~~ ჭოროხის აუზამდე უკვე ძე~~ე~~ წ~~ე~~ II ათასწლეულის მეორე ნახევარიდან~~ე~~ ხალიბები ბინადრობდნენ ლითონის საბადოებით მდიდარ მხარეში და მათ იმთავითვე გაითქვეს სახელი, როგორც მეღვინეობაში დახელოვნებულმა ტომებმა~~##~~ (თ. ყაუხჩიშვილი, 1967: 142)~~ე~~

ორიოდე სიტუვა წერილობითი წაროების ცნობებზე, სადაც ნაჩვენებია ქართველური ტომების როლი ლითონების დამუშავებასა და მოპოვებაში~~ე~~

პირველი ცნობა ქართველური ტომების როლზე ლითონების დამუშავების საქმეში შემონახული გვაქვს ~~მ~~ბიბლიაში~~##~~ (ძველ აღთქმაში)~~ე~~ ~~მ~~დაბადებაში~~##~~ ვკითხულობთ~~ო/ო~~ ~~მ~~თუბალ-კაინი ესა არს კვერით ხუროი მჭედელი რვალისა და რკინისა~~##~~ (შესაქმე, IV, 22), ხოლო ეზეკიელის ~~მ~~ტვიროსის გოდებაში~~##~~ გვხვდება ასეთი ტექსტი~~ო/ო~~ ~~მ~~იოვან<sup>^</sup> მოსოხ და თობელი ვაჭრობდნენ შენს შორის სულებსა კაცთასა და ჭურჭელნი რვალისანი მოსცნეს სავაჭროდ შენდა~~##~~ (დ~~ე~~)~~ე~~ ანტიკური ტრადიცია პირველად ეხება ამ საკითხს ჰომეროსის ~~მ~~ხომადღთა კატალოგში~~##~~<sup>^</sup> რომელიც სტრაბონთანაა შემონახული~~ო/ო~~ “~~მ~~ეხლანდელი ქაღდები ძველად ხალიბებად იწოდებოდნენ<sup>^</sup> უფრო ამათ შორის მდებარეობს ფარნაკია... ის მიწიდან /იდებს/ ლითონებს<sup>^</sup> ეხლა რკინას<sup>^</sup> ხოლო უწინ ვერცხლსაც~~ეეე~~ ვფიქრობ<sup>^</sup> რომ ამათ (ხალიბებს) ასხენებს პოეტი (ჰომეროსი) აღიძონებად ~~მ~~კატალოგში~~##~~ პაფლაგონიელების შემდეგ~~ო/ო~~ ~~მ~~ხოლო ოდიოსი და ეპისტროფოსი მოუძღოდნენ აღიძონებს შორეული ალიბედან<sup>^</sup> სადაც არის ვერცხლის საბადო~~##ე~~.. ან უნდა შეიცვალოს დაწერილობა როგორც ~~მ~~შორეული ხალიბედან~~##~~<sup>^</sup> ან /უნდა ვიფიქროთ/<sup>^</sup> რომ ამ ადამიანებს უწინ ერქვათ ალიბები ხალიბების ნაცვლად~~##~~ (თ. ყაუხჩიშვილი, 1957: 204-205)~~ე~~ სტრაბონი კვლავ და კვლავ იმეორებს ხალებისა და ხალიბების იგივეობის თეზას<sup>^</sup> თანაც იმ აზრს ატარებს<sup>^</sup> რომ ~~მ~~ხალიბი~~##~~ უფრო ძველი სახელია<sup>^</sup> ხოლო

**მქაღლი** (ხალდი) შედარებით მოგვიანოა<sup>ა</sup> რომელიც ენობრივ ნიადაგზე წარმოიქმნა<sup>ბ</sup> მისი არგუმენტით **მარც** ეხლა იქნებოდა შესაძლებელი ხალიბებისათვის ქაღდების წოდება<sup>ა</sup> რომ უწინ არ 'ოფილიო' შესაძლებელი ალიბების ნაცვლად ხალიბების /წოდება/<sup>ა</sup> მით უმეტეს თუ მივიღებთ /მხედველობაში/ სახელთა მრავალ შეცვლას<sup>ა</sup> განსაკუთრებით კი ბარბაროსებში<sup>ბ</sup> (თ. ყაუხჩიშვილი, 1957: 205-206)<sup>ბ</sup> სტრაბონი გულმოდგინედ ცდილობს ხალიბებისა და ხალდების იგივეობის დამტკიცებას (თ. ყაუხჩიშვილი, 1957: 204-210)\* მაგრამ ჩვენ სხვა წაროებიდან ვიცით<sup>ა</sup> რომ ეს ასე არ არის (ახ. წ. XIV საუკუნეშიც ხალიბია და ხალდია ტრაპეზუნტის სამეფოს ცალ-ცალკე თემებია – მიქაელ პანარეტოსი, ტრაპეზუნტის ქრონიკა)<sup>ბ</sup> ხალდები<sup>ა</sup> როგორც ჩანს<sup>ა</sup> ზანური (ჭანური) მოდგმის ის ნაწილი იო<sup>ა</sup> რომელიც 'ველაზე ახლოს იდგა ხალიბებთან<sup>ა</sup> როგორც ტერიტორიულად<sup>ა</sup> ისე დიალექტოლოგიურად<sup>ბ</sup> როგორც ჩანს<sup>ა</sup> ხალიბები და ხალდები<sup>ა</sup> არ არის გამოირიცხული - სხვა მონათესავე ჭანურ თემებთან ერთად<sup>ა</sup> ქმნიდნენ ტომობრივ გაერთიანებას<sup>ა</sup> სადაც თავდაპირველად<sup>ა</sup> გარკვეულ დრომდე, ხალიბები (ალიბები) ჰეგემონობდნენ<sup>ა</sup> მაგრამ შემდგომში, გარკვეულ ვითარებაში, გაერთიანების ჰეგემონობა ხალდების ხელში გადავიდა<sup>ბ</sup> ასეთი ცვლილებები ამა თუ იმ გაერთიანების ისტორიაში დასტურდება როგორც წერილ<sup>ა</sup> ისე მსხვილ ერთეულებში. განა კოლხეთი-ლაზიკა სახელთმონაცვლეობა ამისი მოწმობა არ არის? ჩვენი მიზნისათვის<sup>ა</sup> მოცემულ შემთხვევაში<sup>ა</sup> მთავარი იმისი აღნიშვნაა<sup>ა</sup> რომ ხალიბებიცა და ხალდებიც ზანური მოდგმაა და ორივე<sup>ა</sup> როგორც ჩანს<sup>ა</sup> მისდევდა სამთო-მეტალურგიულ საქმიანობას<sup>ბ</sup>

როგორც უკანასკნელი წლების საველე არქეოლოგიური კვლევის პროცესში გაირკვა<sup>ა</sup> წერილობითი წაროები მიახლოებით წარმოდგენასაც არ იძლევიან კოლხურ საშაროში არსებულ ვითარებაზე<sup>ბ</sup> მაგალითისათვის გამოდგებოდა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სინამდვილე<sup>ბ</sup> წაროებში არსადაა მითითება<sup>ა</sup> რომ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის

ტომები<sup>ა</sup> ხალიბების პარალელურად<sup>ა</sup> უძველესი დროიდანვე დაწინაურდნენ მეტალურგიულ წარმოებაში<sup>ა</sup> განსაკუთრებით რკინის მოპოვებაში. ფაქტიურად კი გამოირკვა<sup>ა</sup> რომ მთელი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მთისწინა ზოლი, დაწეული ჭოროხის ქვემო დინებიდან ვიდრე ენგურამდე და<sup>ა</sup> შესაძლებელია<sup>ა</sup> უფრო ჩრდილოეთითაც, მიითვლიდა თემებს<sup>ა</sup> რომლებიც რკინის მოპოვებით ივნენ დასაქმებული<sup>ა</sup> გამოვლენილია ერთიანი კოლხური სამთო-მეტალურგიული ცენტრი  $\equiv$  ძირითადი საწარმოო კერით (ჭოროხ-ჭარნაღის<sup>ა</sup> ჩაქვისწყლის, ჩოლოქ-ოჩხამურის<sup>ა</sup> სუფსა-გუბაზეულის და ხობი-ოჩხომურის)<sup>ა</sup> თუ მათ დაეუმატებთ ხალიბის საწარმოო კერასაც<sup>ა</sup> მაშინ ქართველური მოდემის (ზანური მოსახლეობის) საბინადრო ტერიტორიაზე ჩვენ საშუალება გვქმნება ვისაუბროთ რკინისმოპოვებელი  $\equiv$  საწარმოო კერის შესახებ<sup>ა</sup> საზღვარს მიღმა, ~~რელაზისტანის~~<sup>ა</sup> ტერიტორიის მომავალი გამოკვლევა გვიჩვენებს, რამდენად საფუძვლიანია ეს ჩვენი ვარაუდი<sup>ა</sup> მაგრამ აშკარაა ამ რეგიონის უდავოდ დიდი როლი ლითონების ძველ მეტალურგიაში<sup>ა</sup> რაც დღეისათვის ძირითადად მხოლოდ წერილობითი წაროების ჩვენებას და ნაწილობრივ მაგნეტიტური სილების მარაგის უახლოეს გამოკვლევებს ემარება (Th. Wertime, 1980: 18-19)<sup>ა</sup> უკანასკნელი გამოკვლევა ძირითადად ჩატარდა არისტოტელეს საოველთაოდ გახმაურებულ ერთ ცნობასთან დაკავშირებით<sup>ა</sup> ~~ამბობენ~~<sup>ა</sup> - წერს არისტოტელე, - რომ განსხვავებულია ხალიბური და ამისური რკინის წარმოება. . . ამბობენ<sup>ა</sup> ის დაკავშირებულია იმ ქვიშასთან<sup>ა</sup> რომელიც მდინარეებს ჩამოაქვს<sup>ა</sup> ზოგიერთები ამბობენ, რომ ამ ქვიშას უბრალოდ გარეცხილს ღუმელში ახურებენ, ხოლო /სხვების აზრით/ ის რაც რჩება გარეცხვისა და გახურების შემდეგ, კვლავ მრავალგზის ირეცხება. ხოლო /შემდეგ/ მასში დებენ ეგრეთწოდებულ ცეცხლგამძლე ქვას<sup>ა</sup> რაც ამ ქვეანაში ბევრია. ეს რკინა ბევრად უკეთესია ყველა სხვაზე. მაგრამ იგი ერთ ღუმელში რომ არ დნებოდეს<sup>ა</sup> როგორც ჩანს, არაფრით არ განსხვავდებოდა ვერცხლისაგან<sup>ა</sup> ამბობენ<sup>ა</sup> რომ მხოლოდ ეს /რკინა/, რომ არ

იქანგება<sup>^</sup> მაგრამ ის ბლომად არ მოიპოვება<sup>#</sup> (თ. ყაუხჩიშვილი, 1969: 66-67)<sup>⊕</sup> ეს ტექნოლოგიური ხერხი (დნობისას ფლუსების შერევა) ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში გვიანობამდე შემორჩა<sup>⊕</sup> კერძოდ<sup>^</sup> რკინის მისაღებად რაჭაში მაღანს შეურევდნენ ~~ღ~~ფაშას<sup>#</sup> რომელიც პიროლუზიტს, ანუ მაღალი ხარისხის მარგანეცს (შავ ქვას) წარმოადგენდა (ნ. რეხვიაშვილი, 1953: 56-57; ნ. რეხვიაშვილი, 1964: 83)<sup>⊕</sup>

საურადლებო გარემოებაა<sup>^</sup> რომ რკინის მიღების ტექნოლოგიური ხერხების ათვისებას ქართველური მოდგმის ტომები ძე<sup>⊕</sup> წ<sup>⊕</sup> II ათასწ. I ნახ. იწებენ და თითქმის 1500 წლის მანძილზე ინარჩუნებენ რკინის მიღების ერთხელ შემუშავებულ ტექნოლოგიას<sup>^</sup> რომელიც<sup>^</sup> როგორც ფიქრობენ<sup>^</sup> სპილენძის მეტალურგიის საფუძველზე ჩამოყალიბდა (Д. Хахутаишвили, 1987: 194-შმდ.). ტ<sup>⊕</sup> ვერტაიმის აზრით<sup>^</sup> გამოდნობილი რკინა პირველად შემთხვევით იქნა მიღებული სპილენძისა და ტვინის გამოსადნობ ღუმელში<sup>^</sup> რკინის მაღალი შემცველობის წიდების სახით<sup>⊕</sup> მისი სიტყვით<sup>^</sup> ბრინჯაოსა და ტვინზე მომუშავე ანატოლიელი ხელოსნებისათვის ძე<sup>⊕</sup> წ<sup>⊕</sup> III ათასწლეულში ცნობილი რკინა ნახშირბადის დაბალი შემცველობისა (რბილი) ~~ო~~ო<sup>⊕</sup> ასეთივე რკინისაგან ~~ო~~ო დამზადებული ძვირფასი ნაკეთობანი და სამკაულები ძე<sup>⊕</sup> წ<sup>⊕</sup> II ათასწლეულშიც (Th. Wertime, 1980: 2)<sup>⊕</sup>

უკანასკნელი წლების არქეოლოგიური მონაცემები ადასტურებენ<sup>^</sup> რომ კოლხი რკინის მეტალურგები ეფუძნებოდნენ სწორედ იმ ტექნიკურ ცოდნას<sup>^</sup> რაც მათ წინარე პერიოდში დაუგროვდათ ფერადი ლითონების მოპოვებაში<sup>⊕</sup> საურადლებო გარემოებაა<sup>^</sup> რომ კოლხური რკინისადნობი ქურები კონსტრუქციულად სიახლოვეს იჩენს წინარე პერიოდის ანატოლიური სპილენძის გამოსადნობ ქურებთან (Д. Хахутаишвили, 1987: 194-შმდ.)<sup>⊕</sup>

საბოლოოდ მაინც იმ დასკვნაზე უნდა შევჩერდეთ<sup>^</sup> რომ რკინის მეტალურგიის ადრეული ძეგლები ძირითადად იმ

ტერიტორიაზე გვხვდება<sup>ა</sup> რომელიც ზანური მოდგმის საბინადროდ არის ცნობილი.

საკმაოდ არაერთგვაროვანია სტრაბონის **მეგეოგრაფიის**<sup>#</sup> ცნობები კოლხური სამართოს შესახებ<sup>მ</sup> მართალია<sup>ა</sup> მისი მონაცემები მდიდარია<sup>ა</sup> მაგრამ ძირითადად წინამორბედი მწერლობიდან ამოკრეფილი ცნობებითაა წარმოდგენილი. მის მიერ გამოყენებული უძველესი წარწერის პომპროსის **მხომაღდთა** კატალოგია.<sup>#</sup> განსაკუთრებით ღირებულია ის ცნობები, რომლებიც უშუალოდ მის დროს შეეხება<sup>მ</sup>

სტრაბონი მიიჩნევს<sup>ა</sup> რომ კოლხები აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის ძირითადი აბორიგენი ტომია<sup>მ</sup> მისი აზრით<sup>ა</sup> კოლხებისაგან ჩრდილოეთით ცხოვრობენ მოსხები<sup>ა</sup> ფთეიროფაგები<sup>ა</sup> სვანები და კავკასიის სხვა მცირე ტომები<sup>მ</sup> ამასთან<sup>ა</sup> პიტუნტი და დიოსკურია კოლხიდის ტერიტორიაზეა<sup>მ</sup> კოლხეთს აღმოსავლეთით იბერები ემეზობლებიან<sup>ა</sup> ხოლო სამხრეთით - მესხები და არმენები<sup>ა</sup> სამხრეთ-დასავლეთით - ტიბარენები (თ. ყაუხჩიშვილი, 1957: 110-127)<sup>მ</sup>

შემოსაზღვრული ტერიტორია<sup>ა</sup> რა თქმა უნდა<sup>ა</sup> მხოლოდ ეთნიკური კოლხი ტომის საბინადრო როდია<sup>მ</sup> თუ ფლავიუს არიანეს მიერ მოწოდებულ ინფორმაციას გავითვალისწინებთ<sup>ა</sup> დაერწმუნდებით<sup>ა</sup> რომ 'ოფილი კოლხეთის სამეფოს ტერიტორია ტომობრივად გაცილებით უფრო ჭრელი იო<sup>ა</sup> ვიდრე მანამდე შეგვეძლო წარმოგვედგინა<sup>მ</sup> საერთოდ<sup>ა</sup> წერილობით წარწერებში<sup>ა</sup> როგორც ირკვევა<sup>ა</sup> გვხვდება ერთი და იგივე ტომისა თუ თემის სხვადასხვაგვარი დასახელება<sup>ა</sup> რაც აიხსნება არა მარტო ტერიტორიული გადაადგილებით და ახალი ჰეგემონი თემებისა თუ ტომების გამოჩენით<sup>ა</sup> არამედ იმითაც<sup>ა</sup> რომ ხშირად ერთი და იგივე ტომი და ტერიტორია სხვადასხვა ხალხის ენაში სხვადასხვაგვარად ჟღერს<sup>მ</sup> ამგვარი მაგალითების მოტანა შეიძლებოდა არა მხოლოდ ქართველური სინამდვილიდან<sup>მ</sup>

ფლავიუს არიანესთან ერთად თუ ზანური მოდგმის საბინადრო ზღვისპირა ზოლს შავი ზღვის სამხრეთი სანაპიროდან გამოუწვებით<sup>ა</sup> დავადასტურებთ სურათს<sup>ა</sup> რომელიც



არსებითად განსხვავდება პეროდოტეს<sup>ა</sup> ქსენოფონტეს<sup>ა</sup> სტრა-  
ბონისა თუ სხვა ძველი ავტორების მიერ აღწერილი ვითარე-  
ბისაგან<sup>ჲ</sup> ამავე დროს<sup>ა</sup> თუ არიანეს მიერ <sup>131</sup> წელს  
<sup>ა</sup>პერიპლუსში<sup>ჲ</sup> აღწერილ ვითარებას შევადარებთ V  
საუკუნის ანონიმის <sup>ა</sup>პერიპლუსში<sup>ჲ</sup> აღწერილ სინამდვილეს<sup>ა</sup>  
ჩვენ ასევე კარდინალური<sup>ა</sup> მაგრამ მხოლოდ გარეგნულად  
კარდინალური ცვლილების მოწმენი გაცხდებით<sup>ჲ</sup> იქ<sup>ა</sup> სადაც  
ფლავიუს არიანე მრავალ ტომს ასახელებს<sup>ა</sup> კერძოდ,  
აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში<sup>ა</sup> ანონიმი მხოლოდ ერთი  
ხალხის<sup>ა</sup> კერძოდ, ღაზების არსებობას მიუთითებს<sup>ა</sup>  
<sup>ა</sup>დიოსკურიიდან ანუ სებასტოპოლიდან მდინარე  
აფსაროსამდე წინათ ცხოვრობდა ხალხი კოლხებად  
წოდებული<sup>ა</sup> ახლა ღაზებად სახელშეცვლილი<sup>ჲ</sup> (ფლავიუს  
არიანე, ანონიმი, 1961: 88)<sup>ჲ</sup>

ფლავიუს არიანეს ცნობით<sup>ა</sup> “ტრაპეზუნტელების მოსახდე-  
რენი<sup>ა</sup> როგორც ქსენოფონტეც ამბობს<sup>ა</sup> არიან კოლხები და  
ტომს<sup>ა</sup> რომელიც უზუღადესია და ტრაპეზუნტელების მოსისხ-  
ლე მტერი<sup>ა</sup> ქსენოფონტე დრილებს უწოდებს<sup>ა</sup> მე კი ვფიქრობ<sup>ა</sup>  
რომ ისინი სანები არიან<sup>ჲ</sup> ამათ გვერდით არიან  
მაკრონები და ჰენიოხები, მათი მეფე ანქიალე<sup>ჲ</sup> მაკრონების  
და ჰენიოხების მეზობლები დიდრიტები არიან<sup>ჲ</sup> ისინი  
ფარსმანის ქვეშევრდომებია<sup>ჲ</sup> დიდრიტების გვერდით ღაზები  
არიან<sup>ჲ</sup> ღაზების მეფე მალასა<sup>ჲ</sup> ღაზების მეზობლები  
აფსილეები არიან ... აფსილების მეზობლად აბასკები არიან<sup>ჲ</sup>  
აბასკთა მეზობლები სანიები არიან<sup>ა</sup> მათ მიწაზე იმყოფება  
სებასტოპოლისი<sup>ჲ</sup> (ფლავიუს არიანე, 1961: 42-43)<sup>ჲ</sup> ამგვარად<sup>ა</sup>  
სანიგთა მიწა-წალხეა სებასტოპოლისი ანუ დიოსკურია<sup>ა</sup>  
რომელიც შემდეგ ღაზთა სამეფოს შემადგენლობაში  
შევიდა<sup>ჲ</sup> სანიების ლოკალიზაცია საშუალებას გვაძლევს  
აღვნიშნოთ<sup>ა</sup> რომ არიანეს მიერ მოხსენიებული აფსილების<sup>ა</sup>  
აბაზგების<sup>ა</sup> ღაზებისა და დიდრიტების საბინადროები  
ერთმანეთის მიდევნებით<sup>ა</sup> ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ<sup>ა</sup>  
განლაგებულია მდ<sup>ჲ</sup> ჭოროხამდე<sup>ჲ</sup> ამგვარი დასკვნის  
საშუალებას გვაძლევს შემდეგი ვითარება<sup>ა</sup> ტრაპეზუნტიდან  
წამოსული ზღვაოსანი<sup>ა</sup> არიანეს ცნობით<sup>ა</sup> მას შემდეგ<sup>ა</sup> რაც

რიზეს გამოივლის, ათენში (თანამედროვე ფაზარი) შემოდის<sup>ა</sup> რომლის ჩრდილოეთით > სტადიონის დაშორებით ზღვას უერთდება მდ~~ე~~ ძაგატისი (ფურტუნსუ?)<sup>ა</sup> შემდეგ მდ~~ე~~ პრიტანიდი - ათენიდან 40 სტადიონზე<sup>ა</sup> რომელთანაც აშენებულია ანქიალეს სასახლე~~ე~~ აქედან აფსაროსამდე, არიანეს მიხედვით<sup>ა</sup> სულ 240 სტადიონია (ფლავიუს არიანე, 1961: 36)~~ე~~ ანქიალე<sup>ა</sup> როგორც ვიციტ<sup>ა</sup> მაკრონებისა და პენიოხების მეფეა~~ე~~ ამგვარად<sup>ა</sup> ზიდრიტები<sup>ა</sup> მდ~~ე~~ ჭოროხის მარჯვენა მხარეს ცხოვრობდნენ და<sup>ა</sup> როგორც ჩანს<sup>ა</sup> მათი ქართიზაცია ამ დროისათვის ჯერაც დამთავრებული არ უნდა 'ოფილიო'<sup>ა</sup> თუმცა ისინი ქართლის მეფის ფარსმანის ქვეშევრდომები ივნენ~~ე~~ ქართლის სამეფოს პოლიტიკური პეგემონია ძე~~ე~~ წ~~ე~~ III საუკუნიდან<sup>ა</sup> ვიდრე ახ~~ე~~ წ~~ე~~ III საუკუნემდე, სტაბილური ფაქტორი იო ზანურენოვან ტომთა ქართიზაციის გზაზე~~ე~~

ძველ წერილობით წაროებში (ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლო - ახ~~ე~~ წ~~ე~~ V საუკუნე) ქართველური მოდგმის ზანური ჯგუფის ტომების აღსანიშნავად გამოყენებულია შემდეგი ეთნიკური ტერმინები<sup>ა</sup> აბასკი (აბაზგი)<sup>ა</sup> აბსილი (აფშილი<sup>ა</sup> აბშილი)<sup>ა</sup> ალიყონი<sup>ა</sup> ამპრევეტი (პლ~~ე~~)<sup>ა</sup> აფსარი<sup>ა</sup> არმენოხალიბი<sup>ა</sup> ბეხირი (ბეჭირი)<sup>ა</sup> ბიძერი (ბიზერი)<sup>ა</sup> დიაოხელი (დაიენელი)<sup>ა</sup> დრიდი<sup>ა</sup> თუბალ-კაინი<sup>ა</sup> ღაზი<sup>ა</sup> კოლხი<sup>ა</sup> კილხი (კოლხაელი)<sup>ა</sup> კორაქსი<sup>ა</sup> მაკრონი<sup>ა</sup> მაკროკეფალი<sup>ა</sup> მაკროპოგონი<sup>ა</sup> მანრალდი (მარგალი<sup>ა</sup> მეგრელი)<sup>ა</sup> ბასინი (პლ~~ე~~)<sup>ა</sup> მახელონი (მაქელონი)<sup>ა</sup> მახორონი<sup>ა</sup> მისიმიანი<sup>ა</sup> მოსინიკი<sup>ა</sup> მუშქი<sup>ა</sup> სანი (ჭანი)<sup>ა</sup> სანიგი<sup>ა</sup> სასპეირი (სასპერელი)<sup>ა</sup> სედოხეზი<sup>ა</sup> სკვითინი<sup>ა</sup> ტაოხი<sup>ა</sup> ტიბარენი (ტაბარენი)<sup>ა</sup> ფასიანი<sup>ა</sup> ფთეიროფაგი<sup>ა</sup> შკვითინი (სკვითინი)<sup>ა</sup> ხალდი (ქალდი)<sup>ა</sup> ხალიბი (ალიბი)<sup>ა</sup> პენიოხი (იგანიოხი)<sup>ა</sup> ჰეპტაკომიტი~~ეეე~~

რა თქმა უნდა<sup>ა</sup> მომავლის საქმეა ტერმინთა ეთნიკური და გეოგრაფიული (ტერიტორიალური) იდენტიფიკაციის საკითხების უფრო ზუსტად გარკვევა<sup>ა</sup> მაგრამ წერილობით წაროებში ზანურ ტომებზე დაცული ინფორმაცია<sup>ა</sup> 'ოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საჭიროებს სპეციალურ კომპლექსურ გამოკვ-

ლევას<sup>^</sup> რომლის გარეშე მისი გამოყენება<sup>^</sup> როგორც წარსული  
გამოცდილება გვიდასტურებს<sup>^</sup> უკვე არსებულ ცოდნას ბევრს  
ვერაფერს შემატებს

### გამოყენებული ლიტერატურა

1. გეორგიკა, I (ს. ყაუხჩიშვილის თარგმანი და გამოცემა), თბ., 1961.
2. გეორგიკა, II (ს. ყაუხჩიშვილის თარგმანი და გამოცემა), თბ., 1934, 1965.
3. გეორგიკა, III (ს. ყაუხჩიშვილის თარგმანი და გამოცემა), ტფ., 1936.
4. გოგაძე ელ. დასახლებათა კულტურა ბრინჯაოსა და ადრეკინის ხანის კოლხეთში, თბ., 1982.
5. კახიძე ა., სახუტაიშვილი დ. მასალები ბათუმის ძველი ისტორიისათვის, I, “სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები,” XVIII, თბ., 1989.
6. ღომოური ნ. ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები ქართველი ტომების შესახებ, “მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის,” ნაკვ. 35, თბ., 1963.
7. მელიქიშვილი გ. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965.
8. მელიქიშვილი გ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს უძველესი გაერთიანებები, “საქართველოს ისტორიის ნარკვევები,” I, თბ., 1970.
9. მიქელაძე თ. ქსენოფონტის “ანაბასისი,” თბ., 1967.
10. მიქელაძე თ. ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ., 1974.
11. რეხვიაშვილი ნ. მჭედლობა რაჭაში, თბ., 1953.
12. რეხვიაშვილი ნ. ჭედური ფოლადი, საქ. მეცნ. აკად. “მოამბე,” IV, 8, თბ., 1964.
13. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, 1970.
14. სუმბაძე ლ. კოლხური სახლი ვიტრუვის მიხედვით და ქართული ხალხური საცხოვრებლის კვლევის პრობლემა, “მაცნე,” № 4, თბ., 1968.

15. ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თბ., 1961.
16. ყაუხჩიშვილი თ. სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957.
17. ყაუხჩიშვილი თ. პეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1960.
18. ყაუხჩიშვილი თ. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, II, თბ., 1969.
19. ყაუხჩიშვილი თ. ბერძნული ეპიგრაფიკა როგორც საქართველოს ისტორიის წყარო, თბ., 1975.
20. ყაუხჩიშვილი თ. საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბ., 1976
21. ხახუტაიშვილი ნ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი ადრერეკინის ხანაში, თბ., 1986
22. ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია, I, II, ტბ., 1913
23. ჯავახიშვილი ივ. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950
24. ჯაფარიძე თ. ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის, თბ., 1976
25. Артамонов М. К вопросу о археологической культуре, СА, 4, М., 1969
26. Гзелишвили И. Железоплавильное дело в древней Грузии, Тб., 1964
27. Граков Б. Материалы по истории Скифии в греческих надписях Балканского полуострова и Малой Азии, ВДИ, № 3, М., 1939
28. Леман-Гауфт. Вступительная лекция по истории и культуре халдов, თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, VI, სერია I, საზოგადოებათა მეცნიერებანი, თბ., 1938
29. Максимова М. Анабасис, М.-Л. 1951
30. Меликишвили Г. Наირи-Урарту, Тб., 1954
31. Меликишвили Г. К истории древней Грузии, Тб., 1959
32. Меликишвили Г. Урартские клинообразные надписи, М. 1961
33. Меликишвили Г. Колха, «сборник в честь акад. В. В. Струве», М. 1962
34. Микеладзе Т., Хакхуთайшвили Д. Древнеколхидское поселение Намчедური, Тб., 1985
35. Микеладзе Т. К археологии Колхиды Тб., 1990
36. Цецхладзе Г. К вопросу об этнической принадлежности носителей имени колх в античном мире. «Вестник» Харьковского университета, № 316, вып. 22, Харьков, 1988
37. Хакхуთайшвили Д. Производство железа в древней Колхиде, Тб., 1987
38. Худадов В. Опыт этнографии Кавказа в классическую эпоху. Известия Русского географического общества, т.LXII, 4, М., 1930

39. **Wertheim Th. A.** Pirotechnologic Background. "The coming of the Iron age,"  
New-Haven-London, 1980

**The ethnic structure of the population of southwestern Georgia in the early Iron Age:**

(Colchians and Colchian tribes according to literature sources)

**Summary**

South-Western Georgia was one of the leading regions of Colchian world in the early Iron Age. Exactly here, were formed basic elements of Colchian material culture (Colchian axe, segmented tools, etc.) in the late Bronze and early Iron Ages. It is clear that inhabitants of this region belonged to the Colchian culture.

The given work is representing those group of literature sources where is completely reflected the Colchian world. The subjects of our researches are Colchians and Colchian tribes of noted period. There were considered ethnic situation formed on the several stages of early Iron Age during the working on this theme. Naturally, ancient sources do not bear exhaustive information but there is possible to find some evidences for identification what kind of tribes were hidden under the general *ethnonym*: Colchians, such was replaced the *ethnonymi* of united tribes by hegemon tribe *ethnonym*, when was replaced *ethnonym* of Colchians by Lazians, etc.

In the present work there was given some attempt of reconstruction of the ethnic situation of southwestern Georgia and characterization of local population in the early Iron Age.

**Этнический состав населения Юго-Западной Грузии в эпоху  
раннего железа**

(Колхи и колхские племена в письменных источниках)

**Р е з ю м е**

В эпоху раннего железа Юго-Западная Грузия являлась одним из основных регионов колхидской ойкумены. Как предполагают, именно здесь, в эпоху поздней бронзы и раннего железа были сформированы основные составные колхидской материальной культуры (колхидский топор, сегментовидные орудия и т. д.). Население указанного региона являлось носителем колхидской культуры.

В данной работе представлена та группа письменных источников, которая наиболее полно отображает колхский мир. Предметом нашего изучения являются Колхи и колхские племена указанного периода. При решении вопроса учитывалась этническая ситуация, сложившаяся в разные этапы раннежелезной эпохи и представленная в источниках древних авторов. Естественно, данные античной литературы не всегда объективны и исчерпывающи, и все же, в них можно найти сведения, которые дают представление о том, какие племена скрывались под общим названием «Колхи», как происходила замена имени объединенных племен на имя племени-гегемона, когда и как произошла замена имени «Колхи» на имя «Лази».

В работе мы постарались воссоздать этническую ситуацию Юго-Западной Грузии в эпоху раннего железа и дать характеристику населения данного региона.

## ტერმინ აბეშლას წარმომავლობისათვის

ცნობილია, რომ ასურულ წყაროებში ქაშქას გაერთიანებას აბეშლა შეესატყვისება, მაგრამ მათი კავშირი შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთში ანტიკურ წყაროებში მოხსენიებულ ქაშაგთან და აფსილთან ჯერ კიდევ გასარკვევია.

დავუშვათ “ზღვის ხალხების” შემოსევებმა მცირე აზიაში მართლაც მოიყვანეს მოძრაობაში აქ მოსახლე ტომები, ხეთების სამეფო განადგურდა. ქაშქა-აბეშლას ტომებიც აიყარნენ მათი საცხოვრისიდან და ზოგიერთი მათგანი ასურეთის სამფლობელოებს შეესია, როგორცაა მოთხრობილი ტიგლათფილესერ I-ის (1115–1077 წწ.) ანალებში [И.М. Дьяконов. 1951, 279]. ზოგიერთნი ამიერკავკასიისაკენ, ზოგიც ჩრდილო-დასავლეთ კავკასიისაკენ დაიძრნენ, ყოველ შემთხვევაში ყუბანისპირეთამდე, მათ შორის აფხაზეთის ტერიტორიაზეც. არიანეს (95–175 წწ.) ცნობით, ამ უკანასკნელის მიწა-წყალზე ახ.წ. II საუკუნეში განლაგებული იყო აბაზგების, აფსილებისა და სანიგების სამთავროები [თ. ყაუხჩიშვილი 1983, 159]. სტრაბონი (ძვ. წ. 64–ახ.წ. 24 წწ.) და პლინიუსი (23–79 წწ.) აფხაზეთის ტერიტორიაზე მსგავს პოლიტიკურ წარმონაქმნებს არ იცნობენ. მათ შორის მხოლოდ პლინიუსი ასახელებს აფსუას ტომს და იმასაც კავკასიის ჩრდილოეთით, კასპიის ზღვისაკენ, ვოლგის შეერთების სიახლოვეს [ნ. ფოფხაძე, 1994]. ნაკლებად დასაშვებია, რომ პლინიუსის აფსუებს კოლხეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ აფშილებთან რაიმე საერთო ჰქონოდათ, გარდა სახელთა ფონეტიკური მსგავსებისა. აფშილთა ტომის კავშირი კი აბეშლასთან დასაშვებად მიგვაჩნია. თუმცა ყუბანისპირეთში თუ მის აღმოსავლეთით მოსახლე აფსუების (?) შესახებაც შეიძლება იგივე ითქვას ტოპონიმიკური მასალების განხილვის საფუძველზე. კერძოდ, მდინარე ყუბანის ძველი და ახალი სახელების ლინგვისტური ანალიზის საშუალებით. კლავდიოს პტოლემეაიოსის (100–175 წწ.) მიერ დასახელებული ყუბანის



უძველესი სახელი ვარდანი–არდონი [Дж. Гамахория. 1997, 174] შეიძლება აიხსნას ქართული ენის ლექსიკური ფონდის გამოყენებით.

არდონი (ართონი)-ში შეიძლება გამოიყოს ფუძე არდ (ართ), რომელიც მეგრულია და ქართულში ერთ-ს აღნიშნავს. ართ (ერთ) ქართველურ ენებში ნიშნავს პირველს, მზეს, კავშირი აქვს სიტყვა არდადეგთან, არდა–ანთა–ორთა კოლხურ მითოსში-ნადირთ მფარველი ღვთაების სახელია [ივ. ჯავახიშვილი 1979, 155,170]. არდა (არდინი) ქართველურ სამყაროში (ურარტულში) მზის ღვთაებაა [Н. Марр. 1934, 355]; არდინის მზის ღვთაების საკულტო ადგილია ქალაქი არდინი (მუცაცირი); არდი, არდანი, არდევანი ადამიანის ქართული საკუთარი სახელებია; არდიძე, არდიშვილი, არდია, ვარდანია, ვარდია, არდაზიანი, ართიანი, არდაშელი, არტონია საქართველოში ფართოდ გავრცელებული გვარებია [ი. ახუაშვილი 1999, 628, 674, 820–821, სვანეთის... 1988, 485, 508]. სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში იყო მდინარე სახელით არდინეოსი; ძველი ქართული ქალაქებია: არტაანი, არტანი, არტანუჯი, ართვინი. დაიანე–დიოხის შემადგენელი ოლქისა და მისი ცენტრის სახელი არდარა (ვარდარა)–ურდა–ვარდა, არდარაკიხი, ურარტუს ტერიტორიაზე არდარაფშა [გოგიტიძე ს., 2006, 124, 126] და სხვა მრავალი საქართველოს ტერიტორიაზე, რომლებიც დასტურდება წერილობითი ძეგლებით [გურჯისტანის... 1941, 1; იბაგრატიონი. 1986, 34, 47, 51, 52, 68, 70].

ამ მდინარის თანამედროვე სახელი მომდინარეობს ასევე ქართული სიტყვებისაგან ყრუ–უბანი, ყრუ–აბანი, სიტყვასიტყვით ყრუ (უხმაურო, უსიცოცხლო) მხარე. ყრუ–ყურ მეკლე-ვართა განმარტებით ნიშნავს ბნელს, გაუვალს, უღრანს, როგორც შავი ტყე: უღრანი, ბნელი, ხშირი, გაუვალი, ტევრით დაფარული ტყე [გ.ბედოშვილი. 2002, 403]. ეს მხარე, სადაც ყუბანი მოედინება, წარსულში მართლაც მიუდგომელი, ტყით დაფარული, მიყრუებული მხარე იყო. უბანი–აბანი ქართველურ ენებში (საკუთრივ ქართულსა და მეგრულში) მხარეს, კუთხეს ნიშნავს. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ აღნიშნული მხარე (აფხაზეთი, ყუბანისპირეთი) უძველესი დროიდან მოყოლებული ჯერ სვანების სამყოფელს, ხოლო შემდეგ,

მოგვიანებით, სამეგრელოს სამთავროსა და საქართველოს სახელმწიფოში შემოდიოდა, რასაც არაერთი იტალიური (ლათინური) რუკა ადასტურებს [Дж. Гамахария, Б. Гогия. 1997, 845, 486, 847; პ. ცხადაია., ვ. ჯოჯუა. 2003, 257].

არისტოტელეს (ძვ. წ. IV ს.) მეტეოროლოგიაში (V, 19) მდინარე ყუბანი მოიხსენიება კიდევ ერთი სახით – ჰიპანისი (ჰიფანისი) [თ. ყაუხჩიშვილი. 1962, 42, 148]. ასევეა სტრაბონთანაც [Страбон. 1964, 470]. იქვე კომენტარებში განმარტებულია, რომ ის შეესაბამება თანამედროვე ყუბანს [იქვე, 862]. ამ მდინარის სახელს კავშირი აქვს საქართველოს ტერიტორიაზე (კოლხეთში) არსებულ მეორე მდინარესთან – ჰიპოსი, რომელიც ფასისის (რიონი) შენაკადია [იქვე, 472, 474]. იგი ცხენისწისწყლად არის მიჩნეული [თ. ყაუხჩიშვილი. 1976, 141]. მაშასადამე, ყუბანის სახელი ჰიპანისი და კოლხეთის ჰიპოსი ერთმანეთთან კავშირშია იმ განსხვავებით, რომ პირველში „ან“ სუფიქსი დასტურდება, რომელიც თავისი წარმომავლობით ქართველურია. მსგავსი სუფიქსით ნაწარმოებია უძველესი დროიდან დღემდე ქართველური ტომების, ქვეყნების, ოლქების, ადამიანის საკუთარი სახელები და გვარები. ეს იმდენად ცნობილი ფაქტია, რომ მაგალითების აქ მოტანას არც კი საჭიროებს. მდინარე ყუბანს ანტიკურ წყაროებში რომ ჰიფინისი – ფასისი ერქვა, ეს სხვებსაც აქვთ აღნიშნული [გეორგიკა, I, 1961, 81].

მდინარე ყუბანს ბიზანტიელი მწერალი კონსტანტინე პორფიროგენეტი უკრუხს ეძახის. ეს უკანასკნელი იმ დროს ყოფდა საქართველოს ოლქს ჯიქეთს ტამატარხისაგან (ტმუტარაკანი) [Дж Гамахария., Б. Гогия. 1997, 196]. ტერმინი უკრუხი უნდა შედგებოდეს ორი ქართული სიტყვისაგან: უკუ, ნიშნავს უკუღმას, საპირისპიროს [ქართული... 1986, 428]. ღუხი – მუქს, ნაცრისფერს [იქვე, 380]. მისი შინაარსი იქნება გამდინარე უკუღმა, საპირისპიროდ (რადაცის მიმართ), რუხი, მუქი, ნაცრისფერი მდინარე (წყალი). თუმცა, შესაძლებელია ტერმინ უკრუხს მიეცეთ შემდეგი ინტერპრეტაცია: უკრუხის პირველი სამი ბგერა (უკრ) ტერმინ ყუბანის ასხნის ჩვენეულ შინაარს ესადაგება. ამ ნაწილში შეიმჩნევა უ-ს გადანაცვლება თავში, ასე მაგალითად ყრუ (კრუ)→ყერ (უკრ), ხოლო კ-ს ყრუდ ქცევა უცხო აფრიკატის (ყ) გამო მოხდა, რადგან

ბევრმა ენამ არ იცის ყ-ს არსებობა. ან შეიძლება თავკიდური უ სულაც იყოს პრეფიქსი ო-ს შესადარი, როგორიც ახასიათებს ქართველურ ენებს და განსაკუთრებით მეგრულს, თანაც ო-სა და უ-ს მონაცვლეობა ქართველურ ენებში ხშირია. რაც შეეხება „ხ“ სუფიქსს, ისიც ქართველურია და მრავლობითობის აღმნიშვნელს წარმოადგენს ან „ხ“ კუთვნილებითი სუფიქსია. იგი დაახლოებით ასევე ქართველურ ტერმინს უბანს შეეფარდება. მაგალითად მდინარე ჭოროხი, ადგილთა სახელები ურარტული ზაბახა (ჯავახი), დიაოხი (ტაოხი), უიტერუხი (ოდრხე) და ა.შ.

მკვლევართა გადმოცემით, ძვ. წ. VI-IV საუკუნეებში ყუბანსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ბინადრობდნენ აფხაზურ-ადიღეური ტომების უშუალო წინაპრები – კერკეტები, ჯიქები, ტორეტები და სხვანი [ლ. ურუშაძე, 1991, 125]. ჩვენ დავსძენდით, რომ თუკი ეს ტომები მართლაც ადიღეს გვარტომებს ეკუთვნოდნენ, მაშინ საიდან გაჩნდა ყუბანის უძველესი და ძველი სახელები, რომელთა სემანტიკა ქართველური ენების გამოყენებით აიხსნება, თანაც არა ერთი და ორი?

ძველ საქართველოში ადიღეებს ქაშქების სახელით იცნობდნენ. სვანები დღესაც მათ ამ სახელით მოიხსენიებენ. როგორც ჩანს, ამ ტერიტორიაზე ქაშქებს (ქართველურ ტომს) შეერწყა მოგვიანებით მოსული ადიღეელები და შესაძლებელია ამ უკანასკნელთა ენამ გაიმარჯვა. არ არსებობს საბუთი იმის შესახებ, რომ მცირეაზიელი ქაშქა-აბეშლავები ადიღეურ-აფხაზური მოდგმის ხალხი იყო. პირიქით, ისინი ქართველური (მეგრული) ტომები იყვნენ, რაშიც ნათლად დავრწმუნდებით ჩვენი მონოგრაფიის სრულად გამოქვეყნების შემთხვევაში. როგორც ყუბანისპირელი მოსახლეობის წინაპრები, ისევე ბალყარები და ყარაჩაელები თავიანთი წარმოშობით სვანები არიან. არა მხოლოდ თანამედროვე აფხაზეთი, არამედ სხვა მიმდებარე ტერიტორიებიც სვანებს და სხვა ქართველ ტომებს ეჭირათ [მ. ჩართოლანი. 1992, №2, 71, 80]. სტრაბონის, პტოლემეოსის და მენანდრეს (VI ს.) მონაცემები ამ მხრივ სარწმუნოა. მენანდრეს გადმოცემით, სვანები მოსახლეობენ კავკასიის გარშემო [ს. ყაუხჩიშვილი. 1936, 221].

ყოველივე ამას ადასტურებს არა მხოლოდ ტერმინთა ფონეტიკური სიახლოვე, არამედ სახელწოდებათა ზუსტი ანალოგია, და, როგორც ჩანს, სემანტიკური და ეტიმოლოგიური მნიშვნელობები.

თუ შევადარებთ ტერმინებს აბეშლასა და აფშილს (ან მის ნაირსახეობებს: აფსილი, აბშილეთი), დავინახავთ, რომ ასურულ, რომაულ და ქართულ სახელწოდებებს შორის განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ როგორც ერთ ტერმინში, ისე მეორეში აკლია თითო ხმოვანი. კერძოდ, აბეშლ-ში შ-ს შემდეგ ი, ხოლო აფსილ-ში ფ-ს შემდეგ ე-უძველესი და მოგვიანო ხანის ტერმინები უნდა აღდგეს, როგორც აბეშილა და აფესილი. სახელწოდებებში აბეშლასა და აფსილში ხმოვნების ამოვარდნა, ერთ შემთხვევაში ფუძისეული (ე) და მეორე შემთხვევაში ი-ს, განაპირობა ფუძისეულ ბეშ-ფეშ-ზე ა პრეფიქსისა და ილ(ლა) სუფიქსის დართვამ.

მოგეხსენებათ ილ-ლა-ელ-ლია ქართველური სამყაროს სუფიქსებს წარმოადგენენ და ისინი უძველესი დროიდან დღემდე აწარმოებენ როგორც ტოპონიმებს (ქვეყანათა, ოლქთა, ქალაქთა სახელებს), ისე ადამიანის საკუთარ სახელებს, გვარებს და ა.შ. ამ რიგის მაწარმოებლებითაა ნაწარმოები თავად ქაშქა-აბეშლას სამყაროში დადასტურებული ტოპონიმები და ადამიანის საკუთარი სახელები: ფათალია, ფიქურიალი, ასხარფაია, თულმაღია, ითილი, საფალი, ასხაფალა, ფიფალილა, ხიმუილი, დათილი, სუნაილი, საუსილი, ციფილი და სხვა. მსგავსი მაწარმოებლებით გვაქვს ტოპონიმები ურარტულ-ქართულ სამყაროდან, რომელთა სემანტიკა გაიგება ქართველური ენების გამოყენებით. ესენია: ლახირხილა, შაშილუ, ხუშად(ხი), უბურდალი(ხი), ანზალია, არგიშტიხინილი, მენუახინლი, გურკუმელი, დიულა, იცალა, ხალილა, ცუდალა, სიფლია, მეტალუ და სხვა [Г.А. Меликишвили. 1960, Н.В. Арутюнян. 1970]. ანტიკური და ფეოდალური ხანის წერილობითი ძეგლებიდან ცნობილია ქართული ტოპონიმები, ეთნონიმები, ადამიანის საკუთარი სახელები და გვარები: ფაფალა, სათალა, მაწალა, ალაბალა, არდაშელი, გეგილი, გოდეშელა, დადაშილი, ქარცხალია, კაშაშელი, ჯინალი, ქართლი, ქართველი, ლაპილი, ქართილი, სავაილი, ქაქუჩი-

ლა, ადილა, დედილი, თუალია, მარმელა, შედლა, კოპილა და სხვა მრავალი [ნ. ცეცხლაძე. 2000, 206, 236; პ. ცხადაია, ვ.ჯოჯუა. 182, 184, 263; ჩილდირის... 1979, 123, 162, 194].

თანამედროვე საქართველოში არსებული ტოპონიმები, მიკროტოპონიმები და სახელ-გვარები: ბოგილი, ბრილი, ბარდნალა, ბელელი, საყულია, ჭარნალი, არდაშელია, ახალაია, ბასილაია, ბერსელია, ბურძგლა, გაბელია, გიშელი, კვაშალი, ბაბილა, ბერულა, ბროლა, ამბროლა, ამურველა, ბასილა, დათილი, გოგილა, თამილა და სხვა მრავალი [ი.ახუაშვილი. 1999, 618,883; ს. მაკალათია. 1983, 171–172; ი. ბექირიშვილი. 2001, 61,62; გ. ბედოშვილი. 2002, 76, 337].

მაშასადამე, ტერმინში აბეშლა–აფსილი გამოყოფილი ლილა, ილ სუფიქსები ქართველური მაწარმოებლებია. გვრჩება აბეშ და აფს, შესაძლებელია აბაშ, აფეს, აფას, აფშ, აფეშ და ა.შ. საკვლევ ტერმინში „აბეშ“ რომ ფუძე უნდა იყოს, ამას ქართველურ სამყაროში გავრცელებული სხვა გარემოებებიც ეთანხმება. პირველი ქართველი ქრისტიანი მეფის მირიანის (307–361 წწ.) პაპის, ქართველთა მეფის ასფაგურის ქალიშვილს აბეშურა ერქვა [ქართლის... 1955, 64]. სახელი თავისი შემადგენლობის მხრივ ქართული უნდა იყოს, თუნდაც იმის გამო, რომ მასში თვალნათლივ ჩანს ურ–ი სუფიქსი, რომლითაც ნაწარმოებია უძველესი დროიდან დღემდე არაერთი ქართული გეოგრაფიული სახელწოდება (ქვეყანა, ოლქი, ტომი, ქალაქი, სოფელი) და ადამიანის საკუთარი სახელები და გვარები. ასეთებია: ხევსური, ხევსურეთი, თუშური (ერი), კელასური, პითური, მალიტასკურია, გუნდაური, ბუღაური, იაკობაური, მუხური, ჩოლაბაური, წიწამური, ოლადაური, არტური, აკაური, ხეცაური, ცაბურა, ბაკური, ფითელაური, მახაური, ჯაბაური, აფციაური, გოგოლაური, ხოშარაული, ჯიქური, სედური (სარდური), ცილიბური, უდური, ეთიუნი, ფითაური და სხვა მრავალი [ნ. ცეცხლაძე. 2000, 164, 168; ი. ბექირიშვილი. 2001, 63, 69, 74; Гр. Гиоргадзе. 1991, 66, Кавказско... 1984, 77].

განვიხილოთ ფუძე „აბეშ“. როგორც ვთქვით, უძველესი დროიდან მოყოლებული საქართველოსა და მის სამეფო-სამთავროებში ტრიალებს ამ ფუძე-ძირიანი სახელები და გვარები. ამის ერთ-ერთი დასტურია ის, რომ აბეშლა ქაშქას

სინონიმია თუ მისი ერთ-ერთი ძირითადი ტომი. იგი, როგორც აღინიშნა, მოიხსენიება ასურულ ლურსმულ ტექსტებში, შემდეგ ანტიკურ ხანაში მეორდება მისი მსგავსი სახელი აფსილის (აფსილია) ფორმით კოლხეთის (ეგრისის) ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთზე. იგივე სახელი აბეშურა ჰქვია IV ს. 80-იან თუ 90-იან წლებში მოღვაწე ქართლის მეფის ასფაგურის ქალიშვილს. შემდეგ XII-XVIII საუკუნეების ძეგლში “ტბეთის სულთა მატიანე” მოხსენიებულია გვარები: აბესალამეთი, აბესალამისძე, აბესალამური. აღნიშნული გვარების შთამომავლები ახლაც ცხოვრობენ ქვემო აჭარის სოფლებში, კერძოდ, აჭარისაღმართში, სადაც აბესლამიძეების უბანია, ახალშენში, ორთაბათუმში, მეჯინისწყალში, ბათუმში.

ქართული გვარი აბესლამიძე და სხვანი, როგორც ჩანს, ადამიანის საკუთარი სახელიდან აბესალა თუ აბეშალა-დან მომდინარეობს. თავდაპირველად აბესალა (აბეშალა), შემდეგ ფორმდება მა(მი) სუფიქსით და იქმნება აბესალამი (აბესალომი). მი (ომ თუ უმ) მაწარმოებლით ცნობილია ქართული გვარსახელები, ტოპონიმები და ეთნონიმები: სოხმი (სუხმა), ქარიმა (ქარიმატი), კაპრეშუმი, ბათომი, ღორჯომი და სხვა მრავალი. ი. ბექურიშვილის გადმოცემით, “შემერეთში ყოფილა განთქმული ტაძარი ებესლამ-აბესალამის სახელწოდებით [ი. ბექურიშვილი. 1996, 11]. ი. მაისურაძის მიხედვით, აბესლამიძე საკუთარი სახელ აბესლამიდან უნდა იყოს წარმომდგარი, რასაც ასევე საკუთარ სახელ აბესალომს ადარებს [მაისურაძე ი. 1979, 16].

სვანეთის წერილობით ძეგლებში დასტურდება გვარები და სახელები: აბესალომი, აბესალამი, აბესლამიძე, აბესაძე, აბესა, აბზანი, ბეშქენ ბესიანი, ბესია, ბისეფინა, ბესი [490]. იმ შემთხვევაში თუკი ა-ს პრეფიქსად მივიჩნევთ, ისეთსავეს როგორც ქართულ ტოპონიმებსა და ეთნონიმებს ახასიათებთ, როგორიცაა: აჭარა, აწყური, აჭი, აცი, აფსაროსი, აბაზგუნ, აბილიანისი, მაშინ აბეშლას ფუძედ ბეშლა თუ ბეშილა-ც უნდა განვიხილოთ.

თანამედროვე საქართველოში გავრცელებულია გვარები და სახელები, რაც იმის მოწმობაა, რომ საკვლევი ტერმინი მჭიდროდაა დაკავშირებული ქართულ სამყაროსთან, კერძოდ: აბაზაძე, აბაშელი, აბაშია, აბესალამიძე, აბესაძე, აბესიძე,

აბშინაშვიდი, აბსავა, აბსანძე, ბესარიონი, ბეშქე, ბესელია, ბეშიძე და სხვა მრავალი. გვარი აბესლა–მი–ძე (აბეშლა–მი–ძე) ზუსტი პროტოტიპია სატომო სახელის აბესლა–აბეშლა–სი, რომელიც შესაძლებელია უკავშირდებოდეს მეგრულ აბეს, რაც ამბავს ნიშნავს [ო.ქაჯაია. 2001, 162]. შესაძლებელია – მოსაუბრეს, ამბავის მიმტანს?

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ტბეთის სულთა მატთანში მოხსენიებულია გვარი ბერსელეთი და შუახევის რაიონში სოფელი ბესელაშვილები, რომლებიც საკუთარი სახელიდან ბესელა–ბერსელა–დან მომდინარეობენ. პირველ შემთხვევაში, გვარი ნაწარმოებია ეთ სუფიქსის დართვით, რომელიც ძველი დროიდან მოყოლებული აწარმოებდა ქართულ გვარებსა და ტოპონიმებს: აბუქეთა, მცხევა, შავშეთი, კლარჯეთი, ლაზეთი, ბელეთი, ჯავახეთი, თავად აბესლამეთი, გოგლაეთი, გოგანეთი, გვიანეთი, დავლაეთი, ზარქეთი და მრავალი სხვა [ი.ბექერიშვილი 1996, 11].

რა სემანტიკის მატარებელია აბეშ–ბეშ ფუძე–ძირი?

ქართულ ენაში აფშარა – სულგუნის, ე.ი. ყველის ყალიბია, აფშლეკა – ფეხის აწევა, ბესა – კარტოფილის შესანახი მშრალი ადგილი მიწაში, ბეჩი (←ბეში?) – ლენჩი, მოსუღელო, უჭკუო, ბზე – მზე, ბსხილ – საქონლის მკბენარი, პასალ (→ბასალ→ბაშალ?) – სოლი, ფსვალ (ბშუალ) სოლი ხარახის იარაღი, ფეს (ბეს?) – ფესვი [ქართული... 1984, 44, 70, 71, 540].

მეგრულ ენასაც მოეპოვება ტერმინ აბეშლასთან ახლოს მდგომი სიტყვები: მაგალითად: აბეს – ამბავი, აბშირა – სულგუნის ჩასადები ჩარჩო, აფშარა – ულაგამო აღვირი, აფშარა – ხის ჭურჭელი (სულგუნის ჩასაწყობად), აბხა – ბეჭი და სხვა [ო.ქაჯაია. 2001, 162, 164, 199].

აბეშლას ფონეტიკურად კარგად უდგება მეორე ვარიანტული სატომო სახელი აბშილი – აფსილი და გეოგრაფიული სახელწოდება აბშილეთი და აფსილეთი. გამოთქმული მოსაზრების თანახმად, რადგან ეთნონიმ აფსილ–აბსილეთში გამოიყოფა ფუძე – ძირი ფშ (ბშ), სწორედ ეს გახდა ამ სატომო სახელის აფხაზურ–ადიღეური ხალხისადმი მიკუთვნილების მიზეზი. გასაგებია, რომ ფშ (ს) აღნიშნულ ენებში წყალს აღნიშნავს. მიუხედავად იმისა, რომ ქართველურ ენებშიც ფშ

და მისი ნაირსახეობანი წყალს, ხეობას, ფსკერს, ძირს და ა.შ. ნიშნავს, არ იქნა გათვალისწინებული ამ ეთნონიმის სემანტიკის დადგენისას. ფს-ძირიანი ქართული სიტყვებია: ფსორ – მდინარის მიერ დატოვებული კალაპოტი, ფსკერი – ჭურჭლის, ზღვის ან მდინარის ფსკერი, ფშა – მდინარისაგან ახლო გამოდენილი წყარო, ფშანი – იგივეა, რაც ფშა, ფშა-ლა – სვია, აფუშილ-აფუშულ-აფუშული, ფშატ, ფშატალა, ფსელი, ფაშ, ფას, ფაშა და ა.შ. [ქართული... 1986, 44, 449].

მეგრულში ფსილა – ქვიშას, სილას აღნიშნავს, აფშარა – ყველის შესანახ ხის ჭურჭელს, ფსალ-სოლი, ფსელა – შარდი, ფსინა-სმენა, გრძნობა, ფსორო-სოლი, ფსუ-ხელი, ფსორი-წელის ვიწრო სადინარო ტყეში, ფაშთიაშ-ჭა [ო. ქაჯაია. 2002, 111].

სვანურ მითოლოგიაში აფსათი ნადირობისა და ფრინველთა განმგებელი ღვთაებაა. იგი თავისი ფონეტიკური აგებულებით ახლოს დგას ბერძნული მითის “არგონავტების” პერსონაჟ აფსირტესთან. თ. მიბჩუანის აზრით, აფსირ (ტე) აფსატის ბერძნული წარმოება უნდა იყოს [თ. მიბჩუანი. 1989, 347, 348].

მიიჩნევენ, რომ ქართული ტომების განსახლების არეალში არსებული მდინარეების სახელწოდებები, რომელთაც ძველად ეძახდნენ ფასისს – ესეც აფსურია. ასეთი სახელის მდინარეებს დღეისათვის ჰქვიათ რიონი, ყუბანი, არაქსი, ჭოროხი. დადგენილი გვაქვს, რომ აღნიშნულ მდინარეთა მიდამოებში უძველესი დროიდან XIX-XX საუკუნემდე, ხოლო ზოგიერთ მათგანში ამჟამადაც, ქართველური ტომების შთამომავლები მოსახლეობენ: კოლხები, ლაზები, ფასიანები, კულხახალი, ულთუზა, ხოტენა (ოტენა, ტაონი), სპერები, ჰენიოხები, აზანი, ერიკუახი, დაიაენი-დიაოხი, ხალიბები, აბნულუანი, აბილიანიხი, კლარჯები, იმერლები, აჭარლები და სხვები.

საქართველოში გავრცელებულია ფს-ფშ-ფაშ-ფეშ ძირიანი ტოპონიმები: ფშავი, ფშავეთი, ფასის მთა, ქალაქი ბასიანი, ოლქი ბასიანი, ბეშუმი, – აქედანაა ტომის სახელი ფასიანები, მდინარე ფასისი, ეს იგივე არაქსი, რახსი, არეზია, აფსარუნი (გონიო), აფსარი (ჭოროხი), აკამფსისი (ჭოროხის რომაული ფორმა). ჩვენს ქვეყანაში გავრცელებულია გვარები:



აფსნიძე, აფსავა, აფშილავა, აფშინაშვილი, ბასანაშვილი, ბასილაია, ბასილაური, ბასილაძე, ბაშარიძე, ბასიშვილი, ბეშიძე, ბაშარაული, აფჩილიანი, აფსარიძე და სხვა. სახელები: აფშინა, აფსა და სხვა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ აღმოსავლეთ ქართული სახელმწიფოს ქართლის ანუ იბერიის 25-ე მეფეს “მოქცევაჲ ქართლისაჲს” ცნობით ასფაგური ერქვა [მოქცევაი... 1979, 321], რომელიც III საუკუნის 80-იან თუ 90-იან წლებში მოღვაწეობდა. ეს მეფე “ქართლის ცხოვრების” გადმოცემით ქართლის 23-ე მეფეა. ანასეულ “ქართლის ცხოვრებაში”, რომელიც ქართლის ცხოვრების რედაქციებს შორის უძველესია, ამავე მეფის სახელად დამოწმებულია აფსაგური და არა ასფაგური [ქართლის... 1955, 59]. ურარტული სამყაროს დასავლეთით, ევფრატისპირეთსა და მის მიდამოებში, იქ, სადაც ქართველური ტომების მოსახლეობაა შენიშნული, დაფიქსირებულია ქუთა (შეადარეთ ქუთა-ის-ი), ურა (ურთა, ურაიანი), არანა (გა-არნი, არიან-ქართლი), ტაბა (ტობი, ტაბალი, ტობანიერი) და სხვა, მათ გვერდით იხსენიება პუნქტი აბისა [H.B. Арутюнян. 1970, 227]. ნ. არუთიანი გვთავაზობს ამ პუნქტის შედარებას აბსიდასთან, თანამედროვე ჯგუფელ-აფს-თან (მარდინის ჩრდილო-დასავლეთით) [374]. უნდა აღინიშნოს, რომ ეს გარემოება შემთხვევითი როდია. ერთი ასეთივე ტოპონიმი ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე ჭანეთშია დადასტურებული (ეს ტერიტორია დღეს თურქეთის საზღვრებშია მოქცეული). ჭანეთ-ლაზეთში ხომ მთლიანად ქართველები მოსახლეობდნენ და ამჟამადაც ასეთივე სურათია. ესაა სოფელი აბსო (აბსუ) ათინის უბანში [ი. სიხარულიძე 1979, 12]. აქვეა სოფელი ნაფშითი (ძველი ნაფსაი). მასში უნდა გამოყოფთ ნა პრეფიქსი და ით სუფიქსი, ძირია ფშ-აფშ-აფს, რომლებიც იგივეა აფსილსა და აფსარში გამოყოფილი ფუძე-ძირი. აქვეა პუნქტი ქაშკარი, იგივეა რაც ქაშ-ის (ქაშქის) კარი ან ქაშქა „არ“ სუფიქსით. საქართველოს ისტორიულ ოლქში შავშეთში მოგვეპოვება მიკროტოპონიმი ქაშათ, რომელთა სახით ქაშქების ნაკვალავი შეიძლება იყოს შემორჩენილი. აქვეა ქაშიღ, რაც შეიძლება ქაშიღ იყოს ან ქაშ(ად)გიღ, ქაშქების ადგილი, სადგომი. ფსორი, ფშაღო – ამ სახელებით სამურზაყანოს ტერიტორიაზე რამ-

დენიმე მიკროტოპონიმი აღირიცხება და საქართველოში ალბად რამდენიმე ასეული.

მაშასადამე, აფს-აბისა-აბსიაია ქართული ტოპონიმები შეიძლება იყოს მხოლოდ. იქაა აფს ძირი (შეადარეთ აფსილი), აბისა (აბესა-ლა), აბსიაია (აბს-ილ-ეთ-ი). შევადაროთ ქართული გვარსახელები აბესი (აბესიძე) აბესანი (აბესანიძე), აბესა (აბესაძე), აბესალა (აბესლამიძე), აფსა (აფსავა) აფშილა (აფშილავა) და სხვა. ტოპონიმში აბსიაია უეჭველია „ია“ მეგრული სუფიქსი თუ არა, მაშინ სვანური „აია“, მიწათმფარველობისა და მიწისქვეშეთის ღვთაება უნდა გამოიყოს. ია აწარმოებს მეგრულ გვარსახელებსა და ტოპონიმებს, მაგალითად: ბაბუტია, სიდონია, ათანია, ფაცია, ფაცაცია, თორია, შარია, შენგელია, ბასარია, დანია, ციხია, ფაშდია, წიფურია, ხაია, ანარია, მახუნჯია და ა.შ.

გავიხსენოთ თავად ქაშქურ-აბეშლური ტოპონიმები და სახელ-დინასტიური სახელები: თათაშ-თურია, თაქაშ-თურია, თალი-ფაცია, ფიფია, მახარია, ფათალია შარია, თითია, თულ-მალაია, ფაია, თითია, თახან-თარია, ცითა-ხარია, ცას-ფია, შუხურია და ა.შ. [გიორგაძე გ. 2000, 15,17]. განა აღნიშნულის მიკუთვნება შეიძლება იმ ხალხზე, რომლებიც გამოჩნდნენ 30 საუკუნის შემდეგ, როცა იმ დროს რუსეთის სტეპებში მხეცებივით, პირუტყვებივით დაძრწოდნენ. ამ სახელებსა და გვარებს ათეულ ათასობით ქართველი, განსაკუთრებით სვანი, მეგრელი, ლაზი და ჭანი ატარებს. სირცხვილია მსგავსი გაურკვეველობა...

აბეშლასა და აფსილის ეტიმოლოგიის კიდევ ერთი ვარიანტი გვინდა შემოგთავაზოთ. ამ შეხედულების მიხედვით ტერმინი კომპოზიტური სახელი უნდა იყოს და დაიყოს აბეშლ, აბეშილ, აფ-სილ და ა.შ. მით უმეტეს, რომ ამგვარი დანაწევრებისათვის გვაქვს მიზეზი. შილ ქართულ ენაში იგივეა, რაც მაზლის ცოლი, რძალი, ძმის ცოლი; შილა-ბამბის წითელი ქსოვილია [ქართულ... 1984, 633]. იმ შემთხვევაში, თუკი ფუძე ხმოვანს არ შეიცავს, ე.ი. შლ-შეესაბამება, მაშინ ამავე ენაში შლუ-ს ჭკუანაკლებ კაცს ეძახიან [იქვე, 635]. აბ-აბეს-ს რაობის გარკვევა შედარებით რთულია. სტრაბონის (ძვ. წ. 64 – ახ.წ. 24) გადმოცემით, იმ მთას, რომლიდანაც ეფურატი და არაქსი სათავეს იღებენ, აბი ჰქვია [Страбон. 479,500]. ამ

მთის გვერდით დასახლებულან ენიანები, რომელთა სემანტიკაც ქართველურია. ენიანი ნიშნავს ცუდი ენის მქონეს, ენატლიკინას. აქვე ურარტულ ხანაში განლაგებული იყო ერთ-ერთი უძველესი ქართული სამეფოს დიაენი-დიაოხის ოლქი აბნულუანი (ბიზანტიური აბნიკი, სომხური წყაროების ავნიკი) [ს.გოგიტიძე. 2006]. იქნებ აბი ამ უკანასკნელის უსუფიქსო ფორმა იყოს. თუმცა ურარტელები (სვანური დინასტიით) ხშირად ორმაგი სუფიქსებით (მათგან ერთი ადგილობრივი) იხსენიებდნენ ქვეყნებს, ოლქებსა და ქალაქების სახელებს, ასე მაგალითად: კულხა-კულხახალი, კალბა-კაბილუხი, ხაღდი-ხაღდირიულხი, შირიმი-სირიშუთარა, უზანა-უზიანობითარნა და ა.შ.

აღნიშნული მთის სახელი აბი შეიძლება წარმომდგარიყო ადამიანის საკუთარი სახელიდან ან ტერმინში ა-პრეფიქსია და ბა-მაღალს ნიშნავს (შეადარეთ ურარტული ბაბანია). აბა-ქალის სახელია კილიკიაში [Страбон. 628]. აბი მითური ტომია [იქვე. 271-275, 277, 278].

შეიძლება აბე-შილი (აფ-შილი) მეგრული ენის გამოყენებითაც აიხსნას. ამ ენაში აბე-აბეს ნიშნავს ამბავს. ლა (ელა-ალა) – ქართველური სუფიქსია. შესაძლებელია აბესა-აბასა-აბაშა საკუთარი სახელიც იყოს და შესაბამისად აბესას-აბეშას შთამომავლობას აღნიშნავდეს.

შილი, უძველესი ქართულის მიხედვით, რომელიც ურარტულ ღურსმულ ტექსტებს შემოუნახავს, შეიძლება შვილს, ძეს ან კიდევ შთამომავლობას ნიშნავდეს. ურარტუს მეფის არგიშტის (ძვ. წ. 784-764 წწ.) მონაცემებით, მას დაუპყრია “ქვეყანა ზაბახაე შილი” [Г. Меликишвили. 1960, 212; Н. Арутюнян. 1970, 191], რომელიც მდებარეობდა ქვეყანა სირიშუთარას (ქართული შირიმი, შირიმთა) შორის. ზაბახაეს შილი-ში სხვა რა უნდა იგულისხმებოდეს, თუ არა ზაბახას, ჯავახას შვილები, ე.ი. ზაბახას შვილის შთამომავლობა, ქვეყანა.

ამრიგად, ტერმინი აბეშლა ქართველურ სამყაროს შეიძლება დაუკავშირდეს, მას, ჩვენი აზრით, არავითარი კავშირი არ გააჩნია აფხაზეთის დამპყრობ აფსუა ტომებთან.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ი. ახუაშვილი. ქართული გვარ-სახელები, II, თბ., 1999.
2. გ. ბედოშვილი. ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, I, თბ., 2002.
3. ი. ბაგრატიონი. ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., 1986.
4. იბეკირიშვილი. აჭარის გეოგრაფიულ სახელთა ლექსიკონი, ბათ., 2001.
5. ი. ბეკირიშვილი. აჭარის ისტორია გვარსახელებში, ბათ., 1996.
6. ი. ბეკირიშვილი. ამას შენზე ამბობენ აჭარავ, ბათ., 1995.
7. გ. გიორგაძე. ხეთური და ასურული ტექსტების ქასქების (ქაშქების) და აბეშლავების ეთნიკური წარმომავლობისათვის, ახალციხე, 2000.
8. ს. გოგიტიძე. დიაენი-დიაოხი (ლოკალიზაციისა და ეთნიკური კუთვნილებისათვის), ბათ., 2006.
9. გეორგიკა, I, თბ., 1961.
10. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. II, თბ., 1941.
11. ი. მაისურაძე. ქართული გვარსახელები, თბ., 1979.
12. ს. მაკალათია. თუშეთი, თბ., 1983.
13. თ. შიბრუანი. დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლების და კულტურის ისტორიიდან, თბ., 1989.
14. მოქცევაჲ ქართლისაჲ-შატბერდის კრებული, X საუკუნისა, გამოსაცემად მოამზადეს ბ.გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, თბ., 1979.
15. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, თბ., 1990.
16. სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, თბ., 1988.
17. ოსმალური დოკუმენტური წყაროები საქართველოსა და ამიერკავკასიის შესახებ (XVII-XVIII სს.), წ. II, თბ., 1989.
18. ი. სიხარულიძე. ჭანეთი, II, ბათ., 1979.
19. ლ.ურუშაძე. თურქი მეცნიერები სვანეთის შესახებ, ჟურნ. მნათობი, 1991, №6.
20. ნ. ფოფხაძე. სიმაღლედ უნდა ითქვას თუ ასეთია, გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1994, 20 აპრილი.
21. ქართლის ცხოვრება, ტ.I, თბ., 1955.
22. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბ., 1986.
23. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VII, თბ., 1962.
24. ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984.
25. ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, I, თბ., 2001.

26. ო. ქავჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, თბ., 2002.
27. ს. ყაუხჩიშვილი. გეორგია, III, თბ., 1936.
28. თ. ყაუხჩიშვილი. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, V, თბ., 1983.
29. თ. ყაუხჩიშვილი. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, II, თბ., 1969.
30. თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბ., 1976.
31. მ. ჩართოლანი. დასავლეთ საქართველოს მაღალმთიანეთში სვანთა თავდაპირველი დასახლების საკითხისათვის. ჟურნ. მაცნე, ისტორიის... სერია, 1992, №2.
32. ჩილდირის ეალეთის ჯაბა დავთარი, თბ., 1979.
33. ნ. ცეცხლაძე. შავშეთ-იმერხევის ტოპონიმია, ბათ., 2000.
34. პ. ცხადაია, ვ.ჯოჯუა. სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი თბ., 2003.
35. ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი, ტ.I, თბ., 1979.
36. Арутюнян Н.В. Бифйнили (Урарту), Ер., 1970.
37. Дьяконов И.М. АВИИУ.-ВДИ, 1951, №2.
38. Гамахария Дж., Гогия Б., Абхазия-историческая област Грузии, Тб., 1997.
39. Гиоргадзе Гр. Вопросы общественного строя хеттов, Тб., 1991.
40. Кавказско-ближневосточный сборник, Тб., 1984.
41. Марр Н.Я. Язык и общество. Лен., 1934.
42. Марр Н.Я. Основные вопросы истории языка, Лен., 1937.
43. Меликишвили Г.А. Урартские клинообразные надписи, М., 1960.
44. Страбон. География, в 17 книгах, перевод Г.А. Стратановского, Лен., 1964.

**Simon Gogitidze**

## **The Origin of the Term Abeshla (Kashka)**

### **Summary**

It is well known that the Abeshla (Kashka) tribes were living in the South- Eastern of Black sea coast. The scientists are connecting this term with the name of Apshil's tribe and are supposing that they were the ancestors of Apsuas (nowadays Abkhazians). On account of our point of view Abeshla tribe and Apsils are not in any relation with Apsuas. In

contrary they were of Kartvelian origin. Term Abeshla are connected with Georgian names, surnames and toponymy. Here we can separate the prefix “A”- and suffix “La”, which are Georgian word-building affixes. The root of the word Abes-Abesh-Afesh-Afsh can be connected with Mingrelian word “Abes”, with the meaning “story”, The term “Abeshla” can be explained by the other Georgian words, for example, “The sons of Aba.” If the name “A” is the prefix, then it must be connected with Georgian word Psha, that means the water running near the river or mingrelian word Psila - that means the sand and so on.

**Симон Гогитидзе**

### **О происхождении термина Абешла (Кашка)**

#### **Р е з ю м е**

Известно что племена Абешла (Кашка) проживали на Юго-Восточном Причерноморье. Исследователи этот факт связывают с названием племени апшилов и считают предков Апсуйцами (современные Абхазцы). По нашему мнению Абешла и Апсили не имели никакой связи с Апсуйцами, напротив, они были Картвельского происхождения.

Термин Абешла имеет связь с грузинскими личными именами, фамилиями и топонимами. Здесь можно выделить префикс «А» и суффикс «ЛА», которые считаются грузинскими словообразовательными аффиксами. Корень слова Абес-Абеш Афеш-Афш можно связать с мингрельским словом Абес, который означает событие. Термин Абешла можно объяснить и другими грузинскими словами, например: «Синовья Аба». Если в названии «А» является префиксом, то он должно быть связан с грузинским словом Фша-которое означает воду протекающую вблизи реки или с мингрельскими словом Фсила-песок и другое.

## **დედა – ნინო და მეფე მირიანის რელიგიური რეფორმა**

ნაშრომი შეეხება მეფე მირიანის მოღვაწეობას, მიმართულს ქართული სახელმწიფოს ოფიციალური კულტის რეფორმირებისაკენ. ამ პროცესში მირიანის მიერ მომზადდა ფაქტობრივად სამი პროექტი.

პირველი მათგანი ქართული წარმართული პანთეონის სისტემატიზებას ისახავდა მიზნად. ამ პროექტის ცენტრალურ ფიგურას ღვთაება არმაზი წარმოადგენდა. რეფორმა წინასწარ კარგად მოფიქრებული ჩანს, თუმც, თუ მხედველობაში მივიღებთ ქართული წარმართული პანთეონის ეკლექტურობას, აღნიშნულ პროექტს დიდი პერსპექტივა არ უნდა ჰქონოდა, იგი მხოლოდ ვითარების დროებითი დარეგულირებისათვის თუ იქნებოდა გამოსადეგი. მაგრამ ისე მოხდა, რომ ამ პროექტმა იმაზე ადრე დაკარგა აზრი, ვიდრე შეეძლო ვინმეს წარმოედგინა, მათ შორის, მის ავტორს – მეფე მირიანსაც, რომლისათვის, მართლაც, მეხის დაცემასავით უნდა ყოფილიყო მეხის დაცემით კერპების განადგურება.

მესამე პროექტი მიზნად ისახავდა ქვეყანაში ქრისტიანობის ოფიციალურ იდეოლოგიად დამკვიდრებას; მის ჩარჩოში ჩამოყალიბდა ქართველთა ეთნიკური რწმუნულობის და მცხეთის, როგორც ქრისტიანული ოიკუმენის საკრალური ცენტრის ანუ ახალი იერუსალიმის, იდეოლოგია (ჩხარტიშვილი 2008: 423-453). ქართველი ერის ისტორიაში ეს იყო აშკარად ყველაზე წარმატებული პროექტი, თუმც დიამეტრალურად განსხვავებული იმისაგან, რაც თავიდან ჩაიფიქრა მირიანმა. მაგრამ, როგორც ირკვევა, ამ ორ მეტ-ნაკლებად ცნობილ (პატარიძე 2000: 68-69) პროექტს შორის, მირიანმა მოახზა კიდევ ერთი პროექტი, რომელიც წარმოადგენდა სპონტანურ პასუხს იმ ახლად შექმნილ საგანგებო ვითარებაზე, როცა ქართლის უმთავრესი ღვთაება (ე.ი. მისი კერპი) ფიზიკურად აღარ არსებობდა და ღრმა იდეოლოგიური კრიზისი, რომე-

ლიც უკვე მრავალი საუკუნე მზადდებოდა, ერთბაშად თვალ-  
ხილული გახდა. ეს გეგმა მიზნად ისახავდა არმაზული  
რელიგიის რენიშავის ახალი რეფორმის გზით. მის მთავარ  
სახედ მოიაზრებოდა ქრისტიანი მისიონერი ქალი, რომელიც,  
ოდონდაც უნდა წარმომდგარიყო არა განმანთლებლის,  
არამედ ქართველთა *მაწოვნებელის* ანუ დედის, ანუ *ნინოს*  
როლში.

მირიან მეფის სწორედ ამ ჩანაფიქრის რეკონსტრუქციას  
ისახავს მიზნად ეს გამოკვლევა. აღნიშნული ჩანაფიქრი,  
მიუხედავად იმისა, რომ არასოდეს ყოფილა რეალიზებული,  
მეცნიერულ ინტერესს იწვევს მირიანის რელიგიური ძიებების  
შესახებ სრული წარმოდგენის შესაქმნელად და ქართლში  
ქრისტიანობის ოფიციალურ სარწმუნოებად მიღების ფაქტის  
ისტორიული ფონის დეტალიზაციის თვალსაზრისით.

გამოკვლევა ეფუძნება რამდენიმე წყაროს. მათ შორის  
უმთავრესია “წმ. ნინოს ცხოვრება”, კერძოდ, მისი უძველესი  
რედაქცია, რომელიც დღეს “მოქცევაჲ ქართლისაჲს” მეორე  
ნაწილს წარმოადგენს. აღნიშნული თხზულება შედგენილია  
IV ს. შუა ხანებში და მიუხედავად ზოგი გვიანდელი პერიო-  
დის დანაშრევისა, თავდაპირველ კომპოზიციას და შინაარსს,  
როგორც ყველა მაღალი ხარისხის საკრალიზაციის მქონე  
ტექსტი, არსებითად ინარჩუნებს. ძეგლს განმანათლებლისა  
და მისი უახლოესი მოწაფეების მოგონებების კრებულის  
ფორმა აქვს. მისი შემდგენელია ქართლის პირველი ქრისტი-  
ანი მეფის მირიანის ძის რევის მეუღლე სალომე უკარმელი  
(ჩხარტიშვილი 1985: 124-130; ჩხარტიშვილი 1987ა, ჩხარტიშვი-  
ლი 1987ბ, ჩხარტიშვილი 1997).<sup>1</sup>

აღნიშნული “შუალედური” პროექტის რეკონსტრუქციი-  
სათვის განვიხილოთ მირიან მეფის სიტყვა, რომელიც  
“წმ. ნინოს ცხოვრების” ზემოთ ხსენებულ რედაქციაშია და-  
ცული. აღნიშნული სიტყვა მეფემ წარმოთქვა წმ. ნინოსთან  
ერთ-ერთი საუბრის დროს. საქმე ეხება სპარსი ხუარას გან-  
კურნების ამბავს. თხზულების მიხედვით, ამ ფაქტს კერპების  
შემუსვრიდან მეექვსე წელს ჰქონდა ადგილი. ამ დროისათვის  
წმ. ნინო საკმაოდ სახელგანთქმული ჩანს მცხეთაში, მას  
ჰყავს მოწაფეები და სასწაულით ანუ წამლის გარეშე გან-  
კურნებული ადამიანები, მათ შორისაა თავად მირიანის



მეუღლე ნანა. აღნიშნული სიტყვა დაფიქსირებულია წმ. ნინოს მოწაფის სიდონიას<sup>2</sup> მიერ. აი, ეს სიტყვაც:

“მაშინ ევედრნეს დედასა ჩემსა ნინოს ნანა დედოფალი, და მეფეცა იხილვიდა მცირე-მცირედ საქმესა და ორგულებით ეტყოდა ნინოს: “რომლისა ღმერთისა ძალითა იქმ საქმესა ამას კურნებისასა? ანუ ხარ შენ ასული არმაზისი, ანუ შვილი ზადენისი, უცხოვებით მოხუედ და შეუვრდი, ხოლო მათ ზედა-აც მოწყალებაჲ, და მიგანიჭეს ძალი კურნებისაჲ, რადთა მით სცხოვნდებოდი უცხოსა ამას ქუეყნასა, და დიდებულმცა არიან უკუნისამდე! ხოლო შენ წინაშე ჩემსა იყავ მარადის, ვითარცა ერთი მაწოვნებელთაგანი პატივცემულ ქუეყანასა ამას, არამედ უცხოსა მას სიტყუასა ნუ იტყვ, ჰრომთა მათ შეცთომილსა შჯულსა, და ნუ გნებაჲნ ყოლადვე აქა თქუმაჲ, რამეთუ აჰა ესერა ღმერთნი, დიდთა ნაყოფთა მომცემელნი და სოფლის მპყრობელნი მზის მომფენელნი და წუმისა მომცემელნი, ქუეყანით ნაყოფთა განმზრდელნი, ქართლისანი, არმაზ და ზადენ, ყოვლისა დაფარულისა გამო-მეძიებელნი, და ძუელნი ღმერთნი მამათა ჩუენთანი, გაცი და გა, და თავი შენი იგი ყავნ დასარწმუნოვებად კაცთა მიმართ. და აწ, უკუეთუ განჰკურნო მთავარი ესე, განგამდიდრო და გყო მკუდრ მცხეთას შინა მსახურად არმაზისა, დაღაცათუ ჰაერისა მის სიფიცხლითა შეიმუხრა, არამედ მისი ადგილი შეუძრავ არს. ეგე არმაზ და ქაღდეველთა ღმერთი ითრუშანა ყოლადვე მტერ არიან. ამან მის ზედა ზღუად მოადგინის და მან ამის ზედა ერთი ნუ რადმე მოაწიის, ვითარცა აქუს ჩუეულებად სოფლის მპყრობელთა, და კმა იყავნ ჩემგან ბრძანებად ესე” (აბუღლაძე 1963: 131-132).

როგორც ვხედავთ, მეფე ნინოს, ფაქტობრივად, იდეოლოგიური ტრანსფორმაციის ახალ გეგმას უზიარებს. მირიანი ქრისტიან მისიონერ ქალს აცნობს ღეგენდას, რომლითაც იგი უნდა წარმოუდგეს ქართულ საზოგადოებას: ნინომ ქართლის მპყრობელ ღმერთთაგან წარმომავლობით უნდა ახსნას კურნების უნარი და თავად დაარწმუნოს ყველა ამაში. ამგვარი ქმედების მოსალოდნელი შედეგი ამ ღვთაებებისათვის დაკარგული “პრესტიჟის” აღდგენა უნდა ყოფილიყო, რაც არსებითად ძველი კულტის რეანიმაციას ნიშნავდა. აღნიშნულის სანაცვლოდ მირიანი ნინოს იმას პირდება, რომ

ხელს შეუწყობს მის ინტეგრაციას ქართულ საზოგადოებაში ყოველმხრივ უზრუნველყოფილი ეკონომიკური მდგომარეობის მინიჭებით: ნინო ხომ უცხოა, მწირია, შესაბამისად, უპოვარია და მცხეთის საქალაქო თემში სოციალურად სრულიად უუფლებო. მეფე კი მას მკვიდრად (მოქალაქედ) გადააქცევს (პატარიძე 2008: 211-215). მაგრამ ეს არაა ყველაფერი. მირიანი ნინოს სთავაზობს გახდეს *მაწონებელი*. აშკარაა, რომ მეფე რაღაც პრესტიჟულ სოციალურ პოზიციას გულისხმობს. გასარკვევია კონკრეტულად რას შეეხება საქმე?

ი. აბულაძის მიერ *მაწონებელი* განმარტებულია როგორც ძიძა, “რომელიც აწობს” (აბულაძე 1973: 223). სულხან-საბა ორბელიანის განმარტება შემდეგია: მაწონარი (მაწონარი) – ძუძუს ჟამსა დედას მაწონებელი (მაწონარი) და ჩვილსა მაწონარი ეწოდება მაწონებელი – მაწონარის დედა (აბულაძე 1991: 451). ამგვარად, *მაწონებელი* ნიშნავს პირვნებას, რომელიც ჩვილს კვებავს რძით. ასეთი შეიძლება იყოს დედობილი ანუ ძიძა და ნამდვილი დედა. ცხადია, როცა საქმე ქალწულ ნინოს შეეხება, ეს სიტყვა პირდაპირი აზრით არ შეიძლება გაგებულ იქნას, არამედ როგორც სოციალური პოზიციის აღმნიშვნელი ტერმინი, ისევე როგორც ზემოთ ციტირებულ ტექსტში სიტყვა *შვილები*, რომელიც მეფის ქვეშევრდომების აღმნიშვნელი ჩანს.

მირიანმა ნინოს არსებითად სოციალური დედობის საპატიო სტატუსი შესთავაზა. ამ სტატუსის მქონე შეიძლება ყოფილიყო ქვეყნის მმართველის (მეფის, ერისთავის და ა.შ.) მეუღლე ანუ პირველი ქალბატონი, რომელსაც პყავს სოციალური შვილები ანუ ქვეშევრდომები<sup>3</sup> და კულტის მსახური უზენაესი ქურუმი ქალი, რომელთან მიმართებაშიც შესაბამისი რელიგიური ერთობის წევრები, აგრეთვე, არიან შვილები (ანუ ჩვილები). კონტექსტიდან გამომდინარე ცხადია, რომ *მაწონებლობა* უნდა გავიგოთ, როგორც წარმართული კულტის მსახური ქალის პრივილეგირებული საზოგადოებრივი პოზიცია. *მაწონებელი* არსებითად მირიანის მეორე პროექტის გასაღები სიტყვაა. იგი ცხადყოფს, თუ როგორ წარმოედგინა მირიანს ქრისტიანი მისიონერი ქალის ადგილი არმაზული რელიგიის კონტექსტში: *მაწონებელი* ნინო მირიანის შვილების ანუ ქვეშევრდომების ანუ ქართლის დედაა.

რა უცნაური შეთავაზებაა, რა საფუძველი შეიძლება ჰქონოდა ამას?

ვიდრე ამ კითხვას ვუპასუხებდე, მინდა მკითხველის ყურადღება გავამახვილოთ ერთ, ყველასათვის კარგად ცნობილ, გარემოებაზე: ადამიანისათვის დედა ფუნდამენტური ღირებულებაა, ამიტომ დედის ცნების აღმნიშვნელი მრავალი სიტყვა შეიძლება მოეპოვებოდეს ენას, იმის მიხედვით, თუ დედობის რომელი ატრიბუტის აქცენტირებაა აუცილებელი მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში. *მაწონებელობაში* აქცენტირებულია რძის მეშვეობით შვილის დანაყრების, მაწონერად ყოფნის ფაქტი. ამგვარად, ეს სიტყვა მყარ ასოციაციას აღძრავს რძესთან. ხოლო რძე, როგორც ირკვევა, არის დედა ქალღვთაების უმთავრესი ატრიბუტი, შესაბამისად *მაწონებელობა* არის მისი უმთავრესი ჰიპოსტასი.

ძალიან საინტერესო პარალელის გავლება შეიძლება ამ შემთხვევაში ქალღვთაება ნინჰურსანგასთან, რომელსაც შუმერთა პანთეონში ეჭირა ზოგადად დედაღვთაების ადგილი. მკითხველის ყურადღებას შევაჩერებ სახვითი ხელოვნების ერთ-ერთი ძეგლზე, რომლის მეშვეობით ამ ქალღვთაების – ღმერთების დიდი დედის – კულტთან დაკავშირებულ ძალიან საინტერესო დეტალს ვიგებთ. სიტყვა შეეხება სპილენძის ფრიზს, რომელიც აღმოჩენილ იქნა თელ-ალუბაიდის ტაძარში. იგი თარიღდება ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებით. აქ გამოსახულია სცენა, თუ როგორ იღებენ რძეს აღნიშნული ქალღვთაების ტაძრიდან: ადამიანების გრძელი რიგი დგას, ხელში ყველას უჭირავს მომცრო ზომის ჭურჭელი (ვებგვერდი “შუმერთა ღმერთები და ქალღმერთები”). აშკარაა, რომ საქმე ეხება სარიტუალო რძის აღებას: ამ რძის დაგემოვნება ზიარებას ნიშნავს ანუ ერთი დედის შვილობას. ესაა ერთი და იმავე რელიგიური ერთობის წევრთა საერთო დედის (ქალღმერთის) რძით მარკირების რიტუალი. ნინჰურსანგა არის ამ კოლექტივის დედა ანუ *მაწონებელი*. აი, რა სტატუსს უქადდა მირიანი ნინოს.

აღნიშნულის ფონზე მისიონერი ქალის სახელის გააზრებას მნიშვნელოვან დაკვირვებამდე მივყავართ: ერთი მხრივ, სახელი *ნინო*, რომელსაც ქართველთა განმანათლებლისათვის აფიქსირებენ ქართული წყაროები (და მათგან მომავალი

სომხურიც) და, მეორე მხრივ, ძველ მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული დედა ღვთაების სახელწოდება ერთი და იგივეა: ნინ/ნან სეგმენტს ვხდებით არაერთი შუემერული ქალღმერთის სახელში: ნინთური, ნინანა, ნინლილი, ნინთუ, ნინჰურსანგა, ინანა. ყველა შემთხვევაში ნინ/ნან ნიშნავს ქალბატონს, დედას.

აღნიშნული ქალღვთაება უცხო არ იყო ქართული წარმართული პანთეონისათვისაც: შვიდიდან ორი კერპი სწორედ მის სახელზე ყოფილა აღმართული: ესენი იყვნენ აინინა და დანინა, “მოქცევაჲ ქართლისაჲს” მიხედვით (აბულაძე 1963: 82), და აინინა და დანანა, “ქართლის ცხოვრების” მიხედვით (ყაუხჩიშვილი 1955: 27). *აი* და *და* მარცვლები აინინაში და დანინაში (დანანაში), აშკარად ატრიბუტებს წარმოადგენენ და მიუთითებენ ერთი და იმავე ქალბატონის (დედის) სხვადასხვა ჰიპოსტასს. ანუ აინინასა და დანინას სახით საქმე გვაქვს ერთი ქალღვთაების ორი მდგომარეობის გამომსახველ კერპებთან. როგორც ცნობილია, ღვთაებისა და მისი კერპის (ხატის) ამგვარი გააზრება დამახასიათებელია საზოგადოდ რელიგიური ცნობიერებისათვის. შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, თუ რა ჰიპოსტასებზე უნდა იყოს აქ მინიშნება. ჩემი ფანტაზიით (სხვაგვ, ცხადია, გამორიცხული არ არის) შესაძლებელია ეს დაკავშირებული იყოს მზესთან: აინინა წარმოვიდგინოთ გამთენიის ანუ აისის ნინად ანუ ქალღვთაების იმ კერპად, რომელსაც ამომავალი მზის სხივი ეცემოდა, ხოლო დანინა (იგივე დანანა) – დაისის ნინად (თუ ნანად) ანუ ქალღვთაების იმ კერპად, რომელსაც ჩამავალი მზის სხივი დაეცემოდა.<sup>4</sup>

ქართული ენის არაერთ რეგიონალურ ინვარიანტში *დედის*, *დიდი დედის* ანუ *დიდედის* აღმნიშვნელი სიტყვა უკავშირდება *ნნ* ფუძეს, რომელიც სხვადასხვანაირად შეიძლება იყოს ვოკალიზებული: ხან როგორც *ნინ*, ხან როგორც *ნან*, ხან როგორც *ნენ* და ა.შ. გურული ქართულით ნენა-ი/ნენე-ი და აჭარული ქართულით ნენე-ი ნიშნავს “ბებიას, დედას”, მეგრული ქართულით ნანა “დედაა”, ხოლო ნანდიდი – “დიდედა”; სვანურში ძირად გამოიყოფა ნან/ლან (დისიმილაციით) ნანაგ – “სადედე, დედუდეოთი” (ჩუხუა 2000/2003: 164). ამავე ფუძეს უკავშირდება ქალის, შვილის აღმნიშვნელი

სიტყვებიც. მაგალითად, მეგრულად *ნანა*! ნიშნავს “შვილო!” სვანურ ქართულად *ნანურ* აღნიშნავს ჩინებული თავადის ქალიშვილს. *ნინუ* ძველქართულად ნიშნავს ბავშვს (ფენრიხი და სარჯველაძე 2000: 357-358; დონდუა 2001: 323; ამირეჯიბი-მაღლენი 2006: 348).

ცხადია, შემთხვევითი არ შეიძლება იყოს ის ფაქტიც, რომ მირიანის ცოლსაც იგივე სახელი *ნანა* ანუ დედა ჰქვია. საანალიზო ტექსტში *ნანა* უნდა განვიხილოთ მეფის მეუღლის წოდებად. გამოთქმა *ნანა დედოფალი* ტავტოლოგიურია. ეს იგივეა, რომ ვთქვათ, *დედოფალი დედოფალი*. ამგვარი ტავტოლოგია უნდა გაჩენილიყო იმ დროს, როცა *ნანა* საკუთარ სახელად იქნა აღქმული. თავდაპირველ ტექტში, ცხადია, იყო მხოლოდ *ნანა*, რადგან ეს სიტყვა *დედოფლის* დამატების გარეშეც აჩვენებს, რომ ლაპარაკია ქვეყნის პირველ ქალბატონზე. დედოფლობის ცნება წარმოუდგენელია საკრალურობის გარეშე. ტიტული *დედოფალი*, ბუნებრივია, გამოყენებულ იქნას უზენაესი ქურუმი ქალის მიმართაც.

ამ შემთხვევასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ჩანს ხეთური მონაცემების გათვალისწინებაც: ხეთების დედოფალი, როგორც ცნობილია, ატარებდა ტიტულს “თავანანა”. ამ ტერმინით აღინიშნებოდა საერთოდ ტახტის მემკვიდრის დედა (გიორგაძე 1988: 55). ძალიან საინტერესოდ მეჩვენება, რომ შესაძლებელია ამ ტერმინის გააზრება ზემოთ მოყვანილი ქართული მასალის ფონზე: სიტყვის პირველი ნაწილი *თავი*, როგორც ცნობილია, ქართულად ნიშნავს პირველს, მთავარს.<sup>5</sup> *თავა ნანა*, ამგვარად, ნიშნავს პირველ (თავ) ქალბატონს. ასე რომ, *თავანანას* ზუსტი შესატყვისია *დედოფალი*, ანუ დედა უფალი, ე.ი. პირველი, უფროსი (უმთავრესის აზრით) ქალბატონი.

ზედმეტი არ უნდა იყოს იმის დაფიქსირებაც, რომ ქართული ენის არაერთ რეგიონალურ ინვარიანტში ენის აღმნიშვნელადაც იგივე ფუძეა გამოყენებული. მაგალითად, მეგრულ ქართულად ენა არის “ნინა” (ამირეჯიბი-მაღლენი 2006: 148), ხოლო სვანურ ქართულად – “ნინ” (დონდუა 2001: 240). ზემოთქმულის ფონზე ეს ფაქტი იოლად გასაგებია: პირველი სიტყვა, რომელსაც ადამიანი ამბობს, არის *დედა*. შესაბამისად, ლოგიკურია, რომ *ენა* და *დედა* ერთი და იგივე ფუძის

მქონე სიტყვით აღინიშნება, ბუნებრივია, რომ *ენა* ემთხვევა *დედას*, რადგან ენის ამოდგმა იწყება “დედის” თქმით. ასე რომ, მითითებული თანხვედრაც დამატებით გვიდასტურებს, რაოდენ ძველია ქართულში *ნნ* ფუძის მქონე სიტყვის გამოყენება დედის აღსანიშნავად.

ფორმები *ნან* და *ნინ* შეიძლება იყოს არა უბრალოდ ფონეტიკური ვარიაციები, არამედ გარკვეული შინაარსის ნიუანსირებას ემსახურებოდნენ. ასევე სიტყვების – დედა და ნან/ნინა – გამოყენებაც თავდაპირველად, შესაძლოა, მკაფიოდ რეგლამენტირებული იყო სიტუაციით. როცა ეს გაგება დაიკარგა, სხვადასხვა რეგიონალურ ვარიანტში მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი დანარჩუნდა.

მსჯელობის შემდგომი გაშლისათვის საინტერესო სურათს გვაძლევს ჩრდილოკავკასიური მასალა: უდურ ენაში *ნანა* ნიშნავს დედას, რუთულურ ენაში *ნინ* ნიშნავს დედას, ხოლო ღუმუქურ ენაში – *ნინუ* (ჯავახიშვილი 1992: 687,688). ვაინახებში დედას ეწოდება *ნანა*, წოვა-თუშებში კი – *ნან* (შაგხელიშვილი 1983: 18,96); თუშეთში დედამთილს ეწოდება *ნან* ანუ დედა (შაგხელიშვილი 1987: 40). ეს მოვლენა ანუ დედის (და საზოგადოდ ქალის, უფრო ზუსტად, ქალბატონის) დაკავშირება ნან/ნინ ფუძესთან ვრცელ არეალზე გავრცელებული ქალღმერთის უნივერსალური კულტის არსებობის შედეგი უნდა იყოს და ვერ აიხსნება ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინის მხოლოდ ჩვეულებრივი ენობრივი ნასესხობით.<sup>6</sup>

ამგვარად, მისიონერი ქალის სახეში მირიანი გამოკვეთს წარმართული ქალღვთაების შტრიხს. მისი ეს იდეა პროვოცირებული ჩანს იმდროინდელი რეალობით: მისიონერ ქალს, რომელსაც თავისი კურნებებით შვება მოჰქონდა ადამიანებისათვის, ბუნებრივია, რომ მფარველად ანუ დედად აღიქვამდნენ და შესაბამისად *ნინოს* ანუ დედას უწოდებდნენ. მოწაფეები რომ მას დედას ეძახდნენ, ეს კარგად ჩანს სიდონიას ზემოთ მოყვანილი მოგონებიდან: “მაშინ ევედრნეს დედასა ჩემსა ნინოს ნანა დედოფალი და მეფეცა” (აბულაძე 1963: 131). ყოველთვის დედად მოიხსენიებს მისიონერ ქალს ასევე მისი მოწაფე მირიან მეფე (აბულაძე 1963: 136, 158, 160,163).

“წმ. ნინოს ცხოვრების” უძველეს რედაქციაში (როგორც ითქვა, ასეთია “მოქცევაჲ ქართლისაჲს” მეორე ნაწილში და-

ცული ძეგლი) ნინოს დედად წარმოსახვის ფაქტს პირველმა ყურადღება მიაქცია რ. სირაძემ (სირაძე 1987: 80-128). მანვე შენიშნა, რომ ნინოს სახე შეიცავს არა მარტო ქრისტიანულ, არამედ წარმართული ქალღვთაების ბუნებისათვის დამახასიათებელ ნიშნებს, რომ ეს უკანასკნელი პლასტი იმდენად ძლიერია, რომ მისი საშუალებით ჩვენ შეგვიძლია აღვადგინოთ ეს ქალღვთაება ანუ დედა უფალი (სირაძე 1987: 82). სავსებით ვიზიარებ გამოთქმულ თვალსაზრისს. ამის შესახებ შევნიშნავდი მრავალი წლის წინ, როცა ეს დაკვირვება დავიმოწმე, როგორც “წმ. ნინოს ცხოვრების” უძველესი რედაქციის ავთენტურობის მტკიცებულებისათვის ერთ-ერთი არგუმენტი. ახლა მინდა განვაგრძო იგი და შევავსო ვითარების შემეცნებისათვის უმნიშვნელოვანესი ფაქტით: როგორც ირკვევა, მისიონერ ქალს მიეწერებოდა არა მარტო წარმართული ქალღვთაების ატრიბუტები, არამედ მას ზუსტად იგივე სახელითაც მოხსენიებდნენ, რითაც ძველი სამყაროს მნიშვნელოვან არეალში და, მათ შორის, საქართველოშიც ფართოდ თაყვანცემულ დედა ღვთაებას. *ნინო* უნდა იყოს ამ სახელის წოდებითი ფორმა. ქართული სინამდვილისათვის ასეთი ფორმა ბუნებრივია.

ქართლის საზოგადოების მიერ ქრისტიანი მისიონერი ქალის პერცეფცია, გარდატეხილი წარმართული ქალღვთაების პრიზმაში, გასაგებია: არმაზული რელიგია წარმოადგენდა ავტორიტარულ რელიგიას. ამგვარი რელიგიური სისტემისათვის დამახასიათებელია შიში, მორწმუნეებს ემინიათ ღვთაების და ეს განაპირობებს მისდამი მათ ღოიადობას (ფრომი 1990: 166-167). მაგრამ ეს არის რელიგიური გამოცდილების მხოლოდ ერთი მხარე. ადამიანის ფსიქიკის უნივერსალიაა მოთხოვნილება არა მარტო მამასავით მკაცრ ღმერთზე, არამედ ქალ მფარველზე, რომელიც მათ, როგორც ჩვილებს, ისე შეიფარებს. ეს ადამიანის მუდმივი და მძაფრი ემოციით შეფერილი სურვილია. ქართული წარმართობის სისტემატიზებისას მირიანმა მეომარი მამაკაცი ღვთაების ავტორიტარული კულტი გააძლიერა. თუმცა ქალღვთაების კერპები აინინა და დანინაც დანარჩუნდნენ. მეტიც: როგორც წყაროები გვიჩვენებს, ისინი არსებობას განაგრძობდნენ “არმაზული ტრიადის” შემუსვრის შემდეგაც. ასე რომ, ქალღვთაების კულტი

არმაზის საყმოში<sup>7</sup> მოქცევის უშუალო წინა პერიოდში კვლავ ცოცხლობდა. მისიონერი ქალის სახე სწორედ ამ ადრე არსებულ სქემაში “ჩაჯდა”. ნინოს შესახებ ინფორმაციის კოლექტიურ მეხსიერებაში მოხვედრისას, ანუ კოგნიტური ადაპტაციის პროცესში ახალი ხატის შექმნა (აკომოდაცია) კი არ გახდა საჭირო, არამედ იგი მოთავსდა უკვე არსებულ ხატში, ანუ მოხდა ახალი ინფორმაციის ასიმილაცია უკვე არსებული ხატის მეშვეობით. შემდგომში სწორედ ამან გააადვილა ქართული საზოგადოების ღრმა მენტალური ტრანსფორმაცია ანუ წარმატებული მოქცევა ქრისტიანობაზე.<sup>8</sup>

საერთოდ, ქრისტიანულ ერთობებში მიმართვის ნათესაური ფორმები (მამა, დედა, და, ძმა, შვილი) მიღებულია, მიუხედავად იმისა, ეს რელიგიური ჩვენ-ჯგუფები სისხლით იდენტობის საფუძველზე აღმოცენებული ჩვენ-ჯგუფებისაგან პრინციპულად განსხვავდება (მიქსი 1983). ნათესაური იდენტობის საფუძველზე შეკრულ ერთობებს ახასიათებთ დიდი მედეგობა. რელიგიური ჩვენ-ჯგუფები ახდენენ ამგვარი ერთობების თავისებურ მიმიკრიას, ოჯახური კავშირების განცდას და ზემოთ ნახსენები მიმართვების ფორმები სწორედ ამ მოვლენის ამსახველია. ეს ისაა, რაც რელიგიურ ერთობებს დამატებით გამძლეობას ანიჭებს. მაგრამ ეს სხვათა შორის. ამჯერად ჩემთვის არსებითი ისაა, რომ ქრისტიანებისათვის და წარმართებისათვის თანაბრად ბუნებრივი უნდა ყოფილიყო მიმართვის ფორმა *დედა* ანუ *ნინო*. ამიტომ მოხდა, ვიმეორებ, რომ მისიონერმა ქალმა ქართველთა პერცეფციებში წარმართი ქალღვთაების – დედის/მაწონებელის ადგილი დაიკავა. დედა-მფარველზე ინფორმაციის განსათავსებლად საჭირო “ფაილი” სახელწოდებით *ნინო* (ანუ დედა) უკვე არსებობდა ქართული ერთობის ისტორიულ მახსოვრობაში.<sup>9</sup>

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ არ არის მართებული, როცა მ. სურგულაძე სწორედ მეხსიერების ხატების მოხმობით ცდილობს უარყოს “წმ. ნინოს ცხოვრების” ვრცელი რელაქციის ავთენტურობა (სურგულაძე 2008: 321-329). ქრისტიანი განმანათლებლის *ნინოდ* ანუ წარმართული ქალღვთაების ანალოგიურად დედად გააზრება მოსალოდნე-



ლია სწორედ წარმართობიდან ქრისტიანობაზე გარდამავალ ეპოქაში.

უკანასკნელ პერიოდში წმ. ნინოს სახელის პრობლემას შეეხო ი. გიპერტი, რომლის აზრით, ნინოს წარმომავლობა უნდა განვსაზღვროთ იმ ენით, რომელიც მან იცოდა, ხოლო სახელი უნდა ვეძებოთ სწორედ მისი წარმომავლობის კულტურულ არეალში: “წმ. ნინო ნამდვილად არ იყო მკვიდრი ქართველი და ამგვარად, მისი სახელი არც უნდა ყოფილიყო აუცილებლად ქართული. ლეგენდის მიხედვით წმ. ნინო მოვიდა კაპადოკიიდან და თავშესაფარი ჰპოვა ებრაელთა თემში, “რადგან ებრაული იცოდა”. ამ ინფორმაციას თუ დავეყრდნობით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მისი მშობლიური ენა იყო არამეულ-სირიული, ხოლო მისი სახელი სირიული უნდა ყოფილიყო” (გიპერტი 2006: 107). მაგრამ ენის ცოდნის მიხედვით ადამიანის წარმომავლობა ვერ დადგინდება. ადამიანმა შეიძლება რამდენიმე ენა იცოდეს, კერძოდ, ასეა წმ. ნინოს შემთხვევაში: “მოქცევაჲ ქართლისაჲში” დაცული “წმ. ნინოს ცხოვრების” ვრცელი რედაქციის მიხედვით ჩვენ ვიცით, რომ იგი ფლობდა არა მარტო ებრაულს, არამედ ბერძნულსაც. შრომანამ ნინოსთან კონტაქტის დასამყარებლად “ბერძლმეტყველი” ანუ ბერძნული ენის მცოდნე მიიყვანა (აბულაძე 1963: 122). “წმ. ნინოს ცხოვრების” ლეონტი-სეული რედაქციაში ისიც კი არის შენიშნული, რომ წმ. ნინომ სომხურიც იცოდა (ყაუხჩიშვილი 1955: 85). საკითხავია, რომელი ენის მიხედვით დავადგინოთ წმ. ნინოს წარმომავლობა?!<sup>10</sup> არამართებულია ადამიანის სახელის უსათუოდ იმ გარემოში ძიებაც, რომელშიც ის წარმოიშვა. ანუ კიდევ რომ მოგვეხერხებინა წმ. ნინოს წარმომავლობის გარკვევა, ეს არ იქნებოდა რაიმე მტკიცებულება მისი სახელის დადგენისათვის. ჩვენამდე შეიძლება მოაღწიოს არა იმ სახელმა, რომელიც ისტორიულ პიროვნებას მშობლებმა შეარქვეს, არამედ იმან, რომელსაც უწოდებდნენ მას იმ ქვეყნის მაცხოვრებლები, სადაც მოღვაწეობდა. ამ უკანასკნელი შესაძლებლობის აღბათობა მით უფრო მეტია, რაც მეტია პიროვნების ღვაწლის მნიშვნელობა ადგილობრივი მოსახლეობისათვის. განმანათლებელი კი სწორედ ასეთი პიროვნებაა. წმ. ნინო მოღვაწეობდა ქართველთა შორის. ამიტომ სრუ-

ლიად ბუნებრივია, რომ ქართულმა წყაროებმა შემოგვინახეს მისი სწორედ ის სახელი, რომლითაც ქართველობა მას მიმართავდა: “დედაო” ანუ “ნინო”.

ამგვარად, ვითარება ასე წარმოდგება: როცა მოულოდნელად განადგურდა არმაზის კერპი, გამოუვალი დიდემის წინაშე დადგა მირიანი. სწორედ ამ დროს მის თვალსაწიერში გამოჩნდა მისიონერი ქალი, რომელმაც თავისი კურნების ნიჭით დიდი პოპულარობა მოიხვეჭა. ამიტომ მირიანმა გადაწყვიტა მისი ფიგურა ახალი რელიგიური რეფორმისათვის გამოეყენებინა. მაგრამ ეს რეფორმა ჯერ კიდევ არ იყო ქრისტიანობა, არამედ არმაზის კულტის რეანიმაცია. ამიტომ შესაბამისი გეგმა შესთავაზა წმ. ნინოს, რომელშიც მისიონერ ქალს ქართლის დედის ანუ მაწონებელის ადგილი ჰქონდა მიჩენილი. როგორც წყაროდან ირკვევა, ნინომ მირიანის ეს შეთავაზება არ მიიღო და საპასუხოდ ქართლის მეფეს ქვეყნის ქრისტიანიზაციის პერსპექტივა გადაუშალა, მაგრამ ამჯერად ამაზე საუბარი არ იქნება. თუმც ვიდრე ამ გამოკვლევაში წერტილს დავესვამდე, აუცილებლად მიმანია შევეხო კიდევ ერთ საკითხს.

“წმ. ნინოს ცხოვრების” ვრცელი რედაქცია იწყება განმანათლებლის დასწავლებისა და გარდაცვალების ეპიზოდით. წმ. ნინოს სთხოვენ მოუთხროს თავისი ცხოვრების შესახებ. აი, რას პასუხობს იგი: “მოიხუენით აღსაწერელნი წიგნისანი და დაწერეთ სიგლახაკჳ ჩემი და უდები ცხორებაჲ ჩემი, რადთა უწყოდიან შვილთაცა თქუენთა სარწმუნოებაჲ თქუენი და შეწყნარებაჲ ჩემი, და სასწაულნი ღმრთისანი, რომელნი გიხილვან მცირედნი მათა მათ ზედა, მაყულოვანსა მას შინა, სუეტისა აღმართებასა, და მიერ წყაროსა მას ზედა და ვიდრე აქა მოსლვადმდე ჩემდა” (აბულაძე 1963: 106). ამგვარად, ოთხი ჯგუფის სასწაულების შესახებ მიუთითებს განმანათლებელი: სასწაულები, რომელთაც ადგილი ჰქონდათ მათა ზედა (1), მაყულოვანში (2), სუეტთან (3) და წყაროსთან (4). პირველი სამი ჯგუფის იდენტიფიკაცია იოლად ხერხდება. პრობლემას წარმოადგენს სასწაულების მეოთხე ჯგუფი.

ჩვენ არ ვიცით, ზუსტად რას ეხება აქ სიტყვა. მხოლოდ იმ თავში, სადაც ვხდებით ჯერის აღმართვის შესახებ ცნო-

ბას, შენიშნულია შემდეგი: “ხოლო ესე სასწაულთაგან ზეცისათა ჩუენებული პატიოსანი ჯუარი მცხეთისად აღვიპყართ კელითა კაცობრივითა და მივედით **ბორცუსა მას ქუეშე, წყაროსა მას ზედა** და ვათიეთ ღამშ და ვილოცევდით ღმრთისა მიმართ. ხოლო ნეტარი წმიდად ნინო ცრემლითა განჰაზავებდა წყაროსა მას და იქმნებოდის კურნებანი და სასწაულნი დიდ-დიდნი” (აბულაძე 1963: 151) (ხაზი ჩემია. – მ. ჩხარტიშვილი). ამგვარად, ისე ჩანს, რომ მკითხველისათვის ცნობილი უნდა იყოს როგორც ბორცვი, ისე წყარო. ახლა ვნახოთ რა წერია ტექსტის წინარე მონაკვეთში: “გამოვიდეს ორი ვარსკულავი, ერთი წარვიდის აღმოსავალით და ერთი დასავალით, და იგი თავადი ეგრევე დგან მბრწყინვალედ, და ნელიად-ნელიად განდგეს მიერ კერძო არაგუსა და დადგის ბორცუსა ზედა კლდისასა, ზემო კერძო, ახლოს **წყაროსა მას**, რომელი-იგი აღმოადინნეს ცრემლითა წმიდისა ნინოდსთა, და მუნ აღმაღლდის ზეცად” (აბულაძე 1963: 149) (ხაზი ჩემია. – მ. ჩხარტიშვილი). კვლავ ისეა მოხსენიებული წყარო, რომ წინა წერილით მასზე უნდა იყოს თქმული. მაგრამ ტექსტში ასეთი ინფორმაცია არა გვაქვს. ამგვარად, სასწაულები წყაროსთან, რომელიც ასე მნიშვნელოვნად მიაჩნდა განმანათლებელს, ჩანს, ტექსტის თავდაპირველ ვერსიაში იყო, ახლა კი აღარ არის. ამასთან დაკავშირებით ორი ასეთი კითხვა ისმის: რა სასწაულებს შეეხება სიტყვა? და რატომ იქნა ისინი ამოღებული ტექსტიდან?

“წმ. ნინოს ცხოვრების” მეტაფრასული და პერიფრაზული რედაქციები, ძველი რედაქციების მონაცემებთან შედარებით, რამდენიმე უცნობ დეტალს აფიქსირებს. ვიგებთ, რომ მცხეთის მოქცევის შემდგომად ნინო ასულა მცხეთის პირისპირ აღმართულ მთაზე, სადაც ათევედა ღოცვით ღამეებს. აი, აქ აღმოაცენა წყარო, რომლისაგან იქმნებოდა კურნებანი და რომ ეს წყარო ავტორის დრომდე არსებობს (აბულაძე 1971: 75). ამგვარად, ამ რედაქციებით სასწაულთა ერთგვარი კონკრეტიზაცია და აწმყოსთან დაკავშირება ხდება: წყაროთი იკურნებოდნენ წმ. ნინოს დროს და შემდეგაც. საჯვარე ხეც ამ წყაროსთან აქვს დაკავშირებული მეტაფრას ჰაგიოგრაფს (აბულაძე 1971: 40). ჩანს, XII-XIII საუკუნეებში, როცა სავარაუდოა, რომ “წმ. ნინოს ცხოვრების” მეტაფრასული და

პერიფრაზული რედაქციები შეიქმნენ, ინტერესი ამ სასწაულის მიმართ არსებობდა.

წყაროსთან სასწაულის რაობაზე უფრო სრულ წარმოდგენას გვიქმნის ხალხური გადმოცემა, რომელიც XIX საუკუნეში დაფიქსირებულ აქვთ მ. საბინინს ნ. გულაბერიძის თხზულების “საკითხავი სუჭტის ცხოველისა, კუართისა საუფლოსა და კათოლიკე ეკკლესიისა” პუბლიკაციისათვის დართულ ერთ-ერთ შენიშვნაში და ა. ნატროვეს სვეტიცხოვლისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში.

ქვემოთ მომყავს შესაბამისი ამონარიდი მ. საბინინიდან: “სუჭტის ცხოველის კრების ეკკლესიის პირდაპირ, არაგვის მდინარის გაღმა, წმ. ჯუარის ეკკლესიის სამხრეთ მხარეს ძირს, შორიდან მოჩანს კლდისა ზედა მცირე ხეობა, ფრიად ფურცლოანი, შუაკლდეში გამოქვაბულ არს მცირე ეკლესია, რომელი ნახევარი ყოფილა, არს ნაშენი, აწ დარღვეული, წმ. მოციქული ნინოსი, იმ ეკკლესიის ძირში კლდიდან გამოდის მცირე წყარო ფრიად შუშნიერის გემოსი, რომელსაც უწოდიან ძუძუს წყაროთ. წყარო ესე არს გამოთხოვილი წმ. ნინოს ცრემლით, ოდენ დაემალა ნეტარი ამ ქუშყანის ამაო დიდებასა. რომელთა დედათა შობიერობის შემდეგ დაეშრიტების ხოლმე რძე – მივლენ იმ წყაროსთან, უთევენ მოწიწებით ღამესა იმ წმ. ეკკლესიის გუერდზე და შემდეგ მხურვალისა ღოცუასა წმ. ნინოს მიერ მიეცემის რძე ყრმათათჳს” (საბინინი 1882: 99); შდრ. (ნატროვეი 1900: 17). ამგვარად, სრულიად დაკონკრეტებულია სასწაული: ეს არის რძის მიცემის სასწაული. ამასთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, გვახსენდება ზემოთ თქმული: ქრისტიანი მისიონერი ქალის დედად გააზრება, მისი მაწოვნებელობა, წარმართული დედაღვთაების – ნინას – ნიშნები მის სახეში. რძის გაჩენის სასწაული სწორედ მის ამ თვისებას გამოხატავს ყველაზე მკაფიოდ, ვიდრე თუნდაც საზოგადოდ კურნების სასწაული. ზემოთ უკვე ნახსენები იყო ნინაწურსანგას – ღმერთების დიდი დედის – სახის რაოდენ არსებითი ატრიბუტია რძე. დედა, უპირველეს ყოვლისა, არის მაწოვნებელი ანუ ის, ვინც რძეს იძლევა. მაწოვნებლობის ქრისტიანული გადააზრება არის სწორედ ღოცვით რძის მინიჭება. ქალწული ნინო თავისი ღოცვით იძლევა რძეს. ყველა ქალი, რომელსაც ეს სასწაუ-

ლი კურნავს, ფაქტობრივად ნინოს მიერ მიცემული რძით კვებას თავის შვილს. ანუ ეს სასწაული უკავშირდება ნინოს სახის მთავარ შტრიხს: დედობას, მის მაწონებელობას. და ეს არის წარმართული ქალღვთაებათა მთავარი შტრიხიც.

როგორც ითქვა, ამ ეპიზოდის არსებობა თავდაპირველ ტექსტში სავარაუდოა. ის ასახავდა იმ ვითარებას, რომელზეც ზემოთ იყო საუბარი: წარმართული ქალღვთაების – დედის – თავყვანისცემა ჩაანაცვლა ქრისტიანი მისიონერი – დედის – ქალის თავყვანისცემამ და ამ პროცესში განმანათლებელმა მიიღო წარმართული ქალღვთაების ატრიბუტები. ეს გარდაუვალი ჩანს რელიგიური ტრანსფორმაციის დროს: ახლის მიღება სხვაგვარად წარმოუდგენელია. მაგრამ ის, რაც ბუნებრივი იყო გარდამავალ პერიოდში (გვულისხმობ განმანათლებელის მსგავსებას წარმართულ ქალღვთაებასთან) მოუთმენელი უნდა გამხდარიყო მოგვიანებით, როცა რელიგიური ტრანსფორმაცია არსებითად დასრულდა.

წმ. ნინოს სახეს ბევრი რამ აკავშირებს წარმართულ კულტთან. ამ რიგის ფაქტები სათანადო სისრულით აქვს აღნუსხული რ. სირამეს ზემოთ დამოწმებულ ნაშრომში. ისინი დღემდე დასტურდება წმ. ნინოს “ცხოვრების” სხვადასხვა რედაქციებში. მაგრამ რძის მიცემის უნარი არის ქალღვთაებასთან განსაკუთრებულად მკაფიო ასოციაციური ბმის მქონე მარკერი. ამიტომ ამის მაჩვენებელი ისტორია არასასურველი უნდა ყოფილიყო ქრისტიანული წმინდანისათვის. შესაბამისად, მე ვთვლი, რომ ეს შტრიხი შემდეგდროინდელმა რედაქტორებმა სრულიად შეგნებულად “ჩააქრეს” განმანათლებლის სახეში და შესაბამისი ეპიზოდიც ამოიღეს მისი “ცხოვრებიდან”. სამაგიეროდ, იგი შემოინახა ზეპირსიტყვიერებამ, სწორედ იმიტომ, რომ აღნიშნული ატრიბუტი იწვევდა ყველაზე ღრმა შთაბეჭდილებას ქალი წმინდანის პერცეფციაში: *რძე* “ფიზიკურ” განზომილებას ანიჭებდა მის დედობას.

ამგვარად, დედა-ნინოს ანუ *მაწონებლის* სახე ქართული ერთობისათვის, როგორც მნემონიკური კოლექტივისათვის, სრულიად განსაკუთრებულია. იგი ქართული კოლექტიური მახსოვრობის ისტორიის თავისებური გზაჯვარედინია: მასში წარმართული და ქრისტიანული ცნობიერების ნაკადები ერთ-

მანეთს ხვდება, ერთ მომენტში ურთიერთს კიდევაც შეერწყმის, მაგრამ შემდგომ ცალკეედება.

*გამოკვლევა არის ნაწილი პროექტისა, რომელიც განხორციელდა სსიპ ქართველოლოგიის, პუბლიკარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის (რუსთაველის ფონდი) მოპოვებული გრანტის (№ 005-08) მეშვეობით.*

## შ ე ნ ი შ გ ნ ე ბ ი

1. საკითხის ისტორიოგრაფიისათვის იხ. (მანია 2008ა: 58-67; მანია 2008ბ).

2. სიდონია წმ. ნინოს გამორჩეული მოწაფე იყო. მის შესახებ უფრო ვრცლად იხ. (ჩხარტიშვილი 1999: 6-17).

3. შდრ.: იაკობ ხუცესის ნათქვამი წმ. შუშანიკისადმი: “ჩუენი არა ხოლო თუ დედოფალი ოდენ იყავ, არამედ ჩუენ ყოველთა ვითარცა შვილთა გუხედევდ” (აბულაძე 1963: 14).

4. აქ უნდა აღინიშნოს მ. წერეთლის თვალსაზრისი, რომელიც მან გამოთქვა თავის ნაშრომში “ხეთის ქვეყანა, მისი ხალხები, ენები, ისტორია და კულტურა”. მ. წერეთელი უშვებს როგორც ჰიპოთეზას აზრს, რომლის მიხედვითაც ეს უნდა იყოს ორი სახელი ურთიერთისაგან ოდნავ განსხვავებული ქალ-ღმერთისა ანუ ორი სახე ერთისა და იმავე ქალ-ღმერთისა (მ. წერეთელი, ხეთის ქვეყანა, გვ.110-101; ვიმოწმებ ი. ჯავახიშვილის (1979: 142) მიხედვით).

5. *თავი* – რჩეული, საუკეთესო, უმჯობესი, საუმჯობესო, ჩინებული, *თავი* – ბელადი; *თავი* – მოთავე; თავი კაცი – თავკაცი, პატივსაცემი, *თავი ქალი* – პირველი, პატივსაცემი. იხ. (ნეიმანი 1978: 188,189). ამგვარად, *თავი ქალი* და *თავანანა* ქართული ენის კონტექსტში სინონიმებია. სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია თვალსაზრისი, რომლის მიხედვით, *თავი* უნდა მომდინარეობდეს სპარსული სიტყვებიდან “ძალა”, “შეძლება”, “უნარი” (ანთაძე 2007: 25-27), ანუ ეს არის ინდოევროპული ძირი, რომელიც უკავშირდება “ძალის” ცნებას. ამ გაგებითაც *თავანანა* ძალაუფლების მქონე ქალბატონია ანუ იგივე დედა უფალია.

6. მ. წერეთლის მითითებით, ცხადია ის, რომ მთელი მცირე აზიის სარწმუნოებრივ წარმოდგენათა კომპლექსში უეჭველად არსებობს რაღაც ერთობა, რომ ამ სარწმუნოებრივ წარმოდგენებს საფუძვლად უდევს უძველესი და უპირველყოფილესი სარწმუნოება (ჯავახიშვილი 1979: 143).

7. “არმაზის საყმო” – ამ ტერმინს ქართული ეთნოგრაფიული დისკურსში არსებული ტრადიციის ანალოგიით, ჩემი აზრით, სავსებით მართებულად, იყენებს ი. სურგულაძე. იხ. (სურგულაძე 2002: 139)

8. კოლექტიური მეხსიერების კვლევის ისტორიისათვის იხ. (რუდომეტოვი 2007: 1-16), აგრეთვე, (მინდაძე 2005).

9. ნ. ბერძენიშვილს არსებითად შენიშნული ჰქონდა რელიგიური ტრანსფორმაციისას კოგნიტური ადაპტაციის ეს თავისებურება. ამას მაფიქრებინებს მისი მსჯელობა ლეონტი მროველის მიერ ქართველი კაცის კულტურული სახის მოხაზვასთან დაკავშირებით: “მოხდა დიდი ისტორიული ტეხილი: ქართული წარმართობა ქრისტიანობით შეიცვალა და კულტურული ცნების ქართველის შინაარსში ქრისტიანობის მომენტმა ის ადგილი დაიკავა, რაც აქამდე ქართულ წარმართობას ეკირა. არ შეიძლება ითქვას, რომ ქრისტიანობამ რაღაც განსაკუთრებული მომენტი შეიტანა “ქართველის” კულტურულ ცნებაში. ქართველი სრულიად გამოკვეთილი კულტურული ცნება იყო და ამ მხრივ ახალი სარწმუნოება “ქართველის” კულტურულ ჩამოყალიბებაში ახალ მომენტს ვერ შეიტანდა. ქრისტიანობამ მხოლოდ ის ქნა, რომ წარმართობის ადგილი დაიჭირა” (ბერძენიშვილი 1990: 382-383).

10. სპეციალურ ლიტერატურაში ზოგჯერ შევხედებით სრულიად დაუსაბუთებელ თვალსაზრისებს წმ. ნინოს წარმომავლობასთან დაკავშირებით. ერთ-ერთი ასეთია კ. ლერნერის შეხედულება: ნინო იყო ებრაელი ქრისტიანი სომხეთიდან; იხ. (ლერნერი 2004: 49). ჩვენ არაფერი შეგვიძლია გადაწყვეტით ვთქვათ ქართველთა განმანათლებლის წარმომავლობის თაობაზე, თუმც მისი სახელი ქართველთა შერქმეულია, რადგან იგი ქართული ისტორიული ნარატივის პერსონაჟია, როგორც ქართველთა განმანათლებელია.

**აბულაძე 1963:**

ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი I (V-X სს). დასაბეჭდად მოამზადა ავტორთა კოლექტივმა ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბილისი: საქ. მეცნ. აკად. გამომც., 1963.

**აბულაძე 1971:**

ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი III (XI-XIII სს). დასაბეჭდად მოამზადა ავტორთა კოლექტივმა ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბილისი: საქ. მეცნ. აკად. გამომც., 1971.

**აბულაძე 1973:**

აბულაძე ი. ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები). თბილისი: მეცნიერება, 1973.

**აბულაძე 1991:**

სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული, I. ავტორისეული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებები და ლექსიკის საძიებელი დაურთო ი. აბულაძემ. თბილისი: მერანი, 1991.

**ამირეჯიბი-მაღენი 2006:**

კოლხური (მეგრულ-ლაზური) ენა. შემდგენელი რ. ამირეჯიბი – მაღენი, რედაქტორები ნ. დანელია და ი. ღუნდუა. თბილისი: უნივერსალი 2006.

**ანთაძე 2007:**

ანთაძე ფ. სიტყვა “თავ”-ის სპარსული წარმომავლობისათვის ერთ ქართულ ფრაზეოლოგიზმში. აკადემიკოს ა. შანიძის დაბადებიდან 120 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თბილისი, 2007.

**ბერძენიშვილი 1990:**

ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები. (მეორე გამოცემა). თბილისი: მეცნიერება, 1990.

**გიორგაძე 1988:**

გიორგაძე გ. ათასი ღვთაების ქვეყანა (ხეთები და ხეთური ცივილიზაცია). თბილისი: მეცნიერება, 1988.



**გიპერტი 2006:**

გიპერტი ი. წმ. ნინოს ლეგენდა: განსხვავებულ წყაროთა კვალი. ენათმეცნიერების საკითხები, I-II, 2006.

**დონდუა 2001:**

დონდუა კ. სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი (ლაშხური დიალექტი), თბილისი, 2001.

**დერნერი 2004:**

The wellspring of Georgian historiography. The early medieval historical chronicle. The conversion of Kartli and The Life of St Nino (Translated with introduction, commentaries and indexes by C.B. Lerner), Benneti & Bloom, 2004.

**მანია 2008ა:**

მანია ქ. ქართული პაგიოგრაფიული ძეგლების წყაროთმცოდნეობითი შესწავლის ისტორიიდან (XX საუკუნის 60-იანი წლებიდან დღემდე). შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის საკითხები, IX (რედაქტორი მ. ჩხარტიშვილი), თბილისი: უნივერსალი, 2008.

**მანია 2008ბ:**

მანია ქ. წყაროთმცოდნეობითი კვლევა საქართველოში XX ს-ის 60-იანი წლებიდან 2007 წლამდე. ნაწილი I. თბილისი: უნივერსალი, 2008.

**მინდაძე 2005:**

მინდაძე ი. ჯგუფის თვითმყოფადობა და კულტურული მემკვიდრეობის ხატები. თბილისი: საარი, 2005.

**მიქსი 1983:**

Meeks W.A. The first urban Christians. The social world of the Apostle Paul. New Haven–London: Yale University Press, 1983.

**ნატროვი 1900:**

Натроев А. Мцхет и его собор Свети-Цховели. Тифлис, 1900.

**ნეიმანი 1978:**

ქართულ სინონიმთა ლექსიკონი (მესამე გამოცემა). თბილისი: განათლება 1978.

**პატარიძე 2000:**

პატარიძე ლ. მირიანის სახელმწიფოებრივი პოლიტიკა და ქართლის მოქცევა. საერთაშორისო სიმპოზიუმი “ქრისტიანობა: წარსული, აწმყო, მომავალი” მოხსენებათა მოკლე

შინაარსები (რედაქტორები მ. ჩხარტიშვილი და ლ. მირიანაშვილი), თბილისი: მემატიანე, 2000.

**პატარიძე 2008:**

პატარიძე ლ. მოქალაქეობა ქართლის სამეფოში ქრისტიანობის კონტექსტში. სამოტიკა (სამეცნიერო ჟურნალი), III, 2008.

**რუდომეტოვი 2007:**

Roudometof V. Collective memory and cultural politics: An introduction. Journal of Political & Military Sociology, Vol.35, No.1 (Summer), 2007.

**საბინინი 1882:**

საქართველოს სამოთხე. სრული აღწერა ღუაწლთა და ვნებათა საქართუშლოს წმიდათა (შეკრებილი ხრონოლოგიურად და გადმოცემული პეტერბურგის სასულიერო აკადემიის კანდიდატის ივერიელის გობრონ (მიხაილ) პავლის ძის საბინინის მიერ), პეტერბურგი, 1882.

**სირაძე 1987:**

სირაძე რ. წმიდა ნინო და დედა-უფალი (ქართული წარმართული პანთეონის რეკონსტრუქციისათვის). ქართული აგიოგრაფია. თბილისი: ნაკადული, 1987.

**სურგულაძე 2002:**

სურგულაძე ი. არმაზის წარმომავლობისა და არმაზული მითოსის საკითხისათვის. ენა და კულტურა, №3, 2002.

**სურგულაძე 2008:**

სურგულაძე მ. სოციალური მეხსიერების ფაქტები “ნინოს ცხოვრებაში”. წმიდა ნინო (სამეცნიერო კრებული), I. რ. სირაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბილისი: არტანუჯი, 2008.

**ფენრიხი და სარჯველაძე 2000:**

ფენრიხი ჰ. და სარჯველაძე ზ. ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი (მეორე, შევსებული და გადამუშავებული გამოცემა). თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2000.

**ყაუხჩიშვილი 1955:**

ქართლის ცხოვრება. ტომი I. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი: სახელგამი, 1955.

**შახელიშვილი 1983:**

Шавхелишвили А.И. Из истории горцев Восточной Грузии. Тбилиси: Мецниереба, 1983.

**შახელიშვილი 1987:**

შახელიშვილი ა. თუშეთი (აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან). თბილისი: მეცნიერება, 1987.

**“შუმერთა ღმერთები და ქალღმერთები”:**

Sumerian Gods and Goddess: <http://www.crystalinks.com/sumer-gods.htm/>.

**ჩუხუა 2000/2003:**

ჩუხუა მ. ქართველურ ენა-კოლოკავთა შედარებითი ლექსიკონი. დამატებითი მასალები ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის, თბილისი: უნივერსალი, 2000/2003.

**ჩხარტიშვილი 1985:**

ჩხარტიშვილი მ. ქართული ისტორიული აზრის განვითარების ისტორიიდან (“მოქცევაი ქართლისაი”). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე (სერია: ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია და ხელოვნების ისტორია), №3, 1985.

**ჩხარტიშვილი 1987ა:**

ჩხარტიშვილი მ. ქართული ჰაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი შესწავლის პრობლემები (“ცხოვრებაი წმიდისა ნინოისი”). თბილისი: მეცნიერება, 1987.

**ჩხარტიშვილი 1987ბ:**

ჩხარტიშვილი მ. “ნინოს ცხოვრების” ვრცელი რედაქციის ატრიბუცია. მნათობი, №5, 1987.

**ჩხარტიშვილი 1997:**

ჩხარტიშვილი მ. ქართული ჰაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი ანალიზი (IV-VII სს ისტორიის ამსახველი ძეგლები). ავტორეფერატი დისერტაციისა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი: თსუ, 1997.

**ჩხარტიშვილი 1999:**

ჩხარტიშვილი მ. ქართველთა მოქცევა და ახალი ეროვნული იდეოლოგიის ჩამოყალიბება. მესხეთი (საისტორიო კრებული), III. თბილისი-ახალციხე: თსუ, 1999.

### **ჩხარტიშვილი 2008:**

ჩხარტიშვილი მ. “წმიდა ნინოს ცხოვრება” და ისტორიული მეცნიერების თანამედროვე პრობლემატიკა: ეთნიკურობა, პიეროტოპია, გენდერი. წმიდა ნინო (სამეცნიერო კრებული), I. რ. სირაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბილისი: არტანუჯი, 2008.

### **ჯავახიშვილი 1979:**

ჯავახიშვილი ი. ქართველი ერის ისტორია (თხზულებანი თორმეტ ტომად). ტომი I. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1979.

### **ჯავახიშვილი 1992:**

ჯავახიშვილი ი. ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა (თხზულებანი თორმეტ ტომად). ტომი X. თბილისი: მეცნიერება, 1992.

## **Mariam Chkhartishvili**

### **Mother – Nino and religious reform of King Mirian**

#### **S u m m a r y**

The paper deals with the issue of the first Christian Georgian King Mirian's (4<sup>th</sup> c ) religious activities aimed at reforming of official cult of Georgian Kingdom. Three projects had been designed by him.

The first one was directed on systematization of the Georgian pagan pantheon. It was centered on “god of gods” Armaz. But, after the idol had been destructed in result of lightening the project had lost any sense.

Third project was targeted on Christianization of the country. Undoubtedly it was the most successful project in the history of Georgian nation, though was absolutely different from those originally designed by Mirian.

But, as it has come to light, between these two more or less well known projects, Mirian had created one more project being spontaneous respond on that extra ordinal situation which had arisen after the idol of Armaz was no more in existence and deep latent centuries long crisis had become obvious. The purpose of project was to reanimate cult of Armaz through the new religious reform. This project was centered on Christian

missionary woman, who, however should be presented not as an Illuminatrix, but as servant of pagan gods. King had proposed her to occupy the highly prestigious social position of *matsovnebeli* – *Nino*, i.e. wet-nurse in direct sense of the word. As it has become clear *Nino* which in its modern sense is a proper noun, was general noun and has a meaning of *mother, lady*. By same name (nan/nin) was referred the mother goddess, the pagan cult of which was widely spread in ancient world. It is why in many cultures (not only in Georgian) differently vocalized *nn* root is connected with a notion of *mother, wet-nurse*.

The above interim project of King had never been realized. Despite this it seems to be an important academic task to reconstruct it in order to make clear ideas concerning Mirian's religious searches and specify the background against of which the crucial event of Georgian religious conversion had taken place.

## **Мариам Чхартшвили**

### **Мать – Нино и религиозная реформа царя Мириана**

#### **Р е з ю м е**

Статья посвящается деятельности первого христианского царя Грузии Мириана (4-ый век), направленной на реформирование официального культа грузинского государства. В этом процессе царем были подготовлены три проекта.

Первый из них ставил целью систематизацию грузинского пантеона языческих божеств. Центральной фигурой этого проекта являлся «бог богов» Армаз. Но после уничтожения идола Армаза в результате удара молнии, этот проект потерял смысла.

Третий проект был нацелен на насаждение христианства в качестве официальной религии страны. Этот проект, без сомнения, был одним из наиболее успешным проектом в истории Грузии, хотя, по своей сути, он диаметрально отличался от намерения укрепить грузинское язычество, что перед началом религиозной реформы было задумано Мирианом.

Между этими, среди специалистов сравнительно хорошо известными, проектами, оказывается, Мирианом был намечен план еще

одного проекта, который, в сущности, являлся спонтанным ответом на то чрезвычайное положение, которое сложилось после того, как идол Армаз перестал существовать и глубокий религиозный кризис, до того латентно созревавший в течении многих столетий, стал явным. Целью этого проекта была реанимация культа Армаза путем новой религиозной реформы. Проект был центрирован на христианской миссионерке, которой, однако, предстояло быть не просветительницей, а служительницей языческих божеств. Ей царь предложил престижную позицию *мацвнебели* – *Нин(о)*, т.е. матери-кормилицы. *Нино* – слово, которое в нынешнем понимании представляется собственным именем просветительницы грузин, оказывается, изначально был общим именем и употреблялся в значении *матери, госпожи*.

Точно так же звали языческую богинию, культ которой был широко распространен в древнем мире. Поэтому, не удивительно, что во многих культурах, вокализированная по разному корень *нн* был связан с понятием *матери-кормилицы*.

Несмотря на то, что этот «промежуточный» проект Мириана некогда не был реализован, его реконструкция имеет важное значение для создания общего представления о религиозных исканиях первого христианского царя Грузии и детализации того исторического фона, на котором следует рассматривать историю насаждения христианства в качестве официальной религии грузинского государства.

## **აბუსერისძეები XI-XIV საუკუნეების საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში**

აბუსერისძეთა ცნობილი ფეოდალური საგვარეულოს ისტორია ჯერ კიდევ სრულყოფილად არ არის შესწავლილი. მართალია, მისი სახელოვანი წარმომადგენლის, XIII საუკუნის მოღვაწის, მწერლისა და მეცნიერის – ტბელ აბუსერისძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ არაერთი გამოკვლევა შეიქმნა (ლ. მუსხელიშვილი, ი. სიხარულიძე, ნ. გოგუაძე, მ. ქავთარია, რ. ჩაგუნავა, რ. ხალვაში, გ. აბუსელიძე...), სადაც ამ გვარის სხვა ცნობილ მოღვაწეთა შესახებაცაა საუბარი, მაგრამ, ტბელის წინაპრებისა თუ მომდევნო თაობათა შესახებ ისტორიული წყაროები იმდენად მცირეა, რომ მათ შესახებ სრულ წარმოდგენას ვერ გვიქმნის, თუმცა არსებულ წყაროთა ანალიზით, მაინც შესაძლებელი ხდება ისტორიულ მოვლენათა კონტექსტში გავიაზროთ ამ გვარის წარმომადგენელთა ადგილი და როლი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ამჯერად, წარმოდგენილ ნაშრომში მიზნად დავისახეთ აბუსერისძეთა გვარის იმ წარმომადგენლებზე შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება, რომლებმაც გარკვეული როლი ითამაშეს მათი საგამგეო მხარისა და მთლიანად საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

### ***1. აბუსერისძეები – XI საუკუნის საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში***

ქართულ ისტორიულ წყაროებში აბუსერისძეთა გვარის წარმომადგენლები XI ს-ის დასაწყისიდან ჩანან. 20-იანი წლების ბოლოს ისინი არტანუჯსაც ფლობდნენ. სწორედ ამ წლებზე მოდის „მატიანე ქართლისა“-ში ნათქვამი: „ხოლო ციხე

არტანუჯისა ჰქონდა იოვანეს ერისთავსა აბუსერსა<sup>14</sup> (ქცა, 1958, 29). აქ ორი საკითხია გასარკვევი: პირველი - როგორ გავიგოთ ერისთავის დასახელება - „იოვანეს ერისთავსა აბუსერსა“ და მეორე, როდის მიიღეს აბუსერისძეებმა არტანუჯის ციხე.

მკვლევარი ლ. მუსხელიშვილი „აბუსერსა“ საკუთარ სახელად მიიჩნევდა და ტექსტის გასწორების ვარიანტსაც იძლეოდა: იოვანეს ერისთავსა აბუსერისძესა (ლ. მუსხელიშვილი, 1941.17); ხოლო პროფ. ი. სიხარულიძე თვლის, რომ „აბუსერი“ არაბული „აბუსარის“ ოდნავ სახეცვლილი ფორმაა (აბუ – მამა, სარ – დიდსულოვანი, მამაცი), რაც იოვანეს თვისებათა ეპითეტადაა გამოყენებული და შემდეგ ის ამ ერისთავთა გვარად იქცაო (ი.სიხარულიძე, 1979,8).

ჩვენ უფრო მისაღებ განმარტებად მიგვაჩნია ი. სიხარულიძის მოსაზრება, რადგან შემდეგ ამ საგვარეულოში ხშირად ჩანს გამოყენებული ეს ეპითეტი ადამიანთა სახელადაც და გვარადაც.

რაც შეეხება მეორე საკითხს, არტანუჯი 1011 წლამდე „კლარჯთა მეფეთა“ ხელში იყო. ამის გამო მათ არტანუჯელებსაც უწოდებდნენ. სწორედ ამ წელს შეიპყრო ბაგრატ III-მ სუმბატ და გურგენ არტანუჯელები მათი საგამგეო მიწების შემოსაერთებლად და ამდენად, მაშინ შეიძლებოდა რომ მეფეს ეს მხარე აბუსერისძეთათვის გადაეცა, მაგრამ მკვლევარები თვლიან, რომ რადგან არტანუჯსა და აჭარას შორის შავშეთია, ამ უკანასკნელის შემოერთებამდე ეს არ მოხდებოდა. შავშეთს 1028 წლამდე ჩანჩახ ფაღელი ფლობდა, ვიდრე იგი ბერძნების მხარეს არ გადავიდა და მეფემ, როგორც მოღალატეს, შავშეთი არ წაართვა. ვარაუდობენ, რომ აჭარის ერისთავს სწორედ ამ დროს უნდა მიეღო შავშეთიც და არტანუჯიც, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ მეფეს ადრე გადაეცა არტანუჯი, როგორც მისი საგამგეო ქვეყნის ერთი პროვინცია.

აშკარად ჩანს, რომ როგორც გიორგი I-ის, ისე ბაგრატ IV-ის მეფობის პერიოდში, აბუსერისძეთა გვარი ერთგულია ცენტრალური ხელისუფლების, აქტიურად მონაწილეობს



მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში და შესაბამისად ჯილდოვდება კიდევ. ამას ადასტურებს 1046-1047 წლებისათვის ციხისჯვარისა და აწყურის ციხის მათი გამგებლობის ქვეშ მოხსენიებაც. ცოტა ადრე, აბუსერისძეთა გამგებლობაში ყოფილა ახლადშემოერთებული ანისიც. მემბტიანე გვამცნობს, რომ 1045 წელს „მოსცეს ანელთა ანისი ბაგრატ დედასა, რამეთუ მამულ ეყოდეს სომეხნი, სენაქერიმ სომეხთა მეფისა ასული იყო მარიამ დედოფალი, ბაგრატის დედა“ (ქცა, 1955,197). დედოფალს ანისში ერისთავი აბუსერი დაუდგენია გამგედ (ივ. ჯავახიშვილი, 1983,143), თუმცა ანისი მცირე ხნით დარჩენილა მის ხელში. კერძოდ, ბაგრატ IV-სა და ლიპარიტ ერისთავს შორის დაპირისპირებისას, როცა იგი ანისში იყო დედოფალთან ერთად, ლიპარიტმა „გამოიტყუენა ანისით დედოფლისაგან აბუსერი, ერისთავი არტანუჯისა, და ხიხათა და ციხისჯვარისა და აწყურის ციხის პატრონი“ (ქცა, 1955,300). მალე ლიპარიტ ერისთავმა გაათავისუფლა ერისთავთერისთავი აბუსერი ტყვეობიდან, მეფის ტყვეობაში მყოფი თავისი შვილის იოვანეს გაათავისუფლების სანაცვლოდ. ასე რომ, აბუსერი საკმაოდ ვრცელი ტერიტორიის პატრონია და კვლავ მონაწილეობს იმ რთულ შინაპოლიტიკურ დაპირისპირებებში, რომელიც გრძელდება მეფესა და ერისთავ ლიპარიტს შორის. აბუსერის თავისუფლება დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან სასირეთის ბრძოლაში იგი სხვა დიდებულებთან ერთად კვლავ ლიპარიტ ერისთავს ჩაუვარდა ტყვედ (ქცა, 1955,301).

ამის შემდეგ ერისთავთერისთავ აბუსერისძეთა გვარში აბუსერის შვილი გრიგოლი ჩანს, „ერისთავი არტანუჯისა“. ისიც მამის მსგავსად მონაწილეობდა მეფის მხარეზე ლიპარიტის წინააღმდეგ ბრძოლაში, რადგანაც უკანასკნელმა არაერთხელ გამოავლინა არტანუჯის წართმევის სურვილი.

1047 წელს გრიგოლ ერისთავი არტანუჯელი, ერისთავი სულა კალმახელი და მესხი აზნაურები მეფე ბაგრატ IV ძალებთან ერთად არყის ციხესთან შეეხენ ლიპარიტის მომხრე ძალებს. „და სძლია ლიპარიტვე, და გაიქცა მეფე, შეიპყრეს სულა, კალმახისა ერისთავი, და მრავლითა ტანჯვითა და ძელსა გასუმითა სთხოვეს კალმახი, და არა მისცა. მასვე ომსა შეიპყრეს გრიგოლ, ძე აბუსერისი და

სოხოვეს არტანუჯი, სიკუდილისა ქადებითა და მისცა“ (ქცა, 1955, 301-302). ასე რომ, ცოცხლად დარჩენის საფასურად გრიგოლმა დაკარგა არტანუჯი, მამისაგან გმირული ბრძოლებითა და მეფისაგან ერთგულების სანაცვლოდ ძღვნად მოპოვებული.

საისტორიო წყაროების მიხედვით, გრიგოლ აბუსერისძე ჩანს კიდევ ერთ მნიშვნელოვან მოვლენასთან დაკავშირებით. დაახლოებით 1046 წელს, ჯავახეთში, სოფ. ღრტილასთან შედგა საეკლესიო კრება, რომელშიც მეფესთან ერთად მონაწილეობა მიუღიათ წურწყაბელის ეპისკოპოსს, გვარად მიქელაძეს, ყველელ ეპისკოპოსს სანანოს, გრიგოლ აბუსერისძეს და გაბრიელ უფისძეს (ან. ჯავარიძე, 2003, 100) ეს კრება ჩატარებულია იმ დროის უმნიშვნელოვანეს საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, ამიერკავკასიაში მონოფიზიტთა და დიოფიზიტთა ბრძოლა იმით დამთავრდა, რომ სომხეთში მონოფიზიტობამ გაიმარჯვა, საქართველოში კი დიოფიზიტობამ. ირანის მხარდაჭერით სომხური ეკლესია დიდხანს მძლავრობდა ამიერკავკასიაში, იგი თავის გავლენას ავრცელებდა სომხეთის მომიჯნავე ქვემო ქართლის ეთნიკურად ქართულ მოსახლეობაზე. მიმდინარეობდა აქ მცხოვრები ქართველების „გასომხება“. ამიტომ ხშირი იყო ქართული და სომხური ეკლესიების წარმომადგენელთა შეხვედრა-კრებები, სადაც მიმდინარეობდა დისკუსიები სარწმუნოებრივ საკითხებზე. სწორედ ასეთ კრებას წარმომადგენდა ღრტილას 1046 წლის კრებაც. ეს კრება ჩვენთვის იმ თვალსაზრისით არის საინტერესო, რომ მასში მონაწილეობდა გრიგოლ აბუსერისძე და ყველელი ეპისკოპოსი სანანო. მკვლევარი ღ. მუსხელიშვილი ვარაუდობს, რომ რადგან ყუელის ციხე ერუშეთში მდებარეობდა, აჭარა-შავშეთის საზღვარზე, შესაძლებელია იგი აბუსერისძეთა ხელში იყო, რადგან სახელი სანანო ძალიან გავრცელებული იყო აბუსერისძეთა გვარში. თუ ამ ვარაუდს მისაღებად ჩავთვლით, გამოდის, რომ ღრტილას კრებაში აბუსერისძეთა გვარის ორი წარმომადგენელი მონაწილეობდა: საერო და სასულიერო. მაშინ იმის ეჭვიც ჩნდება, რომ კრებაზე დასმული პრობლემა აბუსერისძეთა საერი-სთავოსაც ეხება და მონოფიზიტობასთან, კერძოდ, სომხური

ეკლესიის გავლენის წინააღმდეგ ბრძოლა ამ საერისთავოსთვისაც აქტუალური ყოფილა.

გრიგოლ აბუსერისძე მონაწილეა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენისა. ერისთავ ლიპარტის მძლავრობით შეწუხებული მეფე ბაგრატ IV 1054-1056 წლებში კონსტანტინეპოლში ჩადის, რათა ბიზანტიის იმპერატორს თხოვოს დახმარება, ლიპარიტთან შერიგება. აქ შეხვდა მეფე დიდ საეკლესიო მოღვაწეს წმ. გიორგი მთაწმინდელს და აქედან დაიწყო იმ „დიდი საქმის“ განხორციელება, რომელიც გიორგი მთაწმინდელის სახელს უკავშირდება. მეფეს, სხვა დიდებულებთან ერთად, ყველა იმ საქმეების მოგვარებისას ხლებია გრიგოლ აბუსერისძეც (რ.ხალვაში, 2006, 4)

ყველა ზემოაღნიშნული ადასტურებს გრიგოლ აბუსერისძის აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობასა და დიდ გავლენას სამეფო კარზე, მაგრამ არყის ციხესთან მარცხის, ტყვედ ჩავარდნისა და არტანუჯის დაკარგვის შემდეგ, აბუსერისძეთა გავლენა შესუსტდა. 1058-1059 წლებში ლიპარიტ ერისთავის შეპყრობის შემდეგ, მეფემ არტანუჯი აბუსერისძეებს კი არ დაუბრუნა, არამედ თვითონ დაისაკუთრა. აგრეთვე, სულა კალმახელი ლიპარიტის შეპყრობისათვის დააჯილდოვა აბუსერისძეთა საგამგეო მიწებით – ციხისჯუარითა და ოძრხეთი. როგორც ჩანს, ამის შემდეგ აბუსერისძეთა საერისთავოში აღარ შედის შავშეთიც, რადგან თამარის ისტორიკოსის მიხედვით, 1190-1191 წლებში შავშეთს ფლობს გუზან აბულასანისძე „პატრონი კლარჯეთისა და შავშეთისა“. მალე აბუსერისძეებს აღარც ყველის ციხე და მისი მიმდებარე ტერიტორიები დარჩათ. 60-იან წლებში ამ ციხის პატრონად და ყველის ერისთავებად ჯაყელებია (ი. სიხარულიძე, 1979, 11). ასე რომ, XI ს-ის 50-იან წლების ბოლოს აბუსერისძეების საგამგეო ტერიტორია, როგორც ჩანს, მხოლოდ აჭარა იყო. ამის შემდეგ, მიუხედავად აბუსერისძეთა მხრივ დიდი მცდელობისა, ამ გვარის აღზევება ამ საუკუნეში ვეღარ მოხერხდა, თუმცა არც XI ს-ის ბოლო ხანებში და არც XII ს-ის II ნახევარში ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ ფეოდალთა გამოსვლებში აბუსერისძეები არ ჩანან. მათ, როგორც ადრე ეჭირათ ქვეყნის ერთიანობის დაცვისა და ხელისუფლების მხარდამჭერი პოზიციები, ახლაც ასე აგრძელებდნენ,

რამაც განსაზღვრა ამ საგვარეულოს პოზიციების განმტკიცება და საქვეყნო საქმეებში ჩაბმა XII ს-ის II ნახევარსა და XIII ს-ის პირველ მესამედში.

## ***2. აბუსერისძეები XII-XIV საუკუნეების საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში***

XII საუკუნის დასაწყისიდან, დავით IV მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად ქვეყნის გაძლიერება-განმტკიცებისა და საერთაშორისო ავტორიტეტის ამაღლების მიუხედავად, დემეტრე I და გიორგი III მმართველობისას შინაპოლიტიკური დაპირისპირებულობის გამო, ქვეყნის შიგნით და მის გარშემო პოლიტიკური მოვლენები დაიძაბა. წერილობითი წყაროები ამ დროს განსაკუთრებით წარმოაჩენენ ტბელ აბუსერისძის პაპის – აბუსერის, მისი ძმის – სანანო ახოიანის და მწერლის მამის – ივანე ერისთავთერისთავის ღვაწლს. ტბელის თხზულების მიხედვით, ერისთავთერისთავი ივანე აღესრულა „თურქთა ხელითა“, ხოლო მწერლის პაპას აბუსერს და სანანო ახოიანს თავი გამოუჩენიათ „მტერთა ზედა გაცემული“ ხიხანის გამოხსნა-დაბრუნებაში, რითაც „ღმრთის სწორთა პატრონთა“ დავალება შეუსრულებიათ.

XII საუკუნის მეორე ნახევარში, განსაკუთრებით ბოლო ოცწლეულში, არაერთი ფეოდალური შინაომი, თუ გარეშე და შინა მოღალატე ძალებთან შეტაკება მოხდა. ამიტომ რთულდება იმის დადგენა, როდის იქნა მოღალატურად ხიხანის „მტერთა ზედა გაცემა“, ან მისი გამოხსნა და „ღმრთის სწორთა პატრონთა“ დავალების შესრულება, ან როდის უნდა დადუპულიყო ერისთავთერისთავი ივანე „თურქთა ხელითა“.

თუ გავითვალისწინებთ გამოთქმას – „ღმრთის სწორთა პატრონთა“, აქ უნდა იგულისხმებოდეს თამარი თავისი მეუღლით – დავით სოსლანით, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ხიხანის მტრებისგან გამოხსნა 1188 წლის შემდეგ, თამარის დავით სოსლანზე დაქორწინების შემდეგ უნდა მომხდარიყო. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ერისთავთერისთავი ივანე დაიღუპა „თურქთა ხელითა“. ამიტომ მკვლევარები ვარაუდობენ, რომ ასეთი პირობები 90-იან წლებში ბევრ-

ჯერ შეიქმნა, რადგან საქართველოს მრავალი დიდი თუ პატარა ომი ჰქონდა სელჩუკებთან ადარბადაგანში, შამქორში, კართან, აჭარაში და სხვაგან. თ. ჟორდანიას ფიქრობდა, რომ ერისთავთერისთავი ივანე ბასიანის ბრძოლაში უნდა დაღუპულიყო. ამ აზრს იზიარებდა ლ. მუსხელიშვილიც, ოღონდ ბრძოლის თარიღში არ ეთანხმებოდა თ. ჟორდანიას. შემდეგ, აბუსერისძეთა შესახებ ტბელის თხზულებაში მოცემული მონაცემების ანალიზის საფუძველზე, იგი 1191 წელზე შეჩერდა. საქმე იმაშია, რომ სწორედ ამ წელს დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს ფეოდალური არისტოკრატიის დიდმა ნაწილმა მოინდომა გიორგი რუსის ხელახლა დაბრუნება თამარის მეუღლედ და ამით საკუთარი პოზიციების განმტკიცება.

დავით აღმაშენებლის დროს, თბილისის გათავისუფლების შემდეგ, ქუთაისიდან თბილისში დედაქალაქის გადატანამ, დასავლეთის გავლენა ქვეყანაში შეასუსტა, დასავლეთ საქართველოს მსხვილი არისტოკრატია ამას სულ უფრო მეტად გრძნობდა თამარის მეფობის ხანაში, რამაც უკმაყოფილო ძალები გააერთიანა. ამ მოვლენას ნ. ბერძენიშვილი ასე განმარტავს: „დავით აღმაშენებლის დროიდან აშკარა გახდა აღმოსავლეთის უპირატესობა და აფხაზთა მეფე (ლიხთიმერეთის და თუ გნებავთ ტაო-კლარჯეთის მეფე) სულ უფრო და უფრო ქართლ-კახეთს და მის მიმდგომ ქვეყნებს ირჩევს ცენტრად. და ძველი ფეოდალური არისტოკრატია აჯანყდა“ (ნ. ბერძენიშვილი 1974, 168). ამ მოძრაობის სათავეში აღმოჩნდა შავშეთისა და კლარჯეთის პატრონი გუზანი, სამცხის სპასალარი ბოცო და მსახურთუხუცესი ვარდან დადიანი, რომელმაც მთელი დასავლეთ საქართველოს ძალები შემოიკრიბა. აჯანყებაში ჩართული იყო უცხო ძალებიც. შაჰრამენის დახმარებით ციხეებსა და ქალაქებში თურქთა გარნიზონები ჩააყენეს. მდგომარეობა იმდენად სერიოზული იყო, რომ ხელისუფლებამაც დაიწყო მზადება, თუმცა სცადა ვითარების განმუხტვა მოლაპარაკების გზით და მათთან ანტონ ქუთათელი და სხვა ეპისკოპოსები მიაგზავნა, მაგრამ ამოდ (ივ.ჯავახიშვილი, 1983, 261). აჯანყებულთა ერთი ნაწილი, ხინგრის წყალზე თმოგვსა და ერუშეთს შუა, ბრძოლაში დამარცხდა, მეორე ნაწილი, რომელიც

გორამდე იყო მისული, ხინგრის წყალზე მათი მომხრეების მარცხის გაგებისთანავე უკან გაბრუნდა. მართალია, ამ ამბების აღწერისას მემამულები აბუსერისძეებს არ ახსენებენ, მაგრამ ტბელის თხზულებაში ნათქვამი სიტყვები: „ღმრთის სწორთა პატრონთა“ დავალების შესრულება იმაზე მიუთითებს, რომ ისინი მეფის მომხრეთა შორის არიან და არაა გამორიცხული, რომ სწორედ ამ ამბების დროს დაიდუპა ერისთავთ-ერისთავი ივანეც.

XII საუკუნის დასასრულსა და XIII საუკუნის 10-იანი წლების ბოლოს საქართველოში შექმნილი სოციალ-ეკონომიკური, მორალურ-პოლიტიკური ვითარება იმ გართულებული საერთაშორისო მდგომარეობის გათვალისწინებით (მონღოლთა გამოჩენა, ხვარაზმელების კავკასიის მიმართულებით ოტება), დიდ საფრთხეს უქმნიდა ქვეყანას. მით უმეტეს, რომ ამას დაემთხვა თამარის გარდაცვალება და შემდეგ ახალგაზრდა ლაშა-გიორგის მოულოდნელი დაღუპვაც. მეფობისათვის მოუმზადებელი რუსუდანის ტახტზე ასვლა, ასეთ რთულ პირობებში, წინასწარ განაპირობებდა მოსალოდნელ შედეგებსაც.

ჯერ ლაშა-გიორგის დროს მონღოლთა ოცათასიან მარბიელ ლაშქართან მარცხმა და შემდეგ ჯალალ-ედ-დინის ლაშქრობებმა, უმძიმესი მდგომარეობა შექმნა ქვეყანაში. ამ დროს აჭარის საერისთავოს განაგებდა ტბელ აბუსერისძის უფროსი ძმა აბუსერი და უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი მონაწილეა ქვეყანაში განვითარებული პოლიტიკური მოვლენებისა. ეს კარგად ჩანს ტბელ აბუსერისძის თხზულებიდანაც. ტბელის თხზულება „ახალი სასწაულნი წმიდისა გიორგისნი“, რომელიც XIII საუკუნის 20-იანი წლების დასასრულსა და 30-იანი წლების დასაწყისში უნდა იყოს დაწერილი, კარგად აჩვენებს იმ დროის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებას: „ხოლო იყო მათ ჟამთა შინა სიყმილი დიდი და სიძვირე პურისაჲ“, „სამცხე და ყოველი ადგილი საქართველოჲსა, ივლტოდა ხიზნობად შიშისათჳს ხუარაზმელთაჲსა, გამოქცევასა და მოწყუედასა ზედა ლაშქართასა და მრავალთა მთავართა და კაცისშვილთა წარწყუედასა და მოოხრებასა დედაქალაქისა ტფილისისა და უმეტესთა ადგილთა ღიხთა ამერისა საქართველოსათა“

(აბუსერიძე ტბელი, 1998, 62-66). ასეთია სურათი ხვარაზმელთა მიერ აკლებული და აოხრებული საქართველოსი. ამიტომ ტბელის თხზულება თავისი პათოსითა და მიზანდასახულობით განსხვავდება სვებედნიერი საქართველოს პირობებში შექმნილი თხზულებებისაგან. ეს ის დროა, როცა „კაცის-მჭამელთა მგელთა ოტებანი სრულიად საზღვართა შინა სრული საქართველოსათა“ ჩვეულებრივი ამბავი გახდა და საჭირო იყო ღვთისმშობლისა და წმინდა გიორგის თანადგომა. საინტერესოა, რომ ტბელი თხზულებაში „ახალნი სასწაულნი წმიდისა გიორგისნი“ მოგვითხრობს XII საუკუნის შუა ხანებში აგებული ეკლესიის მშენებლობის ამბებს ეკლესიის აგებიდან 80 წლის შემდეგ. რამ ჩააფიქრებინა ავტორს თხზულების დაწერა, რა მიზანს ისახავდა და რისი თქმა უნდოდა? სავარაუდოა, რომ რამდენადაც იგი საქართველოში დატრიალებული უბედურების (მონღოლთა გამოჩენა, ხვარაზმელთა შემოსევა) მიზეზად ქართველთა მიერ ჩადენილ ცოდვებს მიიჩნევდა („მოგებისათვის ცოდვასა ჩვენთაისა“), რომელსაც აჭარაც ვერ გადაურჩა, იგი თანამედროვეებს შეახსენებდა ღიდი მფარველი წმინდანის – წმინდა გიორგის სახელსა და ძალას და სიმბოლურად მას ეკლესიის მშენებელთა შემწედ წარმოგვიდგენს. საფიქრებელია, აქ ეკლესია ქვეყნის სიმბოლოც იყოს, რადგან ტბელის ნაწარმოებებზე დაკვირვებით, შეიძლება ითქვას, რომ ავტორი მისი დროის მოვლენებში ღრმად ჩახედული მოღვაწეა, რომელიც ფიქრობს ქვეყნის ბედზე და ცდილობს ახსნას მომხდარი უბედურების მიზეზი. იგი ქვეყნის უბედურებაგამოვლილი კაცის აზროვნებით აფასებს მოვლენებს და ეკლესიის მშენებლობისას ქვითხურო ბასილის მიერ გამოჩენილი თავგანწირვისა თუ წმიდა გიორგის სასწაულების ჩვენებით, თანამედროვეებს ქვეყნის გადარჩენის რწმენასაც უნერგავს. ამ თვალსაზრისით, ტბელი თავისი დროის პოლიტიკური მოვლენების აქტიური მონაწილეა და როგორც ჩანს, პრაქტიკულად მონაწილეობს სახელმწიფოს უმაღლესი რანგის მოხელეებთან ერთად რიგი საკითხების გადაწყვეტაში. ამ მხრივ, საინტერესოა 1216 წელს ღვინში ივანე მხარგრძელის (ათაბაგი) მიერ მოწვეულ სასამართლოში მისი მონაწილეობა. სასამართლოზე იყვნენ აგრეთვე „მემნა ჯაყელი, ღიდი ჭყონდიდელი, რომელიც მოსუ-

ლიყო სამეფოდან, ვარძიის წინამძღვარი და პლინძაძანის წინამძღვარი, დიდი მამამთავარი გარესჯისა“ (რ. ხალვაში, 2005, 158).

XIII საუკუნის 20-იანი წლების პირველ ნახევარში, ტბელი ძმების – ერისთავთერისთავების აბუსერისა და ვარდანის დავალებით ხიხანშია და ციხისა და ეკლესიის მშენებლობის საქმეს უძღვება, რაც გამოიწვია „ეკლესიის მცირაობითა ერისა ვერდატევნამან და ჯავრისა მიზეზითა გულსმოდგინებისა მათისა ნაკლულევანებაჲმან და ძუელი სახლოვანი დაშლილ იყო“ (აბუსერისძე ტბელი, 1998, 680). თავისთავად იმ მიმე პერიოდში, როცა ქვეყანამ განიცადა მონღოლთა და ხვარაზმელთა შემოსევები, როცა მოსახლეობის ბრძოლისა და თავდაცვის მთავარი საყრდენი ციხეები იყო, ხიხანის ციხის გამაგრება მტრის წინააღმდეგ ბრძოლის ტოლფასი იყო და ამასთან, იმათ მხარში დგომასაც ნიშნავდა, ვისაც თავიანთი მდგომარეობით ევალებოდათ ქვეყნის, საკუთარი საერისთავოსა და მისი მოსახლეობის უშიშროების უზრუნველყოფა. მისი უფროსი ძმა აბუსერი ხომ ერისთავთერისთავი იყო.

ტბელის ძმა აბუსერ IV ერისთავთერისთავი ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე ყოფილა. მას განსაკუთრებული სიბოლოთი მოიხსენიებს თავის ეპისტოლეში საქართველოს კათოლიკოსი არსენ ბუღმასიძისძე. იგი აბუსერსა და მთელ მის საგვარეულოს შემდეგი სიტყვებით მიმართავს: „ჰოი, ღმრთისმოყვარეო მთავარო დიდგვარიანო და სახელმადლო აბუსერი, ესე იყავნ ხუავ თქუნდა და თქუნთა ნამუშავეთა ნაყოფ-შეწირულ მომცევლისა, რამეთუ არარაი არს კეთილთაგანი, რომელმაც არა მისი იყო“ (რ. ხალვაში, 2006, 6). აბუსერ მეოთხემ კათოლიკოსის ასეთი სიტყვები ხელისუფლებისადმი ერთგულებით, ღვთისმოსაობით, კეთილგონიერებითა და ქველმოქმედებით დაიმსახურა. ქვეყნისთვის იმ მიმე დღეებში, როცა „კაცისმჭამელთა მგელთა ოტებანი სრულიად საზღვართა შინა სრულისა საქართველოსათა“ ჩვეულებრივი ამბავი გახდა და „არავინ დაშთა უღტოლველი კერძოთა აჭარისათა“ (აბუსერისძე ტბელი, 1998, 66), ერისთავთ-ერისთავის პიროვნულ თვისებებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. სწორედ მისი ბრძანებით დაიწყო ხიხანის ციხის გამაგრება და



იქ წმ. გიორგის ეკლესიის მშენებლობა. მისი ხელმძღვანელობით იყო უზრუნველყოფილი საგამგეო მხარის უშიშროება, რამაც იგი ქვეყნის სხვადასხვა მხარეებიდან ლტოლვილი უბრალო მოსახლეობისა თუ მაღალი დიდკაცობის საიმედო თავშესაფრად აქცია. ამას ხელს უწყობდა აჭარის რელიეფიც. „მთიან-ტყიანი, ვიწრო და ღრმა ხეობიანი აჭარა მტრისთვის და განსაკუთრებით ველს მიჩვეულ მომთაბარეთათვის სახიფათო და მიუდგომელი იყო“ (ნ. ბერძენიშვილი. 1966, 91). ალბათ, ამანაც განსაზღვრა ის, რომ XI საუკუნეში მაღიქ-შაჰთან დაბარებული მეფე გიორგი II ჯერ აჭარაში გადავიდა, შემდეგ ისევ სელჩუკთა მოძალების გამო აფხაზეთში წავიდა (ნ. შენგელია, 1968, 309). თავშესაფრის ამ საიმედოობამ და ერისთავთერისთავის ოჯახთან ახლო ურთიერთობამ გადააწყვეტინა ალბათ შანშე მანდატურთუხუცესს, რომ როცა მონღოლები „შემოვიდნენ ქართლს, თრიალეთს, სომხეთს, ჯავახეთს, სამცხეს, შავშეთს, კლარჯეთს, ტაოს, კოლას, არტაანს, ანისს და მოეფინეს მსგავსად მკალთა ოხრებად და ხოცად, და არსად იყო ღხინება, უწყალოდ მოისვროდა ყოველი ესე ქუეყანა, მანდატურთ-უხუცესი შანშე შეივლტოდა ქუეყანად აჭარისა“ (ქცა, 1959, 187).

ამ დროს საქართველოს სამეფო კარი რუსუდანის ხელმძღვანელობით ქუთაისში იყო გადმოსული, აქ იყო კათოლიკოსი არსენ ბუღმასიმისძე და სამეფო კარის ეპისკოპოსი საბა სვინგელოზიც, რომელთანაც ერისთავთერისთავ აბუსერს და მის ოჯახს ახლო ურთიერთობა ჰქონდა. სწორედ აბუსერის დაკვეთით არის შესრულებული ხელთუქმნელი ხატისადმი მიძღვნილი საგალობლები, რომლებიც კათოლიკოსმა გაუგზავნა ხიხანში აბუსერს.

აჭარის ერისთავთა მომდევნო თაობების საქმიანობის, მათი პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ მონღოლთა ბატონობის ხანაში, ცნობილი არ არის წყაროთა უქონლობის გამო. ერთი ცხადია, რომ მონღოლთა მიერ ქვეყნის დუმანებად დაყოფისას აჭარა მეექვსე დუმანში იყო გაერთიანებული, რომელსაც ყვარყვარე ციხისჯვარელი-ჯაყელი ედგა სათავეში. მართალია, ორმეფობის ხანაში დუმანებად დაყოფა ქვეყნისა გაუქმდა, მაგრამ ამიერიდან ცხოვრება მონღოლთა მოთხოვნებისა და წესების მიხედვით ვითარდებოდა. მოსახ-

ლეობის აღწერა, გადასახადები თუ მონღოლურ ლაშქრობებში მონაწილეობა, ქვეყნის ყველა ნაწილის ვალდებულებაში შედიოდა და გამონაკლისი არც აჭარა იქნებოდა, მით უმეტეს, რომ ამას წყაროებიც ადასტურებენ. აჭარა არაერთგზის გამხდარა ბრძოლის ასპარეზი. ამ მხრივ, განსაკუთრებულია მონღოლთა ჩრდილოეთის უღუსის (ოქროს ურდო) უფლის-წულის თეგუდარის ლაშქრობები სამხრეთის უღუსის (ილხანების) ყაენის აბაღას წინააღმდეგ, რომელმაც დიდი ზიანი მიაყენა სამხრეთ და დასავლეთ საქართველოსაც. ერთ-ერთ ბრძოლაში აბაღა ყაენს თეგუდარის ჯარები დაუმარცხებია, რომლის ერთი ნაწილი აჭარის მთებში გაქცეულა და იქ ისინი (1000 კაცი) მეწყერს ჩაუტანია (ქცა, 1959, 261).

1266 წლიდან დავით ულუს იტვიანობამ და მალემრწმენობამ სამცხე ხასინჯუდ აქცია. ამ დროიდან საქართველო სამ ნაწილადაა დაყოფილი, რომელთაგან ერთი (სამცხე) ყაენის სახასო მიწადაა მიჩნეული და ვიდრე გიორგი V ბრწყინვალეს მეფობამდე, იგი ყაენის გამგებლობაში რჩებოდა.

სამცხის ხასინჯუდ ქცევამ, ანუ უშუალოდ ყაენის სამმართველო ტერიტორიად გამოცხადებამ და მისმა მფარველობამ, სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით საქართველოს სხვა მხარეებთან შედარებით, აქ უკეთესი პირობები შექმნა. ამიტომ იზრდება აქ მოსახლეობის რიცხვი სხვა მხარეებიდან ჩამოსახლების ხარჯზე. ჩნდება ახალი სოფლები, შენდება ეკლესია-მონასტრები (სინ, 1979, 599). ეს პროცესი მიმდინარეობდა აჭარის ტერიტორიაზეც, რომლის ადგილობრივ მმართველებს ისევ აბუსერისძეთა გვარის წარმომადგენლები წარმოადგენდნენ.

XIII საუკუნის ბოლოს სამცხის მთავარი ყველა ნიშნით სრული ხელმწიფის უფლებებით იყო აღჭურვილი მონღოლთა ყაენების სიუზერენობის ქვეშ. სამთავროს შიგნით მხარეთა პატრონები, რომლებმაც საპატრონო მიწები სამემკვიდრეოდ აქციეს, „მცირე მთავრების“ სახელით მოიხსენებიან, უფრო გვიან კი თავადების სახელიდაა შერჩათ (სინ, 1979, 625). როგორც ჩანს, მსგავსი ვითარება იყო სამცხის სამთავროშიც და იგი შეეხო აჭარის მმართველებსაც.

XIII საუკუნის 40-იანი წლებიდან მთელი საუკუნის განმავლობაში, აბუსერისძეთა პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ, ისტორიული წყაროები არ იძლევიან არავითარ ინფორმაციას. ამ გვარის კიდევ ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი პოლიტიკურ ასპარეზზე ჩნდება XIV საუკუნის 50-იანი წლებიდან გიორგი V ბრწყინვალეს შვილის დავით VII-ის მეფობის (1346-1360) ხანაში, როცა ერთიანი საქართველოს ამირსპასალარად ჩანს ივანე აბუსერისძე.

გიორგი V ბრწყინვალემ ქვეყანაში მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური ღონისძიებების გატარების პარალელურად, იბრუნა საქართველოს ერთიანობის აღსადგენადაც. მან მარჯვედ გამოიყენა საყაენოში შექმნილი არასტაბილურობა, შინაბრძოლები და ურთიერთქიშპი (1335-1344 წლებში რვაზე მეტი ყაენი გამოიცვალა) და დამოუკიდებლად დაიწყო ქვეყნის მართვა. 20-იანი წლების ბოლოს, მოსახერხებელ სიტუაციაში, გააუქმა მეფობა დასავლეთ საქართველოში. დავით ნარინის ვაჟის მიქელის გარდაცვალების შემდეგ, მის მემკვიდრეს ბაგრატს მხოლოდ შორაპნის ერისთავობა უბოძა. ამავე მეთოდით წაართვა დამოუკიდებლობა სამცხესაც 1334 წელს, როცა გარდაიცვალა სამცხის მთავარი და გიორგი V-ს ბიძა სარგისი. მეფე ჩავიდა სამცხეში და მთავრად დაადგინა სარგისის ვაჟი ყვარყვარე. ამიერიდან, როგორც ჩანს, აჭარაც გათავისუფლდა სამცხის მთავრის გავლენისაგან და იგი უშუალოდ ცენტრალურ ხელისუფლებას დაექვემდებარა. სხვა შემთხვევაში ივანე აბუსერისძე ვერ გახდებოდა ერთიანი საქართველოს ამირსპასალარი, მით უმეტეს, რომ ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, გიორგი V-ს სარგის ჯაყელისათვის უბოძებია ათაბაგობა და ამირსპასალარობა (ქცა, 1973, 256). როგორც ჩანს, სამცხის მთავრად ყვარყვარეს დადგენის შემდეგ, ეს წესი მეფემ შეცვალა, რადგან ერთი პირის ხელში ამ ორი თანამდებობის თავმოყრა მეტისმეტად განადიდებდა და აძლიერებდა მას. ამ დროს ჩნდება ტენდენცია ათაბაგის გავლენის შესუსტების, რაც კარგად ჩანს XIV საუკუნეში შედგენილი „ხელმწიფის კარის გარიგებიდან“, სადაც მითითებულია, რომ „ჭყონდიდელი მამა არს მეფისა, ათაბაგი ახალია“ (ხელმწიფის კარის გარიგება, 1993, 31). ყველაფერი ეს სარწმუნოს ხდის ამირსპასალარად

სხვა პირის გამოჩენას იმავე რეგიონიდან, რომლის მთავარ-საც ეკუთვნოდა აქამდე ეს სახელმწიფო სახელო – თანამდებობა.

სათანადო ცნობების უქონლობის გამო არ არის დადგენილი, თუ როდის მიიღო ეს სახელო (თანამდებობა) ივანე აბუსერისძემ, მაგრამ ცნობილია მისი გარდაცვალების თარიღი - 1356 წელი (ტბელ აბუსერისძე – 800, 1992, 25). აქედან აშკარად ჩანს, რომ იგი ამირსპასალარია დავით VII მმართველობის ხანაში (1346-1360წწ), მაგრამ არაა გამორიცხული, რომ ეს სახელო მიეღო მას გიორგი V მმართველობის წლებშიც.

ივანე აბუსერისძეს რთულ პირობებში მოუწია საქართველოს სამხედრო უწყების ხელმძღვანელობა, რადგან გიორგი ბრწყინვალეს ღონისძიებებს ჯერ კიდევ თავისი შედეგები არ მოეტანა. გართულებული იყო ქვეყნის საგარეო პირობებიც. 1349-1350 წლებში საქართველომ ანუშირვანს გადაუხადა ხარკი 400000 დინარის რაოდენობით. ამავე წლებში მძვინვარებდა შავი ჭირიც. იგი ოქროს ურდოში გაჩენილა და გავრცელებულა სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც და ათასობით ადამიანი შეუწირავს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ყველა ამ სირთულეთა დაძლევაში მონაწილეობის მიღება მოუწევდა ივანე აბუსერისძესაც, როგორც ხელისუფლების ერთი წამყვანი სფეროს ხელმძღვანელს.

ივანე აბუსერისძე აბუსერისძეთა საგვარეულოს უკანასკნელი ცნობილი წარმომადგენელია. XV საუკუნიდან ამ გვარის წარმომადგენლები ფართო სამოღვაწეო სარბიელზე აღარ ჩანან. როგორც ჩანს, ისე როგორც სხვა ფეოდალური საგვარეულოები, აბუსერისძეთა გვარიც ოსმალებთან საუკუნოვან ბრძოლას შეეწირა (ტბელ აბუსერისძე – 800, 1992:26).

ამრიგად, ცნობილი ისტორიული საგვარეულოს – აბუსერიძეების აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობის ხანა XI-XIV საუკუნეებს მოიცავს და ამ ხნის მანძილზე ამ საგვარეულომ წარუშლელი კვალი დატოვა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ისინი უშუალო მონაწილენი იყვნენ ქვეყნის გაერთიანება-გაძლიერების, დავითისა და თამარის დროის საქართველოს აღმასვლა-გამარჯვების და ასევე თავისთავზე იწვნიეს ის სიმდიმეც, რაც მონღოლთა ბატონობისას გა-

დაიტანა საქართველომ. ჩვენამდე მოღწეული წყაროების მიხედვით, აბუსერისძეები ყველა დროში ერთგულად ედგნენ გვერდში ქვეყნის საჭეთმპყრობლებს, ასე ყოფილა გიორგი V ბრწყინვალის დროსაც, რისი მაჩვენებელიცაა ამ გვარის კიდევ ერთი წარმომადგენლის - ივანე აბუსერისძის ქვეყნის ამირსპასალარობამდე ამადლება.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. აბუსერისძე ტბელი, თხზულებანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს: ნარგიზა გოგუაძემ, მიხეილ ქავთარიამ და რაულ ჩაგუნავამ, ბათუმი, 1998.
2. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, თბ, 1979.
3. ნ. ბერძენიშვილი, გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბ, 1966.
4. 4.ლ. მუსხელიშვილი, აბუსერისძე ტბელი, ბოლოკ ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატეანე, თბ., 1941.
4. (სინ) საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, თბ, 1979.
5. ი. სიხარულიძე, ნათელი დაუღამებელი, ბათუმი, 1979.
6. ტბელ აბუსერისძე -800, ბათუმი, 1992.
7. ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1955.
8. ქართლის ცხოვრება, თბ II, 1959.
9. ქართლის ცხოვრება, IV, თბ, 1979.
10. ნ. შენგელია, სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, თბ., 1968.
11. რ. ხალვაში, წმ. ტბელ აბუსერისძის ღვაწლი, ბათუმი, 2006.
12. რ. ხალვაში, ტბელ აბუსერისძის ბიოგრაფიისათვის. - კრ. „საისტორიო მაცნე“, XV. ბათუმი, 2005.
13. ხელმწიფის კარის გარიგება, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, ინგლისურად თარგმნა, წინასიტყვაობა, ლექსიკონი, შენიშვნები და კომენტარები დაურთო ქ. სურგულაძემ, თბ, 1993.
14. ი. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. II, თბ, 1983.
15. ან. ჯავარიძე, საქართველოს საეკლესიო კრებები, თბ., 2003.

## **Bichiko Diasamidze**

### **The Abuseridzes in the Political Life of Georgia in the XIth – XIVth Centuries**

#### **Resume**

The article notes that feudal family Abuseridze has been noted since the beginning of the XIth century. They owned Adjara, Artanudji, Tsikhisdvari and Atskurt Castle for the 40s. They also ruled Ani town for a short period of time. “Eristavt-eristavi” (the chief rulers) of that period are: Ioane, Abuser, Grigol, who actively participated in political life of the country, but since 60s Abuseridze owned only Adjara.

From the second half of the XIIth century (as the sources note) this family was more actively included into political life of the country. Tbel Abuseridze’s grandfather Eristavi Abuser and his brother Sanano Akhoiani actively participated in the liberation of Khikhani Castle at the end of in the late of the XIIth century, and the writer’s father Ivane died fighting with the Turks.

The article analyses the political activity of the writer and his brother “Eristavt-eristavi” (the chief ruler) Abuser in 20-30s of the XIIIth century in the period of struggle against Khorezm invaders.

The appropriate assessment is given to the activity of Amirspasalar (the Commander-in-Chief) Ivane Abuseridze, corresponding to the mid of the XIVth century.

## **Бичико Диасамидзе**

### **Род Абусеридзе в политической жизни Грузии в XI-XIV вв.**

#### **Резюме**

В статье указывается, что феодальный род Абусеридзе в исторических источниках упоминается с начала XI века. Уже к 40-м годам они владели Аджарией, Артануджи, Цихисджвари и Аккурской крепостью. Краткое время они правили и городом Ани. Эриставт-эристави этого периода: Иоанэ, Абусер, Григол активно

участвовали в политической жизни страны, но с 60-х годов этого века Абусеридзе, как видно, владеют лишь Аджарией.

Со второй половины XII века, как свидетельствуют источники, этот род активнее включен в политическую жизнь страны. Дед Тбела Абусеридзе Эристава Абусер и брат последнего Санано Ахояни активно участвуют в освобождении Хиханской крепости от врагов в конце XII в., а отец писателя – эристава Иване погиб в борьбе с тюрками.

В статье анализируется и политическая деятельность самого писателя и его брата эриставт-эристава Абусера в 20-30-х годах XIII века, в период борьбы против хорезмских захватчиков.

Соответствующая оценка дана и деятельности амирспасалара Иване Абусеридзе, относящейся к середине XIV века.

## **ერთი დიპლომატიური საკითხის გარკვევისათვის**

წარმოდგენილი სტატიის მიზანია, გავარკვიოთ: 1. ქართლ-კახეთის მეფის თეიმურაზ I-ის მიერ ესპანეთის მეფე ფილიპე IV-სადმი ქართულ ენაზე შედგენილი წერილი ზუსტად ითარგმნა თუ არა ესპანურ ენაზე; 2. რა მიზნით შეიცვალა ამ წიგნის თარგმანში თეიმურაზის ანტისპარსული სამხედრო კავშირის გეგმა – ანტიოსმალურით; 3. რამდენად იყო დამუშავებული თეიმურაზ I-ის სამეფო კარზე ის ანტიოსმალური გეგმა, რომელიც წერილის ესპანურ თარგმანშია ჩამოყალიბებული.

ჩვენ არ შევედგებით მადრიდში ნიკიფორე ირბახის ელჩობის საკითხის ისტორიოგრაფიულ განხილვას. მოკლედ ვიტყვი: ქართულ თუ უცხოურ ისტორიოგრაფიაში (ჯ. ვათეიშვილი, გ. აკოფაშვილი, ი. ტაბაღუა, გ. ჯორდანიას, ზ. გამეზარდაშვილი, ლუის ხილი ფერნანდესი, მანუელ ფლორის-ტანი), საბოლოოდ, გაბატონებულია აზრი, რომ ნიკიფორე ირბახს მადრიდში ორი პროექტი მიჰქონდა: ანტისპარსული და ანტიოსმალური. ამ შეხედულებას ჩვენ ვეთანხმებით ორი განსხვავებით: პირველი, თეიმურაზ მეფის ანტისპარსული გეგმა ესპანეთის სამეფო კარზე არ განხილულა და მეორე, თეიმურაზ I-ის პრაქტიკულად განუხორციელებელი ანტიოსმალური გეგმა, ძირითადად, შედგა მადრიდში და მასში გარკვეული როლი შეიტანა ნიკიფორე ირბახის თარჯიმანმა კონსტანტინე სოფიამ, რომლის შესახებ სათანადო ადგილას გვექნება საუბარი. თუ რამდენად რეალური იყო ეს პროექტები, ან რამდენად სწორად იყო გათვალისწინებული მაშინდელი საერთაშორისო ვითარების ფონზე მისი პრაქტიკული განხორციელება, სხვა დროს. ახლა კი დავებრუნდეთ უშუალოდ ჩვენთვის საინტერესო პრობლემას.

ადრე სადავო საკითხი, თუ როდის დაიწერა თეიმურაზ I-ის წერილები ესპანეთის მეფე ფილიპე IV-ისა და რომის პაპ



ურბან VIII- სადმი და როდის და საიდან გაემგზავრა ირბახი მადრიდსა და რომში დიპლომატიური მისიით, – დღეს დაზუსტებულად შეგვიძლია მივიჩნიოთ (მ. პაპაშვილი, 2007 : 21-42). აღნიშნული ადრესატებისადმი თეიმურაზ მეფის წერილები ქართულ ენაზე დაიწერა 1625 წლის 20 ნოემბერს ქართლის სამეფოში და აქედან გაემგზავრა ნიკიფორე ირბახი მადრიდში დიპლომატიური მისიით. ესპანეთის მეფისადმი თეიმურაზის წერილის მიხედვით, ქართლ-კახეთის მეფე ფილიპე IV-ს სპარსეთის წინააღმდეგ სამხედრო-პოლიტიკურ დახმარებას თხოვდა, ხოლო რომის პაპს ამ საქმეში – შუამავლობას. ახლა ვნახოთ, რას წერდა თეიმურაზი ესპანეთის მეფეს. ამ წერილიდან მხოლოდ კვლევისათვის საჭირო ადგილებს მოვიტანთ.

წერილი მიმართულია ესპანეთის მეფისადმი – „ხელმწიფესა მაღალსა სპანი-ასა“. მასში დაახლოებით 22 სტრიქონი ესპანეთის მეფის ქება-დიდებას ეთმობა. ფილიპე IV შედარებულია ბიბლიურ დიდ მეფეებს – დავითსა და სოლომონს და ანტიკურ ხელმწიფეებს – ალექსანდრე მაკედონელსა და კონსტანტინე დიდს. მას უწოდებს „...ხელმწიფედ ხელმწიფეთა...“ და როგორც მსჯავრმდებელს მიმართავს: „...ჩუენდ უსჯულო იგი პერსი შაჰ აბას ვირკინებით ბრძოლითა სასიკუდინოთა, რომლისა ღონე და წამალი არა რა არს, თვინიერ მახვილისა აღდესულისა და ძალითა ქრისტეს ჯუარისათა და მეოხებითა უბიწოდ მშობლისა მისისათა არა ძალვსცემთ ღხინებად და არცა ვიკადრებთ მონებად, არამედ მაგათდა (ესპანეთის მეფეს – მ.პ.) მოვსწერთ, რათა სამონოდ (ქვე-შევრდომად – მ. პ.) გყუნენ მაგათდა (ესპანეთის მეფემ - მ. პ.) და ეგენი (ესპანელები - მ. პ.) მოეტივნენ სპარსთა და აქათ ჩვენ უყოთ დევნა ძლიერი და აღვხოცოთ იგი პირისაგან ქუეყანისა ყოვლად უღმრთო იგი საძაგელი“.

შემდეგ თეიმურაზი წერდა: „ჩუენ მრავლით ჟამითაგან გუაქუნდა სურვილი სიყვარულისა მაგათისა (ესპანეთის მეფისა- მ. პ.), არამედ უწყოდით რომე იგი (შაჰ აბასი - მ. პ.) მაგათასა (ესპანეთის მეფის - მ.პ.) სიყვარულსა იწემებდა, მზაკუარებით და მის წილ ვერა ვკადრეთ სიყვარულისა ჩემებად. აწე თვით ხელმწიფებამან მაგათმან (ესპანეთის მეფემ -

მ.პ.) იხილა მცბიერობა და ბოროტი ქმნულება მისი (შაჰ აბასის-მ.პ.).

წერილის შემდეგ ადგილას ვკითხულობთ: „აწე ქრისტეს შუამდგომლობითა შემოგვეწივნენ ხელმწიფებითა ძლიერებისა მაგათისათა (ესპანეთის მეფის – მ.პ.), რათა ვიყუნეთ ჩუენცა უკანასკნელ სამადლობელისა მომხრენი ... ყოველთა და მოციქულთა სწავლითა ჩუენ ყოველნი ძმანი ვართ და ერთ არს ღმერთი ჩუენი. საქმისა ამის ცნობითა და სიტყვისა ამის აღმოკითხვითა ვკადრეთ ძმად წოდება და მონაგებთა სესხება. აწე უკეთუ ჯერ უნდეს ხელმწიფებასა მაგათსა (ესპანეთის მეფეს – მ.პ.) და ანუ თავნი ჩუენნი უნდოდენ, ეს ჩუენი გულისთადი მღვდელ-მონაზონი ნიკიფორე გვიახლება და ჩუენი საქმე და გულის პასუხი ამისის პირით მოგუიხსენებია. ჩუენი სარწმუნო და მისანდო კაცი ეს არის და წარმოგუივლინოს ერთი მაგათი (ესპანეთის მეფის-მ.პ.) მისანდო და საყუარელი კაცი და სახმარი, რათა შებმა უყოთ მტერთა ქრისტესთა ძლიერად და მაგათ (ესპანეთის მეფეს-მ.პ.) სათნო ვეყუნეთ მორჩილებად (კეთილი ქვეშევრდომი ვიყოთ-მ.პ.) მაგათ (ესპანეთის მეფეს-მ.პ.) და სჯობსო სახელი კეთილი მოსახვეჭელსა - იტყუის წერილი ... ეგრეთ ვითარცა ღირს ყო ღმერთმან მეფედ და შემწედ ყოველთა ქრისტიანთა შემოგვეწივნენ და თავნი ჩუენნი დაიმონნენ ... “ (ღუის ხილი ფერნანდესი, ილია ტაბაღუა, 1993: 411- 413).

ფაქტობრივად, მთლიანად მოვიტანეთ თეიმურაზ მეფის წერილი ესპანეთის მეფისადმი. დიპლომატიური თვალსაზრისით, ეს წერილი ძალზე თავისებურია. ვრცელი საპროტოკოლო ფორმულის შემდეგ, რომელშიც ზოგადი ფრაზები ჭარბობს, კონკრეტული ფაქტების გარეშე ლაკონურად ნათქვამია, რომ თეიმურაზს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა აქვს შაჰ აბასთან. ამ უკანასკნელის დამარცხება მხოლოდ ალექსილ მახვილსა და ქრისტეს ჯვარს შეუძლია. ამ განცეხებულ აზრს მოსდევს ესპანეთის მეფისადმი თხოვნა, რომ ისინი „მოეტივნენ სპარსთა და აქათ ჩვენ“ და აღვავოთ სპარსელები პირისაგან მიწისა. თუ რა საფუძველს ემყარებოდა თეიმურაზის ეს გადაწყვეტილება, ნიკიფორე ირბახმა უფრო კარგად იცოდა, ვიდრე ამას თეიმურაზის წერილიდან ამოვიკითხავთ. და საერთოდ: თუ არ ვიცით იმ პერიოდში

ესპანეთსა და სპარსეთს შორის რა სახის წინააღმდეგობა არსებობდა, თეიმურაზის წერილიდან შეუძლებელია გავიგოთ, შაჰ აბასის მზაკვრობა, ცბიერება და ბოროტება ესპანეთის მიმართ რაში გამოიხატებოდა. ამის ასახსნელად ერთ პატარა ისტორიას მოვიშველიებთ ესპანეთ-სპარსეთის ურთიერთობიდან.

სპარსეთსა და ესპანეთს შორის არსებობდა წინააღმდეგობა სპარსეთის ყურეში სტრატეგიული კუნძულის პორტუზის გამო. ეს კუნძული, რომელსაც 1515 წლიდან პორტუგალიელები ფლობდნენ, 1622 წელს შაჰ აბასმა ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანიის ფლოტის დახმარებით აიღო და იქიდან პორტუგალიელები განდევნა. ამიერიდან, სპარსეთის ხელმწიფემ სავაჭრო პორტი ბენდერ-აბასში გადაიტანა. ესპანეთის ქვეშევრდომი პორტუგალიისათვის პორტუზის წართმევა ესპანეთსა და სპარსეთს შორის წინააღმდეგობებს ქმნიდა (ლუის ხილი ფერნანდესი და ხოსე მანუელ ფლორისტანი, 1995: 205).

აქედან გამომდინარე, დავასკვნით შემდეგს: თეიმურაზ მეფე ეტყობა, კარგად ერკვეოდა პორტუზის გამო ესპანეთ-სპარსეთის წინააღმდეგობების არსში. მან ეს მაცდუნებელი შემთხვევა იმ საშუალებად მიიჩნია, რომ წარმოიდგინა, ესპანეთს შაჰ აბასის მიმართ თავისი ანგარიშები ექნებოდა. ეს კი იმდენად მინიმალური შესაძლებლობების მქონე საბაბი იყო, რომ მასზე ესპანეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური კავშირი ვერ აიგებოდა. ეს რომ მცდარი იყო, ისტორიამ დაადასტურა. ასე რომ, აღნიშნულ გადაწყვეტილებაში თეიმურაზი იმ სინამდვილით შეფერილ ვერსიას ეყრდნობოდა, რომელიც რეალობად აჩენდა ესპანეთის სამხედრო ინტერვენციას დაკარგული პორტუზის დასაბრუნებლად. სწორედ ამის საფუძველზე ვარაუდობდა თეიმურაზი ესპანეთ-საქართველოს სამხედრო კავშირის გაფორმებას, რომელიც ელჩობების გაცვლის შედეგად მიიღწეოდა. წერილში საკმაოდ ხაზგასმით საქართველოს ესპანეთის ქვეშევრდომად ქცევის სურვილი კი აღნიშნულ საკითხზე მოლაპარაკებების გაძლიერების მიზნით იყო გამოყენებული. ერთი სიტყვით, თეიმურაზის წერილი ზუსტად არ ასახავს ირბახის ელჩობის მიზნებსა და ამოცანებს. მისი გაგება შესაძლებელია მხოლოდ იმ მოლაპარაკებებიდან, რომელსაც ის ეწეოდა მადრიდში.

1625 წლის ნოემბერს საქართველოდან დიპლომატიური მისიით გაგზავნილი ნიკიფორე ირბახი მადრიდში 1626 წლის ბოლოს ჩავიდა. მისი დიპლომატიური მოლაპარაკებები ესპანეთის სამეფო კარზე წელიწადზე მეტი გაგრძელდა. ცხადია, უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო ფილიპე IV-სადმი თეიმურაზის მიერ ქართულ ენაზე მიწერილი წერილის ესპანურ ენაზე თარგმნა. ამ საქმეში დიდი წვლილი შეიტანა ნიკიფორე ირბახის ოფიციალურმა თარგმანმა, თეოლოგიის დოქტორმა, წარმოშობით ბერძენმა კონსტანტინე სოფიამ ( ი. ტაბაღუა, 1986: 159). თუ რა როლი შეასრულა მან ესპანეთის სამეფო კარზე ნიკიფორე ირბახის დიპლომატიურ მოლაპარაკებებში, ცალკე ნაშრომში გვექნება საუბარი. ამჯერად კი მოკლედ მოგახსენებთ კონსტანტინე სოფიას პიროვნების შესახებ.

ბერძენი პატრიოტი კონსტანტინე სოფია სმირნაში დაიბადა. დაახლოებით 1575 წელს რომის ბერძნულ კოლეჯში სწავლობდა და თეოლოგიის დოქტორის ხარისხი მიიღო. სოფია ერთხანს ბერძნულ ენას ასწავლიდა ვენეციაში. შემდეგ ერთ-ერთმა პორტუგალიელმა დიდებულმა კერძო მასწავლებლად მიიწვია. 1603 წელს პაპ კლემენტე VIII-ის განკარგულებით ის ესპანეთში ჩავიდა და სამეფო კარზე ეწეოდა მოლაპარაკებებს მთელი საქრისტიანოს მტრის, ოსმალების წინააღმდეგ „საბერძნეთის წმინდა ლაშქრობის“ შესახებ. ბოლოს ის ესპანეთის მეფის სამსახურში შევიდა და იყო... “იმ წერილების მთარგმნელი, რომლებიც აღმოსავლეთიდან მოდიოდა” (ლეის ხიდი ფერნანდესი, ილია ტაბაღუა, 1993: 154-156; 165; 434).

ჩვენთვის უცნობია, თუ როგორ, ან ვისი მეშვეობით მოხდა ნიკიფორე ირბახისა და კონსტანტინე სოფიას დაახლოება. შეიძლება ეს განაპირობა სოფიას ოფიციალურმა თანამდებობამ, რომელსაც აღმოსავლურ ენაზე დაწერილი წერილების თარგმნა ევალებოდა. ირბახის შემთხვევაში ეს მით უფრო ადვილი იყო, რადგან მაღალგანათლებულმა ქართველმა ელჩმა ბერძნული ენა კარგად იცოდა. ასეა თუ ისე, კონსტანტინე სოფია „ნიკიფორე ირბახისადმი მეტად მეგობრულ დამოკიდებულებას იჩენდა“ (ი. ტაბაღუა, 1986 : 159) და ძალდონეს არ იშურებდა, რომ „...ესპანეთის მონარქს თეიმურ-

რაზის გეგმებთან...“ დაეკავშირებინა „თურქების წინააღმდეგ საბერძნეთის წმ. ზრახვები“ (ლუის ხილი ფერნანდესი, ილია ტაბაღუა, 1993: 164).

ამდენად, თეიმურაზ მეფის წერილი ესპანურ ენაზე კონსტანტინე სოფიამ თარგმნა. მოცულობით იგი სამჯერ აღემატება თეიმურაზის წერილის ორიგინალს. ამიტომ მას მთლიანად არ მოვიტანთ. ზუსტად იმ ადგილებს გადმოვცემთ, რომლებიც სრულიად განსხვავდება თეიმურაზის წერილის შინაარსისაგან.

წერილს ასეთი საპროტოკოლო ფორმულა აქვს: „ესპანეთის უძლევაძმოსილესო და კათოლიკე მეფე“. თეიმურაზის წერილისაგან განსხვავებით, ის იწყება იმის აღნიშვნით, რომ ქართველები აღიარებენ ქრისტიანულ სარწმუნოებას და „ჩვენი უფალის იესო ქრისტეს... დასაცავად...“ „მზად არიან სისხლი დაღვარონ და სიცოცხლე შესწირონ.

ამის შემდეგ წერილში წერია: „მე თეიმურაზი იბერიის, ალბანიის, სამეგრელოს, გურიის, იმერეთის, ჩერქეზეთის და ყველა ჩემი ქვეშევრდომის მეფე, ვწერ ამ წერილს თქვენს კათოლიკურ უდიდებულესობას, რომელიც არის უდიდესი მეფე და მონარქი მსოფლიოში, ჩვენი უფალის იესო ქრისტეს წმიდა სარწმუნოების დამცველი და განამატიცებელი, რომლის ღირსებით და დიდებით განთქმულია დასავლეთი და აღმოსავლეთი და ასეთად ვაღიარებთ და პატივსცემთ თქვენს უდიდებულესობას, ყველა ქრისტიანთა მეფეს. ვინაიდან იგი არის უმაღლესი მსაჯული მსოფლიოს ამ დიდ ასპარეზზე... ქერუბიმები და სერაფიმები გმფარველობენ დაცვაში და წმიდა კათოლიკური სარწმუნოების ჩვენი უფლის იესო ქრისტეს კონფირმაციაში. ამ სარწმუნოების ძალამ უძლეველი და დაუმარცხებელი გაგხადათ. ვარსკვლავეთამდე აგამაღლათ იმისათვის, რათა თქვენი კათოლიკური სახელის საშუალებით განათდეს მთელი წმიდა სამყარო და ქადაგებდეს წმიდა სარწმუნოებას ყველა ხალხში და მთელს სამყაროში“.

ამ გაზვიადებულ ქება-დიდებას მოსდევს ფილიპე IV-ის შედარება ბიბლიური მეფეების დავითის სიმშვიდესთან და სოლომონის სიბრძნესთან. ნათქვამია: „თქვენ ფლობთ... აღექვანდრე დიდის მონარქიას და კონსტანტინე დიდის ღვთის-

მოსაობას... თქვენ ხართ მეფეთა მეფე, სამართლიანი კანონებისა და წარმოდგენით სამაგალითოს თქვენი ვასალებისათვის”.

ამის შემდეგ მოკლედ აღწერილია საქართველოს მდგომარეობა. კერძოდ, ნათქვამია: „ვაცხოვრებთ თქვენს უდიდებულესობას, რომ როგორც მე, ასევე ჩემი იბერები, ვიმყოფებით ორ მტერს შორის, რომლებიც მთელს ქრისტიანობას ემუქრებიან. ესენი არიან თურქები და სპარსელები. ყოვლისშემძლის ღმერთის შემდეგ იმედი გვაქვს მხოლოდ ჩვენი იარაღის, რომელიც ყოველთვის ხელთ გვაქვს და რომლითაც განუწყვეტლივ ვიბრძვით ურჯულთა წინააღმდეგ. მისი უწმინდესობის ჩვენი მხსნელისა და ქომაგის ყოველთვის ქალწული მარიამის, ქრისტეს დედის და ღვთისმშობლის ჯვრის უბრწყინვალესი სახლის (წინამძღოლობით) ჩვენ ვიმარჯვებთ და უკუვაქცევთ ჩვენს მტრებს”.

აქვე ტრიუმფალურ ტონშია აღწერილი შაჰ აბასის წინააღმდეგ თეიმურაზ მეფის ბრძოლები. „წარსულში სპარსელები გაერთიანდნენ მათი მეფის გარშემო და თავს დაგვესხნენ მთელი თავიანთი ძალებით, მაგრამ ღვთის წყალობით ორჯერ გავიმარჯვეთ ორ ბრძოლაში. სპარსეთის მეფემ მხოლოდ სწრაფი გაქცევით უშველა თავს და დაბნეულობაში დიდძალი ხალხი დაკარგა, რაც საყოველთაოდ ცნობილია. ჩვენ დაიბრუნეთ სპარსელების მიერ მიტაცებული ჩვენი მიწები და ამჟამად, ჩვენი სამფლობელოები და პროვინციები გადაჭიმულია ზღვიდან ზღვამდე. ჩვენი ძალები ყოველთვის მზადყოფნაში არიან, ხოლო ჩვენი კარგად ორგანიზებული ჯარი შედგება ასი ათასი მეგრძოლისაგან”.

როგორც ამ მოტანილი ადგილიდან ვხედავთ, დამახინჯებულია ისტორიული ფაქტები. გაზვიადებულიადაა წარმოდგენილი შაჰ აბასის წინააღმდეგ თეიმურაზის გამარჯვებები. ცნობილია, თუ მარაბდაში ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს, მარტყოფში (1625) სპარსელებმა პიროსის გამარჯვებას მიაღწიეს. ამის შესახებ კი საერთოდ არ იყო საუბარი თეიმურაზის წერილში. ამასთანავე გაუგებარი ხდება, თუ რომელი მიწები დაიბრუნა თეიმურაზმა. ასევე არ შეესაბამება სინამდვილეს, რომ თეიმურაზი იყო სრულიად საქართველოს მეფე და მისი პროვინციები გადაჭიმული იყო ზღვიდან ზღვამდე. არც ამაზე იყო საუბარი თეიმურაზის

წერილში. ვფიქრობთ, ირბახის ცნობების საფუძველზე კონსტანტინე სოფია თვითონ თხზავდა ამ ამბებს და რადგან ქართველმა ელჩმა ესპანური არ იცოდა, არც თარგმანის შემოწმება შეეძლო.

რაც შეეხება თეიმურაზ მეფის ანტიოსმალურ პროექტს, ის ყოველგვარ რეალობას მოკლებულია და ეჭვის ქვეშ აყენებს მისი ავტორის განზრახვას. „რაც შეგვეხება ჩვენ, – ვკითხულობთ მასში, – ჩვენს მხრივ, ვართ გაფრთხილებული და მზადყოფნაში გამოვიყენოთ ყველა ჩვენი ძალა ამ წმიდა განზრახვის განსახორციელებლად და გადაწყვეტილი გვაქვს (თუ ასე ფიქრობს თქვენი უდიდებულესობაც), დავეშვათ ჩვენი მიწებიდან, გავეწიოთ წინ კაბადოკიასა და ბითინიაში, მივიდეთ სკუტარამდე, რომელიც კონსტანტინოპოლს ესაზღვრება და თუ თქვენი უდიდებულესობა ინებებს და უბრძანებს და დახმარების ხელი გამოგვიწოდონ ზღვიდან, შეიძლება სწრაფად გადასვლა სრუტეზე და შესვლა კონსტანტინოპოლში, სადაც მთლიანად განადგურდება მტერი, არ მიეცეს მას დრო გონს რომ მოვიდეს“.

ყოველივე ეს საერთო ქრისტიანულ საქმედ მიიჩნეოდა და საბოლოო მიზნის მიღწევის შემდეგ ფილიპე IV კონსტანტინოპოლში იმპერატორის ტახტს დაიკავებდა. ამას, მის გარდა, სხვა არავინ იმსახურებდა. „ხოლო ჩვენ, – წერია ამ წერილში, – კი დაგბრუნდებით ჩვენს სამფლობელოში და ვიქნებით უკვე ბედნიერი იმით, რომ იმპერატორის ტახტზე ზის ნამდვილი ქრისტიანი და კათოლიკე მმართველი, თქვენი უდიდებულესობა, ხოლო ჩვენს სახით, თქვენ მუდამ გაყოფებით თქვენი სამსახურისათვის მზად მყოფი კარგი მეგობარი“.

მოტანილი ადგილები საინტერესოა თეიმურაზ მეფის სამხედრო შესაძლებლობებისა და წინადადებების თვალსაზრისით. ცხადია, ყოველივე ეს ირბახის მონაწილეობის გარეშე არ იქმნებოდა, მაგრამ მთლიანობაში კონსტანტინე სოფიას ინტერესებსა და ზრახვებს შეიცავდა. პათეტიკურ ტონზე შედგენილი ეს წერილი თეიმურაზ მეფეს წარმოსახავს არა როგორც მოკავშირის მაძიებელს ესპანეთში, არამედ როგორც საერთო ქრისტიანული საქმისათვის აღტკინებული ძლიერი სახელმწიფოს მეთაურს, რომელსაც სურს ისტორიუ-

ლი სამართლიანობის აღდგენა და ესპანეთის მოკავშირეობა ამ საზიარო საქმეში. ცხადია, ეს სინამდვილეს არ შეეფერებოდა. რაც შეეხება ვითომდა თეიმურაზის წინადადებას, რომ ფილიპე IV დაესვა იმპერატორად კონსტანტინოპოლის ტახტზე, კარგად შენიღბული დიპლომატიური ხერხი იყო. სოფიამ კარგად იცოდა, რომ ამას ესპანეთის მონარქი სიამოვნებით მიიღებდა, რადგან იგი უკვე ოცნებობდა მთელი „პლანეტის მეფე“ გამხდარიყო (ლუის ხილი ფერნანდესი, ილია ტაბაღუა, 1993: 151).

თუ ფილიპე IV აღნიშნულ გეგმას განახორციელებდა, თეიმურაზ მეფე შემდეგ პირობას დებდა: „...ვაძლევ მას პირობას ვიყო მისი ჯარისკაცი და მივიღე თქვენი უდიდებულესობის სამსახურისათვის მთელი ჩემი ხალხით იმ მიზნით, რომ განვათავისუფლო ურჯულოთა ტირანიისაგან იმდენი სული, იმდენი ეკლესია, იმდენი მონასტერი და წმიდა ადგილები, რომლებიც დღეს ოკუპირებულია ამ ურჯულოთა მიერ და შეურაცხყოფას აყენებენ ქრისტიანებს, არცხვენენ ჩვენებს. ყოველივე ამის გამო, მიხდოდა მიმედო თქვენი უდიდებულესობის, რაც შეიძლება მაღე, ცხადი და გულწრფელი პასუხი და გამეგო თქვენი უდიდებულესობის საბოლოო სურვილი და გადაწყვეტილება“.

ამ მიზნით სასულიერო პირი ნიკიფორე ირბახი გაიგზავნა მადრიდში, რადგან „...იგი გახდა ჩემი მოძღვარი და სულიერი მამა. მან იცის ჩემი გულის საიდუმლოება, ჩემი განზრახვები და შეუძლია მისთვის დამახასიათებელი გულახდილობით მოახსენოს თქვენს უდიდებულესობას. ამიტომ თქვენს უდიდებულესობას შეუძლია ერწმუნოს მას ყველაფერში, რასაც იგი ჩემი სახელით მოგახსენებს“.

მაინცდამაინც რატომ გაიგზავნა დესპანად სასულიერო და არა საერო პირი, ახსნილია ასე: „მიხდოდა თქვენს უდიდებულესობასთან გამეგზავნა ჩემი ვასალებიდან ერთერთი ყველაზე წარჩინებული საერო პიროვნება უფრო საზეიმოდ, მაგრამ მას უნდა გაეგლო ბევრ მტერს შორის და შეიძლებოდა ყურადღება მიექციათ და საქმე წახდებოდა. ამიტომ ჩვენ შევარჩიეთ ეს ბერი, ჩემი სულიერი მამა და ჩვენი სანდო პიროვნება, რათა მან შეძლოს ფარულად გაიაროს მტრებს შორის და შეძლოს უფრო ადვილად ჩავიდეს



თქვენს უდიდებულესობასთან და აცნობოს მას ჩვენი განზრახვები მთელი საიდუმლოებებით, როგორც ეს მას აქვს დავალებული“.

იმ შემთხვევაში, თუ ფილიპე IV-ს თეიმურაზის სამხედრო ძალებში ეჭვი შეეპარებოდა „... შეუძლია ჩვენთან გამოგზავნოს ერთი, ან რამდენიმე სანდო პირი, რათა მათ შეისწავლონ საკითხები და საკუთარი თვალით ნახონ ჩვენი ძალები და შეაფასონ წარმატებები და საქმეები, ხოლო გაიგებენ რა ამას, მოახსენებენ თქვენს უდიდებულესობას და იმათ, ვინც ამის შესახებ არ იცის, თუ რამდენად ძლიერი და მებრძოლები არიან იბერები მტერთან შეჯახების დროს და შეუძლიათ თუ არა მათ შეასრულონ მიცემული დაპირება“.

წერილის ბოლოს გაკეთებულია ასეთი დასკვნა: „ეუგზავნით თქვენს უდიდებულესობას ჩვენს ადამიანს და ვთავაზობთ მას ჩვენს იარაღს, ჩვენი ვასალების ჯარს ასი ათასი კაცის რაოდენობით, რომლებიც მზად არიან მიიღონ მონაწილეობა ამ წმიდა და ღირსეულ საქმეში, რომელიც შეეხება ყველა ქრისტიან მეფეს და განსაკუთრებით თქვენს უდიდებულესობას უფრო მეტად, ვიდრე რომელიმე სხვას და თუ თქვენი უდიდებულესობა არ ისურვებს იყოს ჩვენთან, ჩვენთან იქნება ღმერთი, დე მუდამ ბრწყინავდეს მისი წმიდა სახელი, რომლის დიდებას ყველა ჩვენ ვემსახურებით. ამინ“ (ლუის ხილი ფერნანდესი, ილია ტაბაღუა, 1993: 413-418).

ამრიგად, თითქმის მთლიანად მოვიტანეთ თეიმურაზ I-ის წერილის ორიგინალისა და ესპანურ ენაზე მისი თარგმანის შინაარსი. შედარების საფუძველზე პირდაპირ შეგვიძლია ვთქვათ, რომ თარგმანი სრულიად ახალ წერილს წარმოადგენს და აბსოლუტურად არ ასახავს თეიმურაზის წერილის ნამდვილ შინაარსს. რაც ყველაზე მთავარია, თეიმურაზ მეფის ანტისპარსული გეგმა შეიცვალა ანტიოსმალური პროექტით. წარმოდგენილად გაზვიადებულია ამ პროექტის განხორციელების შემთხვევაში თეიმურაზ მეფის პოლიტიკური და სამხედრო შესაძლებლობები. ყოველივე ეს ნიკიფორე ირბახის თარჯიმნის, წარმოშობით ბერძენი კონსტანტინე სოფიას გეგმის შემადგენელი ნაწილი იყო. ისარგებლა რა მადრიდში ქართველი ელჩის ჩამოსვლით, მან საკუთარი

სამშობლოს განთავისუფლების სანუკვარი ოცნება თეიმურაზ მეფის მიზნებს დაუკავშირა.

მადრიდში ფართო რწმუნებებით გაგზავნილმა ნიკიფორე ირბახმა ნახა, რომ ესპანეთის სამეფო კარზე საფუძველი არ ჰქონდა თეიმურაზის ანტისპარსულ გეგმებზე მოლაპარაკებებს. აქ არსებული ანიოსმალური განწყობილებების ფონზე მან კონსტანტინე სოფიას რჩევით თეიმურაზის თავდაპირველი გეგმა შეცვალა ანტიოსმალური პროექტით. ცხადია, ამაზე რწმუნება ქართველ ელჩს თეიმურაზ მეფისაგან ჰქონდა. დაბოლოს, დღემდე თეიმურაზის წერილად მიჩნეულ ამ თარგმანში წარმოდგენილი ანტიოსმალური გეგმა არ შეიძლება მივიჩნიოთ ქართლ-კახეთის მეფის პროექტად.

### ლიტერატურა

1. ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, II, თბ., 1986.
2. ლუის ხილი ფერნანდესი, ილია ტაბაღუა, დოკუმენტები საქართველოს ისტორიისათვის ესპანეთის არქივებსა და ბიბლიოთეკებში /XV-XVII სს/, მადრიდი, 1993.
3. ლუის ხილი ფერნანდესი და ხოსე მანუელ ფლორისტანი /მადრიდი/, ქართველი მეფეების წერილები: სიმონ I-ის ქართლიდან ფილიპე II-ს და თეიმურაზ I-ის კახეთიდან ფილიპე IV-ს, კრებ.: „საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან“ II, თბ., 1995.
4. მ. პაპაშვილი, როდის დაიწერა თეიმურაზ I-ის წერილები ესპანეთის მეფე ფილიპე IV-სა და რომის პაპ ურბან VIII-სადმი, 1625 თუ 1626 წელს? ჟურნ.: „საისტორიო ვერტიკალები“, 2007, №13.

## **Murman Papashvili**

### **For Finding-out of One Diplomatic Issue**

#### **Summary**

On the bases of a source of critical-comparative analysis the author has revealed: the plot of the letter in the Georgian language written by king Teimuraz I of Kartl-Kakheti addressed to the king of Spain Phillip IV in 20 november, 1625 completely had been changed during the translation on the Spanish language and presented as an absolutely new letter. The most important thing is thad anti-Iranian plan of Teimuraz was changed by anti-Osmalian project in the letter. With deep belief sent Nikifor Irbach to Madrid saw that the Spanish Kingdom did't have a basis to egree about Teimuraz's anti-Iranian plan. Against existing anti-Osmalian spirit the Georgian ambassador according to the advice of his translator Konstantin Sophia changed the initial plan by the anti-Osmalian project. Obviously, the ambassador had the consent and support from king Teimuraz. According to the author Spanish variant of the letter where anti- Osmalian plan is presented can't be recognized as the project of Teimuraz.

## **Мурман Папашвили**

### **По поводу одного дипломатического вопроса**

#### **Резюме**

На основании критическо-сравнительного анализа источников автор выявил: смысл письма на грузинском языке, написанного царём Картл-Кахетии Теймуразом I, обращённого к королю Испании Филиппу IV 20 ноября 1625 года полностью изменился во время перевода текста на испанский язык и представился совершенно новым письмом. Что самое главное, в письме антииранский план Теймураза был заменён антиосманским проектом. Посланный с широкими полномочиями в Мадрид Никифор Ирбах увидел, что у Испанского королевства не было оснований договариваться об

антииранском плане Теймураза. На фоне существующего антиосманского настроения грузинский посол по совету своего переводчика Константина Софии заменил первоначальный план Теймураза антиосманским проектом. Очевидно, согласие и поддержку на это посол получил от царя Теймураза. По мнению автора, испанский перевод письма Теймураза, где представлен антиосманский план нельзя воспринимать как проект Теймураза I.

**იერუსალიმის ბერძნულ საპატრიარქოსთან  
სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს  
ურთიერთობის ისტორიიდან**

*(XVII ს. 50-80-იანი წლები)*

XVII ს. 30-40-იან წლებში ცალკეული „საქართველოების“ პოლიტიკურ-იდეოლოგიურმა მესვეურებმა თავიანთი აქტიური მხარდაჭერით იერუსალიმის ქართული კოლონიის დაცვისა და აღორძინების საქმეში მნიშვნელოვან, მაგრამ დროებით წარმატებებს მიაღწიეს. იერუსალიმიდან ნიკიფორე ჩოლოყაშვილის დაბრუნების შემდეგ (1649 წ.) ქართველ ბერ-მონაზონთა ცხოვრება კვლავ დაცემა-დაქვეითების გზას დაადგა. აქ უკვე აქტიურად ამოქმედდა იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო (სტეფანძე, 1997:48), რომელიც ითვალისწინებდა რა საქართველოსთან ინტენსიურ კულტურულ-პოლიტიკურ ურთიერთობას აღნიშნულ პერიოდში, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, თანამშრომლობს ქართველ მეფე-მთავრებთან და სასულიერო პირებთან. ამას ემატებოდა მაჰმადიანურ-კათოლიკური საფრთხის გაძლიერებაც (ქათამაძე, 2002:53-71).

დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების „წმინდა მიწასთან“ ურთიერთობის გადრმავებაში გარკვეული წვლილი შეიტანა იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის პატრიარქების – პაისიოსის (1645-1661წ.წ.) და დოსითეოსის II-ის (1669-1707წ.წ.) წინასწარ მიზანდასახულმა ჩამოსვლამ აღნიშნულ რეგიონში.

XVII ს. შუა წლებში დასავლეთ საქართველოში მიმდინარე ფეოდალური შინაომების შედეგად მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკური და იდეოლოგიური ვითარებაა. განსაკუთრებით უარყოფითი როლი შეასრულა ლევან II დადიანის (1611-1657 წ.წ.) გაუთავებელმა მარბიელმა ლაშქრობებმა. მისი გარდაცვალების შემდეგ შინაომები ახალი ძალით გაჩაღდა, რასაც 60-იანი წლებიდან სრული პოლიტიკური ანარქია და ოსმალ-

თა ბატონობის გაძლიერება მოჰყვა (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, 1973:341). შექმნილი მძიმე სიტუაცია უარყოფით გავლენას ახდენდა რეგიონში არსებულ „საჯვარისმამო საქონებლის“ მდგომარეობასა და იერუსალიმში შემოსავლის თუ შეწირულების გაგზავნაზე.

ასეთ ვითარებაში დასავლეთ საქართველოში ჩამოვიდა იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის პატრიარქი პაისიოსი (1645-1661 წ.წ.) (Селезнев, 1847:31-39). მას თან ახლდა და ეს მოგზაურობა აღწერა შემდგომში იერუსალიმის პატრიარქმა და ცნობილმა სასულიერო მოღვაწემ დოსითეოსმა (1641-1707 წ.წ. პატრიარქად იყო 1669-1707 წ.წ.). როგორც ირკვევა, პატრიარქი და მისი თანმხლები პირები ოდიშიდან, სადაც ისინი შეხვდნენ ნიკოლოზ ჩოლოყაშვილს და ვამიყ ლიპარტიანს, გამოემგზავრნენ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში: „ფაზისიდან მივედით ქობულეთში... აქედან აღმა აყვევით მდინარეს და ორი საათის შემდეგ მივედით გურიის თავად ქაიხოსროს სახლთან და ტაძართან 1659 წ. 22 მარტს.“ მაშასადამე, შორეული სტუმრები ქაიხოსრო I გურიელს (ინტერვ. 1640-1660 წ.წ.) სწვევიან სოფელ ალაბარში. ქობულეთიდან აღმა აყვებოდნენ მდ. აჭყვას და დაახლოებით 2 საათში მივიდოდნენ გურიელთა რეზიდენციაში, სადაც იდგა „სასახლე გურიელთა, ფრიად შევნიერს ადგილს“ (ვახუშტი, 1973:792). ქაიხოსრო გურიელი შეწუხებული ყოფილა მარცხით იმერეთის მეფე ალექსანდრესთან (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV 1973:341-342). იგი პატრიარქს სთხოვს დახმარებას ან რაიმე ზემოქმედებას მაინც. როგორც ჩანს, იერუსალიმის პატრიარქები საერთოდ დაინტერესებულნი არიან ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებით, სადაც შესაძლებელია მასში ერევიან კიდეც (ეს განსაკუთრებით დოსითეოს II-ზე ითქმის), ხოლო ხელისუფალნი ცდილობენ მათ გამოყენებას ერთმანეთის წინააღმდეგ თუ შეუამავლად. საერთოდ, ქაიხოსრო გურიელისა და პაისიოსის შეხვედრა იმდენად ხანმოკლე ყოფილა, რომ მხოლოდ პოლიტიკური საკითხებით შემოფარგლულა. რადგან წყაროში მითითებაც კი არ არის ჩაიხედნას მეტოქე (ქათამაძე, 2002:63-71; 105-130), სადაც იერუსალიმის პატრიარქს წირვა-ლოცვა უნდა „აღეგლინა“ და „საჯვარისმამო საქონებელზე“ სამხრეთ-დასავ-

ლეთ საქართველოში, რომელზეც შეწირულობა სულ რამდენიმე წლის წინ ჯვარის მამა ნიკიფორეს (ნიკოლოზ ჩოლოყაშვილს) განუახლა ქაიხოსრო გურიელმა ( Hd-10274; ისტორიული დოკუმენტები...1958:140). ჩვენი აზრით, ეს უნდა აიხსნას დაძაბული პოლიტიკური სიტუაციით დასავლეთ საქართველოში. ანგარიშგასაწვდია ის გარემოებაც, რომ პატრიარქი ჯერ კიდევ ოდიშში ყოფნისას მიიმედა ავად გამხდარა. ალბათ, იგი ჩქარობდა უკან დაბრუნებას. ეს მგზავრობაც ალამბარში საკმაოდ დამძლეული იქნებოდა (პაისიოსი საქართველოდან წასვლის შემდეგ მალევე გარდაიცვალა). ასე რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში არსებულ იერუსალიმის ჯვარის მონასტრის მეტოქე არც ყოფილა საუბარი.

მიუხედავად ამისა, გურიის სამთავროს პოლიტიკურ მესვეურთა მიერ იერუსალიმის ქართულ მონასტრებზე ზრუნვითა და მათზე ქართველთა უფლებების შენარჩუნებით უნდა იყოს გამოწვეული ის ფაქტი, რომ სამთავროში ჯერ კიდევ XVII ს. 10-იან წლებში იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის პატრიარქის თეოფანე IV-ის (1608-1644წ.წ.) ვიზიტისას ჩამოყალიბებული იერუსალიმის სამონასტრო მიწისმფლობელობა (ქათამაძე, 2005: 89-104) XVII ს. 60-იანი წლებიდან ფართოვდება და ახალ მამულებს იმატებს. ამას ადასტურებს გიორგი III გურიელის (1664-1684წ.წ.) მიერ 1664-1666 წლებში გაცემული წყალობის წიგნი ( Hd-10275(ა); ქათამაძე, 2001:26-30), რომლითაც საიერუსალიმო ყმა-მამულს შეემატა ყმები ჩოჩხათს, ჩაქვისთავს, ნაცხავატევს. შეუძლებელია იერუსალიმის პატრიარქები ამით დაინტერესებული არ ყოფილიყვნენ. პირიქით, მათ ინტენსიურ ვიზიტებს საქართველოში განაპირობებდა არა მარტო სულიერი მხარდაჭერა, არამედ მათი დაინტერესება „საიერუსალიმო შემოსავლით“ – შეწირულობებით და ბეგარით. საამისოდ კი ისინი ცდილობდნენ პოლიტიკური ვითარება რეგიონში სტაბილური ყოფილიყო. ამით აიხსნება იერუსალიმელი პატრიარქების ჩარევა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში.

აღსანიშნავია, რომ XVII ს. მეორე ნახევრიდან იერუსალიმის ქართული კოლონიის მდგომარეობა სამშობლოდან არასისტემური დახმარებისა და ოსმალო მოხელეთა გაზრდილი მოთხოვნების გამო კიდევ უფრო აუტანელი გახდა. ქართული

მონასტრები თანდათან იცლება ქართველებისაგან. ასეთ ვითარებაში კი დავალიანებული ქართული სავანეების ხელში ჩასაგდებად ერთმანეთს ეცილებიან სომხები, ბერძნები, ლათინები და სხვები. იერუსალიმის ბერძნულმა საპატრიარქომ გამოიყენა თავისი უპირატესი გავლენა „წმიდა მიწაზე“ და შეძლო ჩამოეცილებინა მეტოქეები. ამიერიდან ბერძნული საპატრიარქო გამოდის იერუსალიმის ქართული მონასტრების პატრონისა და მზრუნველის როლში, რადგან მათთვის სულერთი არ იყო „ვინ დაიკავებდა ქართველთა ადგილს იერუსალიმში... რადგან ქართველები მაინც ჰკარგავდნენ სავანეებს, რატომ ბერძნები არ უნდა დაპატრონებოდნენ მათ?“ (მამისთვალიშვილი, 1998:162-163). თუმცა ხმამაღლა დოსითეოს II (1669-1707წ.წ.) აცხადებდა, რომ ქართველები ეხმარებოდნენ ბერძნებს პალესტინაში ეგვიპტელ მამლუქთა ბატონობის დროს, ახლა კი ქართველებს ჩვენ ეხმარებით მათ გაჭირვებაშიო (Иоселиани, 1861:3-4). უცხოურ ისტორიოგრაფიაშიც აღნიშნულია, რომ „იმ მძიმე წლებში იერუსალიმში მცხოვრებმა იბერიელებმა დიდი დახმარება გაუწიეს ბერძნულ მართლმადიდებლურ საპატრიარქოს, რომელთანაც ისინი თანამშრომლობდნენ“ (ცაფერისი, 1993:102-105), თითქოს ამით იყო გამოწვეული ბერძნული საპატრიარქოს მესვეურთა საქმიანობა. სინამდვილეში კი ბერძნულმა საპატრიარქომ გადაწყვიტა ვალების გამო დაგირავებული თუ გაჭირავებული სავანეები ქართველებისავე ფულით თავიანთთვის გამოეყიდათ (მამისთვალიშვილი, 1998:162-163). როგორც იყო დოსითეოს II პირადად ჩაუდგა სათავეში ვალების დასაფარავად თანხის შეგროვების კამპანიას და 1681 წლის თებერვალში საქართველოში ჩამოვიდა (Селезнев, 1847:42). მან საქმიანი ურთიერთობა დაამყარა გიორგი XI-თან, ლევან ბატონიშვილთან, ნიკოლოზ კათალიკოსთან და ქართლის სხვა ღიდებულებთან. თბილისში, საფიქრებელია, იმავე წელს მოუწვევიათ ქართლის სამეფოს საერო და სასულიერო პირთა კრება, რომელმაც გადაწყვიტა საჭირო თანხების შეგროვება (ქსბ, III, 1970:592). 1681 წლის სექტემბერში იერუსალიმის პატრიარქი უკან გაბრუნდა და შეგროვილი თანხა წაიღო ქართული მონასტრების ვალის დასაფარად. უეჭველია, რომ ამ თანხაში კერძო შეწირულობების გარდა იქნებოდა საქართველოში



იერუსალიმის კუთვნილი სამონასტრო მამულებიდან აღებული შემოსავალიც „საიერუსალიმო თეთრი“.

როგორც ირკვევა, დოსითეოს II საეკლესიო ცხოვრების გარდა, ქვეყნის შიდაპოლიტიკური ვითარების გაცნობითაც ყოფილა დაინტერესებული. ამას მოწმობს მის მიერ რუსეთში მყოფ არჩილ მეფესთან 1682 წ. სექტემბერში მიწერილი წერილი (ტივაძე, 1971:248-255). პატრიარქი ამ წერილში ადასტურებს, რომ კონსტანტინეპოლში მას სრულად მიუღია ქართველთაგან შეგროვილი ფული. ამასთანავე, ლევან ბატონიშვილს საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ პატრიარქის ქართლიდან წასვლის შემდეგ მიუწერია.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა დოსითეოსის დამოკიდებულება დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში დატრიალებული პოლიტიკური მოვლენებისადმი. აქ ფეოდალური შინაომები კვლავ გრძელდება (ვახუშტი, 1973: 317). საქართველოდან კონსტანტინეპოლში მიმავალი იერუსალიმის პატრიარქი აგვისტოს ბოლოს ოზურგეთში, გურიელის მთავარ რეზიდენციაში მიუღიათ, შემდეგ კი ქობულეთში, სადაც იგი შეხვდა გურია-იმერეთის თავადაზნაურობას, კათალიკოსს და „დამღუპველ გურიას“ (Селезнев, 1847:46; ტივაძე, 1972:253-254), გიორგი III დადიან-გურიელს (1664-1684). დოსითეოსისათვის ცნობილია გიორგი გურიელის ცდები ოსმალთა დახმარებით დასავლეთ საქართველოში გაბატონებისა: უარყოფით ეპითეტებს არ იშურებს მისთვის, ხოლო კონსტანტინეპოლში ჩასვლის შემდეგ აქტიურად მონაწილეობს სულთნის კარზე გურიელის საწინააღმდეგო განწყობილების შექმნაში და იმედს გამოთქვამს, რომ „ქრისტიანობის მტერს და ფიცის გამტეხს მალე მიეგება სიკვდილი“ (ტივაძე, 1972: 254). გიორგი გურიელს მართლაც მალე „მიეგო“: იგი 1684 წელს მოკლეს როკითის ბრძოლაში (რეხვიაშვილი, 1989).

135-136). იერუსალიმის პატრიარქის ნეგატიური დამოკიდებულება, ბუნებრივია. ის დაინტერესებულია საქართველოში სტაბილური პოლიტიკური სიტუაციის შენარჩუნებით, რადგან ეს უზრუნველყოფდა „საიერუსალიმო თეთრის“ დაუბრკოლებლივ შეგროვებას და იერუსალიმის ქართული ეკლესიამონასტრების ვალის დაფარვას, ხოლო გიორგი გურიელი

თავისი თურქოფილური და რეაქციული ტენდენციებით ხელს უშლიდა ვითარების რეგულირებას.

მიუხედავად ამისა, სამხრეთ-დასავლეთ საქართველომ თავისი წვლილი შეიტანა იერუსალიმის დავალიანებული ქართული მონასტრების დახსნის საქმეში. ქართველებმა მთლიანად გადაიხადეს ვალი 94 ათასი პიასტრი და ყველა ქართული სავანე ვალისგან გათავისუფლდა (Селезнев, 1847:47-48). მაგრამ 1685 წელს „ყველა ტვირთისაგან თავისუფალი ქართული მონასტრები იერუსალიმის ბერძნულ საპატრიარქოს გადაეცა“ (ცაფერისი, 1993:96-101). პატრიარქი დოსითეოსი კი თავის ეპისტოლეში 1706 წელს ვახტანგ VI-ს აცნობებდა, რომ იერუსალიმის ქართული მონასტრების „ნამდვილი და სრული ბატონ-პატრონები (არიან)... ქრისტესმოყვარული ივერიელები... ხოლო როცა ღმერთი იწებებს და იბერიიდან მოვა ილუმენი, მან ძველებურად ჩაიბაროს ყველა მონასტერი... როცა ბერძენი მამები მოვლენ ივერიაში, მათ ნება უნდა დართონ, ძველი ჩვეულების თანახმად, შეკრიბონ მოწყალება საპატრიარქოს და სხვა ბერძნული მონასტრებისათვის. მაგრამ მათ უფლება არა აქვთ თუნდაც ერთი ობოლი მოითხოვონ ჯვრის მონასტრის ვალის დასაფარავად, რადგან ის უკვე გადახდილია...“ (Иоселиани, 1861:25-26).

ქართულ ისტორიოგრაფიაში უკანასკნელ ხანებში აღინიშნა, რომ ეს სიგელი გამოცდილი დიპლომატის მიერ არის დაწერილი და მისი სხვადასხვანაირად ინტერპრეტაცია შეიძლება. მასში ჩადებული იყო ისეთი პირობები, რომლებიც, ფაქტობრივად, ბერძნებს გადააქცევდა იერუსალიმის სავანეებში ქართველთა მემკვიდრეებად. მომავლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ მონასტრები ნამდვილი პატრონების, ე. ი. ქართველების ხელში დარჩებოდა თუ არა, ისინი მაინც ვალდებული იყვნენ მონაწილეობა მიეღოთ მათ შენახვაში (მამისთვალიშვილი, 2001:334). ამის საფუძველზე მთელი XVIII-XIX ს.ს. განმავლობაში საქართველოდან იერუსალიმში მიედინება ყმა-მამულიდან აღებული შემოსავალი და უხვი შეწირულობა. მაგრამ თვით იერუსალიმის პატრიარქის ზემოთ მითითებული ეპისტოლედან ჩანს, რომ „თანამედროვე ქართველებს თავიანთმა წინაპრებმა არავითარი ვალი არ დაუტოვეს მონასტრების სანაცვლოდ და

მათ შეუძლიათ სინდისი ქენჯნის გარეშე ჰქონდეთ პრეტენზია ოდესღაც მის კუთვნილ საეკლესიო ნაგებობებსა და სხვა ქონებაზე“ (მამისტოვალიშვილი, 2001:335).

იმის მიუხედავად, რომ იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო თვითვე აღიარებდა ქართველთა იურიდიულ უფლებებს „წმიდა ქალაქის“ ქართულ ეკლესია-მონასტრებზე, მათ ისარგებლეს XVII-XVIII ს.ს. საქართველოში შექმნილი მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარებით და დაიწყეს ქართულ მონასტრებში ყოველივე ქართულის მოშლა, ისედაც მცირე ქართველობა გაფანტეს სხვადასხვა ტაძრებში, აიკრძალა ქართულ ენაზე ღვთისმსახურება... ამან კი XVIII-XIX ს.ს. ქართული ელემენტი, ორიოდე გამონაკლისის გარდა, სრულიად გააქრო იერუსალიმში (Цагарели, 1888:70-101; ჟანენი, 1992: 19-21).

ამიერიდან იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო თავისი რწმენებული „ვექილის“- არქიმანდრიტის მეშვეობით უკავშირდება ქართულ სამეფო-სამთავროებს; აგვარებს მათთან სხვადასხვა საკითხებს და ღებულობს საქართველოში არსებული მამულების შემოსავალს; და მაინც, XVIII ს. განმავლობაში „საჯვარისმამო ყმა-მამულის“ მართვაში იერუსალიმის საპატრიარქოსთან ერთად მონაწილეობს ქართული საერო და სასულიერო ხელისუფლება, რომელსაც იერუსალიმში ქართველთა ქონებაზე ხელი აღარ მიუწვდება.

აღნიშნულ პერიოდში ცალკეული „საქართველოების“ პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული დაქვეითება აიძულებდა ქართულ ხელისუფლებას ანგარიში გაეწიათ იერუსალიმის საპატრიარქოსათვის, რადგან „წმიდა მიწაზე“ რეალურად ისინი იყვნენ ქართული მონასტრების დამცველნი, რასაკვირველია, თავისი ინტერესებიდან გამომდინარე.

პერმანენტული შემოსევებისა და ქრონიკული გაჭირვების გამო საქართველოში თანდათან მიივიწყეს ეროვნული კულტურის ის მიღწევანი, რომლებიც საზღვარგარეთ არსებულ ქართულ საგანგებოთაზე იყო დაკავშირებული (მამისტოვალიშვილი, 1998:165). ამას ადასტურებს ტიმოთე გაბაშვილიც : „აწ განცვიფრებული ვარ დიდად, რასათვის უგულებელს ყვნეს ქართველთა დიდნი ესე და წმიდა ადგილნი... არავისა სმენიეს, თუ იერუსალიმი ქართველთათვის რა არს და არცა

მე უწყობდი აქაური ესევეითარი საქმე, ჰოი მე, რა დიდის უგუნურებით არს ნათესავი ჩვენი“ (გაბაშვილი, 1956: 84-85). შექმნილი ვითარების მიუხედავად, „ქართველები ყოველთვის ერთგულნი იყვნენ წმიდა მიწის... საქართველო, ჯვაროსანთა დიდი მოკავშირე და ერთადერთი ქრისტიანული პოლიტიკური ძალა აღმოსავლეთში, ჯვაროსანთა შემდეგ საკუთარი სისხლის ფასად იცავს წმიდა მიწის მონასტრებს და ეკლესიებს“ (ფერაძე, 1995:125-126), მაგრამ ძნელბედობამ საქართველო საერთოდ ჩამოაცილა არა მარტო პალესტინის წმიდა ადგილებს, არამედ საკუთარი ეროვნული კულტურის იმ საგანძურსაც კი, რომელიც იერუსალიმის ქართულ მონასტრებშია დავანებული.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. გაბაშვილი ტ., მიმოსვლა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა, თბ., 1956.
2. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973.
3. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდის სამთავროებისა (1446-1770წწ), 1, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთო შ. ბურჯანაძემ, თბ., 1958.
4. Иоселиани Пл ; Послания Иерусалимского Патриарха досифея в Грузию, Тф., 1861.
5. მამისტვალიშვილი ელ., ქართველები და ბიბლიური სამყარო, თბ., 1998.
6. მამისტვალიშვილი ელ., ქართლის სამეფოსა და იერუსალიმის საპატრიარქოს ურთიერთობის ისტორიიდან (XVII ს. II ნახევარი),
7. ქართული დიპლომატია (წელიწდეული), VIII, თბ., 2001.
8. ჟანენი რ., ქართველები იერუსალიმში, ჟურნ. რელიგია, №10, 1992.
9. რეხვიაშვილი მ., იმერეთის სამეფო (1462-1810წწ), თბ., 1989.
10. სტეფნაძე მ., ქართველთა სტატუსი იერუსალიმის წმინდა მიწაზე VII-XVIII ს.ს. საერთაშორისო აქტების მიხედვით, თსუ-ს ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნი-

- ლი ივ.ჯავახიშვილის დაბადების 120 წლისთავისადმი (მოსხუნებათა თეზისები), თბ., 1997.
11. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973.
  12. საქართველოს მეცნ. აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-10274, Hd-10275(კ).
  13. Селезнев М., Руководство к рознанию павказа, кн. I, СПб., 1847.
  14. ტივაძე თ., იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსის წერილი საქართველოს შესახებ, ქართული წყაროთმცოდნეობა ტ. III, თბ., 1971.
  15. ფერაძე გ., უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ, ქართული ეკლესიის ისტორია, ტ. IV, თბ., 1995.
  16. 15. ქათამაძე ც., იერუსალიმთან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVII ს.-ის შუა ხანებში, ბსუ, „საისტორიო მაცნე“, ტ. X, ბათ., 2001.
  17. ქათამაძე ც., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ურთიერთობა იერუსალიმთან (XVI-XVIII სს), (საკანდიდატო დისერტაცია), ბათ., 2002.
  18. ქათამაძე ც., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეურნეო-ეკონომიკური ურთიერთობა იერუსალიმთან XVII-XVIII სს., ბსუ, „საისტორიო მაცნე“, ტ. XV, ბათ., 2005.
  19. ქართული სამართლის ძეგლები, გამოსცა ი. დოლიძემ ტ. III, თბ., 1970.
  20. ცაფერისი ვ., იერუსალიმის წმიდა ჯვრის მონასტერი, ჟურნ. რელიგია, №6-7, თბ., 1993.
  21. Цагарели А., Памятники грузинской старины в Святой Земле и на Синае, ППС, т. IV, вып. I, СПб, 1888.

## **Tsiuri Katamadze**

### **From the history of South-Western Georgia relationships with Greek Patriarchy of Jerusalem (50-80s of the XVIIth century)**

#### **summary**

From the middle of the XVIIth century (after temporal success), Georgian Colony of Jerusalem decreased again. It resulted in the activization of Greek Colony of Jerusalem, which, taking into account traditional historical and cultural relationships, cooperated with Georgian rulers.

Their visits (in South-Western Georgia particularly) were caused with the interest in so-called “Jerusalem income” – taxes and duties.

Taking it in consideration, they were interested in the stable political situation in the region. These statements explains so active interference of Jerusalem Patriarchs into political process at that time.

In the frames of above said cooperation, in 50-80s of the XVIIth century two Patriarchs of Jerusalem and the whole Palestine – Paisios (1656-1661) and Dositheos II (1669-1707) visited Georgia.

## **Циური Катамадзе**

### **Из истории отношений юго-восточной Грузии с греческой патриархией Иерусалима (50-80 г.г. XVII века)**

#### **Р е з ю м е**

С середины XVII века, после временного успеха, грузинская колония Иерусалима вновь пришла в упадок. Это способствовало активизации греческой патриархии Иерусалима, которая, учитывая традиционные исторические и культурные отношения с Грузией, а также, собственные интересы, сотрудничала с грузинскими правителями и князьями.

В рамках обозначенного сотрудничества, в 50-80 г.г. XVII века Грузию посетили два патриарха Иерусалима и всея Палестины – Паисий (1645-1661) и Досифей II (1669-1707).

Их визиты в Грузию, а в частности, юго-восточную Грузию, были обусловлены не только идеологическими нюансами, но и их заинтересованностью так называемым «иерусалимским доходом» - податями и налогами. По данной причине они были заинтересованы в поддержании стабильной политической ситуации в регионе.

Именно эти положения объясняют столь активное вмешательство иерусалимских патриархов в политические процессы, происходящие в грузинских княжествах.

## **ქრისტიანობის ისტორიიდან აჭარაში**

აჭარაში ქრისტიანობის გავრცელებას დაახ. ორიათასწლოვანი ისტორია აქვს. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II მიუთითებს: „ჩვენი ქრისტიანობა დაიწყო ამ წმინდა ადგილზე. აქ გაისმა პირველი სახარების სიტყვები. აქ შემოვიდნენ პირველად ანდრია პირველწოდებული და სიმონ კანანელი. ეს არის ჩვენი ფუძე, აქედან მოედო საქართველოს ქრისტიანობა” (თ. კომახიძე, 2001: 543-544).

აჭარა მდიდარია ქრისტიანული წარსულის ამსახველი მრავალფეროვანი მასალით. თითქმის ყველა ძირძველ სოფელში შემორჩენილია ზეპირსიტყვიერი, ტოპონიმიკური, ონომასტიკური, ეთნოგრაფიული თუ ნივთიერი მასალა, ნასაყდრები (ნაეკლესიარები). აღნიშნულ დასახლებათა რიგს მიეკუთვნება ერგე, მასში შემავალი სოფლებით (ზემო და ქვემო ჯოჯო, ნიკიტაური, კაპანდბი).

ერგეს „ქვეყნის” მცხოვრებთა ქრისტეს რჯულზე მოქცევა სათავეს იღებს ანდრია პირველწოდებულისა და მატათას აჭარაში მისიონერული მოღვაწეობის პერიოდიდან (ახ.წ. I ს.). მათ თავიანთი მოწაფეებით ქრისტეს რჯულზე მოაქციეს აჭარის ყველა მცხოვრები (ს. გოგიტიძე, 1997:22).

ერგეში ბევრ ადგილას არის დაფიქსირებული ნასაყდრალ-ნაეკლესიართა კვალი. იგი თავდაპირველად შედიოდა ფორთის საეპისკოპოში. VIII-IX საუკუნეებში ერგე ანჩის საეპისკოპოსოს ფარგლებშია. X ს-ის დასაწყისში ანჩას გამოეყო ტბეთის საეპისკოპოსო, რომელიც, სხვა სამწყსო ტერიტორიებთან ერთად, მოიცავდა აჭარას (პ. ინგოროყვა, 1954:10; ი. ბეჭირიშვილი, 1990:30-31). XVI ს-დან ერგეს „ქვეყანა”, ბარის აჭარის სხვა ტერიტორიებთან ერთად, ჩანს ქუთათელის სამწყსოში (დ. ბაქრაძე, 1978:76-77).

XVI ს-ის 60-იანი წლებიდან აჭარა მოექცა ოსმალ დამპყრობთა უღელქვეშ. დაიწყო ხანგრძლივი, სასტიკი ბრძოლა



ქართული სულის, ტრადიციების, თვითმყოფადობის ერთ-ერთი უპირველეს ნიშნის – რწმენის, ეკლესია-მონასტრებისა და ტაძრების წინააღმდეგ.

ისტორიის ავტელობის შედეგად, ამ პერიოდში განადგურდა სოფელში მოქმედი ქრისტიანული სალოცავები. ერგეს „ქვეყანაში“ ცენტრალური ეკლესია მდებარეობდა ჯოჭოს წყალ – წყალგველას შესართავთან, მარცხენა მხარეს აღმართულ მცირე ბორცვზე. იგი იყო დიდი დარბაზული ტიპის ნაგებობა. მისი ფართი უდრიდა დაახ. 100-120 კვ.მ. ნაგები იყო კირითა და 50-60 სმ სიფართის თლილი ქვებით. ეკლესიას სამხრეთ-დასავლეთ მხრიდან ჰქონდა თაღოვანი, ფართო შესასვლელი. იატაკი მოპირკეთებული იყო ქვით. ოსმალთა ბატონობის პერიოდში იგი ჯამედ გადაუკეთებიათ. ამის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის მწიგნობარი, აჭარის დიდი მოჭირნახულე, ზაქარია ჭიჭინაძე. იგი გვამცნობს: „ძველად ერგეს კარგი ეკლესია ჰქონია. ოსმალებს პირველად ერგეს ხალხისათვის დაუტანებიათ ძალა რჯულის გამოცვლისათვის. ერგეში ბევრი გამწყდარა რჯულისათვის. ოსმალებს ეკლესიაზე ჯამე დაუდგამთ“ (ზ. ჭიჭინაძე, 1913:128).

ეკლესიასთან მოწყობილი ყოფილა სამარხი (აქ დღესაც არსებობს სოფლის სასაფლაო).

ამ ეკლესიასთან არის დაკავშირებული საინტერესო ღეგენდა. თითქოს 1116 წლის თებერვალში, ჭოროხის ხეობით, კლარჯეთში მიმავალ დავით აღმაშენებელს, სადაც ელოდა თურქ მომხედურთა წინააღმდეგ საომრად შეყრილი ქართველთა ჯარი, გაუვლია ხე(ვ)ერუ-ერგეს გზაზე. სწორუპოვარ მეფე-სარდალს გზად შეუვლია სოფლის ეკლესიაში, წირვა მოუსმენია და სანთელი დაუნთია.

შედარებით მცირე ეკლესია არსებობდა ერგეს უბან ბაშკოში. ამ ადგილს საყდარს ეძახიან (ი. სიხარულიძე, 1958:46). ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იან წლებში შემორჩენილი იყო საყდრის ნაშთები. საყდრის სიგრძე უდრიდა 7 მ, სიგანე - 5 მ. კარი აღმოსავლეთით ჰქონდა დატანებული. ნაშენები იყო კირითა და ადგილობრივი კლდის ნახერხი ქვებით. საყდრის ეზოში აღმოჩნდა დიდი ზომის ჭური, რომლის დიამეტრიც ყოფილა 120 სმ (აჭარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი). ახლომდებარე მაღლობიდან

თიხის მიღებით საყდარში შეყვანილი იყო წყალი. არსებობს გადმოცემა: თურმე, მიუხედავად მუსლიმანობის მიღებისა, სოფლის მცხოვრებნი მაღულად მიდიოდნენ საყდარში და ანთებდნენ სანთელს, ასრულებდნენ ქრისტიანულ წესებს. ამის გამო ოსმალო დამპყრობლებს იგი დაუნგრევიათ, მაგრამ ხალხი თავისას არ იშლიდა და საყდრის ნანგრევებზე მაღულად განაგრძობდა სანთლის დანთებას. აჭარის დამსახურებული მასწავლებლის ნიაზ ომერადის გადმოცემით, თურმე ღრმად მოხუცებული მისი ბებია დუდი ხანუმ ომერადე ისე მოკვდა, რომ საყდრის ნანგრევებზე დადიოდა და ღოცულობდა.

ამავე სოფელში ცხოვრობენ პაპაძეები. გადმოცემით, მათი წინაპარი მღვდელი ყოფილა.

ქრისტიანულ სალოცავთა სიმრავლით გამოირჩეოდა ჯოჯოს ხეობა. ზემო ჯოჯოში ოთხ ადგილას ფიქსირდება ეკლესია-საყდრის არსებობა. სოფლის ერთ-ერთ უბანს ჰქვია სახტარი (საყდარი). არის დავაკებული ადგილი, მდებარეობს ჯოჯოს წყლის მარჯვენა მხარეს. გადმოცემით, აქ არსებულა საყდარი (ეკლესია). დღემდე შემორჩენილია მხოლოდ საყდრის საძირკველი. იგი წარმოადგენდა დარბაზული ტიპის ნაგებობას. მოცულობით უდრიდა დაახ. 20-25 კვ.მ. საყდრის ეზო და მისასვლელი მოპირკეთებული ყოფილა რიყის ბრტყელი ქვებით. 1956 წ. პროფ. ი. სიხარულიძეს ჯოჯოელი ალი მიქელაძისაგან ჩაუწერია: „ჩემი დიდი ნენეი იტყოდა, რომ აქ ძველად ქილისე-საყდარი იყო. ხალხი მაშინ სულ მაღლობებზე ცხოვრობდა და ჩანგს რომ დაარტყამდნენ მოუდოდნენ მოსახლეები” (ი. სიხარულიძე, 1958:77).

საყდრის ეზოში აღმოჩენილია დიდი ზომის ჭური (სიმაღლე 2 მ, მუცლის დიამეტრი 2,5 მ). ასევე უბნის ტერიტორიაზე დასტურდება მარანის არსებობა. აღმოჩენილია ერთად დაფლული 5 ცალი დიდი ჭური. რაც მიუთითებს, რომ ეკლესიას საკუთარი მეურნეობა ჰქონია. საყდართან არსებობს სამარხი. სოფლის მკვიდრი ტარიელ მიქელაძე მოგვითხრობს: „ჩემი ბებია ფაქიზო მიქელაძე გვეტყოდა, ნასაყდრალთან სასაფლაოს არ გაეკაროთ, ავად გახდებითო”.

ჯოჯოს წყლის მარცხენა მხარეს, „ქვაკიბიასა” და „ნასელვარას” მიდამოებში მდებარეობდა ორი ეკლესია. ერთი

მათგანი მდებარეობდა ნასელვარას დასავლეთით (გ. ზაქარაძის საკარმიდამო ტერიტორიაზე). აქვე არსებობდა ქრისტიანთა სამარხები. გადმოცემით, მეორე საყდარი არსებულა ლეონიძეთა უბანში, კერძოდ, ო. ლეონიძის ეზოში (ცნობები მოგვაწოდა ღვაწლმოსილმა პედაგოგმა, ზემო ჯოჭოს არასრული საშუალო სკოლის ყოფილმა დირექტორმა გარსევან ლეონიძემ).

ტაძარი არსებულა აგრეთვე „ყანაგრძელას“ ტერიტორიაზე. როგორც ირკვევა, აღნიშნული მიდამოები წარმოადგენდა სოფლის ერთ-ერთ ძველ დასახლებას. აქ მრავლადაა აღმოჩენილი ჭურები.

სოფლის მოსახლეობა ისტორიის ავტელობის პერიოდშიც არ იფიწყებდა წინაპართა სალოცავებს. არსებობს საინტერესო გადმოცემა მერიემ ერგელის შესახებ. იგი ყოფილა მიქელაძეთა გვარის „დიდი ნენე“. როგორც გადმოცემა მოგვითხრობს, მერიემი არ შერიგებია დამპყრობლების მძლავრობას და კვლავ მამაპაპური ცხოვრების წესს მისდევდა. მის დროს (დაახ. XVIII-XIX სს-ის მიჯნა) უცხო რჯულის სალოცავებთან ერთად, არც ძველი ყოფილა მოშლილი, თუმცა, დღისით-მზისით „ქილისეებში“ შესვლას და რიტუალების შესრულებას ვეღარ ბედავდნენ. ამიტომ მერიემ მიქელაძე, თანასოფლელებთან ერთად, ღამით ქილისეში (საყდარში) მიდიოდა და თხოვდა ზენაარს შველას. თავის დროზე მას თვალსაჩინო როლი შეუსრულებია ქართული ადათ-ჩვევების დაცვაში (ი. მოსიძე, 1980:62). ჯოჭოს ხეობაში დღემდე შემორჩენილია ხალხური ლექსი:

„დუნია რომ მოიარო,  
ვერსად ნახო მისებრ ქალი,  
დიდი ნენე, მერიემი,  
მთელი ერგეს არის თვალი.  
იცის წერა, ქსოვა, ლექსი  
და ზღაპრები გრძელზე-გრძელი,  
იგი ჯამეს სტუმარი  
და ქილისეს მასპინძელი.“

ქვემო ჯოჭოში, მდ. წყალგველას მარცხენა მხარეს (წიფლნარის სამხრეთ ფერდობზე), შემორჩენილია ნაეკლესიარი. იგი მდებარეობს ჯ. თედორაძის საკარმიდამო ტერი-

ტორიაზე. გადარჩენილია მხოლოდ საძირკველი (ცნობა მოგვაწოდა სოფლის მეკიდრმა იოსებ თედორაძემ). იგი წარმოადგენდა დარბაზული ტიპის ნაგებობას. ეკლესიის აღმოსავლეთით ყოფილა ქრისტიანული სამარხი. 1960 წ. აქ აღმოჩნდა საფლავის ქვა, რომელზედაც ამოკვეთილია წარწერა: „შეიწყალე ღმერთო გ(რიგ)ოლ (კო)ჭლაძე...“ (ამხფ). აღნიშნული გვარი ერგეს თემში დასტურდება. ისინი ოსმალბობის პერიოდში იწერებოდნენ თოფალოღლებად.

ნაეკლესიარის დასავლეთით, ფერდობზე არის ადგილი, რომელსაც ნაცისვარს ეძახიან. გადმოცემით, აქ ყოფილა ჯაყელის ყალე (ციხე). დღემდეა შემორჩენილი ნაგებობის თლილი ქვები (ცნობა მოგვაწოდეს სერვეთ და გურამ ჭანიძეებმა).

წყალგველას მარჯვენა მხარეს, არფაზონის მთის კალთაზე, არის ფერდობი ადგილი, რომელსაც აქაური მეკიდრნი „თეთროსანს“ უწოდებენ. მკლევარები, ქრისტიანობის ადრეული პერიოდის რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით საინტერესო ტოპონიმთა რიგს მიაკუთვნებენ თეთროსანს (მ. ქამადაძე, 2002:90). გადმოცემით, ჩვენი საკვლევი ტერიტორიის მაღალ ტერასზე მდებარეობდა ეკლესია. მსგავსი სახელწოდების ადგილები და ნაეკლესიარები აჭარაში არცთუ იშვიათია. გამოკვლეულია, რომ იგი უკავშირდება წმინდა გიორგის სახელს. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი მარინა გიორგაძე, სოფ. გვარას „თეთროსანის“ ეკლესიასთან დაკავშირებით, მიუთითებს: „იგი წმინდა გიორგის სახელობის იყო. ეს ტოპონიმი ქართულია. სახელი თეთროსანი ტაძარმა თეთრ ცხენზე ამხედრებული წმინდანის, თეთრი გიორგის გამო მიიღო“ (მ. გიორგაძე, 1989). ქართულ ტრადიციაში წმინდა გიორგი მცველ-მფარველი და უძლეველი მხედარია. ქვეყანა მისი სახელობის საყდრებით დაიფარა და ხატებით მოიკაზმა (ი. ბექირიშვილი, 1990:71). როგორც ფიქრობენ, „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, მეტწილად ეკლესიების უმრავლესობა წმინდა გიორგის სახელობის იყო“ (თ. კომახიძე, 2001:294). ასე რომ, ჩვენს საკვლევ ტერიტორიაზე ქრისტიანულ ეპოქაში არსებული ეკლესია წმინდა გიორგის სახელობის უნდა ყოფილიყო. ამის უტყუარი მოწმეა თავად ადგილის სახელწოდება.

აღსანიშნავია, რომ „თეთროსანას“ ტერიტორიაზე (ზაქარაძე შუქრის სამოსახლო ნაკვეთში) აღმოჩნდა ჭური ქართული წარწერით. თვითმხილველთა თქმით, სიბველის გამო, ამოღებისას ჭური დაშლილა (ცნობა მოგვაწოდა ცნობილმა ექიმმა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა ზურაბ თედორაძემ).

ასევე, საყდარი არსებული სოფ. ნიკიტაურში. მდებარეობდა ნასაყდარალის მიდამოებში (ასლან ფენჩიძის საკარმიდამო ტერიტორიაზე).

საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ტერმინ საყდარის ეტიმოლოგია. საყდარი თავისი დანიშნულებით არის „შენობა „სადაც ქრისტიანთა წირვა-ლოცვა იმართება, - ეკლესია“ (ქეკელ, 1986:399). ეს უკანასკნელი ბერძნულიდან დამკვიდრებული სიტყვაა (ზ. ჭუმბურიძე, 1978:71). „ეკლესია – შესაკრებელი ტაძარი სალოცავად ღვთისა“, - განმარტავს ლექსიკონრაფი ნ. ჩუბინაშვილი (ნ. ჩუბინაშვილი, 1961:209). ჩნდება კითხვა, ბერძნულის გავლენით ტერმინ ეკლესიის დამკვიდრებამდე ქართულში რა სიტყვა გამოიყენებოდა ღვთისმსახურების შენობის აღმნიშვნელად? პროფ. შ. ძიძიგურის გამოკვლევით, ქრისტიანულ სამლოცველო შენობას ძველ საქართველოში ეკლესიის გარდა საყდარიც ეწოდებოდა (შ. ძიძიგური, 1982:29). მიჩნეულია, რომ ეს უკანასკნელი აღნიშნული მნიშვნელობით დამკვიდრდა მოგვიანო პერიოდში (შ. ძიძიგური, 1982:29-30). საკითხის ლინგვისტური, ისტორიულ-ტოპონიმიური ანალიზიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, საყდარი არის ღვთისმსახურების შენობის აღმნიშვნელი უძველესი ქართული ტერმინი. იგი წარმოსდგება სიტყვისაგან **საყუდარი**. მასში გამოიყოფა ფუძე **ყუდე** დაერთვის ქართულ ტოპონიმიკაში დანიშნულების მაწარმოებელი სა- – -არ – თავსართბოლოსართი. „ყუდე“ მეგრული სიტყვაა და ქართულად შეესატყვისება „სახლი“ (ოთ. ქაჯაია, 2002:232). ზემოთქმულის მიხედვით **საყუდარი (საყდარი)** ნიშნავდა განსაკუთრებული დანიშნულების სახლს, სადაც სრულდებოდა ღვთისმსახურება.

ამრიგად, ჩვენი წინაპრები, ჯერ კიდევ წარმართობის პერიოდში, თავიანთ სალოცავ სახლებს, სადაც იკრიბებოდნენ და ასრულებდნენ ღვთისმსახურების რიტუალებს, უწო-

დებდნენ „საყუდარს“, ანუ „ღვთის სახლს“. თუ გავითვალისწინებთ სიტყვა „საყუდარი“-ს აგებულებას, იგი ზანურ-ქართული ენობრივი ერთობის პერიოდიდან (დაახ. ძვ.წ. II ათასწლეული) მომდინარე ტერმინად უნდა მივიჩნიოთ.

საქართველოში, ქრისტიანობის გავრცელების პირველ ეტაპზე, ქრისტიანულ სამლოცველო სახლებს (შენობებს) დამკვიდრებული ტრადიციის გავლენით ეწოდა საყუდარი ანუ საყდარი. შემდგომ მისი ადგილი დაიკავეს ტერმინებმა: ეკლესია, ტაძარი. ქართული ტერმინი საყუდარი (საყდარის სახით) პარალელურად განაგრძობს არსებობას. ქართველი მემკვიდრე ჯუანშერი (XI ს.) გვამცნობს: ქართლის მეფე მირის (717-730 წწ.) ცხედარი „დაჰფლენ საყდარსა ქუთაისისსა“ (ქართლის ცხოვრება, 1959:16). ხახულის ეკლესიის აგებასთან დაკავშირებით „მატიანე ქართლისაი“-ში ვკითხულობთ: „დავით კურაპალატმა აღაშენა მონასტერი და საყდარი ღმრთისა“ (ქცა-I, 1959:274). დავით აღმაშენებლის მემკვიდრე მოგვითხრობს: დავითმა მუსლიმანებისაგან გაათავისუფლა ანისი, „რომელთა დიდთა საყდარი ანისისა მისგითად მოეკაზმათ და ქრისტიანთა სისხლითა იგი საყდარი და ქალაქი მოერწყო“ (ქცა-I, 1959:345). ამ მხრივ საყურადღებოა ე.წ. „რატიანის სიგელი“, რომელიც XVII ს-ის შუა წლებშია გაცემული სამეგრელოს მთავარ ლევან II დადიანის მიერ. მასში ვკითხულობთ: „პაპა ჩვენი ღიონ დადიანი (საუბარია ლევან I დადიანზე) სტამბოლს წასულა და რაც ოდიშის საყდრები ყოფილა, იმისათვის ზოგს ოცი, ზოგს ათი, ზოგს ხუთი კვამლი (კომლი) შეუწირავს“ (თ. ბერაძე, 1918:77). როგორც ჩანს, ამ პერიოდის სამეგრელოში „ღვთის სახლს“ (ეკლესია) უწინდებურად საყდარს ეძახდნენ. აღნიშნული ტრადიცია მყარად იქნა შენარჩუნებული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, რაც განსაკუთრებით კარგად ჩანს მხარის ტოპონიმიაში. გეოგრაფიულ ადგილებს, სადაც ფიქსირდება ქრისტიანული სამლოცველოები, ძირითადად ეწოდება: საყდარი, სახტარი. მრავლად გვაქვს მათგან წარმომდგარი ტოპონიმები: საყდარი, საყდრიძირი, საყდრისერი, საყდრიყელი, ნასაყდრალი, ნასაყდრევი, ნასაყდარი, სახტარი, ნასახტრევი (ი. სიხარულიძე, 1958:226; 1959:64,180; ნ. ცეცხლაძე, 2004:199, 210). საკითხთან დაკავშირებით ასევე საინტერესოა ტერმინი

საყდრიონი, დაყუდებული. აკად. ს. ჯანაშიას განმარტებით, საყდრიონი ნიშნავს საყდრის შეილებს (ს. ჯანაშია, 1959:41), ანუ საყდრის მორწმუნეთა კრებულს. ხოლო „დაყუდება, დაყუდებული არის განმარტოებით მცხოვრები ბერი, განდევნილი“ (ქეგლ., 1986:203). მისი შინაარსიდან გამომდინარე, თავდაპირველად დაყუდება, დაყუდებული ნიშნავდა საყდარში ღოცვად დადგომას, ღოცვად დგომას.

საყურადღებოა, რომ სამწერლო ლექსიკაში, ქრისტიანული სამლოცველო შენობის აღმნიშვნელად იყენებდნენ ტერმინ საყდარს ი. ჭავჭავაძე (ი. ჭავჭავაძე, 1987:269; 1988:30, 69103, 143, 147), ა. წერეთელი (ა. წერეთელი, 1989:122,133), ი. გოგებაშვილი (ი. გოგებაშვილი, 1912:243-244).

დროთა ვითარებაში ტერმინმა „საყუდარი“ განიცადა ცვლილებები. სიტყვის ფუძეში მოხდა „უ“ ხმოვნის დაკარგვა (რედუქცია). რის შედეგადაც მივიღეთ საყდარი [სა ყ(უ)-ღარი]საყდარი].

ამრიგად, ერგე ერთ-ერთი ძირძველი, ქრისტიანული ტრადიციების მატარებელი სოფელია.

### **შენიშვნები:**

1. საყურადღებოა, რომ ერგეში (ზედა ერგეს უბანი) შემორჩენილია მიკროტოპონიმი კოჭლაური (სათესი). იგი ანთროპონიმიული წარმოშობის გეოგრაფიული სახელია. წარმოსდგება სიტყვისაგან „კოჭლი“. გაფორმებულია წარმომავლობა კუთვნილების მაწარმოებელი -ურ- სუფიქსით, მიგვანიშნებს, რომ წარსულში იგი ეკუთვნოდა პიროვნებას, რომელიც ცნობილი ყოფილა მეტსახელით „კოჭლი“. როგორც ჩანს, მისგან დაედო საფუძველი გვარს კოჭლაძე. ცხოვრებულან ზედა ერგეში.

2. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ტოპონიმთა დანიშნულების მაწარმოებლების შესახებ იხ: მ. ქამადაძე, 1992:31, ნ. ცეცხლაძე, 2000:68-69.

3. ი. გოგებაშვილის მოთხრობაში „საყდარი“ ვკითხულობთ: ჩვენს სოფელში აშენებულია მშვენიერი თლილი ქვის საყდარი წმინდა გიორგის სახელზე. იგი სდგას შუა სოფელში. მთელი ჩვენი სოფელი დიდად თაყვანს სცემს ჩვენს საყდარს. ყველა ჩვენგანი ამ საყდარშია მონათლული, მასში

ევედრება ღმერთსა, ისმენს წირვა-ლოცვას, ამბობს აღსარებასა, მიიღებს ხოლმე წმინდა ზიარებასა და სულის ცხოვნების გზაზედ დგება. იმავე საყდარის შორი-ახლო მიაბარებენ მიწას ჩვენს სხეულსა და სასაფლაოზედ, სადაც მარხიან ჩვენი დედ-მამანი, პაპანი, წინაპარნი. ჩვენი საყდარი საყოველთაო საღმრთო საფარველია (ი. გოგებაშვილი, 1912:243).

### გამოყენებული ლიტერატურა

1. აჭარის ხ. ახელედიანის სახელ. სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი (ტექსტში ამხფ), №505.
2. თ. ბერაძე, ზღვაოსნობა ძველ საქართველოში, თბ., 1981.
3. ი. ბეჭირიშვილი, ქრისტიანობა აჭარაში, ბათ., 1990.
4. მ. გიორგაძე, თეთროსანი, გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 18 ივლისი, 1989.
5. ი. გოგებაშვილი, დედა ენა, თბ., 1912.
6. თ. კომახიძე, რელიგია და საღვთისმსახურო ნაგებობები აჭარაში, ბათ., 2001.
7. ი. მოსიძე, სახელოვანი ქალები, ჟურნ. „ჭოროხი“, 1980, 2.
8. ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმთა, ტ. I, ბათ., 1958.
9. ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმთა, ტ. II, ბათ., 1959.
10. რ. უზუნაძე, წინაპართა ნაკვალევზე. გაზ. „აჭარა“, №233, 2003.
11. ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1959.
12. ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959.
13. მ. ქამადაძე, ზემო აჭარის ტოპონიმთა. აჭარული დიალექტის ღარგობრივი ლექსიკონი, VIII, თბ., 2002.
14. ოთ. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 2002.
15. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ტექსტში ქველ), თბ., 1986.
16. ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ., 202.
17. ნ. ცეცხლაძე, შავშეთ-იმერხევის ტოპონიმთა, ბათ., 2000.
18. ნ. ცეცხლაძე, ძიებანი ჭოროხის აუზის ტოპონიმთა, ბათ., 2004.
19. შ. ძიძიგური, საენათმეცნიერო საუბრები, თბ., 1982.
20. აკ. წერეთელი, თხზ. ტ. III, თბ., 1989.
21. ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. I, თბ., 1987.



22. ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. II, თბ., 1988.
23. ზ. ჭიჭინაძე, მუსლიმანი ქართველები და მათი სოფლები საქართველოში, ტფ., 1913.
24. ზ. ჭუმბურიძე, როგორ გაჩნდა სიტყვა, თბ., 1978.
25. ს. ჯანაშია, შრომები, ტ. III, თბ., 1959.

**Revaz Uzunadze, Merab Uzunadze**

**The christians of history in Adjara**

### **Rezume**

In South-East Georgia in village Erge the Cristian have very interesting history. In your time „in the country” Erge exist nine sakdari (churches).

**Узунадзе Реваз, Узунадзе Мераб**

**Из истории христианства в Аджарии**

### **Резюме**

Интересная история у христианства в древнем селении Юго-Западной Грузии Эрге. В свое время в «стране» Эрге действовало 9 церквей (сакдари).

«Сакдари» - грузинский термин времен язычества, который происходит из слова «сакудари», что означало «дом Божий». После распространения христианства в Грузии по влиянию уже сложившейся традиции христианские здания для молитв назывались «Сакдари».

## **ჭარ-ბელაქანთან ერეკლე II-ის ურთიერთობის ისტორიიდან XVIII საუკუნის 90-იან წლებში**

ჭარ-ბელაქანის სამხედრო-პოლიტიკური გაერთიანება XVII-XVIII საუკუნეებში ჩამოყალიბდა საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული კუთხის – ჰერეთის მიწაზე. იგი დაარსეს და-ლისტნელმა მოახალშენეებმა ჯერ ირანის, შემდეგ კი ოსმალეთის სურვილითა და აქტიური ხელშეწყობით.

დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის მებრძოლ ქართველთათვის ჭარ-ბელაქანი, რომელსაც დაღისტანი და ირან-ოსმალეთი უმაგრებდნენ ზურგს, სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენდა. “ჭარ-ბელაქნელები იყვნენ ქართლ-კახეთის ბოლომოუღებელი რბევის ორგანიზატორები; ჭარ-ბელაქანი იყო საიმედო სადგური და დასაყრდენი საქართველოს სარბევ-საოხრებლად წამოსული დაღისტნელი აბრაგებისათვის, ჭარ-ბელაქანი ის პოლიტიკური ერთეული იყო, რომლის მეშვეობითაც ოსმალეთი და-ლისტნელებს უკავშირდებოდა, დაქირავებულ აბრაგთა ბანდებს თავს უყრიდა ახალციხეში და საჭიროებისდა მიხედვით ხან იმერეთს არბევინებდა მათ, ხან კი ქართლს აოხრებინებდა” (ნ. ბერძენიშვილი, 1966:275).

XVIII საუკუნის II ნახევარში ამიერკავკასიაში შექმნილმა საერთაშორისო ვითარებამ კარგი პირობები წარმოშვა აღმოსავლეთ საქართველოს დაწინაურებისათვის. სახელმწიფოებრივი დეგრადაციის ფაზაში შესული ირანი და ოსმალეთი უკვე ვეღარ ახერხებდნენ რეგიონში აქტიური პოლიტიკის გატარებას, ხოლო ჩრდილოეთიდან მომდგარი, მზარდი ამბიციების მქონე რუსეთის იმპერია ჯერ კიდევ არ იყო აქ სათანადოდ ფეხმოკიდებული. ასეთ ფონზე ერეკლე II, რომელიც 1762 წლიდან გაერთიანებული ქართლ-კახეთის სამეფოს ერთპიროვნული მმართველი გახდა, ენერგიულად ცდილობდა საქართველოს “აღდგომისა” და “გამოხსნის” მისეული გეგმის ცხოვრებაში რეალიზებას. ამ რთულ გზაზე უპირვე-

ლესად დასაძლევ იყო “ლეკიანობის” პრობლემა. მართალია, დაღისტნელთა მსხვილი ძალების შემოჭრა საქართველოში უმთავრესად მათივე მარცხით მთავრდებოდა, სამაგიეროდ წვრილ-წვრილი რაზმების გაუთავებელი ქურდული თარეშები გამუდმებით უთხრიდა ძირს ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და დემოგრაფიულ საფუძვლებს და დიდ საფრთხეს შეიცავდა მისი მომავლისათვის.

დაღისტნელთა აგრესიის ავანგარდში ჭარ-ბელაქანი იდგა. ამდენად, ქართულსავე მიწაზე აღმოცენებული ამ საშიში ბუდის მოშლა ან ნეიტრალიზება გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენდა. “ამიტომაც იყო, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევრის განმავლობაში, ე.ი. “აღდგომა-გამოხსნისათვის” გადამწყვეტი ბრძოლის ხანაში, ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწენი ყველა საშუალებით (პირდაპირი ომით, დიპლომატიური გზებით და სხვ.) შეუწელებლად ცდილობდნენ ამ პირველხარისხოვანი საკითხის გადაწყვეტას” (ნ.ბერძენიშვილი, 1966:275).

უნდა ითქვას, რომ მიუხედავად ხშირი სამხედრო დაპირისპირებისა, ქართველთა და დაღისტნელთა შორის არ წარმოშობილა დაუძლეველი ბიოლოგიური ურთიერთიზიდი. ამის მიზეზი ალბათ საუკუნეთა სიღრმიდან მომდინარე თანაარსებობის ტრადიციაში და, რაც მთავარია, კულტურულ და გენეტიკურ ნათესაობაში უნდა ვეძოთ. აკი მიმართავდნენ კიდევ დაღისტნელი ბელადები ერეკლე მეფეს, “ჩვენ გვიჩვენია თქვენ დაგვიქირათ და მიგვისიოთ თქვენი ქვეყნის მტერს, ვიდრე სხვამ დაგვიქირაოს და თქვენი ქვეყანა გვანადგურებინოსო” (შ. ლომსაძე, 1975:51). ერეკლე მეფეც, რომელიც კავკასიაში დიდი ავტორიტეტითა და თავისი ეთნო-რელიგიური ტოლერანტობით გამოირჩეოდა, დაუღალავად ცდილობდა დაღისტანთან საჭირო კავშირების გაბმას და იქაური რესურსების საქართველოს საკეთილდღეოდ გამოყენებას. მეფეს ხშირი მიმოწერა ჰქონდა როგორც ავარიის, ყაზიყუმუხის და დაღისტანის სხვა პოლიტიკური ერთეულების მფლობელებთან, ისე ჭარ-ბელაქნის, დიდოეთის, ანწუხის, კაპუჭის და სხვა, ე.წ. “თავისუფალი თემების” ლიდერებთან და მოუწოდებდა მათ კეთილმეზობლური და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობისაკენ (История Дагестана, 1967:384). უმეტეს

შემთხვევაში ასეთი მიმართვები სასურველი შედეგებით მთავრდებოდა: გარკვეული საფასურის სანაცვლოდ დაღისტნელები ქართველთა სამხედრო სამსახურში დგებოდნენ. “საინტერესოა ისიც, რომ ერეკლე დაქირავებულ ლეკთა ლაშქარს თვით ლეკთა წინააღმდეგ საბრძოლველადაც იყენებდა” (ნ.ყანაველი, 1978:242). ხოლო თუ დაღისტნის ოფიციალურ ისტორიოგრაფიას ვერწმუნებით, მიუხედავად გახშირებული ურთიერთთავდასხმებისა (ბევრად იშვიათად, მაგრამ ასეთ თავდასხმებს ქართველთა მხრიდანაც რომ ჰქონდა გარკვეულწილად ადგილი, 1785 წლის 12 ოქტომბრის ერეკლე მეფის გარიგების წიგნიც მოწმობს, შედგენილი თუშ-ხევსურთა და დიდო-კაპუჭკელ-ანწუხელთა ურთიერთობების დარეგულირებასთან დაკავშირებით (Межкавказские..., 1991: док. №134 а, 46–48)), საქართველო და ქართველები დაღისტნელთა ფართო მასებში მაინც დიდი სიმპატიებით სარგებლობდნენ (История Дагестана, 1967:384–386).

როგორც აღვნიშნეთ, ერეკლე II-ის სამეფო კარი განსაკუთრებით ჭარ-ბელაქანთან ურთიერთობების მოწესრიგებით იყო დაინტერესებული. მართალია, ქართულ მიწაზე გაჩენილ, ავთვისებიანი სიმსივნის მსგავს ამ წარმონაქმს ცუდის მეტი არაფერი მოუტანია როგორც ადგილობრივი ქართველებისათვის – ჰერებისათვის, ისე სრულიად საქართველოსათვის (მიუხედავად იმისა, რომ ჭარ-ბელაქნელი “ლეკების” ძარღვებში ქართული სისხლიც უხვად ჩქეფდა), მაგრამ სახელმწიფოებრივი მოსაზრებებიდან გამომდინარე, ერეკლე მეფე მიზანშეწონილად მიიჩნევდა დაეოკებინა სამართლიანი რისხვა და მშვიდობიანი გზებითაც ეცადა ჭარ-ბელაქნელი ავარიელების შემორიგება. საკითხისადმი ასეთი მიდგომა ნათლად მეტყველებს ერეკლე მეფის მზადყოფნაზე – ემოქმედა არსებული რეალობის ადეკვატურად და იქ სადაც იარაღის ძალით პრობლემის გადაჭრისათვის სიტუაცია ჯერ კიდევ არ იყო მომწიფებული, დიპლომატიური საშუალებებით შეეზადებინა ნიადაგი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის. ამ ფორმას ის უპირატესობა გააჩნდა, რომ, ჯერ ერთი, წარმატების შემთხვევაში საქართველოს მტრულ გარემოცვას ჭარ-ბელაქნის სექტორი გამოაკლდებოდა და ამ მიმართულებით მოწინააღმდეგის ნაცვლად სტრატეგიულ

მოკავშირეს შევიძენდით, რაც თავისთავად მნიშვნელოვანი მიღწევა იქნებოდა; და მეორეც, რადგან ეს ფაქტი მშვიდობიანი, ურთიერთშეთანხმების გზით მოხდებოდა, სათანადო გავლენას მოახდენდა საკუთრივ დადისტანზე, ხელს შეუწყობდა ურთიერთობების ახალ ფორმატში გაგრძელებას და დადისტანიდან ზურგის მობმას გაუადვილებდა ერეკლე II-ს. ქართლ-კახეთის სამეფოსა და ჭარ-ბელაქან-დადისტანის ალიანსი კი შეიძლება პან-კავკასიური ერთობის საფუძველი და ის მძლავრი ბერკეტი გამხდარიყო, რომელიც კავკასიის ბელს შეცვლიდა და აქ უცხო იმპერიების თარეშს ბოლოს მოუღებდა.

ესმოდა რა აღნიშნული შეთანხმების პოლიტიკური მნიშვნელობა, ერეკლე დაჟინებით მოითხოვდა ჭარ-ბელაქნელებისაგან მოლაპარაკების მაგიდასთან მისხდომას და არსებული სირთულეების მოსაგვარებლად არასამხედრო, ალტერნატიული გზების მოძიებას. თუ გავითვალისწინებთ მაშინდელი დაქსაქსული საქართველოს გარემოცვას – ტრადიციულად მოძალადედ გააზრებული ირან-ოსმალეთი და ერთმორწმუნე, მაგრამ არასანდო რუსეთი, ვფიქრობთ, ერეკლეს მცდელობა – შეეძინა მოკავშირეები შიდაკავკასიურ სამყაროში, სწორი და გონივრული გადაწყვეტილება იყო. ერთი შეხედვით, ერეკლესა და ჭარ-ბელაქნელებს შორის ალიანსის გაფორმება თითქოს უარყოფითად უნდა ასახულიყო ჭარ-ბელაქნელი “ლეკების” მიერ დამორჩილებული ჰერების (იგივე ინგილოები) ბედზე; თითქოს ქართველი მეფე ამით აღიარებდა და ეგუებოდა აქაური ქართველების დამამცირებელ ყოფას; მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. ჯერ ერთი, ჭარ-ბელაქნელებსა და ქართლ-კახელებს შორის ურთიერთობების დათბობა თავიდანვე შეამსუბუქებდა აღმოსავლეთ კახელების ანუ ჰერების მდგომარეობას, დაზოგავდა მათ სასიცოცხლო ძალებს და გააადვილებდა ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებას. და მეორეც, ჭარ-ბელაქნელების რეალური შემორიგება საგრძნობლად განამტკიცებდა ერეკლე მეფის პოზიციებს რეგიონში, ხოლო ერთის მხრივ ეს განმტკიცებული პოზიციები, მეორე მხრივ კი პროქართულ პოლიტიკურ სივრცეში ჭარ-ბელაქნის თანდათანობითი ინტეგრირება, უდავოდ დადებითად იმოქმედებდა ჰერთა მომავალ ბედ-იღბალზე.

ამდენად, ანტი- და პრო-ქართული ძალების მაშინდელი თანაფარდობის გათვალისწინებით, ჩვენ გამართლებულად მიგვაჩნია ერეკლე II-ის ძალისხმევა ჭარ-ბელაქნელთა შემორიგებასთან დაკავშირებით.

სამწუხაროდ, მოლაპარაკებების პროცესი საკმაოდ ხანგრძლივი და მტკივნეული გამოდგა და მხოლოდ 1790-იანი წლების საწყისისათვის გამოიღო რამდენადმე რეალური შედეგი. აღნიშნულ წლებში განვითარებულ მოვლენებზე საინტერესო ცნობებს გვაძლევს ერეკლე მეფის შვილიშვილი, თეკლა ბატონიშვილის ვაჟი, ფრიად საინტერესო პიროვნება და დიდი პატრიოტი, ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი.

ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი, მიეკუთვნებოდა რა ქართულ არისტოკრატიულ ელიტას, ქართლ-კახეთის ყოფილი სამეფოს სახელმწიფო მესვეურებისა და მათი შთამომავლების გარემოცვაში იზრდებოდა და ცხოვრობდა. ამდენად, იგი ინფორმაციას მოვლენათა თვითმხილველებისა და, ხშირად, უშუალო მონაწილეებისაგან იღებდა, თანაც გამოირჩეოდა მართლისმოქმედობითა და ობიექტურობით. გამომდინარე აქედან, ჩვენ სარწმუნოდ და სანდოდ მიგვაჩნია იგი, როგორც ინფორმაციული წყარო.

ალ. ჯ.-ორბელიანის მიხედვით, პატარა კახს ჭარ-ბელაქნელების შემორიგებაზე ზრუნვა ნეიშნის ველზე ლეკების დიდი ჯარის დამარცხების (1735 წ.) შემდეგ ძალევე დაუწყო. დაინახა რა “ლეკიანობის” აღკვეთის აუცილებლობა ქვეყნისათვის, “პატარა ირაკლიმ”, – მიუთითებს ორბელიანი, – “მაშინვე ხანი რომ აღარ გასულიყო, კარგი კაცები გაუგზავნა ჭარბელაქნელებსა, ქართველების და იმათი გაერთება შეუთვალა, მაგრამ ნაცვლად ამისა გაგზავნილს კაცებსა უკან ჯარი მოაყოლეს ლეკებისა და ირაკლიზედ მოუშვეს. ირაკლიმ ესენიც დაამარცხა, მესამე და სხუები უფრო ძალიან, მაგრამ მაინც კიდევ არ გაუერთდნენ ქართველებსა ჭარბელაქნელები” (ალ. ჯამბაკურ-ორბელიანი, 1914:4).

ჭარ-ბელაქნელების უნდობლობა გარკვეულწილად გასაგებია. ისინი ქართულ მიწაზე ისხდნენ, ხოლო საქართველოში თარეში შემოსავლის წყაროდ ჰქონდათ ქცეული. ბუნებრივია, ქართული მხრიდან წამოსულ მსგავს წინადადებებს ქართული მიწის მიმტაცებლები შიშნეული ეჭვითა და სიფრთხი-

ლით შეხედებოდნენ და თავიანთი საქმიანობისა და მომავლისათვის მიუღებლადაც მიიჩნევდნენ. მესამე ძალაზე დაყრდნობით (ირანი, ოსმალეთი) ქართული მიწის დამჩემებელთაგან საწყის ეტაპზე სხვა რეაქცია არც იყო მოსალოდნელი. განსხვავებული პოზიცია დაიკავეს საკუთრივ დაღისტანში, საქართველოს მეზობლად მცხოვრებმა ხალხებმა. ჩანს, პოზიტიური როლი ამ საქმეში ქართველებთან ტერიტორიული პრობლემების უქონლობის ფაქტმაც ითამაშა.

“ჭარბელაქნელებთან რომ ვერა გახდა რა, – განაგრძობს ალ. ჯ.-ორბელიანი, – მასუკან მთების ხალხსა, დიდოელებს და ანწუხელთ გაუგზავნა კაცნი ერთობისა, რომელთაცა დიდის სიამოვნით მიიღეს, მაშინვე პირუელი კაცები გამოუგზავნეს და ერთობა მოახდინეს. შემდგომ აღარც უღალატებიათ საქართუელოსთვის იმათ მეფის გიორგის მეფობადისინ. დიდოელებში და ანწუხელებში დღესაც თურმე იპოება მეფის ირაკლის წიგნები წყალობისა. რამდენჯერ შეყრილან დაღისტნის ჯარები, მოუნდომიათ რომ დიდოებზედ და ანწუხელებზედ გადმოვიდნენ და კახეთი სრულიად წალეკონ, მაგრამ არც ერთხელ არ გამოუშვიათ” (ალ. ჯ.-ორბელიანი, 1914:4).

დიდო-კაპუჭელ-ანწუხელთა პრო-ქართულ ორიენტაციას ნამდვილად არ მოჰყოლია ერეკლეს პოლიტიკური გავლენის გავრცელება მთელ დაღისტანზე. აი ჭარ-ბელაქანი კი სულ სხვა იყო. ის იმდენად ხელსაყრელ გეო-სტრატეგიულ მდებარეობასა და მნიშვნელოვან ადგილს ფლობდა საერთო-დაღისტნურ ცხოვრებაში, რომ მისი საშუალებით ერეკლე მეფე ძალზე დიდ დივიდენდებს მოიპოვებდა სრულიად დაღისტანზე. იცოდა რა ამ ოლქის ჭეშმარიტი ფასი, ერეკლე II დაუღალავად იღწვოდა მიზნის მისაღწევად. და აი, როგორც ალ. ჯ.-ორბელიანი მიუთითებს, ერეკლე მეფის მიერ დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებთან ურთიერთდახმარების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, ანუ 1790 წლის ახლო ხანებში (ალ. ჯ.-ორბელიანი, 1895:126; ალ. ჯ.-ორბელიანი, 1914:5), სასიკეთო ძვრები მოხდა ჭარ-ბელაქნელებთან ურთიერთობაშიც. მრავალწლიანმა შრომამ, რომლის დროსაც ერეკლე საჭიროებისდა მიხედვით უხამებდა ერთმანეთს მჭრელ ხმალსა და ტკბილ სიტყვას, სათანადო ნაყოფი

გამოიღო. ამ მნიშვნელოვან მოვლენას საინტერესოდ აღგვიწერს ალ. ჯ.-ორბელიანი.

“მინამ მეფე ირაკლი ცოცხალი იყო, – მოგვითხრობს იგი, – ყოვლის ღონით დაუცხრომელად ცდილობდა, რომ ჭარბელაქნელები როგორმე გაეერთა, ან როგორმე შეერიგებინა, მაგრამ არა ეშველა რა. მაინც კიდევ უკანასკნელად თავის მოხუცებულობაში, აღამამადხანის მოსვლის ოთხის წლის წინათ პირუელის ოჯახებიდან მოხუცებული კაცები, შუახნისა და ყმაწვილები თუთხმეტ თუთხმეტი წლისა ან ცოტა მეტნაკლებნი მოიპატიუა ჭარბელაქნიდან სიღნაღში და კარგათ დაუხვდა. სადილ უკან თვითეულად ყუელას ხალათები უბოძა და ამასთან ლაპარაკი დაუწყო ასე:

– ჩემის ყმაწვილობით აქამდისინ არ დავმცხრალვარ თქვენსა და ქართუელების გაერთებასა, მაგრამ ვერაფრით ვერ შევიძელ, ყოველი ჩემი ღონისძიება დავასრულე თქვენზე. არ არის კარგი, არ უნდა შერებოდეთ ამას, რომ თქუენი ძმები ქართუელები გამოგიმეტებიათ, გინდათ ძირიანათ ამოთხაროთ და ჩუენ მაგივრათ ოსმალები დაასახლოთ საქართუელოში. ამისთანა საძაგელსა საქმეს არც ერთი გუარი არა იქს არსად ქუევანახედ, თქუენა ხართ ამისი პირუელი მაგალითი. თუ სარწმუნოებას იტყვით, თქუენ მაჰმადიანები ხართ, ოსმალებთან ერთი თანა მორწმუნე, ეს დიახ კარგი, ვინ შეეხება თქუენს სარწმუნოებასა? ვინც კი თავის სარწმუნოებაში აღზრდილია, იყავით იმ სარწმუნოებაზედ და ჩუენც ვიქნებით იმისი პატივის მცემელი ჭეშმარიტად. კარგათ დაიხსომეთ, რასაც მე ახლა გეუბნებით, თუ ამ ჩემს რჩევას გაიგონებთ, თქუენც ბედნიერი იქნებით და ჩუენ ქართუელებიც და თუ კიდევ ასე მოჰყუებით, როგორც აქამდისინ აოხრებდით და აოხრებინებდით საქართუელოს ოსმალებსა, უნდა კარგათ იცოდეთ, თქუენი შვილები, ანუ თქუენი შვილიშვილები ასეთ ვაებაში ჩაცვივდებიან, რომ თქუენი დედა-კაცები მწარედ ტიროდნენ, გლოვა და თავში ცემა ჰქონდესთ და მშუელელი კი აღარავინ იყოს იმათი. ამისთანა უწყალოება მოივლინება იმათზედ, ეს კარგათ იცოდეთ. მე რომ ესლა მოხუცებულები, შუახნის კაცები და ყმაწვილები მოგიპატიუეთ, მიზეზი ეს არის რომ მოხუცებულებმა ურჩიოთ თქუენს ჯამაათს, დასცხრენ, ნუღარ მოდიან ჩუენზედ, ნუღარც



ოსმალებს მიეკარებიან და ჩუენთანაც გაერთდნენ ერთ ძმათა. თქვენ შუახნისას კი ამას გეუბნებით, თვითონ თქვენა ხართ ამღელვებელი მთელი თქვენი ხალხისა ჩუენზედ. გეუბნებით, კარგია, ამდენს აკაცობაზედ ხელი აიღევით, თორემ ბოლო დროს ჭარბელაქანი ინანებს. მე ეს წინათვე მიწინასწარმეტყუელებია თქვენთვის და თქვენ, პატარა ყმაწვილებო (მასუკან იმათ მიუბრუნდება), ამას თქვენ ნუ დაივიწყებთ, თუ ამ ჩემს სიტყუას ესენი არ დაისწავლიან და კიდევ თავისებურათ მოჰყუებიან ჩუენზედ, მაშინ მამიგონეთ, როდისაც თქვენს ცოლსშვილში საშინელება იყოს უწყალობისა.

ყოვლის ფიცით დარწმუნებული მეფე ირაკლი კმაყოფილი შეიქნა იმათგან და გამხიარულებული წამოვიდა” (აღ. ჯ.-ორბელიანი, 1914: 4–6).

ერეკლე მეფემ მწვავე კონფლიქტური მდგომარეობის განმუხტვისა და დარეგულირების საქმეში წარმატებით გამოიყენა სახალხო დიპლომატიის ელემენტები. მისი მხრიდან საკითხისადმი კონსტრუქციულმა, სათანადოდ მოტივირებულმა მიდგომამ სასიკეთო ზეგავლენა მოახდინა ჭარბელაქნელთა წარმომადგენლებზე და პოზიტიურად განაწყო ისინი. პირადი ავტორიტეტისა და უშუალო კონტაქტების წყალობით მეფე ერეკლემ ჭარელი “ლეკები” ბოლოს და ბოლოს თავის მოკავშირეებად აქცია და, როგორც ჩანს, ერთგულების ფიციც დაადებინა მათ.

სიღნაღის შეხვედრის შემდეგ ურთიერთობა ჭარბელაქანთან სასურველ კალაპოტში მოექცა. ამაზე მიუთითებს აღ. ჯ.-ორბელიანის კიდევ ერთი ცნობა. მასში ნათქვამია:

“მინამ აღა-მამად-ხან მოვიდოდა, ოთხი თუ ხუთი წლის წინათა მეფე ირაკლი ქართლში (იგულისხმება შიდა ქართლი – ო.ჯ.) მიბრძანდებოდა ორი-ათასი რჩეული ქართუელის ცხენიანის ჯარითა, რომელსაცა ამ დროს აღარავინ აღარ ჰყუანდა მტერი. იმერეთი (იგულისხმება 1790 წ. ხელშეკრულება დას. საქართველოს სამეფო-სამთავროებთან და იმერეთში ერეკლეს შვილიშვილის – სოლომონ II-ის გამეფება – ო.ჯ.) და ლეკები გაიერთა, ესე იგი ჭარბელაქანი, ამიტომ რომ ბევრის ღვენით დაღალა ისინი და დიდათაც ეცადა იმათ შერიგებასა. თუმცა ცოტათ კიდევ კანტი-კუნტად მოდიოდნენ, მაგრამ ძალიან სუსტათ. ოსმალოს და ყიზილბა-

შებს კი არაფრათ აგდებდა. საქმე თავისი ძმები იმერლები და ლეკები იყვნენ, რა კი ისინი გაიერთა, გამხიარულებული მიბრძანდებოდა ქართლისაკენ ცოლშვილებით და დედაჩემიც იქ ხლებია თავის დედ-მამას, მეფე დედოფალსა” (აღ. ჯ.-ორბელიანი, 1895:124).

ამასვე ადასტურებს უკვე გორში მისული ერეკლეს მიერ ერთ-ერთ საზეიმო სუფრაზე, თავისი ცოლ-შვილისა და მხლებლების წინაშე, საჯაროდ გაკეთებული განცხადებაც: “ძლივს ლეკებიც გაგვიერთდნენ და ახლა ღვთის მოწყალებით იმედი მაქვს, ყოუელს საქართველოს საქმეს კარგათ მოვიყუანო, ამიტომ რომ ახლა იმერეთი ქართლ-კახეთს რომ გაუერთდა, ერთი სამეფო საქართველო შეიქნა ესენი, ამით დიდათ განძლიერდება ეს ქუეყანა. მეორეც ეს ჭარ-ბელაქანიც ეხლა რომ გაგვიერთდა და ამას იქით ხომ ბედნიერებაში წავა ეს ჩუენი მშობელი ქვეყანა, რომლებმაცა ამისთვისა ღმერთს მადლობა შევწიროთ ყუელამაო” (აღ. ჯ.-ორბელიანი, 1895:126). განცხადების ტექსტი არ უნდა ჩავთვალოთ აღ. ჯ.-ორბელიანის ფანტაზიის ნაყოფად. იგი ინფორმაციას იღებდა საკუთარი დედისა და სხვა უშუალო თვითმხილველებისაგან, ამდენად, არავითარი მიზეზი არა გვაქვს მისი ცნობების ჭეშმარიტებაში ეჭვი შევიტანოთ.

აღსანიშნავია, რომ აღა-მაჰმად-ხანის დასახვედრად მზადების პროცესში ერეკლეს ჭარ-ბელაქნისა და დაღისტნის ლიდერებთან მოლაპარაკება ჰქონდა გამართული და მათგან 25-ათას კაციან მაშველ ღაშქარს მოელოდა (აღ.ჯ.-ორბელიანი, 1895:131). რაც არ უნდა გაზვიადებული იყოს ეს რიცხვი, ფაქტი ფაქტად რჩება – “მუდამ ავის მოხარკული” ჭარ-ბელაქანი და დაღისტნის მთა ნელ-ნელა საქართველოს სამსახურში დგებოდა.

1795 წლის ზაფხულში დაღისტნელთაგან დიდი მაშველი ჯარის მოსალოდნელ მოსვლაზე მიუთითებს ს. კაკაბაძის ნაშრომში “კრწანისის ომი” მოტანილი ერთ-ერთი ცნობაც (ს. კაკაბაძე, 1991:82).

ერთი სიტყვით, ყინული დაიძრა, მაგრამ რაღა დროს? რუსეთიდან მართული დესტრუქციული ძალების ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის შედეგად ქართლ-კახეთის ბედი ფაქტობრივად უკვე გადაწყვეტილი იყო. როგორც ქვეყნის

შიგნით, ისე მის გარეთ გამაღებული მუშაობა მიმდინარეობდა კრწანისის ტრაგედიის მოსამწიფებლად.

აღ. ჯ.-ორბელიანი აღნიშნული კატასტროფის მიზეზად ერეკლესადმი მტრულად განწყობილი მოღალატე ქართველი ფეოდალებისა და მოსკოვთან შეკრული სომხური აგენტურული ქსელის ერთობლივ მოქმედებებს მიიჩნევს. მათმა ქმედებებმა პარალიზება გაუკეთა თავდაცვით ძალებს, მართვადი ქაოსი შექმნა ქართლ-კახეთში და ქვეყანა მარცხისათვის გასწირა, “რასაკვირველია, – წერს აღ. ჯ.-ორბელიანი თავის წერილში “მეფის ირაკლის მეორის დროის ცოცოტა ანბები, ანუ ზოგიერთი მაშინდელი პირნი”, რომელიც ს.კაკაბაძის მიერ შედგენილ ერთ-ერთ კრებულში გამოქვეყნდა, – ამის დამწვობნი სულ სომხები იყვნენ მეფის ირაკლის მახლობელნი და გიორგისა. თვითონაც ხომ საქმეებში იყვნენ, მაგრამ მომატებულად სხუებს ასაქმებდნენ და გაბრიყვებული ჰყვანდათ. ვისაც ენდობოდნენ, იმათი ოსტატებიც ისინი იყვნენ. ის სომხები როგორც არიგებდნენ, ისეც ამოქმედებდნენ და ამასთან მიჰქონდათ ფული სომხებისგან არაჩნურთის იოსებ არღუთაშვილის გამოგზავნილი რუსეთიდან” (ს.კაკაბაძე, 1914:42). იმავეს მიუთითებენ მკვლევარები შ. და ო. თეთვაძეებიც, რომლებიც თავიანთ დასკვნებში ღრმა მეცნიერული ანალიზის შედეგებს ეყრდნობიან. “საქართველოს სამეფოს დაცემის დაჩქარებაში პეტერბურგისა და მოსკოვის სომხური კოლონიის აქტიურ მონაწილეობას ადასტურებს მთავარმართებელ გენერალ კნორინგის, გენერალ ლაზარევის (წარმოშობით შუღლავრელი სომეხი) და თბილისის სომეხ დიდვაჭართა “საიდუმლო ურთიერთობა”. ეს ერთიანი მოქმედების ანტიქართული გეგმა გადიოდა პეტერბურგიდან მოსკოვამდე, აქედან მოზდოკამდე და შემდეგ თბილისამდე” – ასკვნიან ისინი (შ.თეთვაძე, ო. თეთვაძე, 1998:45).

ძლიერი ანტიქართული ბლოკის დივერსიულმა საქმიანობამ ჩაშალა აღა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ ერეკლე მეფის მიერ დიდი ძალისხმევის შედეგად საფუძველშემზადებული ქართველების, ჭარ-ბელაქნელ-დადისტნელებისა და სხვა კავკასიელი ხალხების (ოსები, ყაბარდოელები და სხვ.) ერთობლივი გამოსვლა და ამით ქართლ-კახეთს ჯერ კრწანისთან მოსალოდნელი გამარჯვება დააკარგვინა, ხოლო შემდეგ

დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი. გარეშე ძალების უხეშ-მა ჩარევამ კიდევ ერთხელ დაამუხრუჭა ქართული სახელმწი-ფოებრიობის განვითარება და საქართველოს პოლიტიკური ცენტრის გარშემო კავკასიელი ხალხების კონსოლიდაცია. ჭარ-ბელაქანთან (და შემდეგ საკუთრივ დაღისტანთან) ურთიერთობების გაღრმავება ამ ეტაპზე ვეღარ მოხერხდა. მიუხედავად ამისა, ერეკლე II-ის სამშვიდობო ინიციატივას სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდა ქართველებსა და ლეკებს შორის ნდობის აღდგენისა და კავშირების განმტკიცებისათვის. წინაპართა გამოცდილების გათვალისწინებას თავისი წვლილის შეტანა შეუძლია თანამედროვე საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში სიტუაციის დარეგულირებისა და ნორმალიზაციის საქმეში.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. III, თბ., 1966.
2. თეთვაძე შ., თეთვაძე ო., სომხები საქართველოში (უძველესი დროიდან დღემდე), თბ., 1988.
3. კაკაბაძე ს., წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, წ. I, თბ., 1914.
4. კაკაბაძე ს., კრწანისის ომი, თბ., 1991.
5. ლომსაძე შ., სამცხე-ჯავახეთი, თბ., 1975.
6. ყანჭელი ნ., ერეკლე II-ის წერილი ქუა ქალაქიელისადმი, მრავალთავი (ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი), ტ. VI, თბ., 1978.
7. ჯამბაკურ-ორბელიანი აღ., აღა-მამად-ხანის შემოსვლა ქტფილისში (1795-სა წელსა სექტემბრის II-სა დღესა), ჟურნ. “მოამბე”, ტფ., 1895, №8.
8. ჯამბაკურ-ორბელიანი აღ., დაღისტნიდან ლეკების გამოსვლა და სხვა ამბები, ტფ., 1914.
9. История Дагестана, т.I, Мос., 1967.
10. Межкавказские политические и торговые связи Восточной Грузии (конец 60-х - начало 90-х годов XVIII в.). Документы и материалы, вып. II, материал подобрал и подготовил к печати В.Н. Гамрекели, Тб., 1991.

## **Oleg Jibashvili**

### **From the history of the relationship between King Erekle II and Char-Belaqan in 90-th of XVIII century**

#### **S u m m a r y**

King Erekle II managed to settle neighbourship with an aggressive community of Char-Belaqan in 90-th of the XVIII century. While making preparations against Agha-Mahmad-Khan in his strategic calculations he foresaw the military potential of Char-Belaqan's army. He expected 25 000 fighters from Char-Belaqan and Daghestan.

Unfortunately the defensive measures of King Erekle were deranged because of the united efforts of the traitor Georgian feudal and Armenian agents, who were organized by Russia. Consequently it became impossible to use the military resources of Char-Belaqan and Daghestan in the battle of Krtsanisi.

## **Олег Жибашвили**

### **Из истории взаимоотношений Ираклия II-го с Джаро-Белоканы в 90-х годах XVIII в.**

#### **Р е з ю м е**

В 90-х годах XVIII в. Ираклий II сумел наладить добрососедские отношения с Джаро-Белоканским агрессивным обществом. Во время подготовки к сражению с Ага-Магомед-ханом Картлийско-кахетинский царь в своих стратегических планах рассчитывал и на военный потенциал Джаро-Белоканы. Он надеялся на прибытие 25-тысячного вспомогательного войска из Джаро-Белоканы и Дагестана.

К сожалению, из-за совместных действий грузинских феодалов-изменников и армянской агентуры, которая управлялась из России, оборонительные мероприятия царя Ираклия сорвались. Соответственно, в битве при Крцаниси не были использованы военные ресурсы Джаро-Белоканы и Дагестана.

## **საადგილმამულო გადასახადები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (1878-1900წწ.)**

რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შედეგად სამხრეთ-დასავლეთი საქართველო დაუბრუნდა დედასამშობლოს. საქართველო რუსეთის კოლონია იყო და რუსეთის ხელისუფლებამ განთავისუფლებულ ქართულ რეგიონში ორი ოლქი შექმნა – ყარსისა და ბათუმის. ცარიზმის მთავარი ამოცანა იყო ახლად განთავისუფლებული რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური ათვისება. ამ ამოცანის განხორციელების დროს ძირითადი ყურადღება ექცეოდა რუსების ჩამოსახლებას, საგადასახადო სისტემასა და ფორმებს.

განსახილველ პერიოდში საადგილმამულო გადასახადები და მიწის რენტა ერთმანეთს ემთხვეოდა. ფაქტობრივად მათ შორის განსხვავება თითქმის არ იყო. რუსეთის მფლობელობის დროს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში შესამჩნევი ცვლილებები განიცადა მიწის რენტის ფორმებმა და საგადასახადო სისტემამ. მართალია, არსებობდა მიწის რენტის სამივე ფორმა, მაგრამ სასაქონლო-ფულადი მეურნეობის განვითარების, საქალაქო ცხოვრებისა და ადებ-მიცემობის აღმავლობის კვალობაზე გაბატონდა ფულადი რენტა. ახალ პირობებში რენტის ეს ფორმა პასუხობდა როგორც ხაზინის, ისე ბურჟუაზიის, საუფლისწულო უწყებებისა და ადგილობრივი ალა-ბეგების ინტერესებს. ამასთან, საადგილმამულო საგადასახადო სისტემაში ცვლილებები ნელი ტემპით მიმდინარეობდა. რუსეთის მმართველობის ხანაში, ისევე როგორც ოსმალთა ბატონობის პერიოდში, გლეხკაცის ცხოვრება მძიმე და აუტანელი რჩებოდა. გლეხკაცის ნაშრომ-ნაოფლარს მრავალი წამგლეჯი ჰყავდა. მათგან ყველაზე დიდი ექსპლუატატორი სახელმწიფო იყო. ცხადია, მიწის რენტის უდიდესი ნაწილი ხაზინაში შედიოდა, რამდენადაც სახელმწიფო ყველაზე მსხვილი მესაკუთრე იყო.

ოსმალური გადასახადების სახეები, ბეგარა-გაღდებულე-ბანი და საგადასახადო სისტემა რუსეთის მთავრობამ შეინარჩუნა 900-იან წლებამდე. ასეთი მიდგომა მთავრობისათვის პოლიტიკურად და ეკონომიკურად სარფიანი ჩანდა. ამასთან იგი ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის შენიღბვის თავისებურ მცდელობად წარმოგვიდგება. გარეგნულად ასე გამოიყურებოდა: რაც აქამდე იყო, უცვლელად რჩებოდა.

მოსახლეობის შესაძლებლობასა და მდგომარეობას ანგარიში არ გაუწიეს. ცარიზმის საგადასახადო პოლიტიკით აღშფოთებული გაზ. “დროება” 1879 წელს წერდა: აჭარლების მდგომარეობა სამწუხაროა. უკანასკნელი ორი წლის ომის გამო ხალხს არ მოუხნავს, არ დაუთესია და, მაშასადამე, მოსავალიც არ მიუღია. ასეთ პირობებში გადასახადების დაკისრება ძალზე ძნელი იქნება. გაზეთი მთავრობისაგან მოითხოვდა გადასახადების სამი-ოთხი წლით მაინც გაუქმებას (17). ასეთი შეგონება და სამართლიანი მოთხოვნა ცარიზმს აღიზიანებდა, რეპრესიებით პასუხობდა.

ოსმალური გადასახადებისა და გამოსაღებებიდან ცარიზმმა შეინარჩუნა: აშარი, რუსუმათ-არაზი, აღნამ-რასმი და სალიანი. მართალია, აღწერასა და საგადასახადო უწყისებს კვლავ სოფლის მამასახლისი (მუხტარი) აკეთებდა, მაგრამ მთავრობის საოლქო ადმინისტრაცია მკაცრად აკონტროლებდა. საგადასახადო უწყისებს ოკრუგის უფროსი, ანდა მისი თანაშემწე ამტკიცებდა.

რუსეთის ბატონობის პირველ წლებში ბათუმისა და ყარსის ოლქების მოსახლეობა აშარს (მოსავლის მეათედი) ძირითადად ნატურით იხდიდა. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას გლეხები სავაჭრო პუნქტებამდე თვითონ ეზიდებოდნენ. შემდეგ კი გუბერნატორის განკარგულებით იყიდებოდა, ამონაგები თანხა კი სახელმწიფო ხაზინაში შედიოდა (2, 49).

საძოვარზე დადგენილ გამოსაღებს (აღნამ-რასმი და რუსუმათ-არაზი), აგრეთვე, საკომლო გადასახადი (სალიანი) ფულადი იყო - თითოეულ კომლზე 50 კაპიკის ოდენობით. 1886 წელს ბათუმის ოკრუგში (ქალაქის გამოკლებით) 8315, ხოლო ართვინისაში - 7130 კომლი ცხოვრობდა. საკომლო გადასახადი ორივე ოკრუგში ერთად აღებული 7723 რუბლს შეადგენდა (4:30-31). არტაანის ოკრუგში გაწერილი საკომლო

გადასახადი 2929, ხოლო ოლთისისაში - 1686 რუბლი იყო (6:276).

სადოვარზე დაწესებული გამოსაღების ოდენობა პირუტყვის სულადობით განისაზღვრებოდა. მოსახლეობა ჯოგის თითოეულ სულზე 15-დან 20 კაპიკამდე იხდიდა (წვრილფეხა პირუტყვზე - 15 კაპიკი, მსხვილფეხაზე - 20 კაპიკი) (12, 324). გაცილებით მძიმე და აუტანელი იყო სახელმწიფო სადალო გამოსაღები. XIX საუკუნის 80-იან წლებში არტაანის ოკრუგის მოსახლეობას სადოვარ-საბაღახოებით სარგებლობისათვის 26812 რუბლს იხდიდა (თითოეულ კომლზე საშუალოდ 4 რუბლი და 40 კაპიკი). ოლთისის ოკრუგში საქონლის სულადობა არტაანთან შედარებით ნაკლები იყო და 8426 რუბლს იხდიდა (კომლზე საშუალოდ 2 რუბლი და 50 კაპიკი) (6:324). დაახლოებით ასეთივე სურათი გვაქვს ბათუმისა და ართვინის ოკრუგებშიც.

ყველაზე მძიმე და აუტანელი იყო მეთადი. მთავრობის მოხელეთა თვითნებობის, ბოროტმოქმედებისა და საერთო განუკითხაობის პირობებში აღნიშნული გამოსაღები კიდევ უფრო დამძიმდა. გახეთი “ივერია” მიანიშნებდა: აშარი ხალხისათვის მძიმე და აუტანელი ტვირთია, დიდ უკმაყოფილებასა და ბოროტმოქმედებას ჰბადებსო (19).

1878-1882 წლებში რუსეთის ადგილობრივმა მოხელეებმა აშარის შემოსავალი ზუსტად ვერ დაადგინეს. ამას მთავრობის ჩინოვნიკები იმით ხსნიდნენ, რომ ბათუმისა და ყარსის ოლქებში მიწის მოსავლის საშუალო მახასიათებლები ცნობილი არ იყო. ამასთან, მოსახლეობის ნაწილის ოსმალეთში გადახვეწის გამო საერთო მონაცემების დაზუსტება შეუძლებელი იყო. ამიტომ თითოეულ სოფელს განსხვავებული გამოსაღები ჰქონდა შეწერილი და შემოსავალიც უფრო შემცირდა, ვიდრე მთავრობა მოელოდა (12).

მომდევნო წლებში მთავრობის მოხელეებმა საგრძნობი მუშაობა გასწიეს: დეტალურად აღწერეს სოფლები, კომლები, ორივე სქესის მოსახლეობა, ყველა სახის მიწები, მოსავალი, შეადგინეს შესაბამისი ცნობები, დააზუსტეს გადასახადები. ეს მონაცემები საშუალებას იძლევა წარმოდგენა ვიქონიოთ აშარის ოდენობის შესახებ. 1882–1886 წლებში ბათუმისა და ართვინის ოკრუგებში მიწის მეთადი გამოსა-



ღები ასახულია 1-ლ ცხრილში (რუბლებით) (2:10-12).

ცხრილი 1

| საპოლიციო უბნებისა და<br>ოკრუგების დასახელება | 1882<br>წ. | 1883<br>წ. | 1884<br>წ. | 1885<br>წ. | 1886<br>წ. | 1882-886<br>წწ.თითო<br>კომლზე<br>მოდიოდა |
|-----------------------------------------------|------------|------------|------------|------------|------------|------------------------------------------|
| კინტრიშის                                     | 4367       | 5295       | 5407       | 3750       | 3817       | 4,15                                     |
| გონიოს                                        | 6894       | 8222       | 8819       | 9846       | 7379       | 4,66                                     |
| ქემო აჭარის                                   | 3684       | 3959       | 4025       | 5129       | 5283       | 1,72                                     |
| ზემო აჭარის                                   | 7099       | 7690       | 7678       | 8120       | 9028       | 3,36                                     |
| სულ ბათუმის ოკრუგში                           | 22044      | 25166      | 25929      | 26845      | 25507      | 3,15                                     |
| ართვინის                                      | 8778       | 8179       | 7392       | 7528       | 6693       | 4,35                                     |
| არტანუჯის                                     | 18438      | 15691      | 13223      | 16183      | 17694      | 6,49                                     |
| შავშეთ-იმერხევის                              | 11198      | 13690      | 12204      | 11214      | 9850       | 4,32                                     |
| სულ ართვინის ოკრუგში                          | 38414      | 37560      | 32819      | 34925      | 34237      | 4,66                                     |

როგორც ვხედავთ, აღნიშნულ წლებში ართვინის ოკრუგიდან ხაზინაში შედარებით მეტი თანხა შედიოდა. ეს იმით აიხსნება, რომ ამ მხარეში დამუშავებული მიწები და მოსავალიც მეტი იყო. აღნიშნულ ოკრუგში შედარებით დიდი ოდენობით აშარს იხდიდნენ არტანუჯისა და შავშეთ-იმერხევის საპოლიციო უბნების სოფლის საზოგადოების წევრები (განურჩევლად წოდებისა).

ბათუმის ოკრუგში 1882-1886 წლებში აშარის გამოსაღებით მეტად დატვირთული იყო ზემო აჭარისა და გონიოს საპოლიციო უბნების მოსახლეობა. საერთოდ აღნიშნულ წლებში თითო კომლზე ყველაზე მეტი გამოსაღები გაუღიათ არტანუჯის, ართვინის, შავშეთ-იმერხევის, გონიოსა და კინტრიშის ზონების მცხოვრებლებს.

აშარს ქალაქ ბათუმის მიწისმფლობელი მოსახლეობაც

იხდიდა. მაგალითად, XIX 80-იანი წლების მეორე ნახევარში აშარი 1058 რუბლი და 40 კაპიკი ოდენობით ბათუმის 336 კომლს გადაუხდია (თითო კომლზე საშუალოდ 3 რუბლი და 15 კაპიკი.) (2:10-42). 90-იანი წლების საგადასახადო რეფორმამდე აშარისაგან თავისუფალი ყოფილან არაქართველი ხიზნები (ბერძნები, ქურთები, ბოშები) - სულ 521 კომლი, თუმცა ისინი აქაური მიწებით სარგებლობდნენ (2. 3-4,42-43).

არტაანისა და ოლთისის ოკრუგების მოსახლეობიდან რუსეთის სახელმწიფო ხაზინაში უფრო მეტი თანხები შედიოდა. XIX საუკუნის 80-იან წლებში ამ ოკრუგების მოსახლეობის მიერ აშარის (მიწის შემოსავლის მეათედი) შესახებ წარმოდგენას გვიქმნის მე-2 ცხრილი(რუბლებით) (23-4, 252-256).

ცხრილი 2

| ოკრუგების დასახელება | 1884 წ.        | 1885 წ.        | 1886 წ.        | 1887 წ.        | საშუალოდ 1884–1887წწ. მოდიოდა |            |
|----------------------|----------------|----------------|----------------|----------------|-------------------------------|------------|
|                      |                |                |                |                | თითო კომლზე                   | თითო სულზე |
| არტაანის ოლთისის     | 72517<br>44437 | 81247<br>41237 | 79179<br>40944 | 90326<br>55015 | 14,3<br>18,8                  | 7.0<br>2,8 |

შედარებითი ანალიზით ცხადი ხდება, რომ ზემოდასახელებულ რეგიონებში მოსახლეობა სახელმწიფო ხაზინაში აშარის სახით 2–3-ჯერ მეტ თანხას იხდიდა, ვიდრე ბათუმის ოლქში. ამასთან, თითო კომლზე ასევე 2–3-ჯერ მეტი გადასახადი მოდიოდა. ცხადია, ასეთი ვითარება განპირობებული იყო იმით, რომ არტაანისა და ოლთისის ოკრუგებში მოსახლეობა შედარებით დიდი რაოდენობით საკომლო–სანადგლო მიწებს ფლობდა. დიდი გადასახადებით დაბეგრული იყო არტაანის, კოლას და ოლთისის საპოლიციო უბნები.

აშარის ნატურით ამოღება ძნელი და მოუხერხებელი იყო - მთაგრობის მოხელეები მოსავლის ოდენობის დადგენას ყოველთვის ვერ ახერხებდნენ. ბუნებრივია, მოსახლეობა შეეცდებოდა დაბალი მაჩვენებლები მიეცათ. ტრანსპორტირება და სავაჭრო პუნქტებში პროდუქციის რეალიზაცია მთელ რიგ სიძნელეებს უკავშირდებოდა. ადგილი ჰქონდა

პროდუქციის დანაკარგებსაც.

რუსეთის მთავრობა მიწის ფულადი რენტის შემოდების აუცილებლობის წინაშე იდგა. მოსახლეობის წინააღმდეგობის მიუხედავად, ფინანსთა სამინისტრომ 1887 წლის 26 ივნისს სპეციალური დებულება დაამტკიცა. ამიერიდან ყარსის ოლქში, ბათუმისა და ართვინის ოკრუგებში ნატურალური აშარი ფულადით იცვლებოდა. მიწის მეათედი გამოსაღები მოწეული მოსავლის ნაცვლად, დაწესდა უშუალოდ სავარგულ მიწაზე მისი სიდიდისა და ვარგისიანობის გათვალისწინებით.

ნატურალური რენტის ფულადით შეცვლასთან დაკავშირებით რუსეთის მოხელეებმა აღწერეს ყარსის ოლქის, ბათუმისა და ართვინის ოკრუგების ადგილ-მამულები, განსაზღვრეს მიწების ვარგისიანობა, შეადგინეს საგადასახადო უწყისები, დაადგინეს გადასახადების ოდენობა. საგადასახადო რეფორმა გატარდა: ყარსის ოლქში 1887-1888, ხოლო ბათუმისა და ართვინის ოკრუგებში 1888-1891 წლებში.

ვარგისიანობის მიხედვით მიწები დაიყო: ყარსის ოლქში - 13, ბათუმის ოკრუგში - 6, ხოლო ართვინისაში - 5 კატეგორიად. ყველაზე ნაყოფიერი მიწები აღირიცხა არტანის ოკრუგში, კინტრიშისა და შავშეთ-იმერხევის უბნებში. საღალო გამოსაღების სიდიდე დამოკიდებული იყო მიწის ნაყოფიერებაზე (2:51-55,278-289). ამის შემდეგ მიწის საღალო გამოსაღები ორი სახისა იყო: სამიწათმოქმედო და არასამიწათმოქმედო. პირველ შემთხვევაში გადასახადები გაწერილი იყო სახნავ-სათიბზე, საძოვრებზე და სხვა. არასამიწათმოქმედო ღალას ახდევინებდნენ ეზოებზე, წისქვილებზე და თევსაჭერ ნაკვეთებზე. მაგალითად, 1891 წელს არასამიწათმოქმედო საგადასახადო მუხლით სახელმწიფო ხაზინაში არტანის ოკრუგიდან შევიდა 14044 რუბლი, ხოლო ოლთისის ოკრუგიდან - 1378 რუბლი (5:139).

ნატურალური გადასახადის ფულადით შეცვლამ მნიშვნელოვნად დააჩქარა სასაქონლო წარმოების განვითარება. ამ აქტმა სოფლის მწარმოებელი მოსახლეობა მჭიდროდ დააკავშირა ქალაქებსა და სავაჭრო დაბებთან. ამდენად, ფულადი გადასახადების შემოდება პროგრესული ღონისძიება იყო, მაგრამ იგი სოფლის მშრომელ მოსახლეობას დამატებით

სიძნელეებს უქმნიდა - ბაზარზე საქონლის ტრანსპორტირება, მისი რეალიზაცია, ღამეების თენება, ზოგჯერ ღია ცის ქვეშ, მოხერხებული როდი იყო. ამიტომ გლეხი ამჯობინებდა თავისი პროდუქცია ადგილზე ჩარჩ-ვაჭრებისათვის ჩაღის ფასად მიეყიდა.

გადასახადების ოდენობაც მნიშვნელოვნად გაიზარდა. თუ 1882-1886 წლებში ბათუმის ოკრუგის მოსახლეობა საშუალოდ წლიურად 25424 რუბლს იხდიდა, ფულადი გადასახადის შემოღების შემდეგ, აღნიშნული მახასიათებელი 28607 რუბლამდე, ე.ი. 3283 რუბლით და კიდევ მეტად გაიზარდა. ართვინის ოკრუგში ანალოგიური მაჩვენებლები შესაბამისად 35534 და 37206 რუბლს შეადგენდა. ზოგიერთ უბანში გადასახადები მესამედით და კიდევ მეტად გადიდდა ასე იყო, მაგალითად, ქვემო აჭარაში. 1884 წელს ყარსის ოლქში მიწის მესამედი გამოსაღები 277696 რუბლს შეადგენდა. 1891 წელს 362 ათას რუბლამდე გაიზარდა (2:252, 279-289; 13.138).

ფულადი რენტის ერთ-ერთ სახედ წარმოგვიდგება ტყის გადასახადი და ბაჟი. პირველი მათგანი დაწესებული იყო სამასალე ხე-ტყეზე, ხოლო მეორე – შეშაზე. ტყის გადასახადი რუსეთის მთავრობამ 1895 წლის შემდეგ შემოიღო, როდესაც ადგილ-მამულები მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს სისტემაში გადავიდა. მაგალითად, ქვემო აჭარის (ბათუმის ოკრუგი) მოსახლეობა 100 ცალ ყავარზე ორ-ორნახევარ რუბლს იხდიდა. ამასთან, ყველა სოფლის მოსახლეზე ტყის სარგებლობისათვის წლიურად შეწერილი იყო სამ რუბლამდე საბაჟო გადასახადი.

მოსახლეობისაგან გადასახადების ამოღება მთავრობისათვის ადვილი საქმე არ იყო. ხალხი ურჩობდა, გადასახადებზე უარს ამბობდა. მართალია, ურჩების წინააღმდეგ მთავრობა პოლიციასაც იყენებდა, მაგრამ მოვალე კომლები და სოფლები მაინც ბევრი იყო. საკმაოდ დიდი იყო გადასახადების ნარჩენებიც. მიწით მდიდარ ყარსის ოლქშიც კი მოსახლეობის მიერ გადასახადების გადაუხდელობას სისტემატური ხასიათი ჰქონდა. მაგალითად, 1888-1895 წლებში გადასახადების ნარჩენებმა („ნედლიმკები“) 22722 რუბლი შეადგინა (2:267).

მოსახლეობის ურჩობა სიღარიბით იყო გამოწვეული.

მთავორიანი რელიეფი, ღვარცოფებისაგან ჩამორეცხილი მწირი მიწები და სისტემატური გვალვები ხალხს საშუალებას არ აძლევდა საჭირო ჭირნახული მიეღო. მრავალჯერ აღინიშნა მოუსავლიანობა. 1893-1894 წლებში სოფელ ბორჩხადან (ართვინის ოკრუგი) “ივერიის” კორესპონდენტი ი.ჯაიანი იტყობინებოდა, რომ გვალვებმა მოსავალს დიდი ზიანი მიაყენაო (20). მეტწილად ასე იყო სხვა წლებშიც. ქუთაისის გუბერნიის სამხედრო გუბერნატორის 1896 წლის ანგარიშში ხაზგასმულია ბათუმისა და ართვინის ოკრუგებში მოუსავლიანობის შესახებ (3: 97).

გაზ. “ივერიის” კორესპონდენტის აბდულ მიქელაძის ცნობით, 1897 წელს ქვემო აჭარაში გაზაფხულსა და ზაფხულში ხანგრძლივი გვალვა, ხოლო შემოდგომაზე კოკისპირული წვიმები ყოფილა. ამის შედეგად მოსავალი განადგურებულია (12:23). უკვე 1900 წელს აბდულ მიქელაძე იტყობინებოდა: უამინდობის გამო ქვემო აჭარაში სიმინდის ყანები დაიწვა, ხეხილის მოსავალი განადგურდა, ნიგოზის ხეები ისე დაზიანდა, რომ 5 წლის განმავლობაში ნაყოფს ვეღარ მივიღებთო (24). გაზეთის ცნობით, 1901 წელს აჭარისწყლისა და მაჭახლის ხეობებში წვიმების შედეგად გამოწვეულმა ღვარცოფებმა მიწები მთლიანად ჩამორეცხა და მოსახლეობას ყანების ნაცვლად გატიტვლებული ქედები შერჩათო (25). უამინდობის შედეგად მოუსავლიანობა 1903 წელსაც აღინიშნა (26).

რუსეთის მთავრობა სისტემატურ მოუსავლიანობას ანგარიშს არ უწევდა და მოსახლეობისაგან გადასახადების გადახდას ჯიუტად მოითხოვდა. კიდევ მეტი, მას სისტემატიურად ზრდიდა. გაზ. “ივერია” წერდა: მოუსავლიანობის მიუხედავად, ხალხი მეტი გადასახადებით დაბევრეს, ჯამაგირიანი მამასახლისების და მწერალ-მდივნების თანამდებობები შემოიღეს, სასოფლო მმართველობის კანცელარიების შენობების აგება და მათი მოწყობაც დააკისრეს. “ამის გამო, - განაგრძობს კორესპონდენტი, - აქაური მცხოვრებლები დიდად შეწუხებული არიან (25).

ცენტრალური მთავრობა, კავკასიის სამხარეო ადმინისტრაცია კარგად ხედავდა, რომ ბათუმისა და ყარსის ოლქებში ოსმალური გადასახადების შენარჩუნება სარფიანი აღარ იყო.

საგულისხმოა, რომ კავკასიის რეგიონში ერთიანი საგადასახადო სისტემა საერთოდ არ არსებობდა, რაც მრავალ გაუგებრობასა და სიძნელეს ქმნიდა არა მარტო ამ მხარის, არამედ, აგრეთვე, მთლიანად იმპერიის მასშტაბითაც. ამიტომ აუცილებელი იყო ცვლილებები. მთავრობის დადგენილებით, 1901 წელს კავკასიაში საგადასახადო სისტემის რეფორმა გატარდა. ყველა წინანდელი გადასახადი გააუქმეს და ადგილ-მამულების დაბეგვრის ერთიანი წესები შემოიღეს. ეს რეფორმა ყარსის ოლქს, ბათუმისა და ართვინის ოკრუგებსაც შეეხო. აქ, როგორც მთლიანად კავკასიაში, ადგილ-მამულები დაიბეგრა: სახელმწიფო სადალო გამოსაღებით, საერო მოსაკრებელით და სახელმწიფო მიწის გადასახადით. პირველი სახაზინო მიწებზე დაწესდა, მეორე - ყველა სახის მიწებზე, ხოლო მესამე - კერძო საკუთრებაში მყოფ მამულებზე. მთავრობის შესაბამისი ორგანოები აღნიშნული სახის გადასახადების ნუსხას სამი წლით წინასწარ ადგენდნენ. ამიერიდან გადასახადები მიწის ფართობზე დაწესდა, მოსავალი სათვალავში აღარ მიიღებოდა.

### წყაროები და ლიტერატურა

1. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 22, ანაწერი 2, საქმე 229.
2. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 229, ანაწერი 2, საქმე 674.
3. სანკტ-პეტერბურგის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ბიბლიოთეკის ფონდი, ანაწერი 1, საქმე 49.
4. Кавказский календар на 1899 год. Тифлиς, 1898.
5. Кавказский календар на 1894 год. Тифлиς, 1893
6. Кавказский календар на 1917 год. Тифлиς, 1916.
7. Карской область. Свод статистических данных. Тифлиς, 1889.
8. გაზეთი “დროება”, 22 აპრილი, 1879.
9. გაზეთი “ივერია”, 15 დეკემბერი, 1890.
10. გაზეთი “ივერია”, 15 აგვისტო, 1893.
11. გაზეთი “ივერია”, 21 მაისი, 1894.
12. გაზეთი “ივერია”, 11 ივლისი, 1897.
13. გაზეთი “ივერია”, 28 სექტემბერი, 1897.
14. გაზეთი “ივერია”, 1 აგვისტო, 1900.

15. გაზეთი “ივერია”, 18 აგვისტო, 1901.
16. გაზეთი “ივერია”, 28 ოქტომბერი, 1903.

**Otar Turmanidze**

**Land Taxes in South-West Georgia  
(1878-1900)**

**Summary**

The article considers the forms, kinds and system of land taxes in South-West Georgia in 1878-1900. The article informs that the Russian Government kept the Osman forms and system of taxes until 1901. The main land tax consisted one tenth part from the agricultural income. It was called “Ashar” in the Turkish language.

At the end of the 80s in the XIX century the Russian Government changed the payment in kind into money payment, that quickened the development of commodity economy. At the result of tax reformation in 1901 the Osman land taxes were changed by the Russian rules. There were three kinds of taxes: quit-rent, state land taxes and national taxes .

**Турманидзе О.М.**

**Поземные налоги, подати и повинности в Юго-западной Грузии  
(1878-1900 гг.)**

**Р е з ю м е**

В результате русско-турецкой войны 1877-1878 годов часть Юго-западной Грузии воссоединились со своей родиной, на освобожденной территории российское правительство создало административно-территориальные единицы-Карскую и Батумскую области.

Царское правительство главное внимание уделяло налоговой

системе, подати и повинности. Правительство было заинтересовано поступлениями в государственную казну в Юго-западной Грузии. До 1901 года в Батумской и Карской областях сохранились все виды турецкой подати и повинности. Надо подчеркнуть, что земельные налоги и земельная рента совпадали, между ними не было разницы.

Основные подати приходились на землю. Население должно было платить государству одну десятую часть своего дохода от земли. В Батумском округе в 1882-1886 годах в среднем на один дым происходило 3 рубля, а в Артвинском округе - 5 рублей. В Ардаганском и Олтийском округах, где преобладали плодородные земли, земельный подати были более высокие. Например, в Ардаганском округе было 16 рублей, а в Олтийском - 17 рублей.

В конце 80-ых годов XIX века натуральная земельная рента была заменена на денежную. Конечно, это было прогруссивным мероприятием, которое способствовало развитию денежно-товарного хозяйства. В статье рассмотрен налог которым был обложен скот. Изучены трудовые повинности и др. Указано, что налоги и повинности были тяжелые, причем население неоднократно выступило против такой политики царизма.

В 1901 г. российское правительство осуществило реформу сельского управления, формы налоговой системы. Были введены новые налоги: государственная оборочная подать и земский сбор. Частно владельческие земли были обложены государственными налогами. Население Юго-западной Грузии затруднялось полностью уплачивать подати и сборы. С каждым годом прибавлялись недоимки. Поземельный налог стал ещё более тяжелым, чем это было раньше.



## **საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის თავისებურებები ბათუმის ოლქში (XIX ს-ის 70-იანი – XX ს-ის 20-იანი წლები)**

ისტორიული ბედუკუდმართობის გამო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში სპეციფიკური საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური და კულტურული ფონი შეიქმნა. ჯერ ოსმალთა, შემდეგ რუსთა ბატონობის დროს ანტიქართულმა პოლიტიკამ და 1917-1920 წლებში განვითარებულმა მოვლენებმა თავისი დადი დაასვა ამ მხარის ცნობიერებაზე და გარკვეული როლი ითამაშა იმ თავისებურებების ჩამოყალიბებაში, რომლებმაც ფაქტობრივად განსაზღვრეს ადგილობრივი გავლენიანი პოლიტიკური ლიდერების შესედეულებები.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა აჭარის ადგილობრივი გავლენიანი გვარების წარმომადგენლებს. ასე იყო ოსმალთა ბატონობის ხანაში და შემდგომ პერიოდებშიც. ცხადია, ამას განაპირობებდა საზოგადოებაში მათი მაღალი სოციალური მდგომარეობა და აქედან გამომდინარე ისინი ავტორიტეტით სარგებლობდნენ რეგიონის მოსახლეობაში.

ოსმალთა ბატონობის დროს, გავლენიანმა გვარებმა ისლამის მიღებით და ოსმალეთის სამსახურში ჩადგომით, შეძლეს პრივილეგირებული მდგომარეობის შენარჩუნება. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ისინი „ბრწყინვალე პორტა-სადმი“ დიდი ერთგულებით გამოირჩეოდნენ. აქაური ბელადები ინიშნებოდნენ დიდ თანამდებობებზე (სანჯაყის ბეგებად) არა მარტო აჭარაში, არამედ სამცხე-ჯავახეთში და სხვა ოლქებში. ამის გამო ოსმალეთის იმპერიაში აჭარას ერთგვარი ავტონომიური მმართველობის ფორმები ჰქონდა (ჭუმბურიძე, 1999:59).

შეიძლება ითქვას, რომ ადგილობრივი არისტოკრატის ინტერესები თუნდაც ამგვარი ფორმით დაცული იყო, რაც, ცხადია, არ ნიშნავდა, რომ რეგიონს რაღაც სახის პოლიტიკური სტატუსი ჰქონდა. ადგილობრივი არისტოკრატის ინტერესების გათვალისწინება ოსმალეთის მხრივ იძულებითი ნაბიჯი იყო, რადგან მათ მხარდაჭერას საზღვრისპირა რეგიონში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. მათ უხვად ასაჩუქრებდნენ ფირმანებით, წყალობის წიგნებით და ბარათებით, როგორც მიწა-მამულის მფლობელობის, ისე სამხედრო თანამდებობათა მინიჭების შესახებ **(ახელედიანი, 1959:29-30)**.

საერთოდ, აჭარაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის სპეციფიკური მახასიათებელი იყო ის, რომ მასში ლიდერის როლს (თუ არ ჩავთვლით 1878-1917 წწ. რუსთა მმართველობის პერიოდს, როცა აჭარის პოლიტიკელის პოლიტიკური აქტივობა გარკვეული მიზეზების გამო ჩრდილში მოექცა), ოსმალთა მმართველობის დროს, 1917-1920 წწ. და საბჭოთა პერიოდის 20-იან წლებშიც, ყოველთვის ისინი თამაშობდნენ.

აჭარის სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობის ერთ-ერთი დამახასიათებელი ფაქტორი იყო ის, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს რუსეთის იმპერიასთან შეერთების შემდეგ, ცარიზმმა არ გაითვალისწინა ადგილობრივი მაღალი სოციალური ფენის (გვარების) ინტერესები. ადგილობრივი პლუტოკრატის ინტერესების იგნორირება უპირველესად იმით გამოიხატა, რომ თანამოძმე ქრისტიან წარჩინებულთა მსგავსად, მეფის მთავრობას ოფიციალურად არ უღიარებია მათი მაღალი სოციალური სტატუსი, ისინი არ გამოუცადლკევებია სოფლის საზოგადოებისაგან და არ შეუქმნია მათი საკრებულოები, როგორც ეს ჰქონდათ თბილისის და ქუთაისის გუბერნიების თავადაზნაურობას. ყოველივე ეს სამაჰმადიანო საქართველოს ზედაფენებს განაწყობდა რუსეთის ხელისუფლების საწინააღმდეგოდ. მართალია, ფეოდალთა (ბეგი-აღა) რიცხვი საქართველოს სხვა რაიონებთან შედარებით აქ მცირე იყო, მაგრამ ამ მხარეში მათი გავლენა გაცილებით დიდი იყო (სიორიძე, 2002:3).

რუსეთის ხელისუფლების მხრიდან ამგვარი დამოკიდებულების კვალობაზე ბათუმის ოკრუგის თავადაზნაურული წარმომადგენლობის ქართულ მაჰმადიანებში დაიწყო ბრძოლა ძველი პრივილეგიების აღდგენისათვის.

1885 წლის 9 ივლისს ბათუმის მაზრის მაღალი წოდების ქართველ მაჰმადიანთა ჯგუფმა (19 ხელმოწერი), თხოვნით მიმართეს ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლს დ. ყიფიანს, რათა ისინი ჩაერიცხათ ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა სიაში და მათთვის აღედგინათ ძველი პრივილეგიები **(კახიძე, 2005:188)**.

ძველი პრივილეგიების აღდგენისათვის ბრძოლა გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ რუსეთის ხელისუფლებამ ქართველ მაჰმადიანთა სოციალური სტატუსის იგნორირების კვალობაზე ასევე არ გაითვალისწინა მათი პოლიტიკური ინტერესები. როდესაც ცარიზმმა ქართული სახელმწიფოებრიობა გააუქმა, მათ გარკვეული მიზანდასახულობით ადგილობრივი გავლენიანი არისტოკრატიის წარმომადგენლები მიიწვიეს ხელისუფლებაში და შეუნარჩუნა პრივილეგიები, თუნდაც რაღაც ფარგლებში. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სინამდვილეში კი მოხდა პირიქით. ოსმალეთის მმართველობის დროს მაღალ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ თანამდებობებს შეჩვეული ადგილობრივი პოლიტელიტის შეზღუდვა-გარიყვის კვალობაზე დაიწყო მათი ბრძოლა ძველი პრივილეგიების აღდგენისათვის.

ძველი პრივილეგიების აღდგენისათვის ბრძოლა აჭარის პოლიტელიტის მიერ მარტო რუსეთის ხელისუფლების ამგვარი პოლიტიკის შედეგი არ უნდა ყოფილიყო. ოსმალეთის მმართველობაგამოვლილი აჭარის პოლიტელიტა უფრო ფეოდალური ფორმაციისათვის დამახასიათებელი სოციალ-ეკონომიკური ფორმებს უღებდა ადლოს. ჩანს, იგი ვერ ჰგუობდა იმ ცვლილებებს, რაც თან მოჰყვა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში აჭარის შესვლას. კერძოდ, სწრაფად დაიწყო კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება. აშკარად თვალში საცემი გახდა ქ. ბათუმის მსხვილ სამრეწველო-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცენტრად ჩამოყალიბება. აჭარის პოლიტელიტამ ადლო ვერ აუდო ახალ გარემოებებს, ვერ ჩაება სწრაფად განვითარებად ახალ სოციალ-

ეკონომიკური ფორმაციის ფერხულში, არადა ასპარეზზე გამოდიოდა ახალი ბურჟუაზიული ფენა, რომელიც უმეტესად არაქართული და არამკვიდრი მოსახლეობისაგან შედგებოდა.

ნათელი უნდა ყოფილიყო, რომ ამ გარემოებებით აჭარის პოლიტელიტა სოციალ-ეკონომიკურ გავლენასაც კარგავდა. უფრო მეტიც, ბათუმის წარმოება-დაწესებულებებში მომუშავე პერსონალი უმეტესად არამკვიდრი მოსახლეობისაგან შედგებოდა, რომელზეც აჭარის პოლიტელიტას ობიექტიური რეალობიდან გამომდინარე გავლენა ვერ ექნებოდა. ეს ახალი პერიპეტეიები, როგორც ჩანს, აფრთხოვდა ადგილობრივ გავლენიან გვარებს, რადგან წარსულისაგან განსხვავებით აშკარად იკვეთებოდა, რომ ახალ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში მათი როლი სუსტდებოდა.

ასეთ ფონზე, აჭარის გავლენიანი გვარების გარკვეული ნაწილის გავლენა უფრო მთიან რაიონებზე არის შესამჩნევი. იქ არსებული სპეციფიკა სოციალ-ეკონომიკური განვითარების დაბალი დონე ისლამთან ერთად ქმნიდა იმის წინაპირობას, რომ აჭარის მაღალი სოციალური წრის წარმომადგენლებს იქ თავისი გავლენა რაღაც დონემდე შეენარჩუნებინათ. ბათუმში და ზღვისპირა რაიონებში კი – პირიქით. აქ არსებულ წარმოება-დაწესებულებებში დასაქმებული არაქართული და საქართველოს სხვა რეგიონებიდან ჩამოსული მუშა-მოსამსახურეებისათვის ადგილობრივი გავლენიანი გვარები არ წარმოადგენდნენ ანგარიშგასაწევ ძალას.

ამრიგად, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მშობლიურ წიადში დაბრუნება დაემთხვა კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებას, რამაც მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა რეგიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში. უპირველესად ქალაქების და საქალაქო ცხოვრების. განვითარებაში, რადგან ქალაქები მნიშვნელოვან ცენტრებს წარმოადგენდა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აქ ფართო მასშტაბებს იძენდა. ახალი ტიპის ეს მოძრაობა შემადგენელი ნაწილი იყო იმ პოლიტიკური ბრძოლისა, რომელიც რუსეთის იმპერიის მასშტაბით მიმდინარეობდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ამ მოძრაობაში აჭარის ძველი ყაიდის პოლიტელიტა ვერ მოგვევლინა ლიდერის როლში, რადგან მათი იდეოლოგია,

წარმომავლობა, მსოფლმხედველობა და მიზანსწრაფვა არ პასუხობდა დროის მოთხოვნებს. აჭარის პოლიტელიტა, რომელმაც ადლო ვერ აუღო ამ ახალ პერიპეტივებს, ბუნებრივია, ჩრდილში მოექცა. ამიტომაც იყო, რომ 900-იანი წლების დასაწყისში ასპარეზე გამოდის აჭარის პოლიტელიტის ახალი თაობის წარმომადგენლები, რომლებიც იძულებული იყვნენ თვითონ ჩაბმულიყვნენ იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში, რომელიც ბათუმის პოლიტიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა და ერთგვარად გაეზიარებინათ მათი პროგრამა. ასეთ პირობებში მათი მხრიდან განსაკუთრებული პოლიტიკური მოთხოვნების წამოყენება წინასწარვე განწირული იყო ქალაქში სათანადო ელექტორატის არარსებობის გამო.

ბათუმში ამ პერიოდში ჩამოყალიბდა და მოქმედებდა სოციალ-დემოკრატების, ფედერალისტების, სომეხ-დაშნაკთა, ესერთა და კადეტთა პარტიული ორგანიზაციები (**სიორიძე, 2002:59**). აღნიშნულ პარტიათაგან ზოგიერთში აჭარის მრავალი სოციალური წრის ნაწილი გაწევრიანდა. მაგ., მ. აბაშიძე შევიდა ფედერალისტთა პარტიაში.

ამ პოლიტიკურ პარტიათა გავლენა ფაქტობრივად ბათუმს და მის შემოგარენს ვერ სცილდებოდა (**სიორიძე, 2002:60**), ხოლო ამ პარტიათა გავლენა აჭარის სოფლებზე ძალზე სუსტი იყო. იქ პოზიციებს საკმაოდ კარგად ფლობდნენ ადგილობრივი გავლენიანი გვარები (**მესხია, 2004:15**).

ზემოაღნიშნული თავისებურებები განაპირობებდნენ იმ გარემოებას, რომ 1878-1917 წლებში აჭარის პლუტოკრატია, როგორც დამოუკიდებელი ძალა, ვერ თამაშობდა მნიშვნელოვან როლს აჭარის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

პირველი მსოფლიო ომის დასკვნით ეტაპზე ბათუმის ოლქში საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა საინტერესოდ წარიმართა. ამ პერიოდში აჭარის ადგილობრივი პოლიტელიტა ასპარეზზე გამოვიდა მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოლიტიკური მიზნებით, მოთხოვნებით და, შესაბამისად, პოლიტიკური ორგანიზაციით.

თებერვლის რევოლუციის შემდგომ ქვეყანაში წარმოქმნილმა ვითარებამ ყველა ძალას თუ ჯგუფს შეუქმნა პერს-

პექტივა, რომ გარდამავალი პერიოდი გამოეყენებინა თავის სასარგებლოდ და მასეში ერთპიროვნული გავლენა მოეპოვებინა. ბათუმში უკვე მოქმედ პარტიული ორგანიზაციების გვერდით აშკარად გამოიკვეთა ადგილობრივი პოლიტიკის პოლიტიკური ამბიციები.

აჭარის პოლიტიკური მოძრაობის ახალი თაობის ლიდერი მ. აბაშიძე ღიად მიუთითებდა: „რუსეთის თვითმპყრობელობამ თანდათან დასვა ჩვენს წინაშე საკითხი ჩვენი ეროვნული განვითარებისა და განთავისუფლებისა... რასაკვირველია, იმ პირობებში, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებოდით, რუსეთის ძველი რეჟიმის დროს, არ გვაძლევდა საშუალებას რევოლუციურ და ორგანიზაციულ მუშაობაზე. მუშაობა ამ დროს იყო პერსონალური.

რუსეთის დიდმა რევოლუციამ გვარგუნა, როგორც ჩვენ, აგრეთვე ყველა ერებს, თავისი ეროვნული თვითგამორკვევის უფლება. ამ სარგებლით ჩვენ შევუდექით თავის მუშაობას. ამას მივეცით უფრო ფართო ორგანიზაციული და ხალხური ხასიათი. ამ მიზნით დაგვარსეთ ჩვენ ბათუმის და მისი ოლქის ქართველ მუსლიმანთა კომიტეტი და აგრეთვე, ქართველ მუსლიმანთა საქველმოქმედო საზოგადოება. თანდათან ჩვენ მუშაობას მიეცა პარტიული ხასიათი. ძირითადი აზრი, იდეა ჩვენი მოღვაწეობისა შედგებოდა ორი მუხლისაგან: პირველი იყო.... საქართველოს მთლიანობა და მეორე – სამუსლიმანო საქართველოს ავტონომია.

ამ ორი აზრის ირგვლივ იყო გაცხარებული ჩვენი მუშაობა და ეს მუშაობა გრძელდებოდა იქამდე, სანამ ბათუმი და მისი ოლქი არ იყო დაპყრობილი ოსმალეთის მიერ...

ოსმალეთის შემოსვლამ ბოლო მოუდო ჩვენს ორგანიზაციულ მუშაობასაც აქ სამუსლიმანო საქართველოში. ამიტომ ჩვენ გვიძულა ჩვენი ორგანიზაციული მუშაობისათვის საქარისტრიანო საქართველოში განმათავისუფლებელი კომიტეტის დაარსება“ (აბაშიძე, 1998:163). ამ ვრცელ ამონარიდში ჩანს, რომ აჭარის პოლიტიკელია რუსეთის ხელისუფლების დროს ღია და აქტიურ მოქმედებას ვერ ბედავდა.

ერთ-ერთი თავისებურება, რაც პირველი მსოფლიო ომის დასკვნით ეტაპზე და მის შემდეგ შეინიშნებოდა აჭარის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში, ის გახლდათ, რომ

მოქმედი პოლიტიკური ორგანიზაციები, გარკვეული ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, რეგიონში ვეღარ აქტიურობენ. ასეთ ვითარებაში მათ მხრიდან აშკარად გამოჩნდა ადგილობრივი პოლიტიკელის მიერ პოლიტიკური ორგანიზაციების ჩამოყალიბების ტენდენცია, რომელშიც გაერთიანებული იყვნენ ადგილობრივი მაღალი სოციალური წრის წარმომადგენლები.

ოსმალეთ-ინგლისის ოკუპაციის დროს რეგიონში განვითარებულმა მოვლენებმა გარკვეული ნიუანსები შეიტანა ადგილობრივი პოლიტიკური ლიდერების მიზნებში. კერძოდ, რეგიონის პოლიტიკურ ორიენტაციასა და სტატუსზე განსხვავებული შეხედულებების გამო მოხდა ადგილობრივი პოლიტიკური ჯგუფის ორ ბანაკად გაყოფა, რაც ასევე ერთ-ერთ თავისებურებად შეიძლება ჩაითვალოს.

ეს ორგანიზაციები იყო სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი და ბათუმის ისლამური საზოგადოება. 1919-1921 წლებში დასაწყისში ამ ორი ორგანიზაციის წარმომადგენლები დაუნდობლად ებრძოდნენ ერთმანეთს რეგიონში გავლენის მოპოვებისა და ხელისუფლების აღებისათვის. განმათავისუფლებელ კომიტეტს მხარს საქართველოს ხელისუფლება უჭერდა, ხოლო ისლამურ საზოგადოებას გარე ძალები.

1920 წლის ივლისში, ბათუმზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენის შემდეგ, კვლავ მოხდა ადგილობრივი პოლიტიკური ძალების პოლიტიკური არენიდან გარიყვა, რამაც რეგიონში ავტონომიის მოთხოვნას კიდევ ახალი ძალა მისცა. დამფუძნებელი კრების წევრის პეტრე გელეიშვილის დასკვნით, აჭარის გავლენიანი პირების წარმომადგენელთა ხელისუფლებაში მიწვევა სრულებით მოხსნიდა ავტონომიის პრობლემას რეგიონში (გელეიშვილი, 1998:35).

ვერც საბჭოთა ხელისუფლება ასცდა აჭარის პოლიტიკელის პოლიტიკურ ამბიციებს. მართალია, საწყის ეტაპზე საბჭოთა ხელისუფლებამ კარგად გამოიყენა აჭარის ადგილობრივ პოლიტიკურ ლიდერებს შორის დაპირისპირებულება და მათი ურთიერთშორის ბრძოლით ეტაპობრივად ჩამოაშორა ისინი პოლიტიკურ არენას, მაგრამ ამ ჯგუფის იმ ფრთამ, რომელმაც ერთგულება გამოუცხადა საბჭოთა ხელი-

სუფლებას, რითაც შეძლო რეგიონის პოლიტიკურ ცხოვრებაში ადგილის შენარჩუნება, 1922-1925 წლებში რეგიონი პოლიტიკური კრიზისის წინაშე დააყენა. ამ კრიზისის მიზეზი ისევ რეგიონის ავტონომიური მმართველობა იყო.

რეგიონისათვის განსაკუთრებული სტატუსის მოპოვება – ეს იყო აჭარის ადგილობრივი პოლიტელიტის სურვილი. ისინი ყოველთვის იბრძოდნენ უმაღლესი ხელისუფლების მოპოვებისათვის რეგიონში. სამცხე-საათაბაგო (რომლის შემადგენილი ნაწილი იყო აჭარა) ფაშის ხელისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლებში აქტიურად მონაწილეობდა აჭარის პლუტოკრატია. სელიმ ხიმშიაშვილის ბრძოლა ახალციხეში ხელისუფლების აღებისათვის ამის დასტურია. ამ ბრძოლამ სელიმი ოსმალეთთან დაპირისპირებამდე მიიყვანა. ამავე დროს, მისი ბრძოლის მიზანი, მართალია, რეგიონის ოსმალთა გავლენისაგან გათავისუფლება იყო, მაგრამ იგი თუნდაც რუსეთის შემადგენლობაში, სამცხე-საათაბაგოს ძველი მთავრების დროინდელ უფლებებში აღდგენის მომხრე იყო.

ცხადია, ოსმალეთის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფის კვალობაზე ახალციხე იყო ამ დიდი რეგიონის ცენტრი და ძალაუფლების მოპოვებისათვის ბრძოლაც იქ მიმდინარეობდა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში რუსთა მმართველობის დამყარების კვალდაკვალ გატარებულმა ტერიტორიულ-ადმინისტრაციულმა ცვლილებებმა გამოკვეთა ბათუმის ოლქის (და მასში აჭარის) ტერიტორიულ-ადმინისტრაციული სტრუქტურა და შესაბამისად მისი ახალი ცენტრი. ბათუმში უკვე სრულიად ახალი ტიპის ქალაქი გახლდათ თავისი ინფრასტრუქტურით და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფონით. შესაბამისად, ბრძოლის ცენტრმაც აქეთ გადმოინაცვლა.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ახვლედიანი ხ. სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში, ბათ., 1956;
2. აბაშიძე მ., თხზულებანი, ბათ., 1998;



3. მესხია ე., ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის, ბათ., 2004;
4. სიორიძე მ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველო 1914-1918 წლებში, ბათ., 2002;
5. ჭუმბურიძე დ., აჭარის საკითხი 1918-1921 წლებში და ქართული საზოგადოებრივი აზრი, თბ., 1999;
6. კახიძე ნ., ბათუმის მაზრის თავდაზნაურული წარმოშობის ქართველ მაჰმადიანთა ბრძოლა ძველი პრივილეგიების აღდგენისათვის, „საისტორიო მაცნე“, ტ. XIV, ბათ., 2005.

**Kakhaber Surguladze, Irakli Manvelidze**

### **Peculiarities of Social-Political Movement in Batumi District (1870s-1920s)**

#### **Summary**

The article deals with the peculiarities of social-political movement in Batumi District against the background of influential surnames in Adjara.

**Кахабер Сургуладзе, Иракли Манвелидзе**

### **Особенности общественно-политического движения в Батумском округе (70-ые годы XIX в. – 20-ые XX в.)**

#### **Р е з ю м е**

В данной статье на примере влиятельных фамилий Аджарии показаны особенности общественно-политического движения в Батумском округе.

**მრეწველობის განვითარების პირველი  
ნაბიჯები აჭარაში  
(მოკლე მიმოხილვა)**

XIX საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან ბაქოს რაიონში დიდი აღმავლობით ვითარდება ნავთობის მრეწველობა. ბაქოს ნავთობის პროდუქტები აკმაყოფილებდა არა მარტო რუსეთის შინაგანი ბაზრის მოთხოვნილებას, არამედ მისი ჭარბი ნაწილის ექსპორტით ევროპისა და აზიის ბაზრების დიდ ნაწილსაც, ხოლო ამ ბაზრებზე ნავთობპროდუქტების მისაზიდად ბათუმი გეოგრაფიულად ყველაზე უფრო მოხერხებული სატრანსპორტო კვანძი აღმოჩნდა. 1883 წლის 21 მარტს ბათუმში საოკეანო გემის საყვირს პირველი მატარებლის საყვირიც შეუერთდა. ბათუმი ამიერკავკასიის რკინიგზით დაუკავშირდა ბაქოს, საიდანაც ბათუმის ნავსადგურში რკინიგზის მაგისტრალით დაიწყო „შავი ოქროს“ – ნავთობის მძლავრი ნაკადის დენა. ბათუმის ნავსადგურიდან იწყება მსოფლიოს განთქმულ ბაზრებზე ბაქოს ნავთობისა და კავკასიის სხვა მრავალი ნედლეულის გაზიდვა (რ. უზუნაძე, 2001:187).

ბათუმი, როგორც სანავსადგურო ქალაქი, იწყებს მზარდი და მნიშვნელოვანი როლის შესრულებას ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში. ნავსადგურის ახლოს იგება ქარხნების კორპუსები, შენდება „ნავთობის ქალაქი“. ეს ქარხნები საექსპორტო ნავთობპროდუქტების გასატანად საჭირო სპეციალურ ტარას (თუნუქისა და ხის ყუთები) ამზადებდნენ. საექსპორტო ნავთისათვის ხის ყუთებისა და თუნუქის ჭურჭლების დამამზადებელი პირველი ქარხანა (ინჟინერ პალაშკოვსკის) ექსპლუატაციაში შევიდა 1883 წელს. იგი აღჭურვილი იყო იმ დროის მაღალი ტექნიკით, რომელიც შემოტანილ იქნა ამერიკის შეერთებული შტატებიდან. ეს ქარხანა 1886 წლამდე თითქმის ერთადერთ მექანიზირებულ საწარმოდ ითვლებოდა, რომლის თავდაპირველი სადღეღამისო წარმადობა ითვალის-

წინებდა 12 ათასი თუნუქისა და 6 ათასი ხის ყუთის გამოშვებას.

ბაქოს ნავთობი 1885 წლიდან მოყოლებული სწრაფად იწყებს საზღვარგარეთის ბაზრების ხელში ჩაგდებას. იგი გაბედულად უწევს კონკურენციას ამერიკის ნავთობს და ავიწროებს მას ნავთობპროდუქტების მსოფლიო ბაზრებზე.

სწორედ ამ პერიოდში ხდება ბათუმის, როგორც ქალაქის, ჩამოყალიბება. 1885 წლის დამდეგს აქ ჩამოსული ცნობილი ფრანგი მეცნიერი, აღმოსავლეთმცოდნე ჟან მურიე აღნიშნავდა, რომ ბათუმს უკვე ჰქონდა ევროპული ქალაქის სახე (მ. სიორიძე, 2003:91).

ბაქოს ნავთობის ექსპორტის განუხრელ ზრდასთან დაკავშირებით ნავთობ-პროდუქტების ტარის წარმოება ბათუმში დიდად ფართოვდება. იზრდება წარმოების მოცულობა არსებულ ქარხნებში. მწყობრში შედიან ახალი ქარხნებიც. ჯერ კიდევ 1883 წლის ბოლოს ამუშავდა სიდერედისის ქარხანა (ო.გოგოლიშვილი, 1996:45). 1887 წელს მუშაობა დაიწყო მანთაშევისა და კომპანიის ქარხანამ, ხოლო 1892 წლიდან ექსპლუატაციაში შევიდა ხაჩატურიანცისა და სხვათა ქარხნები.

90-იანი წლების დამდეგს ბათუმში ხის ყუთებისა და თუნუქის ჭურჭლის დამამზადებელი 9 ქარხანა იყო. ამ ქარხნებში სულ მუშაობდა 3500 მუშა. სადღელამისო წარმადობა აღწევდა 100000 თუნუქისა და 50000 ხის ყუთს. ნავთობპროდუქტების ტარის ქარხნები, წარმოების მოცულობისა და მუშათა რიცხვის მიხედვით, მე-19 საუკუნის უკანასკნელ წლებში ბათუმში არსებულ ფაბრიკა-ქარხნებს შორის ყველაზე უფრო მსხვილ და მძლავრ საწარმოებს წარმოადგენდნენ. მათ არა მარტო ბათუმის, არამედ მთელი ქუთაისის გუბერნიის წარმოების სისტემაში ეკავათ განსაკუთრებული ადგილი. 1894 წელს მარტო 8 საწარმო, რომლებიც საექსპორტო ნავთობპროდუქტების ტარას ამზადებდნენ, 22350,0 ათასი მანეთის პროდუქტის გამოუშვა. ეს შეადგენდა ქუთაისის გუბერნიის ყველა ქალაქის მრეწველობის საერთო პროდუქციის 96,6, ხოლო მთელი გუბერნიის მრეწველობის საერთო პროდუქციის – 93,3 პროცენტს.

ნავთობპროდუქტების ყუთების წარმოებასთან დაკავშირებული იყო მთელი რიგი სხვა საწარმოების – თუჯის ჩამომსხმელი, ლურსმნის დამამზადებელი, მექანიკური და სხვა. მნიშვნელოვან საწარმოს წარმოადგენდა აგრეთვე ქიმიური, მომთუთიებელი, ტყავისა და მრავალი სხვა ქარხანა.

ქვეყნის სამრეწველო და კომერციულ ცხოვრებაში ბათუმის როლი იმდენად იზრდება, რომ ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული აქ არსდება სხვადასხვა საკრედიტო დაწესებულება (სახელმწიფო ბანკის, თბილისის კომერციული ბანკის, სამხრეთ რუსეთის სამრეწველო ბანკის ბათუმის განყოფილებები და სხვა), რომლებიც ხელს უწყობდნენ საწარმოო პროცესებისა და კომერციული ოპერაციების დაჩქარება-განვითარებას. აღნიშნული სამრეწველო საწარმოებისა და საკრედიტო დაწესებულებათა წარმოშობა ბათუმში მოწმობდა იმას, რომ ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასასრულს ბათუმი მთლიანად „ცხოვრობდა სამრეწველო კაპიტალიზმის ცხოვრებით, მისთვის დამახასიათებელი ყველა დრმა სოციალურ-ეკონომიური წინააღმდეგობითა და ანტაგონიზმით“ (6. ტყეშელაშვილი, 1958:37).

ქალაქის სამრეწველო და კომერციული ცხოვრება განუხრელად იზრდებოდა. მე-19 საუკუნის მიწურულს ბათუმში უკვე არსებობდა 8-10 საკმაოდ მსხვილი სამრეწველო საწარმო, ხოლო 1900 წელს მოქმედებდა 31 სამრეწველო საწარმო.

XX საუკუნის დასაწყისში ბათუმი მთელ ამიერკავკასიაში მესამე სამრეწველო ცენტრია. საფაბრიკო-საქარხნო წარმოების აღმოცენებასა და განვითარებასთან ერთად ბათუმში წარმოიშვა სამრეწველო მუშათა კლასი.

ბათუმიდან ნავთობპროდუქტების საზღვარგარეთ და რუსეთის იმპერიის ფარგლებში გატანა 1904 წლამდე თითქმის ყოველდღე იზრდებოდა და 1903 წელს კულმინაციურ წერტილს მიაღწია. ამ წელს ბათუმის ნავსადგურიდან გაიტანეს 84,2 მილიონი ფუთი ნავთობპროდუქტები. ბათუმის ნავსადგურმა მსოფლიო მნიშვნელობის სახელი მოიხვეჭა.

ამიერკავკასიის რკინიგზის გაყვანის შემდეგ ნავთობის ტრანსპორტირების გაძლიერების თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა 1900 წელს რუსეთის იმპერიაში პირველი ნავთობსადენი მილის გაყვანას ბაქოდან ბათუმამდე.

ამიერიდან ბათუმის ნავსადგურში დაიწყო ნავთობის პირდაპირი ჩასხმა უცხოეთის გემთა ტრიუმფებში. ნავთობსადენის მილის სიგრძე შეადგენდა 883 კილომეტრს, ხოლო მილების შიდა დიამეტრიც - 8 დიუმს. წელიწადში მას შეეძლო გაეტარებინა ერთი მილიონი ტონა ნავთობი. ამის შედეგად რკინიგზით ნავთობის ზიდვა თანდათანობით მცირდება. 1903 წლიდან ბათუმში შესამჩნევად იკლებს სამრეწველო პროდუქციის გამოშვება, რაც გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ მუშათა პოლიტიკური გაფიცვების შედეგად მთელი რიგი საწარმოები შეფერხებით მუშაობდნენ. რუსეთს ხელიდან გამოეცალა ნავთობის ისეთი მნიშვნელოვანი ბაზრები, როგორიც იყო ჩინეთი, ინდოეთი, იაპონია. ბათუმის სამრეწველო საწარმოები კრიზისმა მოიცვა. ამან კი თავის მხრივ გამოიწვია მთელი რიგი ქარხნების დახურვა. მუშაობა შეწყვიტა მანთაშევისა და როტშილდის ქარხნებმა. 1908 წელს მოქმედებდა თუნუქის დამამზადებელი მხოლოდ ორი ქარხანა, რომელშიც დასაქმებული იყო 629 მუშა (ა ც ს ა, ფ.1.აღწ.1, საქ. 246, ფურც 56). ამ ქარხნების წარმოების მოცულობაც 1902 წელთან შედარებით თითქმის 5-ჯერ შემცირდა.

1910 წლიდან რუსეთის ბაზრებზე გადიდდა მოთხოვნილება ნავთობპროდუქტებზე. ამავე დროს ჩინეთის, ინდოეთის, იაპონიისა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების ბაზრებიც ზრდიან რუსეთის ნავთობზე მოთხოვნილებებს. რუსეთის ნავთობი ისევ იპყრიბს აღნიშნულ ბაზრებს. როგორც რუსეთის, ისე საზღვარგარეთის ბაზრებზე რუსეთის ნავთობი კვლავ ბათუმის ნავსადგურით იგზავნება. ბათუმის სავაჭრო-სამრეწველო ცხოვრების მაჯისცემა მატულობს. მაგრამ ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გრძელდება. პირველი მსოფლიო ომის დროს ბევრი საწარმო ნედლეულს ვეღარ იღებდა და დაკვეთებს ვერ ასრულებდა. საკმარისია ითქვას, რომ ბათუმის ოლქის სამრეწველო საწარმოების რიცხვი 1913 წლიდან 1915 წლამდე 24 პროცენტით შემცირდა, ხოლო მუშათა რაოდენობა - 63,2 პროცენტით.

კაპიტალიზმი შეიჭრა აჭარის სოფლის მეურნეობაშიც. ნატურალური გადასახადები, რაც მანამდე არსებობდა, ფულით შეიცვალა. საფუძველი ჩაეყარა ტექნიკურ კულტურათა საპლანტაციო მეურნეობას და სხვა. მიუხედავად ამისა

თურქული ფეოდალური მიწათმფლობელობის კანონმდებლობა ჯერ კიდევ ძალაში რჩებოდა. ცარიზმის აგრარულ-კოლონიალური პოლიტიკა სახაზინო მიწის ფონდის გაზრდისა და გლეხთა მატერიალური შევიწროებისაკენ წარიმართა. რუსი მოხელეები ცდილობდნენ აჭარაში თურქული მიწათმფლობელობის წესები გამოეყენებინათ, რომლის მიხედვით მთელი მიწები სახელმწიფო საკუთრებად რჩებოდა. ეს მდგომარეობა ცარიზმს აჭარაში კოლონიზაციისათვის ფართო გზას უხსნიდა (ო. თურმანიძე, 2004:74-76).

აჭარის ზღვის სანაპირომ თავისი ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებით მეცნიერთა დიდი ყურადღება მიიპყრო. მათი დაკვირვებებითა და გამოკვლევებით შავი ზღვის სანაპიროს ნიადაგ-კლიმატური პირობები ძლიერ ემსგავსებოდა იმ ქვეყნების ნიადაგ-კლიმატურ პირობებს, სადაც სუბტროპიკული კულტურები დიდად იყო გარცელებული. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ჩვენში შეიძლებოდა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების გავრცელება. ამ მხრივ პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ ისეთი გამოჩენილი მეცნიერები, როგორიც იყვნენ ვოვკოვი, კრასნოვი, ბუტლეროვი, ზეიდლიცი და სხვები. სუბტროპიკული კულტურების პრაქტიკულად დანერგვა-გავრცელებაში დიდი როლი შეასრულა იმ ექსპედიციებმა, რომლებიც მოეწყო ჩინეთში, იაპონიაში, ინდოეთში, ცეილონზე და სხვა სუბტროპიკულ ქვეყნებში. ამ კულტურების ადგილზე შესწავლისა და მისი შავი ზღვის სანაპიროზე გაშენების მიზნით, ექსპედიციებს შემოჰქონდათ ჩაის, ციტრუსოვანთა, ბამბუკის, ტუნგოსა და სხვა ძვირფასი სუბტროპიკული კულტურების თესლი, აგრეთვე ნერგები და აშენებდნენ აჭარის ზღვის სანაპიროზე (ჩაქვი, სალიბაური). სწორედ ამან ჩაუყარა საფუძველი აქ ჩაისა და ციტრუსოვანთა მეურნეობას.

მე-19 საუკუნის დამლევს იზრდება მოსახლეობის ინტერესი ჩაის კულტურისადმი. იგი მართალია, მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც გავრცელებას იწყებს გლეხთა ეზოებშიც. ჩაის კულტურის გავრცელების პარალელურად ვითარდება ჩაის მრეწველობაც. 1897 წელს აიგო სალიბაურის ჩაის ფაბრიკა, ხოლო 1898 წელს-ჩაქვის ჩაის ფაბრიკა. ბაზარზე უკვე გამოდის აქ დამზადებული ჩაი „პირველი რუსული ჩაის“

სახელწოდებით. 1900 წელს სალიბაურის ჩაის პროდუქციამ პარიზის მსოფლიო გამოფენაზე მაღალი შეფასება და დიდი ოქროს მედალი მიიღო.

მართალია, მეფის რუსეთის დროს ჩაისა და ციტრუსოვანთა წარმოება შესაძლებლობის ფარგლებში ვერ განვითარდა (1913 წელს ჩაის ფართობი შეადგენდა 889 ჰექტარს, ხოლო ციტრუსოვანთა-262 ჰექტარს), მაგრამ ამ დარგის შემდგომი განვითარებისათვის იმას, რაც გაკეთდა, როგორც პირველ ნაბიჯს, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. შემდგომში აჭარამ გამოცდილების გაზიარებით უდიდესი დახმარება გაუწია იმ რაიონებს, რომლებმაც ხელი მოჰკიდეს ჩაისა და ციტრუსოვანთა გაშენებას.

მეფის რუსეთის დროს აჭარის მთიან რაიონებში შეიჭრა თამბაქოს კულტურა და იგი სოფლის მეურნეობის შემოსავალში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა.

მკვლევართა ყურადღება მიიპყრო ზღვის სანაპიროს სამკურნალო რესურსებმაც. ბათუმსა და მის მიდამოებში, აგრეთვე ქობულეთში გაშენდა პატარ-პატარა აგარაკები. ამან საკურორტო მეურნეობის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. რ. უზუნაძე, ნაოსნობა ბათუმის ოლქში, ბათ., 2001.
2. მ. სიორიძე, ბათუმის საბაჟო, ბათ., 2003.
3. ო. გოგოლიშვილი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება ბათუმის ოლქში 1900-1910 წლებში, ქუთ., 1996.
4. ნ. ტყეშელაშვილი, ნარკვევები საქართველოს მრეწველობის ისტორიიდან, თბ., 1958.
5. ო. თურმანიძე, სოფლის მეურნეობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (1878-1920), ბათ., 2004.
6. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (აცსა), ფ. 1, აღწ. 1, საქ. 246.

## **Otar Gogolishvili**

### **The first steps of development of industry in Adjara (a short review)**

#### **R e s u m e**

This article deals with the first steps of development of industry in Adjara. The town of Batumi became a very important centre of industry in the whole of Caucasus as a result of transportation of oil products from Baku to Batumi. The special vessels for oil products were manufactured in factories that were specially built for this Purpose in Batumi. The port of Batumi became of the world importance.

Capitalism invaded in the agriculture sector of Adjara, and as a result the production of tea, citrus, cigar and so on were developed.

## **Отар гоголишвили**

### **Первые шаги развития промышленности в Аджарии (краткий очерк)**

#### **Резюме**

После постройки Закавказской железной дороги в 1883 г. из Баку цистернами стали поступать нефтепродукты в Батуми, откуда они экспортировались на рынки Европы и Азии. Вскоре Батумский порт приобрел мировое значение; быстрыми темпами развивалась промышленная и коммерческая жизнь города. В начале XX века Батуми стал третьим торгово-промышленным центром Закавказья с высокой концентрацией рабочего класса.

Капитализм охватил и сельское хозяйство Аджарии. Почвенно-климатические ресурсы, пригодные для разведения драгоценных субтропических культур, были поставлены на службу человеку.



## **ერზინჯანის დროებითი ზავი და მისი შედეგები**

შეიარაღებული აჯანყებით და ძალადობით ხელისუფლებაში მოსული ვ. ლენინის საბჭოთა მთავრობა არ სცნეს რუსეთის მოკავშირე ანტანტის სახელმწიფოებმა. ასევე არ მიიღეს მის მიერ 1917 წ. 8 ნოემბერს<sup>1</sup> გამოქვეყნებული დეკრეტი უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის შესახებ. ახალი ხელისუფლება არ აღიარა, აგრეთვე, რუსეთის გენერალ-ტეგმა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების უმრავლესობამ, მათ შორის ამიერკავკასიამაც.

იზოლაციაში მოქცეულმა ბოლშევიკურმა მთავრობამ, რომელიც თავდაპირველად მეტად სუსტად გამოიყურებოდა, ძირითად ამოცანად დაისახა მსოფლიო ომიდან სასწრაფოდ გამოსვლა და მთელი ძალების მობილიზაცია ქვეყნის შიგნით ხელისუფლების შენარჩუნება-განმტკიცებისათვის.

ომის დასკვნით ეტაპზე რუსეთთან ზავი აწვობდათ ორ ფრონტზე მეგრძოლ გერმანიას და მის მოკავშირეებს. 15 დეკემბერს მათ შორის ბრესტ-ლიტოვსკში გაფორმდა კიდევ დროებითი დაზავების ხელშეკრულება, რითაც შეწყდა სამხედრო მოქმედება რუსეთის დასავლეთის ფრონტზე. 22 დეკემბერს კი იქვე დაიწყო მოლაპარაკება საბოლოო ზავის პირობების შესამუშავებლად.

მეორე ფრონტის ლიკვიდაციას ესწრაფოდა დაუძლურებული ოსმალეთიც. ამიტომ 30 ნოემბერს მანვე შესთავაზა ამიერკავკასიის კომისარიატს დროებითი დაზავება. 4 დეკემბერს ამ უკანასკნელმაც მიიღო მოწინააღმდეგე მხარის წინადადება და ამის შესახებ აცნობა თბილისში აკრედიტებულ ანტანტის სახელმწიფოთა დიპლომატიურ და სამხედრო მისიებს, აგრეთვე, მესოპოტამიაში მოქმედი დიდი ბრიტანეთის არმიის მთავარსარდლობას (Документы ...1919:11-12,14).

ანტანტის ქვეყნების წარმომადგენლებმა თბილისში პროტესტი გამოთქვეს და არ გაიზიარეს ამიერკავკასიის მთავ-

რობის გადაწყვეტილება ოსმალეთთან ომის შეწყვეტისა და დაზავების შესახებ (სცსსა, ფ. 1819, აღ. 1, ს. 20, ფურც.1). თუმცა უშედეგოდ, რადგან ამ გადაწყვეტილების მიღებისას ამიერკავკასიის ხელისუფლებამ გაითვალისწინა ის ობიექტური გარემოებები, რომ ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ რუსეთი მოიცვა ქაოსმა და ანარქიამ, შეწყდა იქედან კავკასიის ფრონტის მომარაგება, დისციპლინადაკარგულ რუსეთის ჯარისკაცებში კი აშკარად გამოიკვეთა შინისაკენ ლტოლვის ტენდენცია. შექმნილ ვითარებაში ომის გაგრძელება მოკლებული იყო საღ აზრს. მითუმეტეს, რომ ამ დროისათვის ფრონტის ხაზი შორს იყო გაწეული ოსმალეთის ტერიტორიის სიღრმეში. დასავლეთით მისი საზღვრები აღწევდა ზღვისპირა ქალაქ ტირეპოლუმდე, ხოლო სამხრეთით მესოპოტამიის მისადგომებთან გადიოდა. ოსმალეთი ასევე იყო შევიწროებული სპარსეთის ფრონტზეც.

თუმცა, როგორც მოვლენების შემდგომმა მსვლელობამ აჩვენა, ამიერკავკასიის მთავრობამ, რომელიც ერთიანი დემოკრატიული რუსეთის აღდგენაზე იყო ორიენტირებული, საგარეო პოლიტიკაში დაუშვა უხეში შეცდომები. კერძოდ, მან უარი თქვა ჯერ ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკებაში მონაწილეობაზე, ხოლო შემდეგ კრიტიკულ მომენტამდე გააჭიანურა ოსმალეთთან სეპარატულ საბოლოო ზავზე მოლაპარაკების დაწყება. ამით ოსმალეთმა დრო მოიგო, ძალები მოიკრიბა და თვითონ გადმოვიდა შეტევაზე ამიერკავკასიის წინააღმდეგ. მის წარმატებას ხელი შეუწყო რუსეთის ჯარების მიერ ფრონტის თვითნებურად მიტოვებამ. ამიერკავკასიის მთავრობამ ვერ შეძლო ქვეყნის თავდაცვის ორგანიზება და თავისი სამხედრო ნაწილების სწრაფად ჩამოყალიბება, რომლებითაც შეავსებდა და დაიცავდა რუსეთის ჯარების მიერ მიტოვებული ფრონტის დაცარიელებულ უბნებს.

დროებით დაზავებაზე მოლაპარაკება შედგა რკინიგზის სადგურ ერზინჯანში, რომელიც იმჟამად ეკავა რუსეთის ჯარს. ამიერკავკასიის დელეგაციას მეთაურობდა გენერალი ვიშინსკი. დელეგაციაში შედიოდა ამიერკავკასიის დეპუტატების სამხარეო საბჭოს სამი წარმომადგენელი (დაშნაკი – ჯამალიანი, სოციალ-დემოკრატები სმირნოვი და ვ. თევზაია).

ოსმალეთის დელეგაციას ხელმძღვანელობდა კავკასიის ფრონტის მთავარსარდალი, გენერალ-ლეიტენანტი ფერიკ ვეზიბ მაჰმუდ-ფაშა. დროებითი დაზავების ხელშეკრულება გაფორმდა 1917 წლის 18 დეკემბერს. კავკასიის ფრონტზე შეწყდა საომარი მოქმედება და დაწესდა სადემარკაციო ხაზი.

ერზინჯანის ხელშეკრულება შედგენილი იყო რუსულ და თურქულ ენებზე და შეიცავდა 14 პუნქტს (Документы... 1919:18-23). მათში გათვალისწინებული იყო მხარეთა მოვალეობები და უფლებები. კერძოდ, საბოლოო ზავის გაფორმებამდე წინანდელი განლაგების ადგილებზე რჩებოდნენ ჯარები, მოსახლეობა და მმართველობის აპარატი. ორივე მხარემ ივალდებულა გაქცეული და ძეხნილი დამნაშავეების ერთმანეთისათვის გადაცემა. იკრძალებოდა: სადემარკაციო ხაზთან სადაზვერვო ოპერაციები, ასევე, სასწავლო სროლები არაუახლოეს 5 ვერსისა, ხოლო სამხედრო გემების და თვითმფრინავების მიახლოება 10 ვერსზე ახლოს, ოსმალეთის მხარე კისრულობდა ძალთა არავითარი სტრატეგიული გადაადგილება არ მოეხდინა კავკასიის ფრონტიდან მესოპოტამიასა და სპარსეთში ანტანტის ჯარების წინააღმდეგ. ხელშეკრულების დამრღვევს და სამხედრო მოქმედების დამწყებს, სათანადო მოტივირებით, ორი კვირით ადრე უნდა ეუწყებინა მეორე მხარისათვის ამის თაობაზე. დროებითი დაზავების პირობების შესრულებაზე კონტროლისათვის კავკასიის ფრონტის ხუთ სხვადასხვა უბანზე იქმნებოდა შერეული კომისიები ორივე მხარის თანამონაწილეობით.

ერზინჯანის ხელშეკრულებაში ამიერკავკასიისათვის დაფიქსირდა ერთი სამომავლო „ლაფსუსიც“. კერძოდ, რუსეთის რესპუბლიკასა და ცენტრალურ სახელმწიფოებს შორის საერთო ხელშეკრულების დადების შემთხვევაში, მისი ყველა პუნქტი სავალდებულო ხდებოდა კავკასიის ფრონტისათვისაც (მუხლი 12).

ერზინჯანის შემდეგ ოსმალეთი ჩქარობდა ამიერკავკასიასთან საბოლოო ზავის გაფორმებასაც, რათა აქ გამოთავისუფლებული ჯარები ინგლისის წინააღმდეგ გადაეყვანა სირიასა და მესოპოტამიაში. ამასვე მოითხოვდა მისი მოკავშირე გერმანიაც. ამიტომ, უკვე 1918 წლის 14 იანვარს ოსმალეთის მხარემ ოფიციალურად გამოთქვა მზადყოფნა დაეწყო

მოლაპარაკება „ამიერკავკასიის დამოუკიდებელ მთავრობასთან“ ფართო სამშვიდობო ხელშეკრულების შემუშავების მიზნით (Документы... 1919: 24-25, 52).

ცნობილია, რომ გერმანია და მისი მოკავშირეები რუსეთის დასუსტებას ცდილობდნენ მისი დანაწევრებით და მისგან განაპირა, ეროვნული რაიონების ჩამოშორებით. ამავდროულად და ამ მიმართებით ამიერკავკასიის მთავრობის წასახალისებლად, ის „დამოუკიდებლად“ მოიხსენიებოდა ოსმალთა შემდგომ მიმოწერაშიც. თუმცა, სამწუხაროდ, ამიერკავკასიის მთავრობა არა მარტო რუსეთთან მიმართებაში, არამედ თვით ამიერკავკასიის შიგნითაც ვერ იყო დამოუკიდებელი ხელისუფლება. ამიერკავკასიის კომისარიატის ფუნქციონირების მთელს პერიოდში, ყოველ შემთხვევაში სეიმის (პარლამენტის) მოწვევამდე მაინც, აქ ფაქტობრივად შენარჩუნებული იქნა ორხელისუფლებიანობა. ყველა მნიშვნელოვან საკითხს წყვეტდა დეპუტატების სამხარეო საბჭო, ხოლო კომისარიატი ამის შემდეგ მათ ფორმალურად განიხილავდა ხოლმე და გამოაცხადებდა მთავრობის სახელით.

ასევე იყო 17 იანვარსაც, როდესაც დეპუტატების სამხარეო საბჭომ შეისწავლა ოსმალეთის მთავრობის 14 იანვრის ზემოაღნიშნული წინადადება და დაადგინა: „რადგანაც ამიერკავკასია წარმოადგენდა რუსეთის რესპუბლიკის შემადგენელ ნაწილს, საკითხს საბოლოო ზავის შესახებ გადაწყვეტს დამფუძნებელი კრება და მხოლოდ მისგან უფლებამოსილების მიღების შემდეგ შეგვიძლია დავიწყოთ მოლაპარაკება“ (Документы...1919:25-26). 18 იანვარს იგივე დაადგინა ამიერკავკასიის კომისარიატმაც და აცნობა ოსმალთა მხარეს (Документы... 1919 : 26-27).

ბოლშევიკების მიერ დამფუძნებელი კრების გარეკვის (1918 წ. 5 იანვარი) შემდეგ და ბრესტ-ლიტოვსკში საზავო მოლაპარაკების მიმდინარეობის ვითარებაში, აუცილებელი გახდა ოსმალეთთან დამოკიდებულების გარკვევა. ამიტომაც, 27-28 იანვარს ამიერკავკასიის კომისარიატის გაფართოებულ სხდომაზე, დეპუტატების სამხარეო საბჭოსა და ეროვნული საბჭოების წარმომადგენელთა მონაწილეობით, იმსჯელეს ოსმალეთთან სეპარატული ზავის დადების საკითხზე. თუმცა, სამწუხაროდ, აქაც რუსეთზე მიჯაჭვულობის განწყობილებამ

იზინა თავი და გადაწყვიტეს ეს პრობლემა განეხილათ ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ რუსეთში წარმოქმნილ პოლიტიკურ ერთეულებთან, კერძოდ, სამხრეთ-აღმოსავლეთ რუსეთის კავშირთან<sup>2</sup> და უკრაინის ცენტრალურ რადასთან მოთათბირებით (Документы..., 1919 : 29-35). ამ მიზნით მათი წარმომადგენლები მოიწვიეს კიდეც თბილისში 14 თებერვლისათვის დანიშნულ კონფერენციაზე.

ამიერკავკასიის მთავრობის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება ეცნობა ოსმალეთს (Документы... 1919:36) და თბილისში ანტანტის სახელმწიფოების წარმომადგენლებს. თუმცა, აქვე შევნიშნავთ, რომ დათქმული დღისათვის თბილისში არ ჩამოსულა მოწვეული „მთავრობების“ არც ერთი დელეგატი და არც საამისოდ დაგეგმილი კონფერენცია შემდგარა. ამასობაში დრო ფუჭად გაიწვლა, რითაც ისარგებლეს ოსმალებმა და 12 თებერვალს განაახლეს შეტევა კავკასიის ფრონტზე.

ასეთ ვითარებაში, 14 თებერვალს, ამიერკავკასიის მთავრობამ დაადგინა დაეწყო ოსმალეთთან დამოუკიდებელი საზავო მოლაპარაკება და ამის თაობაზე მიმართა კიდეც მას. მაგრამ ამჯერად უკვე ოსმალები აღარ ჩქარობდნენ, რადგან დრო მათ სასარგებლოდ მუშაობდა.

ერზინჯანის დროებითი ზავის შემდეგ კავკასიის ფრონტი სწრაფად ირღვეოდა. ჯარისკაცები უწყსრივოდ ტოვებდნენ მას ცალკეული ჯგუფების თუ სამხედრო ნაწილების სახით. ამასთან, ისინი, ბოლშევიკებისა და ესერების გავლენით, უარს ამბობდნენ იარაღის ჩაბარებაზე. კავკასიის არმიის სარდლის ილია ოდიშელიძის ცნობით: „არმიაში გაჩნდა ახალი ფსიქოზი – ყველა, არასამწყობრო ნაწილიც კი, ერთთავად მოითხოვს იარაღს. მოტივი: ამიერკავკასიის მთავრობა გამოიყვანა რუსეთს, იარაღი კი რუსეთისაა. ამიტომ იგი თან უნდა წავიდეთ“ (გ. ხაჭაპურიძე, 1954: 178).

იქმნებოდა მასობრივ უწყსრივობათა დიდი საფრთხე. აგრეთვე, ბოლშევიკების მიერ ჯარისკაცების თავიანთი ავანტიურისტული მიზნებისათვის გამოყენების საშიშროება. მით უმეტეს, რომ მაროდიურობის გზაზე დამდგარი ჯარისკაცების უმთავრეს ნაწილს რკინიგზით უნდა გაეგლო თბილისზე. ამის გამო სასწრაფოდ გაიყვანეს სათადარიგო რკინი-

გზის ხაზი თბილისის გვერდის აგლით და ათეულობით ეშელონი ასე გაუყენეს გზას რუსეთისაკენ. თუმცა პრობლემა არც ამით გადაწყვეტილა. ფრონტიდან დაბრუნებული ეშელონები, ბოლშევიკების აგიტაციით, შამქორის რკინიგზაზე შეჩერდნენ და თბილისისაკენ მობრუნება გადაწყვიტეს. ამიტომ 1918 წ. 20 იანვარს ხელისუფლებისადმი დაქვემდებარებულმა ჯარებმა მათ ცეცხლი გაუხსნეს, რითაც თბილისი და მისი მოსახლეობა გადაურჩა ძარცვას და აწიოებს.

აქვე უნდა ითქვას, რომ ამის შემდეგ ბოლშევიკებმა სცადეს მათ მიერ გაბრეცებული ჯარისკაცების მსხვერპლზე თავიანთი მიზნების აგორება. საქმე ისე წარმოაჩინეს, თითქოს რუსეთისაკენ მიმავალ დემობილიზებულ ჯარებს ამიერკავკასიის მთავრობის ძალები დაესხნენ თავს პოლიტიკური მოსაზრებით და გაძარცვის მიზნით. ასევე დამკვიდრდა ეს ყალბი შეხედულება საბჭოთა ისტორიოგრაფიაშიც.

ამიერკავკასიის მთავრობამ, მოსალოდნელი საფრთხეების თავიდან ასაცილებლად, დაადგინა დემობილიზებულ ჯარისკაცთა განიარაღება. მაგრამ ეს გადაწყვეტილება არ გაიზიარეს ბათუმის და ტრაპიზონის დეპუტატების საბჭოს სამხედრო სექციებში, რომლებშიც ბოლშევიკები უმრავლესობა იყვნენ. ისინი ჯარისკაცებში ეწოდნენ იარაღის ჩაბარების საწინააღმდეგო აგიტაციას. ამის გამო ბათუმსა და სხვა ზღვისპირა პუნქტებში შეიქმნა ფეთქებადსაშიში ვითარება.

კავკასიის ფრონტის სტიქიურმა რღვევამ იმდენად საშიში ხასიათი მიიღო, რომ კავკასიის არმიის II ყრილობის მიერ არჩეულმა ბოლშევიკური ორიენტაციის სამხარეო საბჭომაც კი 1918 წ. 11 იანვარს კავკასიის არმიას მიმართა მოწოდებით: „არ დატოვოთ პოზიციები თვითნებურად, სახკომსაბჭოსა და არმიის სამხარეო ცენტრის გადაწყვეტილებების გარეშე. ფრონტიდან გამოუტანელი დარჩება სურსათისა და იარაღის მარაგი და ასეულობით მილიონი რუბლის სხვა ქონება. თქვენ არ უნდა გააშიშვლოთ ფრონტი და მიატოვოთ მოსახლეობა ქურთების მძარცველი ბანდების ანაბარა. დროებითი ზავი დადებულია. საბოლოო ზავიც ახლოსაა. კავკასიის არმიის ახალი სამხარეო საბჭო დაუყოვნებლივ შეუდგება კავკასიის არმიის გეგმაზომიერ დემობილიზაციას“ (Борьба ..., 1961:102-103).

ფრონტის რღვევასთან დაკავშირებით ბოლშევიკების მიერ ტაქტიკის შეცვლა ნაკარნახევი იყო მათი მისწრაფებით – გაეგრძელებინათ საბჭოთა ხელისუფლება ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე. ამის სტიმულს ბოლშევიკებს აძლევდა ის გარემოება, რომ პეტროგრადსა და მოსკოვში ძალაუფლების აღების შემდეგ, პირველ თვეებში, საბჭოთა ხელისუფლება ინერციის ძალით სწრაფად დამყარდა რუსეთის შიგა გუბერნიებში და აქტიურად მიიწვედა სამხრეთისაკენ. შექმნილ ვითარებაში კავკასიელი ბოლშევიკების წინაშე ცენტრმა დასვა ორი პარალელური ამოცანა: უზრუნველყოთ მათ გავლენაში მყოფი ჯარების ერთი ნაწილის გადაყვანა ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად, ხოლო მეორე ნაწილით მოეხდინათ ამიერკავკასიის გასაბჭოება. ამ მიზნით 1918 წ. იანვრის დამლევს თბილისში ჩამოვიდა ლენინის მიერ გამოგზავნილი სტ. შაუმიანი, ამიერკავკასიის გასაბჭოებისათვის გამოყოფილი 0,5 მილიონი ოქროს რუბლით (მ. სიორიძე, 2002:186).

კავკასიის არმიის ბოლშევიკურმა რევოლუციურმა კომიტეტმა, ფრონტიდან სამხედრო ნაწილების საჭირო ადგილას გადაყვანის მიზნით, 1918 წ. 15 იანვარს შექმნა ადგილობრივი სამხედრო რეგოკმები ფრონტის შემდეგ უბნებზე: აღმოსავლეთ სპარსეთის რაიონისათვის – ქ. ენზელში, ურმიის რაიონისათვის – დაბა ჯუღღაში; ვანი-ბითლისის რაიონისათვის-სადგურ შახტახტში, ერზერუმ-ერზინჯანის რაიონისათვის – რკინიგზის სადგურ სარიყამიშში და ტრაპიზონის უბნისათვის – ქ. ტრაპიზონში (Борзна..., 1961:104).

უნდა აღინიშნოს, რომ არაერთგზის ცდის მიუხედავად, ბოლშევიკებმა იმ დროს ვერ შეძლეს ამიერკავკასიის გასაბჭოება, რადგან აქ ძლიერი იყო დემოკრატიული ძალების გავლენა. სამაგიეროდ მათ ეს მოახერხეს ჩრდილოეთ კავკასიაში. ამის გამო იქ შეწყდა რკინიგზაზე მოძრაობა და ბაქოს გავლით ჯარების ევაკუაცია შეუძლებელი გახდა. 25 იანვარს კავკასიის ფრონტის შტაბის უფროსი სევასტოპოლის, ნოვოროსიისკის და ბათუმის საზღვაო კომიტეტებს ატყობინებდა – ამ საშინელ ყინვაში გზაზე მყოფ ჯარებში მოსალოდნელია ბუნტი, ამიტომ აუცილებელია მათი ევაკუა-

ცია დაუგვიანებლად მოხდეს ზღვიით, ბათუმის პორტიდანო (სცსსა, ფ. 1818, აღ. 2, ს.34, ფურც. 39).

ამრიგად, ერზინჯანის დროებითი ზავი თავისი შედეგებით მძიმე დარჩა ამიერკავკასიისათვის. კავკასიის ფრონტის სწრაფმა თვითლიკვიდაციამ, სამხედრო დისციპლინის მოშლამ და არმიის პოლიტიზებამ, ამიერკავკასიის მთავრობის მიერ გატარებულმა სუსტმა საშინაო და საგარეო პოლიტიკამ, უნიათობამ და არაორგანიზებულობამ ეს მხარე გახადა თავდაცვის უნარსმოკლებული, რასაც 1918 წ. გაზაფხულზე მოჰყვა ჯერ ბრესტის ზავი, ხოლო შემდეგ ამ ზავით გათვალისწინებული ტერიტორიული დანაკარგები.

## შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. თარიღები მოყვანილია ახალი სტილით.

2. ნაუცბათევად შექმნილ „სამხრეთ-აღმოსავლეთ რუსეთის კავშირში“ შედიოდნენ: ყუბანის, დაღესტან-თერგის, ასტრახანის, ურალის და ორენბურგის მხარეები საკუთარი „მთავრობებით“. „კავშირის“ ფორმალური გამაერთიანებელი ორგანო განთავსებული იყო ქ. ეკატერინოდარში (Документы ..., 1919 :40 ).

## გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (ტექსტში იხ. სცსსა).
2. Борьба за победу Советской власти в Аджарии (Сборник документов), 1917-1921 гг., Бат., 1961.
3. Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Тб., 1919.
4. მ. სიორიძე, სამხრეთ-დასავლეთი საქართველო 1914-1918 წლებში, ბათ., 2002.
5. გ. ხაჭაპურიძე, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში, თბ., 1954.



## **Malkhaz Sioridze**

### **Temporary Truce of Erzinjan and Its Results**

#### **Resume**

On the 18<sup>th</sup> of December of 1917 the temporary truce was put between Caucasia and Ottoman Empire in the town of Erzinjan. The military action was ceased on the front of Caucasia. This was the only positive site of the truce.

After this the situation was strained in the Southern Caucasia. The Temporary truce must be followed by the final truce, by which Caucasia would preserve its limits that had existed before the war, but it happened on the contrary. The Antibolshevik Caucasian government avoided not only taking part in Brest negotiations but also in starting final truce dialogue with Ottoman Empire.

During this time the Caucasia front was disintegrating very fast with the help of the agitation of Bolsheviks. The unable government of Caucasia could not establish its own army and strengthen the front. The Turks used all these and on the 12<sup>th</sup> of February of 1918 they renewed the action on the front and in March and April they occupied the territories of the Southern Caucasia that was foreseen by the Brest truce.

## **Малхаз Сиоридзе**

### **Эрзинджанское временное перемирие и его итоги**

#### **Резюме**

18 декабря 1917 года в г.Эрзинджане было заключено временное перемирие между Закавказским комиссариатом (т.е. правительством) и Османской империей, тем самым были прекращены военные действия на кавказском фронте, что являлось единственным позитивным итогом этого перемирия.

Впоследствии обстановка на Южном Кавказе накалилась. Как правило, за заключением временного перемирия должен был последовать окончательный договор, в результате которого Закавказье

сохранило бы свои довоенные (1914 г) границы. Но случилось обратное - антибольшевистски настроенный Закавказский комиссариат отстранился от участия не только в Брестском договоре, но и отказался от ведения диалога по окончательному сепаратному договору с Османской империей.

Тем временем, в результате большевистской агитации началось разложение Кавказского фронта, так как русские войска самовольно покидали его. Бездейственное же правительство Закавказья не смогло создать собственную армию, дабы укрепить фронт, чем и воспользовалось Османское правительство и 12 февраля возобновило военные действия на фронте и в марте-апреле захватило территории Закавказья, учтенные в Брестском договоре.

## **ევროპეიზაცია და ქართული პოლიტიკური აზრი XX საუკუნეში**

ევროპასთან სამხედრო-პოლიტიკური და კულტურული კონტაქტების დამყარებას ქართველები ოდითგანვე ცდილობდნენ. საყოველთაოდაა ცნობილი ფარსმან II “ქველის” ვიზიტი რომში, გიორგი მთაწმინდელის მცდელობანი წასულიყო “სპანიად” (ესპანეთში), ქართველ მეფეთა და მხედართმთავართა ეპისტოლეები ევროპელი მონარქებისადმი, ირბახისა და სულხან-საბას ვიზიტები ევროპის ქვეყნებში და რომის პაპთან, ვოლტერიანელობა საქართველოში (ლ. ასათიანი), ერეკლე II-ის შვილიშვილთა მცდელობა ევროპული მართვა-გამგეობის შემოღებისა საქართველოში, ევროპული განათლებისადმი საყოველთაო სწრაფვა და ინტერესი.

მართალია, მეცხრამეტე საუკუნეში რუსეთის იმპერიამ საქართველო დაიპყრო, მაგრამ ევროპული ცივილიზაციის ტალღები რუსეთის გავლით ჩვენთან მაინც აღწევდა.

კონსტანტინე გამსახურდია ქართველობის კულტურულ მისიად სავსებით სწორად მიიჩნევდა დასავლური და აღმოსავლური კულტურების სინთეზს და მათ დამყნობას ეროვნულ ნიადაგზე სათანადო გადამუშავების და გაანალიზების შემდეგ. მართლაცდა, ჩვენში არის როგორც ევროპული ფასეულობანი, ასევე საკმაოდ ვართ დავალებულნი აღმოსავლეთიდანაც, წმინდა სახით კი არც ევროპელები ვართ და არც აზიელები.

ილია ჭავჭავაძე ნატრულობდა ევროპაში მიმდინარე “ხალხთ ბორკილის ხმა მტერვისა” გაგონა საქართველოში და მათებურად მოეწყო ქვეყანა.

ჩვენ ქვემოთ უფრო დაწვრილებით განვიხილავთ ნიკო ნიკოლაძის და ნოე ჟორდანიას შეხედულებებს საქართველოს ევროპეიზაციასთან დაკავშირებით.

დიდი ქართველი მოაზროვნე ნიკო ნიკოლაძე ჩვენ შეგვიძლია თანაბრად დავაყენოთ მისი ეპოქის უდიდესი ევრო-

პელი მოაზროვნეებისა და გრანდების გვერდით. მან ევროპაში მრავალი წელი დაჰყო, დაიცვა სადოქტორო დისერტაცია განიარაღების საკითხებზე, იცნობდა ევროპის ელიტას – კულტურისა და ბიზნესის მოღვაწეებს, ნერგავდა ევროპის ტექნიკური და სამეცნიერო სფეროს მიღწევებს საქართველოში, პატივს სცემდა ევროპულ ცივილიზაციას, მაგრამ არასოდეს ავიწყდებოდა თავისი ბედკრული ქვეყანა, ყველგან მის სამსახურში იდგა და მისი სიყვარულით სულდგმულობდა. “მე დამივლია ევროპა, – წერდა იგი, – და ბევრ ჩინებულ ქვეყნებში, ბევრ აღმტაც საზოგადოებაში გამიტარებია თვეები და წლები, მაგრამ ყოველგან და ყოველთვის, სადაც კი ვყოფილვარ, ერთი საგანი მქონია: შენთვის დამზადება, შენთვის სამსახური, შენი სარგებლობა“ (1,94).

ნიკო ნიკოლაძე პირველი იყო ქართველ მოღვაწეთა შორის, რომელმაც მანამდე ჩვენთვის უცხო ევროპული პრაგმატიულობა და რეალიზმი, არამეტაფიზიკური აზროვნება დანერგა ქვეყანაში.

დღესაც უაღრესად აქტუალურია ნიკო ნიკოლაძის მოსაზრება იმის თაობაზე, თუ რა გზა უნდა აირჩიოს ერმა სამომავლოდ: “როგორც ჭკვიანი ირჩევს ტანსაცმელს, მას რა მოერგება და რა მოუხდება, საკუთარი სხეულის აღნაგობის გათვალისწინებით, ასევე უნდა მოიქცეს ერი ამა თუ იმ მოძღვრების არჩევისას. ჯერ ერთი, თუ შეუძლია ის მოძღვრება, რაც მას ჭირდება, მან თვითონვე უნდა შექმნას. მეორეც, თუ ამისთვის ჭკუა-გონება არ ჰყოფნის და აუცილებლად სხვას უნდა დაესესხოს, მაშინ ის უნდა აიღოს, რაც მას უეჭველად გამოადგება, თუმცა ამასაც დიდი გონიერება სჭირდება. თუ ამას ვერ მიხვდა, ისე მოუვა, როგორც იმ ადამიანს, ვინც მოდას აჰყვება, შეუფერებლად მოირთვება, მოიკაზმება და ხალხის თვალში სასაცილო გახდება. ერიც ასევე შეიძლება მასხარა გახდეს კაცობრიობის თვალში” – წერდა იგი (1,104).

ნიკო ნიკოლაძე კარგად ხედავდა, რომ ევროპის მოწინავე ერები განვითარების ეროვნულ მოდელს ჰქმნიდნენ, ამასთან ითვალისწინებდნენ უცხოურ დადებით გამოცდილებასაც.

ნიკოლაძე ასევე სწორად მიიჩნევდა, რომ შეუძლებელი იყო უცხოელს, თუნდაც გენიოსს, ქართული სპეციფიკის არ-

მცოდნეს, ქვეყნისათვის ზუსტად მისადაგებული განვითარების რეცეპტი მოეძებნა – ეს საქმე მას ქართველთა გასაკეთებლად მიაჩნდა და ხაზგასმით აღნიშნავდა კიდევ: “ჩვენი ქვეყნის გონებრივი ზრდისათვის დიდი უბედურებაა ის გარემოება, რომ დედის ძუძუთი კი არ ვიკვებებით, არამედ ცხრა მთას გადაღმიდან მოყვანილ ძიძას ვაბარივართ. ისიც ხშირად თხის რძეს გვაწოვებს და არა ადამიანისას. ცხოველი ძიძა, რაგინდ საღი იყოს, შენს დედა-ენას ვერ გასწავლის, შენი ქვეყნის ბუნებასა და საჭიროებას ვერ გაგაცნობს” (1,270).

ნიკო ნიკოლაძე ევროპული ტრადიციით ქვეყნის შინაგანი საქმეების პირველ რიგში მოგვარებას მთავარ პრიორიტეტად სახავდა და წერდა: “მხოლოდ შინაგანი საქმეების გონივრულად და დამაკმაყოფილებლად მოგვარება უზრუნველყოფს გარედან მოსალოდნელ საშიშროებას და მოგვიტანს საგარეო დიდებას. რა დიდიც არ უნდა იყოს ჩვენი გამარჯვებები, მათი დიდება კვამლივით გაიფანტება, თუკი ჩვენ ჩვენს საკუთარ სახლში არ დავაკმაყოფილებთ აუცილებელ მოთხოვნებს, თუკი ხელს მივყოფთ საკუთარი ინტერესების სისტემატურ იგნორირებას, შევეუქმნით ჩვენ თავს მრავალ ხელოვნურ სიძნელეს, მაიშინ ეს გარემოება ადრე თუ გვიან სამხედრო წარმატებებზეც კი უღაოდ დამასუსტებელ გავლენას იქონიებს” (1,181).

ნიკოლაძეს მიაჩნდა, რომ “ქართველობის მიზნები მარტო ზომიერების გზით მიიწევენა” (1,300) და რომ გადაჭარბებული რადიკალიზმი დამღუპველია საქართველოსათვის. თავის ცნობილ ნაშრომში “კოშუთი და დეაკი” მან ერთმანეთს შეადარა ეს ორი ცნობილი უნგრელი პოლიტიკური მოღვაწე და მათი ტაქტიკა უნგრეთის ეროვნული სუვერენიტეტისათვის რთულ და ძნელ ბრძოლაში. კოშუთი აჯანყების გზით, იარაღითა და სისხლისღვრით ცდილობდა სამშობლოს განთავისუფლებას, რასაც დიდი მსხვერპლი მოჰყვა და ამ მიზნიდან დაშორება. უფრო რეალური და წარმატებული გამოდგა დეაკის საპირისპირო, პრაგმატული ტაქტიკა – რეფორმების გატარებით მშვიდობიანი ბრძოლის გზა, რამაც უნგრეთს ნაბიჯ-ნაბიჯ ეროვნული სუვერენიტეტი მოაპოვებინა. მხარს უჭერდა რა დეაკის ტაქტიკას, ნიკო ნიკოლაძე

ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ “გონიერი კაცი და ერი თავისუფლებას თუ ავტონომიას მით იძენს, რომ ანგარიშიანი მართვით ჯერ თავის შინაურ, მერე სამრეწველო, შემდეგ საზოგადო, ბოლოს პოლიტიკურ საქმეების მოგვარების საშუალებით იგროვებს (გამოცდილებას) უმაღლესი სახელმწიფო საკითხის (დამოუკიდებლობის - ვ.შ.) გადასაწყვეტად“ (1,297).

ნიკოლაძის აზრით, საქართველოში, ევროპისგან განსხვავებით, ადგილი ჰქონდა ქვეყნის ბედისადმი ადამიანთა გულგრილობას, თაობათა მეტისმეტ დაპირისპირებას და მემკვიდრეობითობის ნაკლებად დაცულობას. “ევროპული წესის თვისება ის არის, – წერდა იგი, – რომ ყოველი თაობა განძად სთვლის წინაპრებისაგან გადმოცემულ სიმართლეს და საუნჯეს და ზედ თვითონაც ბევრს ამატებს, ართავს, აშენებს. აზიაში და ჩვენთანაც, სადაც ყველას დედა-აზრი ის არის, რომ “მე ვარ და სხვა არავინო”, ყოველი ახალი თაობა ყოფილად უაზრო, უზრდელი, უტრადიციო, უეცრად სპობს და ლეწს წინანდელი თაობის ნაშრომს” (1,273).

აანალიზებდა რა ჩვენი ქვეყნის რთულ და მძიმე ისტორიულ წარსულს და თანამედროვეობას, ნიკოლაძე თვლიდა, რომ “უცხოელების შემოსევის გარდა ჩენი ხალხი მისმა შინაგანმა განწყობილებამ და მდგომარეობამ დაასუსტა, დააუძლურა”. ქართული მენტალიტეტის, ტრადიციების და ცხოვრების წესის უკუგდება უცხოურის უკრიტიკოდ და უნიადაგოდ მიღების ხარჯზე, ეროვნულ ქურაში გაუტარებლად ნიკო ნიკოლაძეს მიუღებლად მიაჩნდა და გულისტკივილით წერდა: “რასაც პეტრე პირველმა – გენიოსმა – რუსეთი ძალით ვერ შეაჩვია, ჩვენში ერმოლოვმა – დიდმა და ჭკუიანმა ერმოლოვმა ვერ მოახერხა, – ის რუსებს ეკატერინემ და ქართველებს ვორონცოვმა აღერსით და ოსტატობით შეაპარა, შეაპარა ბრმა, მაიმუნური, გარეგანი წაბაძვა უცხო ქვეყნელების ზნისა და ცხოვრებისა” (1,142).

ნიკოლაძის აზრით ძალდატანებით სამოთხეში ვინმეს შეყვანა არ შეიძლება. იგი სავსებით სწორად თვლიდა, რომ ყოველი ქვეყნის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წესწყობილება ეროვნული ტრადიციების, ფსიქიკის, ზნე-ხასიათის, გეოგრაფიული მდებარეობის შესატყვისად უნდა მოეწ-

ყოს და რომ ძალდატანებითი რუსიფიკაცია (გინდაც ევროპეიზაცია) შედეგს არ მოიტანდა. “ყველა ხალხს საკუთარი განსაკუთრებული ხასიათი და ზნე აქვს, რომ რუსს ვერაგინ გაანემეცვებს, ქართველს ვერა კაცი გაარუსებს. შესაძლებელია ქართველს ჩოხის მაგიერ ზიპუნი ჩააცვა, ბოხოხის მაგიერ – შაჰკა დაახურო, ქალამნის მაგიერ – წაღა მისცე, მაგრამ ხასიათი და ზნე, სისხლი და ბუნება კი მაინც ქართველის დარჩება. და როცა ამ ბუნებას ძალას დაატან, როცა მოინდომებ, რომ რუსმა ფრანცუზსავით იხტუნოს, ან ნემეცსავით იშრომოს ან ქართველი რუსსავით გვემოს, მაშინ ხიფათს შეეყრები, საქმეს წაიხდენ, ქვეყანას ავნებ” – მიუთითებდა იგი (1.142-143).

ქვეყნის ევროპეიზაცია ნიკოლაძის აზრით შეუძლებელი იყო, თუ ხალხის შრომას მიზანდასახული ხასიათი არ მიეცემოდა, რაც მის სწორად ორგანიზაციას გულისხმობდა. “დიდი უბედურებაა ხალხისთვის, – წერდა იგი, – როცა მისი გონებითი და ფიზიკური ძალა დაფანტულად, უგზო-უკვლოდ იხარჯება. შრომისა და ძალის შეერთებით და ერთი მიზნისაკენ მიმართვით ხალხი იმისთანა საქმეებს ახერხებს, რომელსაც ვერც ერთი კერძო პირი, რაგინდ გონიერი იყოს, მარტოსულად ვერ მოერეოდა, და ვერც ათასი ან ათი ათასი გენიოსი, ცალ-ცალკე მშრომელი, ვერ გაარიგებდა” (1.176-177).

ქვეყნის ევროპეიზაციისა და სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის გზაზე ნიკოლაძე მკაცრად აკრიტიკებდა ქართველებში ფესვგამჯდარ აზიურ ინერტულობას და ცრუ ილუზიებს, სხვის მოიმედვობას და იოლი გამდიდრების განწყობილებას. „ჩვენს საზოგადოებაში, – მიუთითებდა ის, – ყველა დარწმუნებულია, რომ შველა ჩვენ ერთ მშვენიერს დილას ჩამოგვიფრინდება, ისე, რომ თვითონ ხელის განძრევაც არ დაგვჭირდება ჩვენი ბედის გაუმჯობესებისათვის” (1.98). იგი აქცენტს აკეთებდა უმთავრესად საკუთარი ძალებით, შრომით და რესურსებით ქვეყნის განვითარების აუცილებლობაზე და არა მხოლოდ უცხოელთა ფინანსურ და ეკონომიკურ დახმარებაზე, რაც არასოდეს უანგაროდ არ ხდება. „ჯერ არსად, არც ერთ ქვეყანაში მაგალითი არ უნახავს კაცს, რომ რომელიმე ხალხი, ან საზოგადოება ამაღლებულიყოს სხვისი დახმარებით, თუ არა საკუთარი შრომით და

ჯანით. ადვილად შენადენი, ნაპოვნი, ნაჩუქარი არც კერძო კაცს დააყრის ხეირს და არც მთელ საზოგადოებას. კაცისთვის და ქვეყნისთვის მარტო ის არის გამოსადეგი და ძვირფასი, რაც იმას თავისი საკუთარი შრომით, ოფლისდგურით შეუქენია. ნაპოვნი და ნაწყალობევი კი, თითქმის ყოველთვის, ისევ ისე ადვილად იკარგება, როგორც ადვილად ნაშოვნია იყო” – წერდა იგი (1,99).

შესაბამისად, ამოცანა, ნიკოლაძის თქმით, მდგომარეობდა იმაში, რომ ევროპული წესისამებრ „ჩვენ ჩვენი ვიმეცადინოთ, ჩვენი ქვეყნისთვის ვიზრუნოთ... მარტო ჩვენი თავის იმედი ვიქონიოთ, მარტო გაძლიერებაზე და განათლებაზე ვიმუშაოთ, – მაშინ მეგობარიც გაუჩნდება ჩვენ ხალხს და დამხმარებელიც” (1,183), ხოლო თუ ჩვენ კელავ სხვის იმედზე და დახმარებაზე დავამყარებთ მომავალს, ხელს და ჭკუას არ გავანძრევთ, მაშინ, კაპიტალიზმის უღმობელი კანონების საფუძველზე, ჩვენი მომავალი პერსპექტივა ძალზე არასახარბიელო იქნება, - მიაჩნდა ნიკო ნიკოლაძეს და წერდა კიდევ მოურიდებლად: “ევროპის სახელმწიფოები საქართველოს ან ალჟირივით დაიმონებენ, ან ინდო ჩინეთივით ძარცვას დაუწყებენ (იგულისხმება დამოუკიდებლობის შემთხვევაში)” (1,304).

ძალზე საინტერესოა ნიკო ნიკოლაძის შეხედულებანი პოლიტიკასა და პოლიტიკოსებზე, პოლიტიკურ პარტიებზე. იგი თვლიდა, რომ “პოლიტიკა ახალ მოდური შლიაპკა კი არაა, რომლის ცვლა ჩვენს ქეიფზე კიდია, ისეთივე ტრადიციული, უცვლელი, მამაპაპური განძია, როგორც ენა, ეროვნება, სარწმუნოება”(1,305). ნიკოლაძე აქ ერთმანეთს ადარებს ევროპულ პარტიებსა და პოლიტიკოსებს ჩვენსას. იგი მიუთითებს, რომ ევროპის წამყვან ქვეყნებში “ყველა პოლიტიკური პარტიის კადრი და შტაბი სხვადასხვა სპეციალისტების საჩინო მოღვაწეებისაგან არის შემდგარი. პარტიებს იქ მეტად რთული სასიცოცხლო საქმეები მორიგათ უდგათ წინ, რომლის მართვა ერთობ მარჯვე ღონისა და ცოდნის მოხმარებას თხოულობს, ამიტომაც მეთაურებს გავლენის შერჩენა როდია შეუძლიათ მარტო ფრაზების რახა-რუხით, ან მიუწვდომელ სიმაღლისაგან ფრთების ფართხალით” (1,296). აანალიზებდა რა ქართულ რეალობას, ნიკოლაძე მიუთითებდა,



რომ “საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის მომზადებული ადამიანები, რომლებიც ამ საქმიანობისთვის საჭირო ცოდნითა და ნიჭით იყვნენ აღჭურვილნი, ჩვენში ძლიერ ცოტაა; სამაგიეროდ, უფრო დიდი რაოდენობით გვეყვანან სავსებით მოუზადებელნი პირნი, რომლებსაც ბრწყინვალე საზოგადოებრივი მდგომარეობის უზომო მაღა აქვთ, მაგრამ სრულებითაც არ გააჩნდათ არც მშვიდი ანგარიშიანობა, არც გამძლეობა, არც უნარი, რომ საკუთარი ძალ-ღონით და მეტ-ნაკლებად რიგიანი უწყინარი საშუალებებით მიაღწიონ თავიანთ მიზანს... კიდევ უფრო ნაკლებად გვეყვანან ფანატიკოსები, რომლებიც იკისრებდნენ საზოგადოებრივ მოღვაწეთა რკინის ბორკილების ტარებას. რაკი სხვა ტიპის მოღვაწენი ჩვენ არ გავგაჩნია, ამიტომ ბურთი და მოედანი რჩება ხოლმე სათნო აზიზ-მაზიზებს ერთ მხრივ, და არაკეთილსინდისიერ ინტრიგანებსა და მოანგარეებს” (1.290).

შესაბამისად ეს განაპირობებდა ხოლმე იმას, რომ ასეთი “პოლიტიკოსები” “ეროვნული საქმეების და იდეალების” საბაბით სასაკლაოზე წაიყვანდნენ ხოლმე ხალხს. ამიტომაც მიუთითებს ნიკოლაძე, რომ “მოდით დავჩვენოთ ჩვენში მეთაურად ვიღაც სრულიად უცნობი და უზრდელი კინტოები. არავინ იცოდა, თუ ვინ იყვნენ, საიდან მოსული, რა რჯულის ან აზრის, სახელი რა ერქვათ, გვარი მათი რა იყო, როგორი წარსული ჰქონდათ. “ამბოხება დავიწყეთ” – დაიძახებდნენ და ყველა მათ გაჰყვებოდა, თითქოს თხას – ცხვრის ფარა. ჭკუაში არავის მოსვლია, მოეთხოვა მათგან ან ახსნა, ან ცოდნა, ან სიმტკიცე. იფარფაშებდნენ, სანამ გასაჭირი არ მოახლოვდებოდა და მაშინ კი მოქუსლავდნენ და გაჰქრებოდნენ. გინახავთ სადმე სხვა ერი, ასე მჩატედ რომ გაჰყოლოდეს პროვოკატორს?” (1.293-294).

ასეთი ლიდერების და „მოღვაწეების” ჩამოყალიბებაში ნეგატიურ როლს ჩვენი საზოგადოებაც ასრულებდა მისთვის დამახასიათებელი ისეთი თვისებებით, როგორიცაა უდარდულობა, მლიქვნელობა, სერვილიზმი, პანეგირიკი (ანუ “ყიზილ-ბაშობა“, როგორც ამ თვისებებს უწოდებდა ილია).

“გასაგებია ისეთი საზოგადოების მავნებლობა, – აღნიშნავდა ნიკოლაძე, – სადაც თქვენს აზრებს ბრმად იმეორებენ და სადაც კრიტიკული დამოკიდებულების ნაცვლად ხოტბას

გასხამენ. ასეთ ვითარებაში ადამიანის გონებას ეუფლება ძილი და იგი სულ უფრო ნაკლებს და ნაკლებს მუშაობს საკუთარ თავზე”. ევროპისაგან განსხვავებით, საქართველოში, „სადაც ყველაფერი მარტო ერთ კაცზე ტრიალებს, – წერდა ნიკოლაძე, – და არა დაწესებულებაზე, ის კაციც ნელ-ნელა იმ შეხედულებას იღებს, რომ მე ვარ და სხვა არავინო, ყველა მე უნდა მემსახუროს და არა ქვეყანასო. ქვეყნის, იდეალის ხსენება თანდათან ქრება დიდში და პატარაში. დესპოტის სამსახური და ქვეყნის ან იდეალის სამსახური დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან” (1223).

საინტერესოა ნიკო ნიკოლაძის მოსაზრებანი განვითარების რევოლუციური და ევოლუციური გზების შესახებ. ნიკოლაძე რევოლუციის მომხრეც იყო და ევოლუციისაც, ოღონდ გააჩნდა ქვეყანას, ხალხს და ვითარებას. “რევოლუციაც – ქინაქინის არ იყოს, – წერდა ის, – ზოგან რგებს, ზოგჯერ ვნებს. საფრანგეთში გამოდგა, ოსმალეთში არა; არ გამოდგა იმიტომ, რომ ხალხი დაუმზადებელი ყოფილა ცვლილებებისათვის, მორიგ საქმეებზე ერთი აზრი, ერთი რწმენა მას არ ჰქონია” (1291). რა შემთხვევაში მოაქვს რევოლუციას დადებითი შედეგი? ნიკოლაძის აზრით, “ფიქრი იმაზე, რომ რევოლუცია შეიძლება უწოდო მხოლოდ ნგრევას და არა შეცვლას არსებული პოლიტიკური ორგანიზაციისას, ნიშნავს უდიდეს შეცდომას. ნგრევა ახლის შექმნის გარეშე, არ არის რევოლუცია. ანარქიას ყოველთვის მიეყვართ რეგრესამდე და არა პროგრესამდე. ერთი რეჟიმის შეცვლა მეორეთი ხდება მხოლოდ მაშინ, როცა სათანადოდ მომზადებული იქნება პროგრამა და გეგმა, აგრეთვე კადრები ახალი ხელისუფლებისათვის” (პირადი არქივი, საბუთი 15-18, გვ.7-8).

ნიკო ნიკოლაძე მაინც ევოლუციური განვითარების გზას ანიჭებდა უფრო უპირატესობას. რევოლუციის და სისხლისღვრის გარეშე ერის სწრაფი აღორძინების მაგალითად მას იაპონია მიაჩნდა და ქართულ საზოგადოებას გაუანალიზა კიდევ მისი წარმატების მიზეზები.

ნედლეულისა და სხვა სახის რესურსების სიმწირის მიუხედავად იაპონიის ასე გაძლიერება, ნიკოლაძის გონივრული მოსაზრებით, ევროპულად შრომის ჭკვიანურმა ორგანიზაციამ და საშემსრულებლო დისციპლინამაც განაპირობა, რაც მას

ასევე სანიმუშოდ მიაჩნდა და იაპონიის მსგავსად საქართველოს დაწინაურებაზე ოცნებობდა. ამასთან დაკავშირებით იგი ხაზს უსვამდა, რომ აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა როდი ჰქონდა ქვეყნის სიდიდეს და მოსახლეობის მრავალრიცხოვნებას, არამედ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის, ახალი ტექნოლოგიების სწრაფ დანერგვას. “ძალა და ძლევა რიცხვსა და სიფრცეს კი არა, ცოდნას, ორგანიზაციას ეკუთვნის, იარაღს, წესს და დისციპლინას”(1,272) – წერდა იგი და მართლაც, დღეს უზარმაზარი და ნელდელეულით უმდიდრეს რუსეთზე გაცილებით წინ არიან პატარა ევროპული ქვეყნები – ისრაელი, ბელგია, ჰოლანდია, შვეიცარია და სხვ., რომლებმაც განავითარეს საწარმოო ძალები, ტექნიკა, განათლება და დისციპლინა.

ამასთან, ნიკო ნიკოლაძე, როგორც რეალისტი, აფრთხილებდა ქართველ საზოგადოებას, რომ განვითარებული ქვეყნების უცბად დაწვეა ჩამორჩენილთათვის, მონღოლების მიუხედავად, ასე იოლი არ იქნებოდა და საკმაოდ დრო დასჭირდებოდა. „რა გზაც ხუთს, ექვს ან ოც ხალხს ოთხი ნაბიჯით გაუვლია, მას ვერც ერთი ხალხი ერთი გადახტომით ვერ გაივლის“, – გვასწავლიდა იგი (1,141).

საქართველოს აღორძინების უმთავრეს პირობად ნიკოლაძე მის ეკონომიკურ განვითარებას მიიჩნევდა და ამის მისაღწევად კი აუცილებლად მიაჩნდა ევროპული სწავლა, თავაუღებელი შრომა, პასუხისმგებლობა და თვითგანვითარება, შინაგანი თანხმობა. ამასთან იგი თვლიდა, რომ “სანამ უმოქმედო ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა შრომას და თავის რჩენას არ შეეჩვევა, სანამ ჩვენი ხალხი მეწველი ძროხის მდგომარეობიდან არ გამოვა, შეუძლებელია ჩვენში ნამდვილი ერთობა დაარსდეს, ან გულწრფელი ძმობა, ან ხეირიანი განწყობილება... ქვეყანაზე არც ძალა არსებობს ისეთი, რომ მხოლოდ სასარგებლო იყოს, ან მარტო მავნებელი – მისი სიცულე და სიკარგე ხმარებაზე ჰკიდია. მცოდნე და მოხერხებული კაცის ხელში საწამლაიც კი მკურნალობს, და უტყინო ბავშვი რძის საჭამადშიც დაიხრჩობა” (1,140).

ნიკო ნიკოლაძე თავის სამშობლოს ემსახურებოდა არა მხოლოდ ნიჭიერად დაწერილი ლიტერატურულ-პუბლიცისტური წერილებით, არამედ დაუღალავი და მრავალმხრივი.

ნამდვილად ევროპული სტილის, პრაქტიკულ-სამეურნეო საქმიანობით. მისთვის ცხოვრების უმთავრესი აზრი იყო ქართული საქმის კეთება და ამიტომაც უწოდა მას არჩილ ჯორჯაძემ “უღმობელი საქმის კაცი”. 50 წლის განმავლობაში საქართველოში არ გაკეთებულა რამე მნიშვნელოვანი საქმე, რომელშიც მას აქტიური მონაწილეობა არ მიეღოს და არ ემეთაუროს.

ნიკო ნიკოლაძემ ფოთის ქალაქის თავად ყოფნის პერიოდში დააარსა ევროპული ტიპის ბანკი. ქართულ სინამდვილეში პირველმა მან დაბეჭდა ობლიგაციები და ლატარიის ბილეთები და მთელი შემოსავალი ფოთის კეთილმოწყობას, პორტის ელექტროფიკაციასა და მექანიზაციას მოახმარა, რაც უპრეცედენტო ნოვატორული ნაბიჯი იყო მაშინდელ საქართველოში. ნიკო ნიკოლაძემ საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში, 1918-21 წლებში გერმანელ დიპლომატებთან საუბარში წამოაყენა იდეა ევროპის შორეულ აღმოსავლეთთან ვაჭრობის ფოთის პორტზე გატარების თაობაზე (ბერლინი-ფოთი-ჰეიინი), რაც ფაქტობრივად დღეს უკვე ხორცს ისხამს ევრაზიული დერეფნისა და აბრეშუმის გზის სახელწოდებით.

ნიკო ნიკოლაძე ქვეყნის აღორძინების საქმეში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა აქტიურ, შემოქმედებით მიდგომას, პრობლემების სწორად დანახვას. იგი გულისტკივილით მიუთითებდა, რომ “რაც ჩვენი მომავლისთვის საჭიროა, იმას როდი ვიკარებთ, მაგიერათ მავნებელს კი გულში ვისუტებთ” (1,176). მისი აზრით, უმნიშვნელოვანესი ეროვნული საქმეების გადაწყვეტისას აუცილებელია სერიოზული სიფრთხილის გამოჩენა, კარგად უნდა აიწონ-დაიწონოს ყველაფერი, რა გვინდა, რა შეგვიძლია და მერე გამოვთქვათ ის სმამაღლა. “აწონილ-დაწონილი უნდა გვქონდეს თავისი და მოპირდაპირის გარემოება, – წერდა ის, – რომ სირცხვილში არ ჩავარდეთ და რაც გაბადია, ისიც არ დაკარგო” (1,192).

საინტერესო თვალსაზრისი ჰქონდა ქვეყნის ევროპეიზაციის პროცესზე ნოე ჟორდანიას. თავის ნაშრომებში - “მოამბე”, “ივერია” და “ეროვნობა” (1895), ასევე “გაზ. ივერია” და “ეროვნობა” (1897), “ევროპა და კაცობრიობა” (1943)

და სხვებში, ნოე ჟორდანიამ ჩამოაყალიბა საქართველოს ევროპეიზაციის თავისი კონცეპცია.

1895 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში “მესამოცე წლების მოღვაწენი და დღევანდელი ცხოვრება” ნოე ჟორდანია წერდა: “ჩვენ, ქართველებს, რომლებმაც ერთი ევროპული ხანა – ფეოდალური, უკვე გავიარეთ, ევროპა ვერას დაგვაკლებს. ის ჩვენი მტერი არ არის, პირიქით, ის არის სისხლი სისხლთაგანი ჩვენი და ხორცი-ხორცთაგანი ჩვენი. ჩვენ ჩვენივე ევუროპიელებით და მაშასადამე, მის გვერდით, მასთან შეკავშირებით უნდა ვიცხოვროთ. ქართველობამ თვითონვე უნდა განავითაროს ძალა, აღიძრას ენერგია, გაანაყოფიეროს შრომა. თვითმოქმედება, თვითმოძრაობა, თვითაზროვნება – აი, რა უნდა ეწეროს მის დროშაზე. ყველა ის, რაც ამ გზაზე გვაბრკოლებს, ძიძობას გვიწევს, ასპარეზს გვივიწროებს, გვაძინებს, გვაზარმაცებს – აი ეს, ჩვენი პირდაპირი მტერია, მომავლის ორმოს ამომთხრელია”(2,196) (ანალოგიურად მსჯელობდა ილია ჭავჭავაძე, როცა მიუთითებდა, რომ “ხალხი თვითმოქმედებით არის მხოლოდ ძლიერი და ნაყოფიერი სულით თუ ხორცით. რაც მალე დაგვიჯერებთ ამ ჭეშმარიტებას, რაც მალე შევითვისებთ, მით მალე გამოვისხნით თავს ამ გაჭირვებიდან, რომელშიც სასოწარკვეთილებით დღეს ვიმყოფებით.. გვეყო, ბატონებო, ჩვენის აწმყოსი და მომავლის ბედის სხვაზედ მიგდება.. სხვა გზა არ არის, ჩვენის ცხოვრების შარაგზა ჩვენვე უნდა გავიკაფოთ, ბედი და უბედობა ხელთ უნდა ვიგდოთ” – ესაა ევროპული მიდგომის და აზროვნების ნიმუში).

ნოე ჟორდანიას კარგად ესმოდა, რომ გაევროპელება მოწოდებით და თეორიის დონეზე როდი ხდება, ამიტომაც მიუთითებდა, რომ “ვერც ერთი ხალხი ვერ ევროპიელება გონებით, პოლიტიკურათ, თუ ის ვერ ევროპიელება ცხოვრებით, ეკონომიურათ” (3.114).

ნოე ჟორდანიასათვის პრინციპულად მნიშვნელოვანი იყო ის, რომ მას ქართველი ხალხის “გაევროპელება” შესაძლებლად მიაჩნდა მხოლოდ ქართულ ნიადაგზე, ქართულ კულტურაზე და ქართული ცხოვრების წესზე დაყრდნობით და არა ყოველივე ევროპულის ბრმად და ხელოვნურად გადმოღების გზით. “გაევროპელება, – წერდა იგი, – წარმოებს ქარ-

თულ ნიადაგზე, ქართულ კულტურაზე. სამშობლო და უცხოეთი, საქართველო და ევროპა, ქართველობა და ევროპეობა – აი, რა წერია ახალ დროშაზე”(3.114).

ნოე ჟორდანიას კარგად აცნობიერებდა იმასაც, რომ “ქართველი ხალხი მარტო პოლიტიკით ვერ დაკმაყოფილდებოდა... ამასთანავე საჭირო იყო სხვა რამეც, უმთავრესად კულტურა. ქართველობა აღიზარდა სპარსულ-ოსმალურ-რუსული კულტურის გავლენის ქვეშ, თუმცა ამასთანავე თავის ორიგინალურ ტრადიციებსაც მამაცურად იცავდა, მაგრამ მას არ ჰქონდა წარმოდგენა ევროპის კულტურაზე, საითკენაც გვინდოდა მისი მიდენა” (4,29-30).

ევროპაში სწავლის, მერე კი იძულებით ემიგრაციაში ყოფნის დროს ჟორდანიას კიდევ უფრო დარწმუნდა, რომ “ევროპის გზა მსოფლიო გზაა, ახალ ისტორიას სხვა გზა არ გამოუგონია და თავისთავად მისახვედრია ჩვენი მასზე შედგომა. ეს დაგვიანება ჩვენთვის შეიძლება დიდად სასარგებლო გამოდგეს, თუ მას სწორი შეხედულებით მივუდგებით და მის მაგალითს გამოვიყენებთ” (5,15). მართალია, ევროპულ გზაზე დადგომას ნოე ჟორდანიას აუცილებლობად თვლიდა, მაგრამ, ამასთანავე, დიალექტიკურად უდგებოდა ამ საკითხს – კარგად უნდა დაგვეკვირვებულებოდა, თუ რა მიგვეღო ევროპიდან და რა – არა. იგი მიუთითებს: “რაკი ჩავდექით ევროპის ფერხულში, ვიცით რას ვაკეთებთ, საითკენ მივემართებით, მაგალითი გადაშლილია. ჩვენი მოვალეობაა, წმინდა მოვალეობაა მხოლოდ ერთი: ვიყოთ თვალხილული, გავარჩიოთ ავი და კარგი, მივიღოთ მისაღები და უარყოთ უარსაყოფი.

უეჭველად მისაღებია ევროპის შრომის საშუალებანი, მისი ტექნიკა, მისი მეცნიერება, მისი ნივთიერი და სულიერი კულტურა. არაა მისაღები მთელი ამ განძის ცალმხრივი, ეგოისტური ხელმძღვანელობა, მისი კერძო ინტერესების იარაღად გადაქცევა, ერთი ჯგუფის ხელში დატოვება და მის გასამდიდრებლად და ხალხის გასამარცხად გამოყენება... ჩვენ გვინდა ვიყოთ ევროპიელი, მაგრამ არა ერთი-მეორის მტერი და მზავკრელი, არა დაბრმავებული და უტიფარი” (5,16).

ამ თვალსაზრისით განიხილავს ქალთა ე.წ. ემანსიპაციის გენდერულ პრობლემას ნოე ჟორდანიას. მას არ მოსწონს ის, რაც ამ მიმართებით ევროპაში და მსოფლიოში ხდებოდა (და

რაც ხდება). იგი წერს, რომ “ქალის პატივი მომდინარეობს შვილის პატივისგან, ე.ი იქ, სადაც შვილს და კარგი შვილის ყოლას დიდათ აფასებენ, მას ნატრულობენ, მას შეტრფიან - იქ ქალი პატივშია, იქ მისი ავტორიტეტი დიდია. ასეთი ქვეყანა იყო უექველათ საქართველო. იქ, სადაც შვილი ეყოლება თუ არა, ფასს არ აძლევენ, იქ ქალსაც ფასი არა აქვს. ახლა ღამაზე ქალს ეძებენ არა ღამაში შვილისთვის, არამედ სიამოვნებისთვის, მოდგმის გავრცელების საკითხი სავსებით შეიცვალა დღეს. პატარა ერისთვის მაინც ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ასეთი გავეროპელება ქართველ ერს დიდ სასიშროებას უქადის” (6,92).

ნოე ჟორდანიას კარგად ხედავდა იმასაც, რომ გლობალიზაციის პროცესები სერიოზულ საფრთხეებს უქმნიან პატარა ერებს, ქართული ცხოვრების წესს და არსებობასაც კი. იგი აფთხილებდა შთამომავლობას, რომ დიდი ერების ასე დაუფიქრებლად მიბადვა და “ამჩატება” კარგს არაფერს მოუტანდა საქართველოს. “განათლებულ” ერებში, – წერდა იგი, – თანდათან იკარგება ბუნებრიობა და ფეხს იკიდებს ხელოვნური კომბინაციები, გამოგონებელი, არაბუნებრივი შეხედულებები, მოდეები და ფანტასტიური გეგმები. მთელი ქალთა სქესი არამშრომელებისა დღეს ირევა ვიწრო ტანადობის შენარჩუნებაზე, არ ჭამს, თავს ძალით იმჭლევენ, ექიმებიც კი ეხმარებიან ამ საქმეში; სრულიად არაფერს ფიქრობს მის შედეგებზე, როგორც მათთვის, ისე მათი შვილებისთვის. წამოყენებულია პირველ რიგში პირადი “მე”, მისი სიამოვნება და დროსტარება. ყველა სხვა მხარე ცხოვრებისა უკანაა დაყენებული, ამათ შორის მოვალეობა ოჯახის, შთამომავლობის მიმართ. საზოგადოთ, ყველა უფლებას ეძებს, მოვალეობას უკუაგდებს. მოვალეობა გამოცხადებულია უბედურებათ, უფლება – ბედნიერებათ. ჩვენ პატრიარქ ქართველ ერს არ მართებს აყვეს ავში ამ ხალხებს, რომელნიც დიდი ხანი არ არის, რაც ისტორიის ასპარეზზე გამოვიდნენ და მიქროლავენ ცის ქვეშ, საითკენ-თვითონ არ იციან” (6.149).

## **გამოყენებული ლიტერატურა**

1. ნიკო ნიკოლაძე, რჩეული, ქართული მწერლობა, ტ.14, თბ., 1997.
2. ნოე ჟორდანია, თხზულებანი, ტ.2, თფ., 1920.
3. ნოე ჟორდანია, რჩეული ნაწერები, თფ., 1911.
4. ნოე ჟორდანია, ჩემი წარსული, თბ., 1990.
5. ნოე ჟორდანია, ევროპა და კაცობრიობა, პარიზი, 1943.
6. ნოე ჟორდანია, წიგნი ოჯახში საკითხავი, თბ., 1989.

## **Vaja Shubitidze**

### **Europeanization and Georgian Political thought of XX- century**

#### **Summary**

In the Article there are given the views of Ilia Chavchavadze, Nico Nikoladze, and Noe Jordania about Europeanization of Georgia who were the famous representatives of Georgian political conception. Author analyze the reasons that support or prevent modern Europeanization of Georgia and it's approachment with Europe

## **Важа Шубитидзе**

### **Европеизация и грузинская политическая мысль в XX веке**

#### **Резюме**

В статье проанализированы отношения грузинских мыслителей Ильи Чавчавадзе, Нико Николадзе и Ноэ Жордания к европеизации Грузии и проблемам, которые возникают в этом сложном процессе.



## აჭარა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის საწყის ეტაპზე

(1988 წ. ოქტომბერი-1989 წ. აპრილი)

საბჭოთა კავშირის ხელისუფლების სათავეში მიხეილ გორბაჩოვისა და მისი გუნდის მოსვლას მოყვა ცდა – კურსი აეღოთ გარდაქმნასა და საბჭოთა ადამიანის აზროვნებაზე მონოპოლური კონტროლის გაუქმებაზე. ადამიანები ამ სივრცეში სერიოზულად დაფიქრდნენ საკუთარ ნამდვილ დანიშნულებასა და რაობაზე და უცებ გაირკვა, რომ საბჭოთა კონსტიტუციით დეკლარირებული ახალი ისტორიული ერთობა-საბჭოთა ხალხი-მხოლოდ ფიქცია იყო და ყველა მისი შემადგენელი კომპონენტი არასდროს შელევია საკუთარი ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და სანუკვარი თავისუფლების მიღწევის ოცნებასა და იმედს.

საბჭოთა იდეოლოგიური სისტემის სრული გაკოტრება და მისი არარაობა განსაკუთრებით მკვეთრად წარმოაჩინა ტელეხიდეებმა ე.წ. დასავლურ სამყაროსთან, რომელთა დროსაც საბჭოურ მხარეს ვერაფერი უშველა ვერც ე.წ. “სუკ”-ის მიერ შემზადებულმა სიუჟეტებმა და კონტინგენტმა და ვერც აგიტაცია-პროპაგანდის ტყუილების კონვეირმა.

საჯაროობის ღოზუნგს ამოფარებულმა საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენლებმა გამოამჟღავნეს თავიანთი ნამდვილი სახე და არ მორიდებიან ე.წ. პატარა ერებისადმი არაკეთილმოსურნე დამოკიდებულების აშკარა გამოხატვას: საქართველოსა და ქართველი ერისადმი “პატარა იმპერიის” ცნების დამკვიდრების არცთუ წარუმატებელი ცდა განახორციელა ცნობილმა დისიდენტმა, აკადემიკოსმა ანდრეი სახაროვმა; სტალინის ეპოქის სისხლიანი ფენომენის ქართული ეროვნული თავისებურებებით გახსნა სცადა ცნობილმა მწერალმა ჩინგიზ აიტმატოვმა თუ სხვებმა, ხოლო ასევე

ცნობილმა პროზაიკოსმა ვიქტორ ასტაფიევმა არაერთი გვერდი მიუძღვნა ქართველი ხალხის აშკარა განქიქებასა და ლანძღვა-გინებას [Астафьев В., 1986, 123-140].

აღნიშნულ მოვლენათა თანამდევმა პროცესებმა თავისი გამოხატულება კპოვა საქართველოშიც. აქ, თავიდან ისტორიულ ძეგლთა დაცვის საბაბით, გაიშალა ფარული ანტისაბჭოთა მოძრაობა, შემდეგ კი, ძალთა თანდათანობით მოკრების კვალობაზე იგი ნელ-ნელა გადაიქცა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მუხტის მატარებელ მძლავრ ბირთვად, რომლის გარშემოც შემდგომში შეიკრა ქართული ეროვნული მოძრაობის მოწინავე ძალები.

ამ ისტორიული პროცესების მიღმა არ დარჩენილა აჭარაც, სადაც ჯერ კიდევ 1987 წლის ოქტომბერში ადგილი ჰქონდა ეროვნული სულისკვეთების ლიტერატურულ-მხატვრულ აღმანახ “ბათუმის” გამოცემის ცდას. აღმანახის გამოცემაზე უფლების მიღების შესახებ ბათუმელ ხელოვანთა ჯგუფმა: ზურაბ გორგილაძის (პოეტი), ანზორ კუდბას (მწერალი), რობერტ ნადირაძის (აირჩიეს აღმანახის რედაქტორად), ვახტანგ ღლონტის (პოეტი), ჯონი ჯიჯეიშვილის (მხატვარი), თამაზ დიასამიძის (მხატვარი, სამხატვრო სალონის მაშინდელი დირექტორი) შემადგენლობით, თხოვნით მიმართა შესაბამის საბჭოთა ორგანოებსა და ბათუმის საქალაქო საბჭოს დეკუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტს, რაზედაც უარი მიიღო [2]. მაგრამ როგორც ჩანს, აღნიშნულ ხელოვანთა ეს თხოვნა გამხდარა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ყურადღების საგანი, რომელსაც ჩვეული სისწრაფით მოუხდენია მასზე რეაგირება და უმაღლ გამოუცხვია შესაბამისი დადგენილება, რომლის შესახებაც ინფორმაციას გვაწვდის განმეორებით იმავე მოთხოვნაზე (აღმანახის გამოცემის უფლება—უ.ო.) ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მიღებული დადგენილება, განმეორებითი უარით, რომელშიც ვკითხულობთ: “...გაცნობებთ, რომ კოოპერატივის წესდების დამტკიცება შეუძლებელია, რადგან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წ. 23 ოქტომბრის №5 ოქმის პირველი პუნქტის გადაწყვეტილებით საგამომცემლო და ტიპოგრაფიული კოოპერატივების შექმნა არ შეიძლება [3]. მიუხედავად ამისა, ჟურნალ “ბათუმის”

პირველი ნომერი მაინც გამოვიდა და ამის შესახებ აღნიშნა არაფორმალურმა გაზეთმა “ქართულმა ქრონიკამ” 1988 წლის ივლისის ნომერში (გაზეთ “ქართული ქრონიკის” სარედაქციო კოლეგიის წევრები იყვნენ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა), თუმცა იქვე გამოთქვა სურვილი აღნიშნული გამოცემის სრულყოფის აუცილებლობის შესახებ [4].

როგორც ჟურნალ “ბათუმის” გამოცემის ერთ-ერთმა ინიციატორმა, რობერტ ნადირაძემ გაგვიმარტა, აღნიშნული აღმანახი უნდა ყოფილიყო ეროვნულ-პოლიტიკური გაერთიანება “ბათუმის ჯგუფის” ლიტერატურული განხრა.

რაც შეეხება “ბათუმის ჯგუფს”, იგი დაარსებულია 1987 წლის 4 ოქტომბერს ქალაქ ბათუმში, მაჭახლის ქუჩის 5 ნომერში. მას ჰქონდა საკუთარი პოლიტიკური ორგანო – გაზეთი “ბათუმის ხმა”, რომლის პირველი ნომერიც 1988 წლის 11 სექტემბერს გამოვიდა (მაგრამ მისი არცერთი ეგზემპლარი რედაქციაში შემონახული არ არის–უ.ო.). ამ გაზეთის მე-2 ნომერი გამოვიდა ბათუმის ცნობილი მოვლენების წინ, 1988 წლის 11 ოქტომბერს. მასში აღნიშნულია, რომ “ბათუმის ჯგუფის” წევრს აქვს დამოუკიდებელი მოქმედების სტატუსი და პოლიტიკურ გაერთიანებას გააჩნია პოლიტიკური, ეკონომიკური, ჰუმანიტარული და რელიგიური სექციები [5]. გაზეთი “ბათუმის ხმა” გარკვეული შეფერხებებით დღემდე გამოდის. მისი რედაქტორი და ბათუმის ჯგუფის უცვლელი ხელმძღვანელია რ. ნადირაძე.

ბათუმის 1988 წლის 21 ოქტომბრის მიტინგ-მანიფესტაციას წინ უსწრებდა ამავე წლის თბილისის 26 მაისისა [6] და 20 ივლისის აქციები [7]. რომელთა შესახებ გაზეთებში (იგულისხმება სქოლიოში მითითებული გაზეთები–უ.ო.) გამოქვეყნებულ ინფორმაციათა საფუძველზე რ. ნადირაძე აკეთებს არასწორ დასკვნას, რომ თითქოს “თბილისელი პატრიოტები უმეტესად თავიანთ მოქმედებებს რაიმე სამთავრობო ღონისძიებას უკავშირებენ. ისინი პირველ ხანებში ვერ ახერხებენ უშუალო მიმართვით ხალხის ქუჩაში გამოყვანას“ [ნადირაძე რ., 2001, 184].

ეროვნული მოძრაობის ლიდერთა პრაქტიკული საქმიანობა იმ პერიოდისათვის განსაზღვრული იყო ერის მოწინავე ძალთა დიდი ბრძოლებისათვის მომზადების აუცილებლობით

და მათი ტაქტიკური მანევრები ამ მიზანს ემსახურებოდა. თუ არა ამ “თბილისელ პატრიოტთა” განსაკუთრებული აქტიუობა, საკითხავია, საერთოდ თუ იქნებოდა რაიმე “გამოსვლები” საქართველოს რომელშიც გნებავს რეგიონში. სწორედ თბილისი აძლევდა მაგალითს და აქედან გამომდინარე, თავისებურ სტიმულს ქართულ ეროვნულ მოძრაობაში რეგიონებიდან ახალი ძალების ჩართვას და აქ იმაზე მინიშნება, თითქოს რაიმე ინიციატივები, მის საწყის ეტაპზე მაინც, პერიფერიებიდანაც მოდიოდა, უბრალოდ, უხერხულია.

ბათუმის 1988 წლის 21 ოქტომბრის აქციის შესახებ იგივე ავტორი იგონებს, რომ “ბათუმის ოქტომბრის გამოსვლამდე გამოვუშვი გაზეთ “ბათუმის ხმის” მე-2 ნომერი, ხოლო აქციამდე სამი დღით ადრე დავიწყე სამიტინგო პროკლამაციების გავრცელება. სამასამდე პროკლამაცია დავებჭდე და გავავრცელე (მრავლობითის ფორმა უფრო უპრიანი და მართებული იქნებოდა, რადგან შემდგომი მსჯელობიდანაც ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ თითქოს ეს ერთი პიროვნება იყო ბათუმის ჯგუფიც და მთელი ეროვნული მოძრაობაც აჭარაში, რაც მისსავე გაწეულ მუშაობას მხოლოდ აკნინებს—უ.ო.). იგი მოკლედ და კონკრეტულად იყო შედგენილი: “1988 წლის 21 ოქტომბერს, დღის 1 საათზე, იღია ჭავჭავაძის ძეგლთან შედგება მიტინგი ერის საჭირობოროტო საკითხებზე”. ეს იყო და ეს, და ამ მოწოდებას მთელი ბათუმი გამოეხმაურა (ავტორს ავიწყდება აღნიშნოს, რომ ამ მოწოდებას “მთელი ბათუმი”, და არა მარტო ბათუმი, სწორედ იმიტომ გამოეხმაურა, რომ ამ “მთელმა ბათუმმა” იცოდა აღნიშნულ აქციაზე ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას და ქართული ეროვნული მოძრაობის სხვა გამოჩენილ აქტივისტთა ჩამოხრძანების შესახებ—უ.ო.). „მიტინგის თარიღი ბერ-მონაზონ ნიკოლოზის მეშვეობით გავაგებინე გამსახურდიას. იგი თბილისი-ბათუმის მატარებლით ჩამოვიდა აქციის დღეს. სადგურში მას ნიკოლოზი, ნოდარ იმნაძე და მე დავხვდით. იქედან იმნაძის სახლში წავედით, რადგან ჩემი ბინა დაგირავებული მქონდა” — აღნიშნავს ავტორი [რ.ნადირაძე, 2001, 184–185]. ამ მიტინგის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდა აგრეთვე ჟურნალში “ლაზარეს აღდგინება” [9]. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ამ ფაქტის შესახებ საქართ-

ველოს სსრ სახელით ქ. ბათუმის სახალხო სასამართლოს სამსჯავრო სხდომის ოქმიდან ამონაწერი გვამცნობს: “ქ.ბათუმში მცხოვრები რობერტ დავითის–ძე ნადირაძემ 1988 წლის 21 ოქტომბერს დაარღვია კრებებისა და მიტინგების, ქუჩაში მსვლელობებისა და დემონსტრაციების ორგანიზაციისა და ჩატარების დადგენილი წესი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წ. 15 აგვისტოს ბრძანებულების მოთხოვნა...

აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლომ დაადგინა:

ბლაგოვევრადის ქუჩა ბინა 5–ში მცხოვრები, დროებით უმუშევარი, ადრე სამართალში არ ყოფილი რ. დ. ნადირაძე, 1988 წლის 15 აგვისტოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დარღვევისათვის, კერძოდ, ნებართვის გარეშე ქუჩაში მსვლელობისა, დემონსტრაციისა და მიტინგის ჩატარებისათვის, გაფრთხილდეს.

დადგენილება საბოლოოა [10] – საქართველოს სსრ-ს სახელით აცხადებს ქ. ბათუმის სახალხო სასამართლოს მოსამართლე”. სასამართლოს ამგვარი დადგენილებანი არავითარ ეფექტს არ იძლეოდა, რაც დაადასტურა 1988 წლის 20 ნოემბერს ქალაქ ბათუმში გამართულმა მიტინგმა–მანიფესტაციამ, რომელზედაც თბილისიდან კვლავ ჩამოვიდნენ მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია, და სადაც პოლიტიკურის გარდა წამოყენებული იქნა ქ. ბათუმში არსებული კათოლიკური ტაძრის მართლმადიდებლური ეკლესიის გამგებლობაში გადაცემის მოთხოვნა [11] (დღეს ბათუმის მართლმადიდებლური ეკლესიის საკათედრო ტაძარი–უ.ო.).

1988 წლის 20 ნოემბრის მიტინგი–მანიფესტაცია ბათუმში მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ეს იყო თბილისიდან ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას წინამძღოლობით ჩამოსული პატრიოტებისა და მათი ბათუმელი თანამოაზრეების მიერ გამართული ერთობლივი აქცია, რომელზედაც ჩვენი კუთხის ისტორიაში პირველად მოხდა საქართველოში ავტონომიური ფორმირებების არსებობის გაკრიტიკება, თუმცა ვერ დავეთანხმებით ზოგიერთი ავტორის მოსაზრებას, თითქოს სწორედ ამ მიტინგზე “პირველად რობერტ ნადირაძემ დასვა აჭარის ავტონომიის გაუქმების საკითხი” [12 და 13]. ამის დასტურად გამოდგება ამავე წერილებში მათ მიერვე მოყ-

ვანილი ამონარიდი რ.ნადირაძის გამოსვლიდან, სადაც ის ამბობს: “...ამგვარი ავტონომიების შექმნა საქართველოს ტერიტორიებზე უკანონოდ მიგვაჩნია. ერთია რესპუბლიკაში არაქართველი მოსახლეობის უფლებების დაცვა და სულ სხვაა მათთვის ქართული მიწების ხარჯზე ავტონომიებისა და ავტონომიური ოლქების შექმნა”, – აღნიშნავს რ. ნადირაძე აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიების შესახებ, შემდეგ კი, ეხება რა აჭარის ავტონომიას, აგრძელებს, – “აჭარის, ამ ძირძველი ქართული კუთხის ავტონომიას რელიგიურ სარჩულს უდებენ, რაც ათეისტური სახელმწიფოსაგან პარადოქსალურად ჟღერს” [12 და 13].

ამ ამონარიდიდან ნათლად ჩანს, რომ რ. ნადირაძეს აქ აჭარის ავტონომიის გაუქმების საკითხი არ დაუსვამს, არამედ იგი მსჯელობს და სამართლიანადაც, ათეისტურ სახელმწიფოში რელიგიური ნიშნით ავტონომიის შექმნის პარადოქსულობაზე.

პირველი ხალხმრავალი მიტინგი კი, რომელშიც დაახლოებით 20 ათასამდე კაცი მონაწილეობდა, და სადაც პირდაპირ დაისვა აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გაუქმების საკითხი პირველად ჩემს მიერ, შემდეგ კი გ. გოტოჩაყას მიერ, გაიმართა 1989 წლის 26 მაისს ქ. ბათუმის ბუღვარში (ძველ მომღერალ შადრევანებთან). ამის მომსწრე გახლდათ მასში მონაწილე ათასობით ადამიანი [უ. ოქროპირიძე, 2005, 14].

აღნიშნული მიტინგი–მანიფესტაცია მნიშვნელოვანია იმიტომაც, რომ მისმა ეროვნულმა სულისკვეთებამ და მით აჭარის მოსახლეობაში გამოწვეულმა ფართო რეზონანსმა ძლიერ შეაშფოთა აჭარის ავტონომიის მაშინდელი მმართველი ელიტა და მისი დამკაშები, რასაც მათი მხრიდან მკვეთრად უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. აჭარის ასსრ საინფორმაციო საშუალებებს (ტელევიზია, რადიო, გაზეთები) ძალ–ღონე და მთელი თავიანთი გამოცდილება, თუ არსენალი არ დაუშურებიათ აღნიშნული აქციის შინაარსის გასაყალბებლად და დასაკნინებლად, ქართული ეროვნული მოძრაობის იდეალებისათვის სახელის გასატეხად. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს დღე ყოველთვის დარჩება უბრწყინვალეს ფურცლად ჩვენი კუთხის ისტორიაში.

აი, როგორ იგონებს აღნიშნულ აქციას მისი ერთ-ერთი მონაწილე ბათუმელი ინტელიგენტი და საზოგადო მოღვაწე, ქალბატონი ნაზი მიქელაძე:

„მე, ჩემი ოჯახის სრული შემადგენლობით ვესწრებოდი ამ დღესასწაულს. პირველად ჩვენს ცხოვრებაში დაგვეუფლა ეროვნული სიამაყის გრძნობა. თითქმის ყველას, იქ დამსწრეთ, თვალებში სიხარულისა და აღტაცების ცრემლები უბრწყინავდათ...

ასეთი შთაბეჭდილების მოხდენა შეეძლო მხოლოდ ეროვნულ გამირთა ცოცხალ სიტყვას, მათ პიროვნულ ღირსებას და გამბედაობას“...[17].

ასეთ ამაღლებულ გრძნობებს აღვივებს ნამდვილ პატრიოტებში ამ უშესანიშნავესი დღის გახსენება. მაშინდელმა აჭარის ხელისუფლებამ კი მართლაც ყველაფერი იკადრა ამ უმშვენიერეს განცდათა გასაბიბრუებლად და ერთიან ქართულ ეროვნულ სულიერებაში, რომელიც ის-ის იყო ძალებს იკრებდა, ბზარის შესატანად, – რასაც უნდა უზრუნველყო შემდგომში მათ მიერვე გადადგმული ანტიეროვნული ნაბიჯების გასამართლებლად ნიადაგის შემზადება და მხარის ანტიქართულ ავანტიურებში ჩათრევა. სწორედ ამას ემსახურებოდა აჭარის სახელისუფლებო სტრუქტურების მიერ სპეციალურად შემზადებული ხალხის მიერ 1988 წლის 10 დეკემბერს პატრიოტთა აქციის დარბევა ქ. ბათუმში, რასაც თან სდევდა ეროვნული მოძრაობის ცნობილი აქტივისტის ნოდარ იმნაძისადმი ვანდალური ანგარიშსწორება და დაბა ჩაქვში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერის გია ჭანტურიას და სხვათა ფიზიკური შეურაცხყოფა [16].

ამ მოვლენების შესახებ თავის ინტერვიუში რ. ნადირაძე იგონებს: “თავდასხმის წინა დღეს ხულოს რაიონის მკვიდრმა დურსუნ ზოიძემ გამაფრთხილა (და ამის ბევრი მოწმე არსებობს) მოსალოდნელ თავდასხმაზე”, და იქვე სამართლიანად მიუთითებს, რომ “ამ დარბევაში შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკები და მათი აგენტები მონაწილეობდნენ და არა მოსახლეობა”. [17].

აღნიშნულ ვანდალურ აქციას იმავე წლის 12 დეკემბერს მოყვა აჭარის ასსრ საოლქო კომიტეტის ე.წ. აქტივის ცნობილი კრება, რომლის მიზანსაც შეადგენდა საქართველოში

ეროვნული მოძრაობის ქმედებათა დაგმომა არა მარტო აჭარაში, არამედ მთლიანად საქართველოში და ამასთან 10 დეკემბრის ჩაქვისა და ბათუმის დარბევათა, თითქოსდა, აჭარის მოსახლეობის მიერ მოწონება. აქტივის კრებაზე ხელი-სუფლების მიერ შეგზადებულ ამ ბინძურ ავანტიურას წინ აღუდგნენ აჭარის ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლები, რომელთაგან ერთ-ერთმა (ნუგზარ ჯაფარიძე-ცნობილი ჟურნალისტი და მწერალი) აღნიშნულ თავყრილობას საქართველოს ისტორიაში შავ ლაქად შესვლა უწინასწარმეტყველა, ხოლო მეორემ (უჩა ოქროპირიძე), დაგმო რა აქტივის კრების ანტიეროვნული ხასიათი, ამხილა მისი პროვოკაციული მიზანდასახულობა და ამის შემომქმედ-ორგანიზატორები. მან პირდაპირ განაცხადა (აჭარის ასსრ საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის გურამ ემირიძის თითქმის ერთსაათიანი გამოსვლის პასუხად):

– “საქართველოს ტელევიზიის, პრესის, ინფორმაციის სხვა საშუალებებით მთელმა ქართულმა საზოგადოებრიობამ მხარი დაუჭირა ნოემბრის შიმშილობის მონაწილეთა (იგულისხმება 1988 წლის ნოემბერში თბილისში გამართული აქციები-უ.ო.) მოთხოვნებს და თქვენს მიერ ამ საკითხზე გამოთქმული აზრი დემაგოგია და მთელი ქართული საზოგადოებრივი აზრის შეურაცხყოფაა.

თქვენგან განსხვავებული აზრის მქონეთა “ექსტრემისტებად” მონათვლა-გამოცხადება, ეს ძველი სიმღერაა და ამას აქამდე უნდა მივმხვდარიყავით.

რაც შეეხება თქვენს მიერ მოხსენებულ 15-16 წლის “ძუძუმწოვრებს” – ეს ძალიან ძლიერია... მე კი ვფიქრობ, რომ მათ უფრო კარგად ესმით ჩვენი ეროვნული და საზოგადოებრივი ინტერესები და მოთხოვნები, ვიდრე ზოგიერთი ტრიბუნის მეფეს. თორემ თქვენი ერთსაათიანი გამოსვლა ხომ იმის დადასტურება იყო, რომ რაც მინდა და როგორც მინდა ისე ვიტყვი და თქვენ უნდა დამიჯეროთო.

10 დეკემბერს აჭარაში დატრიალებული ამბები, ჩვენი აზრით, აჭარის ადგილობრივი მმართველი აპარატის მიერ შექმნილი მასობრივი ფსიქოზის შედეგი იყო და აჭარის მოსახლეობის ის ნაწილი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო მასში, მხოლოდ მსხვერპლს წარმოადგენდა...



თქვენი გამოსვლიდან გამომდინარე, როგორც ჩვენ გავიგეთ, თქვენ აჭარის პარტიულ, საზოგადოებრივ და ინტელექტუალურ ძალებს სთხოვთ ე.წ. “ექსტრემისტული ჯგუფების” წინააღმდეგ შეტევისა და მათთან რეაქციული ანგარიშსწორების სანქციას, რაც ყოველად დაუშვებელია, ჩვენი საზოგადოებრივი აზრის აბუჩად აგდებაა...

ამიტომაც მოვუწოდებ საღ საზოგადოებრივ აზრს, არ აყვეთ დემაგოგიას, პატივი ვცეთ, გავუფრთხილდეთ და დავიცვათ საჯაროობა და დემოკრატია, ხალხის სუვერენობა, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე ზემოქმედების ეს მძლავრი იარაღი“ (სიტყვის შავი პირი ინახება უ.ოქროპირიძის პირად არქივში).

ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, აჭარის ასსრ პარტიული ხელმძღვანელობის მიერ დაგეგმილი ეს პროვოკაცია ჩაფარდა. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც აჭარის ასსრ პარტიულ ბოსთა ყოვლისშემძლეობის მითი მისივე “აქტივის” წინაშე ერთი ხელის მოსმით გაქრა და მათ ვერ მოახერხეს სასურველი რეზოლუციისათვის ჩვეული რიხით ეყარათ კენჭი. თუმცა საქმე ამით არ დამთავრებულა და აჭარის ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი შეეცადა მიეღწია 10 დეკემბრის ვანდალური აქციის ორგანიზატორთა გამოვლენისა და დასჯისათვის, რისთვისაც პეტიცია მიართვა ქ.ბათუმში საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო ორგანიზაციის 39-ე კონფერენციაზე ჩამოსულ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ჯუმბერ პატიაშვილს, რასაც შედეგი არ მოჰყოლია (პეტიცია დაწერილია უ.ოქროპირიძის მიერ და მისი შავი პირი ინახება მის პირად არქივში).

აღნიშნულ პროცესთა პარალელურად მიმდინარეობდა აჭარაში საზოგადოებრივი აზრის გადახალისება და მისი ეროვნული მოძრაობის პრობლემებით მზარდი დაინტერესება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბათუმში აღვილი ჰქონდა დამოუკიდებელი, ეროვნული სულისკვეთების მატარებელ ლიტერატურულ აღმანახ “ბათუმის” დაარსების ცდას და მისი ერთი ნომერი გამოვიდა კიდევ. აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ქმედებებს იწყებს “ბათუმის ჯგუფიც” რ.ნადირაძის, ჯ.ჯიჯეიშვილის, ბ.დოლიძის, ნ.იმნაძისა და სხვათა

მონაწილეობით. ამ მიმართებით 1988 წლის ბათუმის შემოდგომა-ზამთრის აქციების პერიოდში აქტიურდება ბათუმელ ახალგაზრდა ინტელექტუალთა საქმიანობაც და ისინი თავმოყრას იწყებენ ახალგაზრდულ კლუბ “თვალსაზრისის” გარშემო, რომლის წამყვან ბირთვს წარმოადგენდა გიორგი მასალკინი, მარინა გიორგაძე, ნინო ინაიშვილი, გოდერძი ტოტოჩავა, ბადრი თევზაძე და სხვები (ბათუმში მისი წევრების თავშეყრის ადგილს რუსთაველის ქუჩაზე მდებარე მხატვრის სახლი წარმოადგენდა). მოგვიანებით, პარალელურად, აქტიურდებიან ილია ჭავჭავაძის საზოგადოების დ. ბერძენიშვილისა და რ.ნადირაძის ურთიერთდაპირისპირებული დაჯგუფებანი.

უნდა ითქვას, რომ კლუბ “თვალსაზრისის” საქმიანობა უფრო განმანათლებლურ ელფერს ატარებდა, სადაც ეროვნული მოძრაობის პრობლემებზე მსჯელობა თავიდან კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩრდილში იყო მოქცეული; თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს იმ პირობებში ჩვეულებრივი ამბავი იყო. მაგრამ ეროვნული მოძრაობის მზარდი გაქანების პირობებში ძირითადად ამ აღიანსის ბაზაზე, მისი წევრების აქტივობით შეიქმნა ჯერ ილია ჭავჭავაძე – მე-4 დასის დ. ბერძენიშვილის ბათუმის დაჯგუფება, ხოლო შემდეგ საქართველოს სახალხო ფრონტის ადგილობრივი ორგანიზაციები, რომელთა ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა აქტივისტთა ჯგუფმა იმავე დ. ბერძენიშვილის, ბ. თევზაძის, მ. გიორგაძის, გ. ტოტოჩავას, უ. ოქროპირიძის, თ. ყურაშვილის და სხვათა შემადგენლობით. რ.ნადირაძის ირგვლივ შემოკრებილი “ბათუმის ჯგუფი” კი გახდა ილია მართლის საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის ძირითადი ბირთვი, რომელსაც შეუერთდნენ შემდგომში ეროვნული მოძრაობის ცნობილი აქტივისტები—ნუნუ ქაჯაია, ნიაზ მალაყმაძე, სვეტლანა და ანზორ კუდბები, შოთა ბერიძე და სხვები.

1989 წლის დასაწყისი აჭარაში ეროვნული მოძრაობის ძალთა გარშემო მისი მოწინავე ნაწილის ახალი კონსოლიდაციით აღინიშნა. ბათუმში განსაკუთრებით რეზონანსული იყო საქართველოს გასაბჭოებისადმი მიძღვნილ საპროტესტო გამოსვლათა ტალღა, რომელმაც გამოიხმაურება ჰპოვა მთელს

აჭარაში. მასზე უკვე აშკარად დაფიქსირდა საბჭოთა რუსეთის მიერ 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოს ძალადობით გასაბჭოებისა და მისი ანექსიის ფაქტი და დაისვა მისი სახელმწიფოებრიობის აღდგენის მოთხოვნა.

არნახული ეროვნული გამოღვიძება და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის სრულიად საქართველოს მასშტაბით ასევე არნახული გამოცოცხლება მოჰყვა 1989 წლის 9 აპრილს თბილისში დატრიალებულ ტრაგედიას.

როგორც ცნობილია, თბილისის 1989 წლის აპრილის გრანდიოზული გამოსვლების საბაზად იქცა აფხაზთა მიერ ცოტა ხნით ადრე მიღებული ე.წ. ლიხნის მანიფესტი, რომლის გამოცხადებამაც აფხაზეთში მდგომარეობა სასტიკად გაამწვავა. აფხაზეთის პრობლემათა მოგვარების მოთხოვნით თბილისში, მთავრობის სასახლის წინ 1989 წლის 4 აპრილს დაიწყო გრანდიოზული აქციები, რომელზედაც აფხაზეთის პრობლემის მოგვარების მოთხოვნას მალე ჩაენაცვლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნა შიმშილობის გამოცხადებით, რამაც მდგომარეობა საქართველოს დედაქალაქში უკიდურესად დაძაბა. სწორედ ამის გამოძახილი იყო 1989 წლის 7 აპრილს ბათუმის გარეუბანში, სოუქსუს სასაფლაოს ეკლესიის ეზოში, ეროვნული მოძრაობის ადგილობრივ აქტივისტთა ჯგუფის მიერ გამართული თათბირი.

თათბირზე დაისვა თბილისში მიმდინარე აქციისადმი დამოკიდებულების საკითხი. რადიკალურმა ფრთამ (უ. ოქროპირიძე) მოითხოვა აქტიური აქციებით, შიმშილობის გამოცხადების ჩათვლით, მხარი დაეჭირათ თბილისში მიმდინარე აქციისათვის, სადაც უკვე პრიორიტეტული გახდა ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნა. ზომიერმა ფრთამ არ მიიღო ეს წინადადება და აირჩია პასიური ლოდინის პოლიტიკა, რის გამოც მოხდა სიტყვიერი შეხლა-შემოხლა და უკმაყოფილება. “ზომიერებმა” – დ. ბერძენიშვილის, თ. ყურაშვილის, გ. ტოტოჩაშვილის, გ. გაბაშვილის და სხვათა სახით, მხარი არ დაუჭირეს აქტიური აქციების გამართვას მოსალოდნელი რეპრესიების შიშითა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შექმნილი სპეციფიკის საბაზით, რამაც ფაქტიურად ამ ძალის პარალიზება, დიდი იმედების გაცრუება

(ზოგიერთებში) და განხეთქილება გამოიწვია. დაისვა პირდაპირი კითხვა, რომ “ნუთუ ქვეყანა უნდა დაიქცეს და თბილისში აუცილებლად ხალხი დაიხოცოს, რომ ჩვენ ხმის ამოდება გავებდეთ?” რასაც პასუხად მოყვა, რომ გამსახურდიასა და მის მომხრეებს სწორედ ამისკენ მიჰყავთ საქმე და არავის ანგარიშს არ უწევენ. რუსეთის სამხედრო შენაერთები ბათუმში სამოქმედოდ მობილიზებულია; ქუჩაში გამოსასვლელად და მოსახლეობის დასარბევად მხოლოდ სათანადო საბაბს ელიან; ამიტომ დაველოდოთ რა მოხდება თბილისში. იქ მიმდინარე აქციებს კი მხარს ვერ დავუჭერთ, რადგან ყველაფერი ეს გამსახურდიას მორიგ ავანტიურად მიგვაჩნია.<sup>1</sup>

1989 წლის 9 აპრილის ღამით თბილისში დატრიალებული ტრაგედია ბათუმში დილით გახდა ცნობილი.

არასდროს დამავიწყდება შიშისაგან დაცლილი ბათუმის ქუჩები, რომელიც ჯავახიშვილის ქუჩიდან ილია ჭავჭავაძის ძეგლამდე გავიარე. აქ თავი მოეყარა ეროვნული მოძრაობის რამდენიმე აქტივისტს, რომლებიც შავი სამკლავურებით ილია მართლის ძეგლის ფასადზე ანთებულ სანთლებს ამაგრებდა. რამდენიმე პიროვნების შემოერთების შემდეგ ოციოდე კაცი მოგროვდა, რომელთა დაშინება და დარბევა სცადა ქ. ბათუმის მაშინდელი მილიციის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ჯამბულ ჭანტურიამ მილიციელთა დახმარებით. მაგრამ აქტივისტთა ამ მცირე ჯგუფმა შავი დღე აყარა გათავხედებულ “წესრიგის მსახურს”, რასაც თან ახლდა მილიციის ზოგიერთ თანამშრომელთა აშკარა თანაგრძნობა მანიფესტანტთა მიმართ.

ეროვნული მოძრაობის აქტივისტთა ამ თავყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება – გაშლილი ეროვნული დროშით გაეფლო ბათუმის ქუჩები და ასულიყო სოუქსუს სასაფლაოზე. ამ მანიფესტაციით მათ სურდათ გამოეხატათ პროტესტი თბილისში დატრიალებული მოვლენების გამო და მოეხდინათ იმის დემონსტრირება, რომ ქართველი ხალხის დაშინებას ვერავინ შეძლებს. მანიფესტანტთა იმედი, რომ მსვლელობას შემოუერთდებოდა ბათუმის მოსახლეობა, არ გამართლდა. მანიფესტაციაზე შეერთება გაბედა მხოლოდ ერთმა ბათუმელმა, რეჟისორმა მერაბ ლებანიძემ (დანარჩენ მანიფესტან-

ტებს იმის შიშით, რომ ვინმე არ გამოძრჩეს, აღარ ჩამოვთ-  
ლი).

სოუქსოზე რადიკალთა ძალისხმევის შედეგად გადაწყდა, რომ მეორე დღეს, 10 აპრილს, მომხდარიყო ეროვნულ ძალთა მობილიზება და ბათუმის უნივერსიტეტის წინ (რუსთაველის ქუჩის მხრიდან) გამართულიყო დიდი საპროტესტო მიტინგი-მანიფესტაცია, ქუჩაში მსვლელობითა და ხელისუფლების გადადგომისა და თბილისის ტრაგედიაში დამნაშავეთა დას-  
ჯის მოთხოვნით; მაგრამ ზომიერმა ფრთამ კრების დაშლის შემდეგ უგულებელყო აღნიშნული გადაწყვეტილება და 10 აპრილის დილით შეკრებილი აქციის მონაწილეები უნივერ-  
სიტეტის შიდა ეზოში შეიტყუა, სადაც გაიმართა მიტინგი, მაგრამ აქციამ დაკარგა ის სიმწვავე და საჯარო ხასიათი, რომელიც მას უნივერსიტეტის წინ, რუსთაველის ქუჩის მხარეზე გამართვისას ექნებოდა. აი, როგორ იგონებს ამავე მოვლენებს ქალბატონი ნაზი მიქელაძე: “...აჭარის საოლქო კომიტეტი 9 აპრილის სისხლიანი ტრაგიკული ღამის აღიონ-  
ზე ნუგზარ ნადარაიას გზავნის ბათუმის სახელმწიფო ინსტი-  
ტუტში და ავალებს, რომ ახალგაზრდობა არ აჰყვეს თბი-  
ლისში მომხდარ ამბებს.

ჩვენ დილაადრიან (საუბარია 10 აპრილის დილაზე-უ.ო.) მართლაც შევიკრიბეთ ინსტიტუტის ეზოში სტუდენტებთან ერთად... და გატარებდით მიტინგს, სათანადო შეფასებას ვაძლევდით მომხდარს. ნადარაია ცდილობდა სტუდენტების ძალით შერეკვას აუდიტორიებში. ამასობაში შემოგვიერთდნენ ქალაქის მოწინავე ახალგაზრდები, ეროვნული მოძრაობის აქტივისტები-უნა ოქროპირიძე, ბადრი თევზაძე, გოდერძი ტო-  
ტოჩავა და სხვები. ჩვენი საერთო ძალისხმევით მოხერხდა ნ. ნადარაიას გაძევება. სტუდენტებთან ერთად ჩავატარეთ სამგლოვიარო მიტინგი”[15].

იმავე დღეს ინსტიტუტის უკან, ბათუმის ბულვარში გა-  
შენდა 9 აპრილის ტრაგიკულად დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი სკვერი, სადაც შემდეგ დაიდგა მემორიალური დაფა წარწერით-“ცხრა აპრილის ცრემლი”.

აღნიშნულ აქციაზე მიღებული იქნა რადიკალური შინაარ-  
სის რეზოლუცია, მაგრამ ინსტიტუტის წარმომადგენლებმა წამოაყენეს პრეტენზია აღნიშნული რეზოლუციის რედაქტი-

რებაზე, იმ საბაბით, რომ რადგან აქცია ინსტიტუტის ეზოში ჩატარდა და რეზოლუცია კი თბილისში, ცენტრალურ პრესაში გამოსაქვეყნებლად უნდა გაგზავნილიყო. მათ რეზოლუციის შინაარსი ისე გაანიორწყლეს, რომ მის თბილისში გაგზავნას არავითარი აზრი აღარ ჰქონდა (და ასეც მოხდა).

სტატიაში გაანალიზებული მასალის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოს ეროვნული მოძრაობის თანამედროვე ეტაპზე აჭარა თავიდანვე აქტიურად ჩაება მასში. აქ ჯერ კიდევ 1987 წელს ადგილი ჰქონდა ეროვნული სულისკვეთების აღმანახ “ბათუმის” დაარსების ცდას (გამოვიდა მხოლოდ ერთი ნომერი). აჭარის მოწინავე ძალები აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ საქართველოს ეროვნული მოძრაობის მიერ განხორციელებულ ყველა წამოწყებაში და თავის მხრივ ახდენდნენ ეროვნული მოძრაობის გარშემო ადგილობრივ ძალთა კონსოლიდაციას.

აჭარის ავტონომიური ფორმირების გაუქმების საკითხი ეროვნული მოძრაობის საწყის ეტაპზე (1987 წ.–1989 წ.9.04) არ დასმულა და ადგილი ჰქონდა ამ სტრუქტურის წარმომშობ გარემოებათა მხოლოდ კრიტიკას, ეს მოხდა მხოლოდ 9 აპრილის შემდეგ.

ეროვნული მოძრაობის საწყის ეტაპზე ბათუმში უკვე აშკარად გამოიკვეთა ორი ფრთა, რომელთაც პირობითად რადიკალები და ზომიერები შეიძლება ეწოდოს. მათ შორის წინააღმდეგობა არასდროს შესუსტებულა და იგი დღემდე გრძელდება. მათი საქმიანობის მიმართულების შესახებ შეიძლება ბევრი რამ ითქვას. მაგრამ რაც შეეხება მათი პიროვნული იმიჯის პრობლემას, ამაზე მსჯელობისგან, მიუხედავად ჩვენს ხელთ არსებული უამრავი მასალისა, თავს შევიკავებთ, რადგან ამას პასუხი, ჩვენი აზრით, უნდა გასცეს ლუსტრაციის კანონის ცხოვრებაში გატარებამ, როგორც ეს სხვა დემოკრატიულ საზოგადოებებშია მიღებული.

## შენიშვნა

1 ასეთი იყო თათბირის მოკლე შინაარსი, მისი სტენოგრაფიული ჩანაწერი კი არ არსებობს.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Астафьев В., Место действия, рассказы, Журн. «Наш Современник», Москва, №5, Изд. «Литературная газета», 1986, стр. 100-141.
2. ბათუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის №07/09/848, 1987 წ. 15. X-ს დადგენილება.
3. ბათუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატთა საბჭოების აღმასკომის №4/480, 1988 წ. 18.VII-ს დადგენილება.
4. გაზეთი “ქართული ქრონიკა”, №7, 1988.
5. გაზეთი “ბათუმის ხმა“, №2, 1988, 11. X.
6. გაზეთი “ქართული ქრონიკა”, №3, 1988.
7. გაზეთი “საქართველოს რესპუბლიკა”, №45 (65), 1991.
8. ნადირაძე რ., ტრაფარეტი (კრებული), ბათუმი, 2001.
9. ჟურნ. “ლაზარეს აღდგინება”, №2, 1989.
10. 1988 წლის 21 ოქტომბერი, ბათუმი, საქმე №21, ამონაწერი სამჯავრო სხდომის ოქმიდან (ნ.ნადირაძის სამსჯავრო სხდომის ოქმი).
11. ქბათუმის სახალხო სასამართლოს დადგენილება, 7 დეკემბერი, 1988.
12. მაღაყმაძე ნ., გვჭირდება თუ არა ავტონომია, გაზ. “აჭარა”, 2004, 1. VII.
13. ჟორდანიას ნ., ჯერ კიდევ უთქმელი სათქმელი, ანუ დოკუმენტებში შენახული სინამდვილე, გაზ. “აჭარა”, №71, 2005, 20. IV.
14. ოქროპირიძე უ., საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა და აჭარის ავტონომიის პრობლემა, ბათუმი, 2005.
15. მიქელაძე ნ., მოგონებები, გაზ. “ქამთააღმწერელი”, №1, 2005.
16. გაზეთი “იმედი”, №6, 1990.
17. გაზეთი “ბათუმის ხმა”, №3, 2005.

## Ucha Okropiridze

### Adjara at the initial stage of national-liberating struggle of Georgia (October, 1987-April, 1989)

#### R e s u m e

In the work there is given events developed in Adjara at the initial stage of national-liberating struggle of modern Georgia. There is narrated about activation of democratic forces, beginning of publishing work

carrying national aspiration, also about consolidation of local progressive forces round the national movement. There are discussed current processes in Adjara at that stage of national-liberating struggle and there is made corresponding conclusions.

**Уча Окропиридзе**

**Аджария на начальном этапе национально-освободительного движения Грузии (Октябрь, 1988г. – Апрель, 1989г.)**

**Резюме**

В работе исследованы те явления, которые произошли в Аджарии на начальном этапе национально-освободительной борьбы Грузии. Рассказано об активизации демократических сил, о начале издательской работы национального направления, а также о консолидации местных прогрессивных сил вокруг национального движения. Изучены процессы произошедшие в Аджарии на этом этапе. Сделаны соответствующие выводы.



## **ეთნიკური კონფლიქტები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში XX საუკუნის 90-იან წლებში**

### **(ცხინვალის რეგიონის მაგალითზე)**

XX საუკუნის 80-იანი წლების მე-2 ნახევრიდან აშკარა გახდა, რომ საბჭოთა კავშირის უზარმაზარ იმპერიას დღეები დათვლილი ჰქონდა. როგორც ხდება ხოლმე – იმპერიის მსხვერვის შემდეგ, ჩნდება უზარმაზარი სიცარიელე, ეთნიკურად თუ პოლიტიკურად დაძაბული კერები, ანუ მოქმედებას იწყებენ ის ნაღმები, როლებიც თავის დროზე ჩაღებული ჰქონდა „იმპერიის მანქანას“. ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგაც. პოსტსაბჭოთა სივრცეში დაისადგურა ღრმა ეკონომიკურმა კრიზისმა და თავი იჩინა ეთნო-პოლიტიკურმა კონფლიქტებმა. ყოფილი საბჭოური სივრცის პატარა სახელმწიფოების პოლიტიკური დაძაბულობა პიკს აღწევდა. ისინი პოლიტიკური გზის გასაყარზე იდგნენ, მათ უნდა აერჩიათ ევროპული ან ისევ სახეცვლილი რუსეთისაკენ მიმავალი გზა. უძველესი კულტურის მქონე საქართველო აშკარა პროვეროპულ გზას დაადგა, რამაც გამოიწვია ყოფილი იმპერიის შთამომავლის – რუსეთის გაბრაზება. საქართველოშიც ამოქმედდა „იმპერიის მანქანის“ მიერ ჩაღებული ეთნო-პოლიტიკური ნაღმები და გაჩნდა ცხინვალის რეგიონის და აფხაზეთის კრიზისები.

ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტების გაღვივების მიზნით არაფორმალური ორგანიზაციები შეიქმნა ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“ (აღამონ ნიხასი) და აფხაზეთში (აიდგილარა). მათ ეთნიკურ ნიადაგზე მოითხოვეს საქართველოსაგან გამოყოფა და რუსეთთან შეერთება. როგორც ოსს, ისე აფხაზ სეპარატისტთა უკან, ცხადია, საბჭოთა კავშირის მაშინდელი ხელისუფლება იდგა.

რამდენადმე სწორედ საბჭოთა იმპერიის წაქეზებით, რომელსაც თან ერთვოდა ეთნიკური განსხვავებაც, 1989 წლის

10 ნოემბერს გაიმართა ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის მეოცე მოწვევის სახალხო დეპუტატთა საბჭოს XII საგანგებო სესია, სადაც სეპარატისტულმა მთავრობამ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

„1. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი გარდაიქმნას სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად;

ეთხოვოს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს და სსრკ უზენაეს საბჭოს განიხილონ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისათვის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის მინიჭების საკითხი” (რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში..., 2005: 14).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გადაწყვეტილება სესიის 10 ნოემბრის მოწვევის შესახებ საოლქო საბჭოს აღმასკომმა მიიღო 9 ნოემბერს ორგანიზაცია “ადამონ ნიხასის” წარმომადგენელთა მუქარით და ზეგავლენით. ოლქის პროკურორის პროტესტის საფუძველზე საოლქო საბჭოს აღმასკომმა გააუქმა აღნიშნული გადაწყვეტილება, როგორც კანონსაწინააღმდეგო და სესიის მოწვევის დღედ განისაზღვრა 25 ნოემბერი. მიუხედავად აღნიშნულისა, „ადამონ ნიხასის“ აქტიური ზემოქმედებით, სესია მაინც გაიმართა 10 ნოემბერს. აღნიშნული სესიის გადაწყვეტილება გახლდათ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი, რომელსაც მოჰყვა 1989 წლის 16 ნოემბრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომა. აქ მიღებული დადგენილების თანახმად: „საქართველოს სსრ კონტიტუციის (ძირითადი კანონის) 115-ე მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე გაუქმდეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მეოცე მოწვევის სახალხო დეპუტატთა საბჭოს მეთორმეტე სესიის გადაწყვეტილება, როგორც კანონთან შეუსაბამო” (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №11, 1989: 8). ხოლო, იმავე წლის 18 ნოემბრის საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსთან დაკავშირებით შეიქმნა ამ საკითხების შემსწავლელი კომისია 19 კაცის შემადგენლობით (იქვე, 108-109).

1989 წლის ნოემბრის თვიდან 1990 წლის თებერვლამდე ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიაზე აღგილი ჰქონდა ცალკეულ შეტაკებებს ოს შეიარაღებულ არაფორმალურ გაერთიანებებსა და ქართულ მხარეს შორის. „ადამონ ნიხასის“ წაქეზებით ოსეთის სეპარატისტული მთავრობა ყველაფერ ამაში ბრალს დებდა საქართველოს სსრ-ს და მოითხოვდა: „სსრ კავშირის პროკურატურასა და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე დაისვას საკითხი იმ დანაშაულობების დროულად გამოძიების შესახებ, რომლებიც ჩადენილია სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე აღნიშნული მოვლენების დროს 1989-1990 წლებში, რაც დააჩქარებს აქ ვითარების სტაბილიზაციას“ (გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, №59, 1990).

ამჟამად რუსული იმპერიალისტური მანქანის ხელი რომ ერია ამ კონფლიქტში და რამდენადმე მისი წაქეზებული რომ იყო ოსური სეპარატისტული მთავრობა, ამას ადასტურებს 1990 წლის 20 სექტემბრის სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს მეთოთხმეტე სესიის მეოცე მოწვევის სხდომაზე მიღებული დადგენილებები:

„1. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი გარდაიქმნას სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად;

2. ეთხოვოს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტის შეყვანის შესახებ“ (გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, №180, 1990).

იმავე სხდომაზე მიღებულ იქნა დეკლარაცია სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ, რომელიც გამოქვეყნებულ იქნა გაზეთ „საბჭოთა ოსეთში“ (№193, 1990): „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკა დამოუკიდებელია მთელი საგარეო და საშინაო ცხოვრების საკითხების გადაწყვეტაში...

სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკას განსაკუთრებული ურთიერთობა აქვს ჩრდილოეთ ოსეთთან“. იმავე სესიაზე მიიღეს შემდეგი გადაწყვეტილება: „სამხრეთ

ოსეთის ავტონომიურ ოლქის ტერიტორიაზე ცნობილ იქნას მხოლოდ სსრკ კონსტიტუციისა და სსრკ სხვა საკანონმდებლო აქტების მოქმედება” (გაზ. „Советская Осетия”, №203, 1990). ოსეთის სეპარატისტული მთავრობა ყველა ღონეს ხმარობდა ძირძველი ქართული კუთხის საქართველოსაგან გამოყოფისათვის და ბოიკოტს უცხადებდა საქართველოს მთავრობის, თუ მისი საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტილებებს. მაგალითად, საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა ახალწვეულების სამხედროში გაწვევის შემდეგ მათ ემსახურად საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე. საპასუხოდ ოსეთის სეპარატისტულმა მთავრობამ მიიღო დადგენილება, რომელშიც ვკითხულობთ: „ეთხოვოს სსრკ შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბს გადაწყვიტოს სამხრეთ ოსეთიდან ახალწვეულთა მიერ სამხედრო სამსახურის სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ან ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ ტერიტორიაზე განლაგებულ სამხედრო ნაწილებში გავლის საკითხი” (გაზ. „Советская Осетия”, №202, 1990). იმავე სხდომაზე ოსეთის სეპარატისტულმა მთავრობამ საქართველოს მთავრობასთან შეთანხმების გარეშე „სამხრეთ ოსეთი” მეწარმეობის თავისუფალ ზონად გამოაცხადა” (გაზ. „Советская Осетия”, №187, 1990). ოსეთის სეპარატისტულმა მთავრობამ ბოიკოტი გამოუცხადა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნებს: „1. არაუფლებამოსილად იქნეს ცნობილი საარჩევნო ოლქების და უბნების ფუნქციონირება სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე და ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნებში” (გაზ. „Советская Осетия”, №202, 1990). 1990 წლის 16 ოქტომბერს ოსეთის სეპარატისტულმა მთავრობამ მიიღო კანონი საკუთრების თაობაზე, რომლის თანახმადაც „მიწა და მისი წიაღისეული, წყლები, მცენარეთა და ცხოველთა სამყარო წარმოადგენს სამხრეთ ოსეთის ხალხის განუყოფელ საკუთრებას” (გაზ. „Советская Осетия”, №199, 1990). ოსების მხრიდან ანალოგიურ ანტიკონსტიტუციურ ქმედებებს შემდეგშიც არაერთხელ ჰქონდა ადგილი, რომელიც აშკარად ეთნიკური კონფლიქტის გაღვივებისაკენ იყო მიმართული.

ყოველივე ზემოთ თქმული – სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს მიერ სამხრეთ ოსეთის სუვე-

რენიტეცისა და სტატუსის შესახებ გადაწყვეტილების მიღება – საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის შეცვლისა და ქართული სახელმწიფოს სუვერენიტეტის ხელყოფის მცდელობას და საქართველოს კონსტიტუციის დარღვევას წარმოადგენდა.

ამასთან დაკავშირებით 1990 წლის 21 სექტემბერს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება: „1. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს 1990 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება „სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტისა და სტატუსის შესახებ“ გამოცხადდეს ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ” (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, №9, 1990, 9):

ამ დადგენილების საპასუხოდ ოსეთის სეპარატისტულმა მთავრობამ 1990 წლის 16 ოქტომბერს სახალხო დეპუტატთა საბჭოს მე-15 (I) სესიაზე მიიღო გადაწყვეტილება, სადაც ადასტურებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკად გარდაქმნას (გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, №197, 1990).

ოს სეპარატისტთა დადგენილება – სტატუსის შეცვლის შესახებ – დაგმოიხილ იქნა იმავე წლის 26 ოქტომბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომაზე (საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, №1, 1990: 57-58).

საქართველოს მთავრობის ამ მართლაც რომ ეროვნულ გადაწყვეტილებას რამდენადმე ცინიკურად უპასუხეს ოსმა სეპარატისტებმა და მათ უკან მდგარმა სხვა გარეშე ძალამ, როდესაც ოსი სეპარატისტების მიერ იმავე წლის 28 ნოემბერს გამართულ სხდომაზე მიიღეს დადგენილება: „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკას გადაერქვას სახელი და ეწოდოს სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკა” (გაზ. „Советская Осетия“, №226, 1990).

ამას მოჰყვა საქართველოს მხრიდან იმავე წლის 11 დეკემბერს გამართულ რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს სხდომაზე შემდეგი მკაცრი დებულებების მიღება:

„1. გაუქმდეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

2. გაუქმდეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭო, მისი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანო – აღმასრულებელი კომიტეტი და ოლქის სხვა სახელმწიფო ორგანოები” (საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, №12, 1990:10-12).

ჩვენი აზრით და დღევანდელი გადასახედიდან საქართველოს უზენაესი საბჭოს ეს გადაწყვეტილება იყო მცდარი და პოლიტიკურად გაუთვლელი ნაბიჯი. რადგანაც იგი გამოიწვევდა ე.წ. სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული მთავრობის გაღიზიანებას და მოსალოდნელი იყო ოსური ბანდფორმირებების ამოქმედება მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ. ასეთ გადაწყვეტილებას უნდა იღებდეს მტკიცე ხელის მქონე ქვეყანა. არადა ჩვენთან სახელმწიფო მხოლოდ ყალიბდებოდა, ხელისუფლების სტრუქტურები ფაქტობრივად არ არსებობდა, ან მხოლოდ შექმნის პროცესში იმყოფებოდა, სუსტი და არაორგანიზებული ჯარი სათანადოდ არ იყო შეიარაღებული.

მართლაც, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ამ პოლიტიკურად არასწორ დადგენილებას მოჰყვა ქალაქ ცხინვალსა და ჯავის რაიონში სეპარატისტული ძალების დანაშაულებრივი ქმედებები: მოხდა ხელისუფლების უზურპაცია თვითმარქვია ავანტიურისტული ელემენტების მიერ, დაიწყო ტერორისტული აქტები, ადგილი ჰქონდა ადამიანთა მკვლელობებისა და დაჭრის შემთხვევებს.

იმავე წლის 13 დეკემბერს ცხინვალის სეპარატისტულმა მთავრობამ მიიღო დადგენილება:

„1. შეჩერდეს სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე საქართველოს რესპუბლიკის კანონები და ნორმატიული აქტები” (რეგიონული კონფლიქტები საქართველოში..., 2005: 51-52).

ოსთა სეპარატისტული ძალების უკან რომ საბჭოთა კავშირის მაშინდელი ხელისუფლება იდგა, აშკარად ჩანს 1991 წლის 7 იანვრის სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის დასკვნიდანაც, სადაც გაკრიტიკებულია საქართველოს მთავრობა, რომელმაც გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომია. უფრო მეტიც, მათ გადაწყვეტილებაში კატეგორიული ტონიც იგრძნობა: „3. სამი დღის ვადაში ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიიდან გაყვანილ იქნეს შეი-

რადებული ფორმირებანი (საუბარია ქართულ ქვედანაყოფებზე), სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების გარდა” (სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს უწყებები, №2, 1991:117-118).

ასევე თანავრცობა გამოუცხადა სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ მთავრობას ჩრდილოეთ ოსეთის საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ, რომლის უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილება: „1. მხარი დაეჭიროს სსრკ პრეზიდენტის ბრძანებულებას „1990 წლის დეკემბერში საქართველოს სსრ-ში მიღებული ზოგიერთი საკანონმდებლო აქტების შესახებ“, რომელიც მიმართულია საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობის სტაბილიზაციისაკენ” (გაზ. „Советская Осетия”, №8, 1991).

უნებრევია, რომ ჩრდილოეთ ოსეთის უკანაც საბჭოთა კავშირის ხელისუფალნი იდგნენ. ეს ყოველივე საქართველოს წინააღმდეგ ამუშავებული „ბომბის“ ერთგვარ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა – სადაც ხაზი ესმებოდა ეთნიკურ კუთვნილებას, კულტურულ და ენობრივ ერთობას, გეოგრაფიულ მოსახლერეობას და სხვას, რომელიც მათ წისკილზე ასხამდა წყალს.

სამხრეთ ოსეთში დაიწყო ტერაქტები, დღითი-დღე იზრდებოდა მსხვერპლთა რიცხვი, დაიწყო რეგიონიდან ლტოლვილთა დენა, გადაიბუბა მოქალაქეების, მთელი რიგი დაწესებულებების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების უძრავ-მოძრავი ქონება. წაიბილწა ისტორიისა და კულტურის ძეგლები. მოკლედ, ვითარება უმართავი გახდა.

სადავეების ხელში აღების მიზნით ცხინვალის სეპარატისტულმა მთავრობამ სახელმწიფოს აღმასრულებელი და განმკარგულებელი ხელისუფლება სტაბილიზაციის კომიტეტს გადასცა (გაზ. „Советская Осетия”, №29, 1991).

საჭირო გახდა საქართველოს მთავრობის მხრიდანაც მკვეთრი ნაბიჯების გადადგმა. იმ პერიოდში ჭეშმარიტ ეროვნულ ნიადაგზე მდგომ, ცოტათი ამაყ ქართველ ხელისუფალთათვის რამდენადმე უკან დახევას, თუმცა სწორ პოლიტიკურ ნაბიჯს წარმოადგენდა რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარესთან მოლაპარაკების გამართვა სამხრეთ ოსეთში ვითა-

რების სტაბილიზაციისათვის. ქართული მხარე რეგიონში მშვიდობის მიღწევისათვის თანახმა გახდა შექმნილიყო შერეული (რუსულ-ქართული) მილიციის რაზმი, რომელიც უზრუნველყოფდა ცხინვალის რეგიონში სტაბილიზაციას და საზოგადოებრივ წესრიგს (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №58, 1991).

საქართველოს ეროვნული მთავრობა ყველა ღონეს ხმარობდა და ყველა გზას ეძებდა, რათა არ დარღვეულიყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და მისი სუვერენიტეტი. მაგრამ ვერც ამან გაამართლა (და ალბათ ვერც გაამართლებდა, რადგან ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტის შემოქმედს, როდის შეასმენდი რაიმეს...).

მართლაც, თითქოსდა საყოველთაო სამართლიანობის მქადაგებელი რუსეთი, კიდევ ერთხელ იხრება ცხინვალის სეპარატისტული მთავრობის მხარეს და 1991 წლის 31 მარტს სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე იღებს შემდეგ დადგენილებას:

„1. კთხოვთ საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს მიიღოს გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთის ოლქის სტატუსისა და სახელმწიფო ხელისუფლების ყველა სტრუქტურის აღდგენის შესახებ (Ведомости Съезда Народных Депутатов РСФСР и Верховного Совета РСФСР, №14, 1991:376).

ისტორიული სამართლიანობის, ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დაცვისათვის საჭირო იყო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, რომელიც მოხერხდა 1991 წლის 9 აპრილს და ოქროს ასობითაა შესატანი საქართველოს უახლეს ისტორიაში (საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, №4, 1991:26-27).

საქართველოს დამოუკიდებელმა სახელმწიფომ იურიდიულად სრულიად გამართლებული გადაწყვეტილებები მიიღო 1991 წლის 27 აპრილს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომაზე:

„1. გაუქმდეს ცხინვალის რაიონი და მისი ტერიტორია შეუერთდეს გორის რაიონს.

2. გაუქმდეს ყორნისის რაიონი და მისი ტერიტორია შეუერთდეს ქარელის რაიონს.



3. გამოეყოს ჯავის რაიონს და გადაეცეს: საჩხერის რაიონს სინაგურის სასოფლო საბჭო (20, 4 ათასი ჰექტარი მიწა). ონის რაიონს კიროვისა და ჩასავლის სასოფლო საბჭოები (3,6 ათასი ჰექტარი მიწა)” (საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები №4, 1991:82-83).

იურიდიულად სრულიად გამართლებულ ამ გადაწყვეტილებებს აღსრულება არ ეწერა, რადგანაც ოს სეპარატისტებს ზურგს უმაგრებდა ძლიერი რეაქციული ძალა.

საქართველოს ეროვნულ ნიადაგზე მდგომი მთავრობა ცდილობს ამ ფარსს ფარდა ახადოს და ყველაფერს მისი სახელი დაარქვას. სწორედ ამის დასტურია 1991 წლის 4 მაისის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება: „ამა წლის 4 მაისს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის... მოწვეულ სესიაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთის ე.წ. საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის გაუქმებისა და ავტონომიური ოლქის აღდგენის შესახებ, რომელიც თუმცა არის საქართველოს შემადგენლობაში, მაგრამ „ადმინისტრაციულად ექვემდებარება“ რუსეთის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის იურისდიქციას” (საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, №5, 1991: 12).

ანალოგიურად აიხსნება იმავე წლის 14 მაისის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომის დასკვნები: „სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დადგენილება კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, რომ სსრკ ხელმძღვანელობა ყველა ღონეს ხმარობს თავისუფლებისათვის მეზრძოლი რესპუბლიკის დასასჯელად და ამ მიზნით მათი ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფასაც არ ერიდება” (საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, №6, 1991:79-80).

ამავე ხასიათის დადგენილებაა მიღებული 1991 წლის 26 აგვისტოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომაზეც (საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, №8, 1991:164-165).

საქართველოს მთავრობის მკაცრ ტონს განსაკუთრებით სიმკაცრე მოჰყვა რსფსრ-ს 1991 წლის 25 ოქტომბრის უზენაესი საბჭოს სხდომაზე, რომლის დადგენილებაშიც კვითხულობთ: „შეთავაზოს რსფსრ-ს პრეზიდენტს უმოკლეს დროში

მიიღოს ყველა შესაძლო ზომა, აუცილებლობის შემთხვევაში საქართველოს რესპუბლიკის მიმართ მკაცრი ეკონომიკური სანქციებიც კი, სამხრეთ ოსეთში კონფლიქტის დაუყოვნებლივი მოწესრიგების, ადამიანის უფლებათა აღდგენისა და აგრეთვე ჩრდილოეთ ოსეთისათვის დამატებითი მატერიალური დახმარების მიზნით” (Ведомости Съезда Народных Депутатов РСФСР и Верховного Совета РСФСР, №44, 1991: 1709-1710).

ანალოგიური შინაარსის დადგენილება იქნა მიღებული 1991 წლის 1 ნოემბერს რუსეთის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის დეპუტატთა ყრილობაზე (Ведомости Съезда Народных Депутатов РСФСР и Верховного Совета РСФСР, №45, 1991:1771-1772).

ოს სეპარატისტებს და მათ უკან მდგარ მოსკოვს სათანადო პასუხი ექნა გაცემული 1991 წლის 2 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მხრიდან. მის ბრძანებულებაში ვკითხულობთ: „მიმდინარე წლის 26 ნოემბერს ა. ჩოჩიევის ხელმძღვანელობით ჩატარდა ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესია, რომელზეც განიხილეს რესპუბლიკის სახელწოდების შეცვლის, ხელიისუფლების ორგანოების სტრუქტურის, კონსტიტუციის მიღების, რუსეთთან შეერთების ადრე მიღებული გადაწყვეტილებების დადასტურების, საგანგებო მდგომარეობის შემოღების, საყოველთაო მობილიზაციის გამოცხადების, გვარდიის შექმნისა და სხვა საკითხები.

საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტის, ქვეყნის უშიშროების და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 121<sup>4</sup> მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე ვადაგენ:

1. ცნობილ იქნეს ბათილი და იურიდიული ძალის არმქონედ ანტიკონსტიტუციური, ანტისახელმწიფოებრივი ორგანოს, ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 1991 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილება“ (საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, №12, 1991:5-6).

1991 წლის ბოლოსათვის საქართველოში უკიდურესად დაიძაბა სიტუაცია. ქვეყანაში, ფაქტობრივად, სამოქალაქო ომი დაიწყო. 1991 წლის 22 დეკემბერს ქართული ოპოზი-

ციური ძალების ნაწილმა (რუსეთის ფარული რეჟისურით) დაიწყო შეტევა პარლამენტის შენობაზე, რომელსაც მოჰყვა 1992 წლის 6 იანვარს კანონიერი ხელისუფლების დამხობა. ამის შემდეგ ძალაუფლება ჯერ სამხედრო საბჭოს გადაეცა, ხოლო 1992 წლის 7 მარტიდან ნელ-ნელა გადავიდა ედუარდ შევარდნაძის ხელში.

მთელი ამ უმძიმესი პერიოდის მანძილზე ოსეთის სეპარატისტული მთავრობა ამზადებდა ცხინვალის რეგიონს საქართველოსაგან გამოსაყოფად. სწორედ ამ მიზნით 1991 წლის 13-14 დეკემბერს ქალაქ ვლადიკავკაზში გაიმართა ოსი სეპარატისტების ყრილობა, როგორც ისინი უწოდებენ – „ოსი ხალხის I ყრილობა დეკლარაცია“, რომელშიც ისინი ითხოვენ: სამხრეთ ოსეთის და ჩრდილოეთ ოსეთის გაერთიანებას და ერთიან სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას (გაზ. „Советская Осетия“, №254, 1991). ხოლო 1991 წლის 21 დეკემბერს ე.წ. „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ“ მიიღო შემდეგი დადგენილება: „1. შეიქმნას თავდაცვის რესპუბლიკური ძალები და რესპუბლიკური გვარდია“ (გაზ. „Южная Осетия“, №157, 1991). იმავე სეპარატისტულმა მთავრობამ 1992 წლის 3 იანვარს გამართულ უმაღლესი საბჭოს სხდომაზე გადაწყვიტა რეფერენდუმის ჩატარება „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის“ და რუსეთთან შეერთების საკითხებთან დაკავშირებით (რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში..., 2005:96-97). მოამზადა რა ფონი, ე.წ. სამხრეთ ოსეთის მთავრობამ 1992 წლის 29 მაისს გამოაქვეყნა სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აქტი (Южная Осетинская хроника Грузинской окресии 1988-1992, 1996: 1). ხოლო 1993 წლის 2 ნოემბერს მიიღო „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია“ (გაზ. „Южная Осетия“, №132-133, 1993).

პოლიტიკური არეულობა საქართველოში, მართლაც, ცხინვალის სეპარატისტული მთავრობის წისქვილზე ასხამდა წყალს. მაგრამ სეპარატისტების უკან მდგარი რუსეთი სხვა, უფრო შორს მიმავალ გეგმებს ისახავდა მიზნად. „დაყავი და იბატონე“-ს ფორმულას მან მიუმატა წარსულში მრავალგზის ნაცადი ხერხი – „დაყოფილი ნაწილებიც დაასუსტე“, რათა

უფრო მორჩილნი ყოფილიყვნენ ისინი. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ ცხინვალის რეგიონში მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ადგილი ჰქონდა შეტაკებებს ოს ბანდფორმირებებს და ქართულ არმიას შორის.

ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე საქართველოს მთავრობა და, კერძოდ, რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ე. შევარდნაძე, არაერთხელ შეხვდა რუსეთის ფედერაციისა და ჩრდილო ოსეთის ხელისუფლების მაღალჩინოსნებსა თუ უშუალოდ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს. ასეთი შეხვედრები გაიმართა 1992 წლის 10 ივნისს დაბა ყაზბეგში ე. შევარდნაძესა და ჩრდილოეთ ოსეთის სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ა. გალაზოვს შორის. მხარეები შეთანხმდნენ ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტაზე (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №103, 1992). განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო იმავე წლის 24 ივნისს სოჭში გამართული შეხვედრა (საქართველოს რესპუბლიკა, რუსეთის ფედერაცია, ჩრდილოეთ ოსეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი), რომელზეც ანალოგიური შეთანხმება იქნა მიღებული (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №115, 1992). 1992 წლის 4 ივლისს ქაღაქ ვლადიკავკაზში გაფორმდა ოქმი: „ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგებისათვის“, რომელშიც ვკითხულობთ: „1. შეიქმნას შერეული საკონტროლო კომისია (იგულისხმება საქართველო, რუსეთი, ჩრდილოეთ ოსეთი)...

3. დაეკისროს შერეულ საკონტროლო კომისიას შეასრულოს შემდეგი ფუნქციები:

ა) ცეცხლის შეწყვეტის კონტროლის უზრუნველყოფა, შეიარაღებული ფორმირებების გაყვანა, თავდაცვითი ძალების დაშლა, კონფლიქტის ზონაში უშიშროების რეჟიმის უზრუნველყოფა” (რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში..., 2005:117). იქვე განსაზღვრულ იქნა შერეული ძალების კონტინგენტი, სულ 1500 კაცი და 900 კაცი რეზერვში, რომელიც პროპორციულად იქნებოდა წარმოდგენილი ქართული, რუსული და ჩრდილოეთ ოსური მხრიდან. ანალოგიურ შეთანხმებებს შემდეგშიც არაერთხელ ჰქონდა ადგილი.

მიუხედავად ამ შეთანხმებებისა, კონფლიქტის კერა ცხინვალის რეგიონში XX საუკუნის ბოლოსათვისაც ღვიოდა. როგორც ჩანს, მისი ინსპირატორი გარეშე ძალა არ ფიქრობ-

და ცხინვალის რეგიონის საქართველოსათვის უკან დაბრუნებას და ამისათვის ყველაფერზე წამსვლელი იყო (როგორც ეს ბოლოდროინდელმა მოვლენებმაც გვიჩვენა). ცხინვალის რეგიონი რუსეთის ფედერაციისათვის გეოსტრატეგიულად ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან აქედან ადვილად კონტროლდება ის ნავთობსადენები, რომლებიც საქართველოზე გავლით ევროპისაკენ მიემართება და რუსული მონოპოლიისათვის დიდ საფრთხეს შეიცავს. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ თითქოსდა მედიატორი და „ქართველთა და ოსთა“ შემრიგებელი (ის რომ არა, რა გვჭირდა ჩვენ შესარიგებელი?), ძალიან ხშირად ოს სეპარატისტთა აშკარა მფარველადაც გვევლინება.

არადა გადის დრო, იღვრება ათასობით ადამიანის სისხლი. სიკვდილი და ტანჯვა კვლავ და კვლავ ადასტურებს, რომ ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტები ძალის გამოყენებით, მითუმეტეს, ომის გზით ვერ გადაწყდება და ამგვარი მეთოდები მხოლოდ ვითარებას ამწვავებს. გამწვავება კი რუსეთის ფედერაციის წისქვილზე ასხამს წყალს.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. გაზეთი „საბჭოთა ოსეთი“, №59, 1990.
2. გაზეთი „საბჭოთა ოსეთი“, №180, 1990.
3. გაზეთი „საბჭოთა ოსეთი“ №193, 1990.
4. გაზეთი „საბჭოთა ოსეთი“, №197, 1990.
5. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, №58, 1991.
6. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, №103, 1992.
7. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, №115, 1992.
8. რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში–სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. აფხაზეთის ასსრ (1989-2005). პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული, თბ., 2005.
9. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №11, 1989.
10. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, №1 1990.
11. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, №9, 1990.
12. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, №12, 1990.

13. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, №4, 1991.
14. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, №5, 1991.
15. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, №6, 1991.
16. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, №7, 1991.
17. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, № 8, 1991.
18. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს უწყებები, №2, 1991.
19. გაზეთი „Советская Осетия“, №187, 1990.
20. გაზეთი „Советская Осетия“, №199, 1990.
21. გაზეთი „Советская Осетия“, №202, 1990.
22. გაზეთი „Советская Осетия“, №203, 1990.
23. გაზეთი „Советская Осетия“, №226, 1990.
24. გაზეთი „Советская Осетия“, №8, 1991.
25. გაზეთი „Советская Осетия“, №29, 1991.
26. გაზეთი „Советская Осетия“, №254, 1991.
27. გაზეთი „Южная Осетия“, №157, 1991.
28. გაზეთი „Южная Осетия“, №132-133, 1993.
29. Ведомости Съезда Народных Депутатов РСФСР и Верховного Совета РСФСР, №14, 1991.
30. Ведомости Съезда Народных Депутатов РСФСР и Верховного Совета РСФСР, №44, 1991.
31. Ведомости Съезда Народных Депутатов РСФСР и Верховного Совета РСФСР, №45, 1991.
32. Южная Осетинская хроника Грузинской агрессии 1988-1992, 1996.

**Sulkhan Aleksaia**

**Ethnic conflicts in polyethnic societies in 90 years of the XX century  
(On the example of Tskhinvali region)**

**Summary**

The given work discusses one of the hardest of the modern history of Georgia-conflict of Ossetia.

It this work we discuss about ethno-political conflict, which is especiaiiy actual for this region, when ethnic groups, provoked by other forces, could fulfil their separatistic ideas and make danger for the territory of Georgia.

The work discusses legislative AActs, passed by Georgian Government and Parliament to international organizations of the west or Russia, directiy or indirectly concerning the conflict

**Сулхан Алексаиа**

**Этнические конфликты полиэтнической общности  
в 90-ые годы XX века  
( на примере Цхинвальского региона )**

**Резюме**

В данной работе рассматривается одна из сложнейших проблем в новейшей истории Грузии: проблема Грузино-Осетинского конфликта.

В работе рассмотрен этнический конфликт, который особенно актуален в данный период, когда этнические группы спровоцированные иными силами смогли осуществить сепаратистское намерения, повлекшие за собой нарушение территориальной целостности Грузии.

В работе рассмотрены правовые и юридические акты, принятые грузинским Правительством и Парламентом, обращенные к международным организациям Запада или России, прямо или косвенно касающиеся этого конфликта.

## **აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მცხოვრები პირების მოქალაქეობის საკითხისათვის**

ბოლო პერიოდში საქართველო მთელი მსოფლიოს განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა, რაც თავდაპირველად საქართველოს ერთ-ერთ სეპარატისტულ რეგიონში, ე.წ. სამხრეთ ოსეთში საომარი მოქმედებების დაწყებამ, ხოლო შემდგომში - რუსეთის ფედერაციის მიერ ამ რეგიონისა და აფხაზეთის სუვერენიტეტის აღიარებამ განაპირობა. რუსეთის ფედერაციის ოფიციალური პოზიციის მიხედვით, საქართველოს სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიაზე რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ განხორციელებული სამხედრო ოპერაციის ერთ-ერთ მთავარ მიზანს ე.წ. სამხრეთ ოსეთში მცხოვრები რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების სიცოცხლისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენდა. მიმდინარე მოვლენების პოლიტიკური შეფასებების ფონზე, ვფიქრობთ, ნაკლები ყურადღება იქნა გამახვილებული საქართველოს ტერიტორიაზე (ცხინვალის რეგიონში, აფხაზეთში) მცხოვრები მოსახლეობისათვის რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის მინიჭების სამართლებრივ საკითხებზე, რაც არანაკლებ საინტერესოა მსოფლიო საზოგადოებისათვის. წინამდებარე პუბლიკაციით გვსურს აღნიშნული საკითხი განვიხილოთ საქართველოს, რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებზე დაყრდნობით.

საკითხის განხილვისათვის სეპარატისტულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის მოქალაქეობის სტატუსის განვითარების პროცესი რამდენიმე ეტაპად უნდა დავყოთ. პირველი ეტაპი - საბჭოთა პერიოდი, მეორე - საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომი პერიოდი (1990-1993 წ.წ.), მესამე - სეპარატისტული რეგიონების თვითაღიარების პერიო-



დი, მეოთხე - რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის მინიჭება სეპარატისტულ რეგიონებში მცხოვრები პირებისათვის (1999-2008 წ.წ.) და მეხუთე - მოქალაქეობა რუსეთის ფედერაციის მიერ სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ (2008 წლის 26 აგვისტო). პირველ ეტაპზე, ცნობილია, რომ სსრკ-ის არსებობის მთელ პერიოდში დადგენილი იყო ერთიანი სსრკ-ის მოქალაქეობა და საქართველოს მოქალაქე იმავდროულად სსრკ-ის მოქალაქედ მიიჩნეოდა. 1991 წლის 21 დეკემბრიდან, სსრკ-ის ოფიციალური დაშლის შემდეგ, დღის წესრიგში დადგა ახალი სუვერენული სახელმწიფოების მოქალაქეობის განსაზღვრის საკითხი. 1990 წლის 28 ოქტომბრის შემდეგ, ეროვნულმა ხელისუფლებამ დაიწყო „მოქალაქეობის შესახებ“ კანონის მომზადება და 1991 წლის 28 ივნისს მიიღო კანონი პირველი მოსმენით, მაგრამ 1991 წლის დეკემბერში დაწყებული სამხედრო გადატრიალების გამო, კანონის მიღება ვერ მოხერხდა. ამ პერიოდში სეპარატისტულ რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობას უკვე არარსებული ქვეყნის - სსრკ-ის პასპორტები გააჩნდათ. საქართველოში მხოლოდ 1993 წლის 25 მარტს, ხელისუფლებაში ედუარდ შევარდნაძის მოსვლის შემდეგ იქნა მიღებული კანონი „მოქალაქეობის შესახებ“. რუსეთის ფედერაციამ კი მოქალაქეობის კანონი 1991 წლის 28 ნოემბერს მიიღო და დაადგინა, რომ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები შეიძლება გამხდარიყვნენ ყოფილი სსრკ-ის მოქალაქეები, მათ შორის საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებში მცხოვრები პირებიც. ამ გადაწყვეტილებიდან საქართველოს მოქალაქეობის განსაზღვრამდე მხოლოდ 4 თვე გავიდა. ამ პერიოდში აფხაზეთში ომი მიმდინარეობდა, რომელიც 1993 წლის 27 ოქტომბერს დასრულდა. ცხინვალის რეგიონში კი 1990 წლის დეკემბერში დაწყებული სამხედრო დაპირისპირება ფაქტობრივად 1991 წლის ივლისში, ხოლო ოფიციალური ხელშეკრულების დადებით - 14 სექტემბერს დამთავრდა. ამდენად, ასეთ ვითარებაში, სეპარატისტულ რეგიონებში რუსეთის ფედერაციას არ შეეძლო ეწარმოებინა რუსული პასპორტების დარიგება. ამ პერიოდში იქ მცხოვრები პირები საქართველოს მოქალაქეებად ითვლებოდნენ, რაც სამართ-

ლებრივად განმტკიცდა 1993 წლის 25 მარტს „მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებით.

როგორც აღვნიშნეთ, 1993 წლის 25 მარტისათვის საქართველოს იურიდიქცია აღარ ვრცელდებოდა ცხინვალის რეგიონზე, ხოლო აფხაზეთში ჯერ კიდევ ომი მიმდინარეობდა. 1993 წლის 27 სექტემბრის შემდეგ კი ორივე რეგიონი თვითაღიარებულ რესპუბლიკას წარმოადგენდა. ამ დროიდან სეპარატისტულ რეგიონებში მცხოვრები პირები იურიდიული თვალსაზრისით შეიძლება განვიხილოთ, როგორც საქართველოს მოქალაქეები, თუმცა მათ ჯერ კიდევ საბჭოთა პასპორტები გააჩნდათ. ისინი არ იღებდნენ ქართულ პასპორტებს, ხოლო რუსეთის ფედერაცია ოფიციალურად რუსული პასპორტების დარიგებისაგან ჯერ თავს იკავებდა. ამ პერიოდში გარკვეული ხარვეზი შეიქმნა თავად საქართველოში, კანონის ამოქმედების შემდეგაც, დიდი ხნის განმავლობაში, ვერ მოხერხდა საბჭოთა პასპორტების შეცვლა ეროვნული პასპორტებით (1). ამ დრომდე კი, როგორც პრაქტიკა და ზოგიერთი სამართლებრივი აქტი ადასტურებს, საქართველოს მოქალაქეობის დადასტურება სსრკ-ის სიმბოლიკიან პასპორტებში სპეციალური შტამპის დასმით ხდებოდა (2). სამწუხაროდ, ეროვნული პასპორტებით სსრკ-ის პასპორტების სრული შეცვლის პროცესი საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა (3). 1999 წლიდან რუსეთის ფედერაციამ სეპარატისტული რეგიონების მცხოვრებლებისათვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭება და რუსული პასპორტების დარიგება დაიწყო. ამ დროიდან 2008 წლამდე რუსეთმა მიაღწია იმას, რომ ამ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის უმრავლესობა რუსეთის ფედერაციის მოქალაქეა. ყველაზე საინტერესოა ბოლო პერიოდი, როდესაც რუსეთის ფედერაციამ ოფიციალურად ცნო აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი. დღეისათვის სეპარატისტული რეგიონების მცხოვრებლები არიან რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები, მათ ფაქტობრივად არ გააჩნიათ ეროვნული მოქალაქეობა, იმ სახელმწიფოს მოქალაქეობა, რომელიც თითქმის აღიარებულ იქნა რუსეთის ფედერაციის მიერ, მაგრამ ამ სტატუსს არავინ არ ცნობს.

ის, რომ 1993 წლამდე არათუ სეპარატისტულ რეგიონებში, არამედ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირებს ჯერ კიდევ საბჭოთა პასპორტები გააჩნდათ, არ ნიშნავს, რომ ისინი არ იყვნენ საქართველოს მოქალაქეები. მათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და ჩაწერა საქართველოში, შესაბამისად - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ჰქონდათ. აღიარებული წესის მიხედვით, მოქალაქეობის პრეზუმპციის პრინციპიდან გამომდინარე, ეს პირები ავტომატურად საქართველოს მოქალაქეებად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან ტერიტორიულად არსებითად იმ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკასთან იყვნენ დაკავშირებულნი, რომლის სამართალ-მემკვიდრეც საქართველოს სუვერენული სახელმწიფო - საქართველოს რესპუბლიკა გახდა. ამასვე ადასტურებს „მოქალაქეობის შესახებ“ ევროპული კონვენცია, რომლის მიხედვით: „პირი, რომელთანაც დაკავშირებულია სამართალმემკვიდრეობა და რომელსაც აქვს თავისი ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი ტერიტორიაზე, რომელსაც შეეხება სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობა, მიიჩნევა სახელმწიფო-მიმღების მოქალაქეობამოპოვებულად (Европейская конвенция о гражданстве, Страсбург, 6 ноября 1997 года). ასეთი სამართალმემკვიდრეობის მომენტიდან მოქმედებს საერთაშორისო სამართლის პრეზუმპცია, რომ ტერიტორიის მაცხოვრებელი ადამიანების მოქალაქეობა იცვლება ამ ტერიტორიაზე სუვერენიტეტთან ერთად (Пояснительный доклад к Европейской конвенции о гражданстве, Статья 18). მართალია, ეს დოკუმენტი 1991 წელს არ მოქმედებდა, მაგრამ ძალაში იყო 1997 წლიდან და რუსეთის ფედერაცია ვალდებული იყო მისი მოთხოვნები გაეთვალისწინებინა, როცა საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებში რუსეთის პასპორტების აქტიური გაცემა დაიწყო.

„მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, 1993 წლის 25 მარტიდან საქართველოს მოქალაქედ ჩაითვალა: ა) პირი, რომელიც მუდმივად ცხოვრობდა საქართველოში არანაკლებ ხუთი წლისა და ცხოვრობდა ამ კანონის სამოქმედოდ შემოღების დღისათვის, თუ ექვსი თვის ვადაში წერილობით არ განაცხადებდა უარს საქართველოს

მოქალაქეობაზე. ბ) საქართველოში დაბადებული პირი, რომელმაც 1991 წლის 21 დეკემბრის შემდეგ დატოვა საქართველოს ტერიტორია და ამდენად, ვერ აკმაყოფილებდა ამ მუხლის „ა“ პუნქტის მოთხოვნებს, თუ მას არა აქვს სხვა ქვეყნის მოქალაქეობა. გ) პირი, რომელიც საქართველოს მოქალაქეობას შეიძენდა ამ კანონის შესაბამისად („მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს 1993 წლის 25 მარტის ორგანული კანონი, საქართველოს უზენაესი საბჭოს უწყებები, 1993 წლის №5). კანონის ნორმიდან გამომდინარე, სეპარატისტულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობიდან საქართველოს მოქალაქეებად შეიძლება არ ჩაითვალოს მხოლოდ ის პირები, რომლებმაც წერილობით უარი განაცხადეს საქართველოს მოქალაქეობაზე „მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში. სეპარატისტულ რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობას წერილობითი უარი უნდა განეცხადებინა საქართველოს კომპეტენტურ ორგანოებში, თუმცა ამ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის გაუზრცელებლობის გამო ეს ფაქტობრივად შეუძლებელი იყო. მეორე მხრივ, თუ რუსეთის ფედერაცია მიიჩნევს, რომ სეპარატისტულ რეგიონებში მცხოვრები პირები დარჩნენ მოქალაქეობის არმქონე პირებად და ამიტომაც მიანიჭა მოქალაქეობა, უნდა ითქვას, რომ რუსეთის ფედერაციას არ ჰქონდა ამის ლეგიტიმური უფლება.

საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით, ერთ სახელმწიფოს მეორე სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიაზე ამ სახელმწიფოს თანხმობის გარეშე სახელისუფლებო უფლებამოსილებების განხორციელების უფლება არ გააჩნია, ნებისმიერი ასეთი გადაწყვეტილება მიღებისთანავე ბათილია და არავითარ იურიდიულ შედეგებს არ იძლევა. ამასვე ადასტურებს „მოქალაქეობის შესახებ კანონების კოლიზიასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის რეგულირების შესახებ“ კონვენცია, რომლის მიხედვით: „ყოველი სახელმწიფო თავისი კანონის მიხედვით თვითონ განსაზღვრავს, თუ ვინ მიიჩნევა მის მოქალაქედ. ამ კანონს აღიარებს სხვა სახელმწიფოები, თუ ისინი შეესაბამება მოქალაქეობის საკითხებთან დაკავშირებულ საერთაშორისო კონვენციებს, საერთაშორისო ჩვეულებებს და სამართლის ზოგადად აღიარე-

ბულ პრინციპებს. ნებისმიერი საკითხი, გააჩნია თუ არა პირს კონკრეტული სახელმწიფოს მოქალაქეობა, შესაბამისი სახელმწიფოს კანონმდებლობით განისაზღვრება“ (Конвенция регулирующая некоторые вопросы, связанные с коллизией законов о гражданстве, от 12 апреля 1930 года). ამდენად, რუსეთის ფედერაციამ, ისარგებლა რა სეპარატისტულ რეგიონებში საქართველოს ხელისუფლების იურისდიქციის ფაქტობრივი გაუზრცელებლობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის მიუხედავად, თავისი კანონის საფუძველზე, სრულიად უკანონოდ, იძულებით მიანიჭა რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობა საქართველოს მოქალაქეებს, რაც ამ კონვენციისა და სხვა საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეში დარღვევაა.

2000 წლიდან რუსეთმა მასობრივად დაიწყო აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისათვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭება, რითაც კიდევ უფრო განამტკიცა მათთან კავშირი. ეს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის დარღვევას ნიშნავდა. ოფიციალურად, რუსეთი აღნიშნავდა, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მცხოვრებნი მოქალაქეობის გარეშე დარჩნენ და რუსეთმა მათ მოქალაქეობა მიანიჭა, როგორც საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრემ. ამ პოლიტიკური ქმედების ქვეტექსტი ცხადია: მაგალითად, კრასნოდარის რაიონში მოქალაქეობის გარეშე ათწლეულების განმავლობაში მცხოვრებ მესხეთელ თურქებს უარი ეთქვათ რუსეთის მოქალაქეობაზე (სახელმწიფოებრიობა და უსაფრთხოება, 2006: 24).

მიუხედავად იმისა, რომ სეპარატისტულ რეგიონებში მოსახლეობის უმრავლესობას რუსეთის მოქალაქეობა იძულებით მიანიჭეს, სეპარატისტებმა მაინც მიიღეს თავიანთი კანონები მოქალაქეობის შესახებ. მართალია, ეს კანონები მიღებისთანავე ბათილია და არანაირ სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს, რადგან ეწინააღმდეგება ყველა საერთაშორისო სამართლებრივ აქტს და საქართველოს კონსტიტუციას, მაგრამ ჩვენ გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ე.წ. მოქალაქეობის კანონთა ძირითად ნორმებზე, რომლებიც ნათლად წარმოაჩენენ აფხაზი და ოსი სეპარატისტების კანონსაწინააღმდეგო საქმიანობასა და დისკრიმინაციულ პოლიტიკას,

რომელსაც ისინი 1991 წლის შემდეგ აწარმოებენ თვითგამოცხადებული რესპუბლიკების ტერიტორიაზე. ე.წ. „აფხაზეთის მოქალაქეობის შესახებ“ 2005 წლის კანონის მე-5 მუხლის მიხედვით „აფხაზეთის მოქალაქეებად ითვლებიან: ა) აფხაზური ეროვნების პირები მათი საცხოვრებელი ადგილისა და უცხო სახელმწიფოს მოქალაქეობის მიუხედავად, გარდა იმ პირებისა, რომლებიც ანტიკონსტიტუციური მეთოდებით გამოდიან აფხაზეთის რესპუბლიკის სუვერენიტეტის ან აფხაზეთის რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობილების იძულებით შესაცვლელად, ან ანტიკონსტიტუციური მეთოდებით იბრძოდნენ არსებული სახელმწიფო წყობილების წინააღმდეგ, ან დაკავშირებულნი არიან ტერორისტულ საქმიანობასთან. ბ) პირები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე არანაკლებ 5 წელი აფხაზეთის რესპუბლიკის 1999 წლის 12 ოქტომბერის დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადების მომენტში და თუ მათ წერილობითი ფორმით უარი არ განაცხადეს აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქეობაზე, იმ პირების გამოკლებით, რომლებიც ანტიკონსტიტუციური მეთოდებით გამოდიან აფხაზეთის რესპუბლიკის სუვერენიტეტის ან აფხაზეთის რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობილების იძულებით შესაცვლელად, ანტიკონსტიტუციური მეთოდებით იბრძოდნენ არსებული სახელმწიფო წყობილების წინააღმდეგ, ან დაკავშირებულნი არიან ტერორისტულ საქმიანობასთან; გ) პირები, რომლებმაც მოქალაქეობა მოიპოვეს ამ კანონის შესაბამისად“ (Закон «О гражданстве Республики Абхазия» 2005 г.). ამ ნორმებში ნათლად ჩანს, თუ როგორი დისკრიმინაციულია აფხაზი სეპარატისტების პოლიტიკა მოქალაქეობასთან მიმართებაში. აფხაზეთის მოქალაქეობის უფლებას ისინი ანიჭებენ მხოლოდ ეთნიკურ აფხაზებს, სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებს ეს უფლება წართმეული აქვთ, რაც საერთაშორისო სამართლის ნორმების სერიოზული დარღვევაა. ამგვარი კანონის მიღების მთავარი მიზანი, რა თქმა უნდა, აფხაზეთის ტერიტორიის ეთნიკური ქართველებისაგან დაცლაა(4). ეს არის დისკრიმინაცია ეთნიკური ნიშნით, რაც დასჯადია ნებისმიერი სახელმწიფოს კანონითა და საერთაშორისო სამართლის ნორმებით. აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის ტერიტორიაზე

რუსეთის ფედერაციის პოლიტიკის გაგრძელებად უნდა ჩაითვალოს ზემოთ აღნიშნული კანონის მე-6 მუხლი, რომელიც აფხაზეთის რესპუბლიკაში ორმაგ მოქალაქეობას შეეხება. ეს მუხლი აღგენს, რომ აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქე იმავდროულად შეიძლება იყოს მხოლოდ რუსეთის ფედერაციის მოქალაქე (Закон «О гражданстве Республики Абхазия» 2005 г.). ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „მოქალაქეობის შესახებ“ 1993 წლის სეპარატისტული კანონის მიხედვით ასეთი პირობები არ იყო დადგენილი. ძველი კანონის მიხედვით, მოქალაქეებად მიიჩნეოდნენ პირები, რომელთა ერთი წინაპარი მაინც დაიბადა აფხაზეთში. ორმაგ მოქალაქეობაზეც არ იყო შეზღუდვა რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობასთან დაკავშირებით (Закон «О гражданстве Республики Абхазия» 10 декабря 1993 г.). ეს ალბათ იმით აიხსნება, რომ 1993 წლისათვის კონფლიქტის ზონაში შეიარაღებული დაპირისპირება ახლად დასრულებული იყო, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მხარს უჭერდა მთელი მსოფლიო, რის გამოც რუსეთის ფედერაცია (რომლის პირდაპირი ჩარევითაც აფხაზეთი გამოვიდა საქართველოს იურისდიქციიდან) ბოლო წლებთან შედარებით აფხაზეთთან მჭიდრო ურთიერთობებისაგან თავს იკავებდა. 1999 წლიდან კი რუსეთი განსაკუთრებით გააქტიურდა, რამაც კიდევ უფრო წაახალისა აფხაზი სეპარატისტები. რუსეთის მოქალაქეობის მიღების მოთხოვნით სეპარატისტები ცდილობდნენ რუსეთის გულის მოგებასაც და თავიანთი ინტერესების დაცვასაც, რაც მათ ე. წ. ანონიმდებლობაშიც გამოჩნდა.

ანალოგიური „კანონშემოქმედება“ გააჩაღეს ოსმა სეპარატისტებმაც. მათ მიერ მიღებული მოქალაქეობის კანონის თანახმად, ე.წ. სამხრეთ ოსეთის მოქალაქეებად მიიჩნევიან პირები, რომლებსაც აქვთ მოქალაქეობა ამ კანონის ძალაში შესვლის დღისათვის, ასევე პირები, რომლებიც 1992 წლის 29 მაისის დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადების მომენტიდან მუდმივად ცხოვრობდნენ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, თუ მათ წერილობითი ფორმით არ განაცხადეს უარი სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მოქალაქეობაზე. იმ პირთა გარდა, რომლებიც ანტიკონსტიტუციური მეთოდებით იბრძოდნენ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სახელმწიფო წყობილებისა

და მისი ხალხის წინააღმდეგ. სამხრეთ ოსეთის კანონიც ადგენს, რომ სამხრეთ ოსეთის მოქალაქეები იმავდროულად შეიძლება იყვნენ მხოლოდ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები. არის კიდევ ერთი საინტერესო ნორმა, რომლის მიხედვით: „სამხრეთ ოსეთთან ისტორიული ფესვებით დაკავშირებული რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები, უცხოელები და მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებიც თავიანთ სამოქალაქო ვალდებულებად თვლიან სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის განვითარებასა და აღორძინებას, მიიღებენ სამხრეთ ოსეთის მოქალაქეობას გამარტივებული წესით, თუ იციან სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ენა, კონსტიტუცია და კანონმდებლობა“ (Конституционный закон Республики Южная Осетия «О гражданстве Республики Южная Осетия» 23 августа 2006 года). რამდენად სამწუხაროც არ უნდა იყოს, სეპარატისტები რუსეთის ფედერაციის როლს პირდაპირ კანონშიც აფიქსირებენ და მიუთითებენ, რომ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებს შეიძლება ჰქონდეთ ისტორიული ფესვები სამხრეთ ოსეთთან და მათ მიზანს სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის განვითარება და აღორძინება წარმოადგენს. ამის სანაცვლოდ კი, ისინი გამარტივებული წესით მიიღებენ სამხრეთ ოსეთის ე.წ. მოქალაქეობას. ამ ნორმებიდან კარგად ჩანს, თუ როგორი ვაჭრობის საგნად არის ქცეული საქართველოს სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა. აფხაზეთის მსგავსად, ამავე ე.წ. კანონის თანახმად, სეპარატისტები სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე არ უშვებენ იმ პირებს, რომლებიც, მათივე განმარტებით, იბრძოდნენ სამხრეთ ოსეთის კონსტიტუციური წყობილების წინააღმდეგ. ეჭვს გარეშეა, რომ ეს ნორმები სეპარატისტებმა იმ ეთნიკური ქართველების საწინააღმდეგოდ შემოიღეს, რომლებიც კონფლიქტამდე ამ ტერიტორიაზე მუდმივად ცხოვრობდნენ (5) და კონფლიქტის დროს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად იბრძოდნენ.

ამავე დროს სეპარატისტულ მთავრობებს ჰქონდათ მცდელობა მოქალაქეობის საკითხში გარკვეული დამოუკიდებლობა შეენარჩუნებინათ, რომ ხაზი გაესვათ თავიანთი სუვერენიტეტისათვის, მაგრამ ამასთან, არ სურდათ თავიანთი ერთადერთი მოკავშირის – რუსეთის ფედერაციის გაღიზიანება გამოეწვიათ. ამიტომ აფხაზმა პოლიტიკოსებმა გაეროს



მოუწოდეს - ამ ხალხზე გაეროს დროებითი სამგზავრო საბუთები მიეცათ (მაგალითად, კოსოვოსა და ჩრდილოეთ თიმორში გაცემული საბუთების მსგავსად). აფხაზეთის პარლამენტის წევრის ციზა გუმბას სიტყვებით, ასეთი საბუთების გაცემით თავიდან აიცილებდნენ რუსეთის მოქალაქეობის მიღების მსურველთა მასობრივ განცხადებებს. მაგრამ გაერომ ვერ შეძლო ამ თხოვნას კეთილგანწყობით შეხვედროდა. კოსოვოსა და ჩრდილოეთ თიმორის ფორმალური სტატუსი აფხაზეთისაგან ერთობ განსხვავდება. ცხადია, რომ რუსეთის მოქალაქეობის ბევრი პრეტენდენტი ასევე პრაქტიკული ეკონომიკური მოსაზრებებიდან გამომდინარეობდა: მაშინ მათ დაუწესდებოდა რუსეთის პენსია, რომელიც გაცილებით მეტია იმაზე, რასაც საქართველოს მოქალაქეები და აფხაზეთის მცხოვრებლები იღებენ (სახელმწიფოებრიობა და უსაფრთხოება, 2006: 335) მაგრამ, ბუნებრივია, მათ უარი ეთქვათ ამგვარი სტატუსის მინიჭებაზე, ვინაიდან თავად გაერო სეპარატისტულ რეგიონებს საქართველოს სუვერენული სახელმწიფოს ნაწილად ცნობს და მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

მართალია, რუსეთის ფედერაციამ სეპარატისტულ რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობას რუსეთის მოქალაქეობის დამადასტურებელი პასპორტები დაურიგა, მაგრამ რამდენად უზრუნველყოფს ეს დოკუმენტები აფხაზი და ოსი სეპარატისტების ინტერესებს? ანიჭებს თუ არა ეს პასპორტები თვითაღიარებული რესპუბლიკების მოქალაქეებს მოქალაქეობის სრულყოფილ სტატუსს? უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის კანონმდებლობის მიხედვით, რუსეთის მოქალაქეობა დასტურდება ორი დოკუმენტით: პასპორტით, რომელიც რუსეთის მოქალაქეობას ადასტურებს საზღვარგარეთ და რუსეთის მოქალაქეობის დამადასტურებელი პირადობის მოწმობით, რომელიც მოქალაქეობას ადასტურებს ქვეყნის შიგნით. უნებრივია, საერთო წესის თანახმად, მოქალაქეობის დამადასტურებელი პირადობის მოწმობით რუსეთის ფედერაციის ფარგლებს გარეთ გამგზავრება შეუძლებელია, ანალოგიურად, კანონის თანახმად, რუსეთის მოქალაქის პასპორტით (ე.წ. საზღვარგარეთის პასპორტი) ქვეყნის შიგნით ტერიტორიაზე ცხოვრება კანონიერად დაუშვებელია. აღსანიშნავია,

რომ თავდაპირველად აფხაზებისა და ოსებისათვის სინამდვილეში რუსეთის ფედერაციის ე.წ. „საზღვარგარეთის პასპორტები“ იქნა გაცემული, რომლებიც კანონის თანახმად უნდა განახლდეს ყოველ 5 წელიწადში ერთხელ. მათ მიანიჭეს რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობა, როგორც საზღვარგარეთ მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირებს. ამდენად, მათ ოფიციალურად რუსეთის ფედერაციაში ცხოვრების უფლება არ ეძლევათ და აქვთ მთელი რიგი შეზღუდვები. უნდა აღინიშნოს, რომ მრავალ ქვეყანაში ასეთი ცნება - შიდა და გარე პასპორტი - არ არსებობს. მაგალითად, საქართველოში მიღებულია მოქალაქეობის დამადასტურებელი მოწმობა, რომელიც ადასტურებს პირის საქართველოს მოქალაქეობას, რის საფუძველზეც გაიცემა მოქალაქის საზღვარგარეთის პასპორტი, მაგრამ ე.წ. საზღვარგარეთის პასპორტის გამოყენება ქვეყნის შიგნით აკრძალული არ არის. ანალოგიურად, საზღვარგარეთ მცხოვრებ პირებზე საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებისას გაიცემა პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, რომელსაც შესაბამის ქვეყანაში საქართველოს საკონსულო აღრიცხვის საფუძველზე გაცემს. ამ პირადობის მოწმობის საფუძველზე გაიცემა ასევე საზღვარგარეთის პასპორტი.

მოქალაქეობის უნივერსალური ცნება გულისხმობს პიროვნების მყარ პოლიტიკურ და სამართლებრივ კავშირს კონკრეტულ სახელმწიფოსთან, რომელიც ურთიერთსანაცვლო უფლებებსა და მოვალეობებს წარმოშობს. მოქალაქეობის არსიდან გამომდინარე, სეპარატისტულ რეგიონებში მცხოვრები რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები უნდა სარგებლობდნენ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული ყველა უფლებით, მაგრამ მათ რუსეთის ფედერაციაში სრულუფლებიან მოქალაქეებად არ განიხილავენ. რუსეთის კანონმდებლობით რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებს, რომლებიც სეპარატისტულ რეგიონებში ცხოვრობენ, ფაქტობრივად არ გააჩნიათ უფლება თავისუფლად გადაადგილდნენ და იცხოვრონ რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე (Горелишвили Давид, Электронная персонификация, От прописки к госрегистрации). შედეგად ვიღებთ იმას, რომ თვითაღიარებული რეგიონების მოსახლეობას, რომლებსაც რუსეთის ფედერაციამ რუსეთის

მოქალაქეობა მიანიჭა, არ გააჩნიათ არათუ რუსეთის ფედერაციის საზღვრებში მცხოვრები პირების, არამედ მსოფლიოს სხვა ქვეყნებში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების თანაბარი სტატუსიც კი. სხვა ქვეყნებში, ხშირად, ერთი მხრივ, დაშვებულია ორმაგი მოქალაქეობა და ამ ქვეყნის კანონები იცავს ასეთ პირებს და მეორე მხრივ, ამ სახელმწიფოებს რუსეთის ფედერაციასთან ძირითადად აქვთ საერთაშორისო ხელშეკრულებები მოქალაქეობის საკითხებზე. თუმცა, რუსეთის ფედერაცია უმთავრესად დაინტერესებულია რუსეთის მოქალაქეობა მიანიჭოს ამ სახელმწიფოებში მცხოვრებ ეთნიკურ რუსებს. აფხაზეთში და ე.წ. სამხრეთ ოსეთში მოსახლეობას აქვს ერთი სახელმწიფოს მოქალაქეობა, რომელსაც აღიარებს მხოლოდ მოქალაქეობის მიმნიჭებელი სახელმწიფო და საკუთრივ სეპარატისტული რესპუბლიკის მოქალაქეობა, რომელსაც ფაქტობრივად არც რუსეთის ფედერაცია აღიარებს, ვინაიდან ის ამ ტერიტორიებზე საკუთარი მოქალაქეობის მიღებას მოითხოვს. ის, რომ რუსეთის მოქალაქეობა მართლაც არაფერს აძლევს სეპარატისტებს, ეს მათთვისაც ნათელია, მაგრამ იმდენად მაღალია მათში რუსეთისაკენ მისწრაფება, რომ არ სურთ არსებული რეალობა აღიარონ, თუმცა ზოგჯერ მაინც ვერ იკავებენ თავს. მაგალითად, ე.წ. სამხრეთ ოსეთის ერთ-ერთი ყოფილი ხელმძღვანელის აღან ჩოჩიევის (6) მოსაზრებით, აუცილებელია არა მხოლოდ ზეპირი განცხადებები, არამედ ამ დოკუმენტებისთვის სამართლებრივი ბაზის შექმნა. „ამბობენ, – აცხადებს ის, – ჩვენ გვინდა რუსეთის შემადგენლობაში. ჩვენ ხომ უკვე ვართ რუსეთის შემადგენლობაში (7). ხოლო რუსეთი არ ასრულებს თავის ვალდებულებებს, როგორც სსრკ-ის სამართალმემკვიდრე. სამხრეთ ოსეთს აქვს სრული საფუძველი მოსთხოვოს რუსეთს ყველა ჩვენი უფლებების დაცვა. იყო ისეთი აზრიც, რომ ამის თაობაზე სარჩელი შეტანილ იქნას სტრასბურგის სასამართლოში და მაშინ თქვას უარი რუსეთმა, რომ არ არის სსრკ-ის სამართალმემკვიდრე“ (Алан Чочиев, Россия не выполняет свои обязательства как правопреемница СССР). ამ მოსაზრებიდან ნათელია, თუ რასთან გვაქვს საქმე და ალბათ, არასერიოზული რომ არ იყოს, უპრეცედენტო კურიოზული შემთხვევა იქნება ადამიანის უფ-

ლებათა ევროპული სასამართლოსათვის ოსების მიერ ისევ მათი უფლებების ასე „თავდადებული დამცველის“ მიმართ წარდგენილი სარჩელის განხილვა. უფრო მეტიც, ოსმა სეპარატისტებმა იმის დასადასტურებლად, რომ სამხრეთ ოსეთი რუსეთის ფედერაციის შემადგენელი ნაწილია, კონსტიტუციური სარჩელით მიმართეს რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს. კიდევ ერთი ეთნიკური ოსი, რუსი სახელმწიფო ჩინოვნიკი ანატოლი ჩეხოვეი დარწმუნებულია, რომ რუსეთის სასამართლო ვალდებულია განიხილოს მათი სარჩელი. მისი აზრით, რუსეთი არის სსრკ-ის სამართალმემკვიდრე და ვალდებულია შეასრულოს ყველა მისი ვალდებულება. მით უმეტეს, რომ სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის 80 %-ზე მეტი მისი მოქალაქეა, მიუთითებს ის. ჩეხოვეის აზრით, კოსოვოს უკან დგას აშშ, ხოლო სამხრეთ ოსეთის გვერდით უნდა იდგეს სსრკ-ის სამართალმემკვიდრე - რუსეთი. ავტონომიის საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვა პირველი, მაგრამ ბევრად განმსაზღვრელი ნაბიჯია. სასამართლოს ამოცანაა დაადასტუროს, რომ მორალისა და საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმების მიხედვით ავტონომია არის რუსეთის ნაწილი. საშიშროების შეფასება და რუსეთის მიწის ამ ნაწილის უშიშროების უზრუნველყოფა - სახელმწიფოს პოლიტიკოსებისა და ხელმძღვანელების მოვალეობაა - აღნიშნავს ის (Чехов А, 27.05. 2006). ნათელია, თუ როგორ ახერხებდა საბჭოთა რუსეთი, ხოლო შემდეგ მისი „სამართალმემკვიდრე“ რუსეთის ფედერაცია საქართველოში თავისი იმპერიული პოლიტიკის განხორციელებას ადგილობრივი პარტიულ-ნომენკლატურული ჩინოვნიკების მეშვეობით და დღესაც ეს პირები რუსეთის პარლამენტში სხედან. ალბათ, ნაკლებად მოიძებნება მსოფლიოში ერი, რომელიც დამოუკიდებლობისაკენ მიისწრაფვის მხოლოდ იმიტომ, რომ შემდეგ სხვა სახელმწიფოს შეუერთდეს. ვლადულობთ რაღაც ამორფულ მდგომარეობას, როდესაც სეპარატისტების აზრით, „დამოუკიდებელი“ სახელმწიფოს მთელი მოსახლეობა სხვა სახელმწიფოს მოქალაქეა, ანუ სახეზეა სახელმწიფო უცხოელებით. აღსანიშნავია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სამართლის სპეციალისტთა კომისიის მოხსენებაში აღნიშნულია: „თუ მო-

ქალაქეთა განსაზღვრული რიცხვი „თავის საკუთარ ქვეყანაში“ განიხილება როგორც „უცხოელები“, ეს აშკარად არ შეესაბამება თვით სახელმწიფოს ინტერესებს“ (Доклад о работе пятьдесят первой сессии ООН, 1999), რაც უპრეცედენტო შემთხვევაა, ადასტურებს საქართველოს სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიების რუსეთის მიერ ანექსიის ფაქტს და ამ რეგიონებში მცხოვრებ პირებს რუსეთის სახელმწიფოს მძევლებად აქცევს.

## შენიშვნები

1. ამას ადასტურებს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 11 აგვისტოს №310 ბრძანებულება ქართული პასპორტების გაცემის მიმდინარეობის შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ საქართველოს მოქალაქეები სამართლიან უკმაყოფილებას გამოთქვამენ ახალი ქართული პასპორტის მიღების საქმეში არსებული პრობლემების გამო.

2. „საქართველოს რესპუბლიკიდან საზღვარგარეთ მივლინებით მიმავალ მოქალაქეებზე საერთო-სამოქალაქო საზღვარგარეთის პასპორტების გაცემის დროებითი წესის შესახებ“, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 23 აპრილის №3190 დადგენილებაში წერია: „საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ ყოფილი სსრ კავშირის სიმბოლიკით საერთო-სამოქალაქო საზღვარგარეთის პასპორტების გაფორმებისას შეიტანოს მათში ბეჭდით დამოწმებული ჩანაწერი "საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე" რუსულ და ინგლისურ ენებზე.“

3. ამას ადასტურებს „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციასა და მათთვის შესაბამისად საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობებისა და პასპორტების, უცხოელ მოქალაქეთა ბინადრობის მოწმობებისა და საზღვარგარეთ გასასვლელი პირადობის მოწმობების გაცემასთან დაკავშირებული საქმიანობის სრულყოფის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 12 მარტს №96 ბრძანებულება, სადაც განისაზღვრა რომ: „ქვეყნის შიგნით პირადობის დამადასტურებელი საბუთის ძალა ყოფილი საბჭოთა კავშირის

სიმბოლიკიან პასპორტებს შეუნარჩუნდეს 2001 წლის 31 დეკემბრამდე და მათი ამოღება განხორციელდეს ეტაპობრივად აღნიშნულ ვადაში“. ამით არ დასრულებულა, პასპორტების მოქმედების ვადა 2006 წლის 1 მარტის №178 ბრძანებულებით ისევ გაგრძელდა, ამჟამად 2006 წლის 15 ივლისამდე.

4. 1989 წლის აღწერის მიხედვით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობა შეადგენდა 525 061 ადამიანს, აქედან 239 872 იყო ეთნიკური ქართველი, 93 267 ეთნიკური აფხაზი, ხოლო დანარჩენს სხვა ეროვნების წარმომადგენლები შეადგენდნენ. ეთნიკური აფხაზები აფხაზეთის მთელი მოსახლეობის დაახლოებით 17 %-ს შეადგენდნენ.

5. ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში 1989 წლის აღწერის მიხედვით, მთელი მოსახლეობა შეადგენდა 99 000 ადამიანს. აქედან ეთნიკური ქართველები იყვნენ 18 000, ეთნიკურად ოსები – 46 289, ხოლო დანარჩენს სხვა ეროვნების წარმომადგენლები შეადგენდნენ. ეთნიკურად ოსები მთელი მოსახლეობის დაახლოებით 64 %-ს შეადგენდნენ.

6. 1990-იან წლებში ე.წ. სამხრეთ ოსეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც შემდეგ ოპოზიციაში წავიდა. მონაწილეობდა 1992 წლის ცნობილი დაგომისის ხელშეკრულების მომზადებაში.

7. აქ ჩოჩიევი ეყრდნობა სსრ კავშირში საბჭოთა კავშირის შენარჩუნების მიზნით 1991 წლის 17 მარტს ჩატარებულ რეფერენდუმს, რაც სსრკ-ის შენარჩუნების მცდელობა იყო, მაგრამ ჩაიშალა. იმ პერიოდში სსრკ-ის სპეციალური კანონით, რომელიც საბჭოთა კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკების გასვლას ეხებოდა, ჩადებული იყო ნორმა, რომლის თანახმად, საბჭოთა კავშირიდან გასვლა, მოკავშირე რესპუბლიკების გარდა, რეფერენდუმით უნდა გადაეწყვიტათ ამ რესპუბლიკებში შემავალ ავტონომიურ ერთეულებს. ეს კანონი სპეციალურად იქნა მიღებული, როგორც ერთ-ერთი პროვოკაციული იმპერიული მექანიზმი რუსეთის ხელში ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში სიტუაციის ასარევეად, რამაც, შეიძლება ითქვას, კარგად იმუშავა. კანონი თვით სსრკ-ის კონსტიტუციას ეწინააღმდეგებოდა, სადაც განსაზღვრული იყო, რომ ყველა მოკავშირე რესპუბლიკა ნებაყოფლობით იყო შესული სსრკ-ში და შეეძლო ნებისმიერ დროს გასულიყო

მისი შემადგენლობიდან. მსგავსი კანონი კი ხელს უწყობდა რესპუბლიკების დაშლას. სწორედ ამ კანონზე დაყრდნობით, ჩოჩიევი მიიჩნევს, რომ სამხრეთ ოსეთი, რომელმაც მიიღო ამ რეფერენდუმში მონაწილეობა, გამოხატავს ნებას სსრკ-ის შემადგენლობაში დარჩენის შესახებ. საქართველომ კი, რადგან არ მიიღო მონაწილეობა რეფერენდუმში, ამით დატოვა კავშირი. აქედან გამომდინარე, სამხრეთ ოსეთი აღარ იყო საქართველოს ნაწილი. ალბათ კომენტარიც ზედმეტია, იმდენად ნათელია ამ მოსაზრების აბსურდულობა. მხოლოდ ერთი უნდა ითქვას - სად დარჩა ე.წ. სამხრეთ ოსეთი? რა სტატუსით დარჩა იგი სსრკ-ში, მაშინ როდესაც მალე სსრ კავშირი დაიშალა, საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და რუსეთის ფედერაციამ ეს ტერიტორია საქართველოს ნაწილად ცნო?

### გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. Европейская конвенция о гражданстве, Страсбург, 6 ноября 1997 года, <http://www.antropotok.archipelag.ru/grd.htm>
2. Пояснительный доклад к Европейской конвенции о гражданстве, Статья 18, Принципы, <http://www.antropotok.archipelag.ru/grd.htm>
3. „მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს 1993 წლის 25 მარტის ორგანული კანონი, საქართველოს უზენაესი საბჭოს უწყებები, 1993.
4. Конвенция регулирующая некоторые вопросы, связанные с коллизией законов о гражданстве, от 12 апреля 1930 года, <http://www.antropotok.archipelag.ru/text/d10.htm>
5. სახელმწიფოებრიობა და უსაფრთხოება: საქართველო „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ბრუნო კოპიტერსის და რობერტ ლეგოლდის რედაქციით, ჰუმანიტარული და ზუსტი მეცნიერებების ამერიკული აკადემია, მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, თბ., 2006.
6. Закон «О гражданстве Республики Абхазия» 2005 г., [http://www.abkhaziya.org/server-articles/article-3102fe5dfe97b77bea\\_9120d20241f6dd.html](http://www.abkhaziya.org/server-articles/article-3102fe5dfe97b77bea_9120d20241f6dd.html)
7. Закон «О гражданстве Республики Абхазия» 10 декабря 1993 г., <http://www.abkhaziagov.org/ru/president/citizen/law.php>

8. Конституционный закон Республики Южная Осетия «О гражданстве Республики Южная Осетия» 23 августа 2006 года, <http://sojcc.ru/zakoniruo/203.html>
9. Горелишвили Давид, Электронная персонификация, От прописки к госреестру <http://www.polit.ru/analytics/2006/04/19/grazhdanstvo.html>
10. Алан Чочиев, Россия не выполняет свои обязательства как правопреемница СССР, [www.regnum.ru/news/611588.html](http://www.regnum.ru/news/611588.html)-59k
11. Чехоев А., «Осетия вошла в состав России на четверть века раньше Грузии», 27.05. 2006, [www.ossetia.ru/interview/tchekoev-36k](http://www.ossetia.ru/interview/tchekoev-36k)
12. Доклад о работе ее пятьдесят первой сессии (3 мая- 23 июля 1999 года), Организация Объединенных Наций • Нью-Йорк, 1999, ISSN 0251-859

### **Malxaz NakaShidze**

#### **On the issue of citizenship of Former South Ossetia Autonomous Republic and Abkhazian Autonomous Republic population**

##### **Summary**

Malkhaz Nakashidze's article "On the issue of citizenship of Former South Ossetia Autonomous Republic and Abkhazian Autonomous Republic population" deals with such an urgent issue as granting Russian citizenship and distributing Russian passports among the citizens living in the separatist regions of Georgia.

As it is well known, the Russian Federation has been willfully leading its own state policy in these regions that infringed the state sovereignty of Georgia. One of the manifestations of this policy was the distribution of Russian passports to the citizens of these regions during the years.

The publication discusses the history of granting Russian citizenship to the citizens living in former South Ossetia Autonomous Republic and Abkhazian Autonomous Republic, as well as those main stages that preceded the recognition of sovereignty of the separatist regions by the Russian Federation. Apart from this the article analyses the main reasons that promoted the distribution of Russian passports and the main aspects of separatist legislation connected with citizenship.



**работе «Российские паспорта и гражданство Российской Федерации в бывшей автономной области Южной Осетии и автономной республике Абхазии»**

**Р е з ю м е**

В работе «Российские паспорта и гражданство Российской Федерации в бывшей автономной области Южной Осетии и автономной республике Абхазии» затронут актуальный вопрос о выдаче российских паспортов и присвоении российского гражданства жителям сепаратистских регионов Грузии.

Российская Федерация, как известно, с 1991 года проводила самовольную государственную политику в этих регионах, чем задевала государственный суверенитет Грузии. Одним из проявлений такой политики была выдача российских паспортов гражданам этих регионов на протяжении нескольких лет.

В данной публикации рассмотрен вопрос присвоения российского гражданства населению бывшей Юго-Осетинской автономной области и Абхазской автономной республики; изучены те основные этапы, которые предшествовали признанию Российской Федерацией суверенитета этих сепаратистских регионов. В статье также сделан анализ основных причин, способствующих выдаче российских паспортов, а также основные аспекты гражданства в сепаратистской законодательности.

## **ევროკავშირის საგარეო უსაფრთხოების პოლიტიკა და საქართველო**

ევროკავშირის ინტეგრაციის მაღალი დონის მაჩვენებელია მისი საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა. აღნიშნულ სფეროში ინტეგრაცია უფრო ნელი ტემპებით ხასიათდება, რადგან საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოება სახელმწიფოთა სუვერენული კომპეტენციის არეალია. ევროკავშირის შექმნის დღიდან მისი წევრი სახელმწიფოებისათვის ეოველთვის პრობლემა იყო საგარეო უსაფრთხოებასა და თავდაცვით სფეროში ერთიანი პოლიტიკის შემუშავება. ინტეგრაციის აღნიშნულ სფეროში ნელი ტემპი იმითაც იყო განპირობებული, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ევროპის უსაფრთხოებაზე ნატო ზრუნავდა, ევროპელებს მიზანშეწონილად აღარ მიაჩნდათ ევროპული თავდაცვითი სტრუქტურის შექმნა. ევროპის უსაფრთხოების ჩრდილო-ატლანტიკური საბჭო წარმოადგენდა ნატოს უსაფრთხოების მთავარ ფუნდამენტს. ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის წესდების მე-5 მუხლი ევროკავშირის სახელმწიფოებისათვის წარმოადგენს კოლექტიური თავდაცვის გარანტიას. მე-5 მუხლი ავალდებულებს ჩრდილოატლანტიკურ ორგანიზაციას, რომ ერთი ან რამდენიმე წევრის მიმართ შექმნილი საფრთხის შემთხვევაში, ნატოს წევრი ქვეყნები ვალდებულნი არიან აღმოუჩინონ მათ დახმარება, რომელიც გულისხმობს სამხედრო ძალის გამოყენებასაც. სწორედ ნატოს ამ მექანიზმის გამო იყო ევროკავშირი ევროპის საგარეო უსაფრთხოების მიმართ ინერტული, რათა მას შეექმნა წმინდა ევროპული თავდაცვის სტრუქტურა. ბალკანეთის იმპერიის დაცემამ, ასევე ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე პროცესებმა, ევროკავშირი დააყენა ფაქტის წინაშე, რომ მას უნდა შეექმნა ევროპის ერთიანი საგარეო უსაფრთხოების პოლიტიკა.

ბალტიისპირეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში რუსული ექსპანსიის შიშმა ევროკავშირი საერთო თავდაცვის სისტემის შექმნაების ფაქტის წინაშე დააყენა. 2003 წლიდან თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში ევროკავშირის კომპეტენციითა და ეგიდით სხვადასხვა ხასიათის სამხედრო და სამოქალაქო ოპერაციების განხორციელება დაიწყო. დღესდღეობით გაეროს უმოქმედობის ფონზე საქართველოსთან მიმართებაში ევროკავშირი გვევლინება უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო რეგიონულ ორგანიზაციად, რომლის დახმარების მიმართ საქართველოს მოლოდინი დღითიდღე იზრდება.

ევროკავშირის საგარეო უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც ეტაპობრივად ხორციელდებოდა, სათავე დაუდო ევროპის პოლიტიკური თანამშრომლობის განვითარებას, რომელიც ჯერ კიდევ საფრანგეთის პრემიერმა 1950 წელს შეიმუშავა; მაგრამ იგი 1954 წელს ჩაყარდა. ევროპის პოლიტიკური თანამშრომლობის გეგმამ ფორმალური ხასიათი მიიღო. ევროპელები თავს უხერხულად გრძნობდნენ, როდესაც თავიანთი პრობლემების მოსაგვარებლად (იგულისხმება ევროკავშირის ქვეყნები) აშშ-ს უხმობდნენ. აღმოსავლეთისა და დასავლეთის კონფლიქტის დასრულებაში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა განსაკუთრებული როლი შეასრულა, რითაც მან დააკნინა ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა.

ევროკავშირმა დასავლეთისა და აღმოსავლეთის კონფლიქტი აშშ-ს დახმარებით საბჭოთა კავშირის დაშლითა და აღმოსავლეთ ევროპაში განხორციელებული დემოკრატიული რევოლუციებით ამოწურა.

ბალტიისპირეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა შექმნეს ზონა, რომელსაც ესაზღვრებოდა ნატოს ქვეყნები, ასევე დსთ. აღნიშნულმა არეალმა ასეთი გეოპოლიტიკური სტატუსი მიიღო – უსაფრთხოების „ნაცრისფერი ზონა“. ეს „ნაცრისფერი ზონა“ უშუალო სიახლოვეში იყო ევროკავშირთან.

გერმანიის გაერთიანების შემდეგ ევროკავშირი დადგა არჩევანის წინაშე – ემოქმედა ახალი გამოწვევების შესაბამისად ან მიეხედა საკუთარი კონტინენტის უშიშროებაზე.

ევროკავშირის აქტიურ როლზე საერთაშორისო ურთიერთობებში და საერთო საგარეო უსაფრთხოების პოლიტიკის აღმოცენებაში მნიშვნელოვანი გახდა 1992 წლის მაასტრიხტის ხელშეკრულება, სადაც საერთო საგარეო უსაფრთხოების პოლიტიკა (სსუპ) ევროკავშირისათვის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი გახდა. მაასტრიხტის ხელშეკრულების მეოთხე მუხლი იძლეოდა განმარტებას იმის შესახებ, რომ „საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა უნდა მოიცავდეს ყველა იმ საკითხს, რომელიც ეხება კავშირის უსაფრთხოებას, მათ შორის საერთო თავდაცვის პოლიტიკის ჩარჩოების შემუშავებას, რამაც შესაძლოა დროთა განმავლობაში მიგვიყვანოს საერთო თავდაცვამდე“. აღნიშნული მუხლი არ გამორიცხავდა მომავალში ევროკავშირის საერთო თავდაცვის შექმნის შესაძლებლობას (ევროკავშირის..., 2006 : 26).

მაასტრიხტის ხელშეკრულების შემდეგ ევროკავშირის საგარეო უსაფრთხოების პოლიტიკა სახემეცვლილი გახდა 1997 წლის ამსტერდამის ხელშეკრულებით და იგი ევროკავშირის ისტორიაში შესულია ასეთი ფორმულირებით: „ამსტერდამის ხელშეკრულება და სახემეცვლილი საგარეო უსაფრთხოების პოლიტიკა“ (რიჩი, როდნი, 2002:76).

ამსტერდამის ხელშეკრულების მნიშვნელოვანი ღირსება ის არის, რომ შემოღებულ იქნა სსუპ-ის უმაღლესი წარმომადგენლის პოსტი, რომელიც დაიკავა ჰავერ სოლანამ. ევროკავშირის საგარეო უსაფრთხოების პოლიტიკის საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა 1998 წლის სენტ მალოს შეხვედრამ, სადაც მიღებული იქნა დეკლარაცია. სენტ მალოში ხაზი გაესვა ევროპული თავდაცვის ინდუსტრიის შექმნის საკითხს. სენტ მალოს დეკლარაცია განავრცო 1999 წლის ივნისში კიოლნში შეკრებილმა ევროპულმა საბჭომ.

1999 წლის დეკემბერში ჰელსინკის ევროპული საბჭოს შეხვედრაზე მიხნად იქნა დასახული, რომ 2003 წლისათვის ევროკავშირს უნდა ჰყოლოდა 60.000 სწრაფი რეაგირების კონტინგენტის ჯარისკაცი, ხოლო სანტა მარია დე ფეირას ევროპული საბჭოს 2000 წლის ივნისის შეხვედრისას მიღებული იქნა შეთანხმება, რომ 2003 წლისათვის ევროკავშირის განკარგულებაში უნდა ყოფილიყო 5000 პოლიციელი კრიზი-

სული სიტუაციის მოსაგვარებლად. ზემოთ აღნიშნულმა ევროკავშირის უმაღლესი დონის შეხვედრებმა შექმნა სამართლებრივი ბაზა ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვითი პოლიტიკისათვის. 2003 წლიდან თანამედროვე პერიოდამდე ეუთო-ის ეგიდით ევროკავშირმა 18 ოპერაცია განახორციელა (Международные..., 2008:254).

2004 წლის ივნისში ევროკავშირის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება უსაფრთხოებისა და თავდაცვის ევროპული პოლიტიკის (ESDP) ფარგლებში საქართველოში ევროპულ ექსპერტთა სპეციალური მისიის მოვლინების შესახებ. ევროკავშირის საბჭოს გენერალურ სამდივნოსა და ქართულ მხარეს შორის გაფორმდა “შეთანხმება მისიის სტატუსის შესახებ” (status of mission agreement, soma), იგი რატიფიცირებული იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ 2005 წლის 23 თებერვალს (Ю. Борько, 2000:146).

ევროკავშირი საქართველოს ევროპული უსაფრთხოების სისტემაში ჩასართავად იყენებს ისეთი სახის ინსტრუმენტებს, როგორიცაა პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებები კავკასიის რეგიონის ქვეყნებთან და ასევე TRACECA-სა და INOGATE-ს პროექტების ფარგლებში მიღწეული შეთანხმებები. ევროპის ენერგეტიკული ქარტიის შეთანხმება ერთ-ერთი ინსტრუმენტია საქართველოს უსაფრთხოების საქმეში. აღნიშნული პროექტების გამო საქართველო აღმოსავლეთისა და დასავლეთის ძალის დაპირისპირების არეალშია მოხვედრილი. რუსეთი კარგად ხედავს, რომ საქართველოზე კონტროლის დაკარგვა მისთვის რეგიონზე კონტროლის დაკარგვის ტოლფასია. რუსული უხეში ძალა საქართველოს ვესტერნიზაციის წინააღმდეგია. ამისათვის იგი კარგად იყენებს სომხეთისა და ირანის ფაქტორს, აღნიშნული ქვეყნები მიისწრაფვიან არ დაუშვან კავკასიის რეგიონის ვესტერნიზაცია.

მას შემდეგ, რაც საქართველო ევროკავშირისა და დასავლეთის დაინტერესების ინტენსიური ობიექტი გახდა, საქართველო-რუსეთის ურთიერთობა დაიძაბა და დაპირისპირება დაიწყო. დაპირისპირება საომარ მოქმედებაში გადაიზარდა. 2008 წლის აგვისტოსათვის პუტინ-მედვედევის რეჟიმი უფრო მეტად ექსპანსიური გახდა და თავისი აგრესიული სახე

მთლიანად გამოავლინა მას შემდეგ, რაც რუსეთმა 2008 წლის 8 აგვისტოს შემდგომი საომარი მოქმედებებით ცხინვალის რეგიონის ოკუპაცია მოახდინა და აღიარა აფხაზეთისა და ე.წ. “სამხრეთ ოსეთის” დამოუკიდებლობა. 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ საქართველოს უსაფრთხოების საკითხი ევროკავშირის უსაფრთხოების სისტემაში კიდევ უფრო აქტიური გახდა. 2008 წლის აგვისტოს მოვლენებთან დაკავშირებით ევროკავშირმა მკვეთრი პოზიცია დაიკავა. საფრანგეთის, როგორც ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის პოზიცია საქართველოს უსაფრთხოებასთან მიმართებაში იმაში მდგომარეობდა, რომ “შექმნილ სიტუაციაში მან მთელი ევროკავშირის პოზიცია შეიმუშავა და დააფიქსირა. ევროკავშირის კარიბჭესთან საქართველოში რუსეთის ექსპანსია ევროკავშირისათვის მიუღებელი გახდა.

რუსეთ-საქართველოს სამდღიანმა ომმა მხარეები მოსკოვში ნიკოლა სარკოზისა და დიმიტრი მედვედევის 2008 წლის 12 აგვისტოს მიღწეული შეთანხმების შესრულების წინაშე დააყენა. რუსეთმა საქართველოს უსაფრთხოების სასარგებლოდ ევროკავშირისაგან წნეხის ძალა მტკივნეულად იგრძნო, მაგრამ რუსულმა სამხედრო-პოლიტიკურმა მანქანამ ევროკავშირისა და დასავლეთის მიმართ იოლად დანებება არ ისურვა. რუსეთმა ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის საფრანგეთის პრეზიდენტის ექვსპუნქტიანი გეგმა უგულვებელყო სხვადასხვა მოტივითა და მიზეზით. ამით რუსეთი შეეცადა ევროკავშირის უსაფრთხოების პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში დაეცინებინა.

2008 წლის სექტემბრის ევროკავშირის საგანგებო სამიტმა მოახდინა დემონსტრირება იმისა, რომ ევროკავშირი და აშშ საქართველოს უსაფრთხოებასთან მიმართებაში ერთიან პოზიციაზე იდგნენ.

2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ ევროკავშირმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ დაენიშნა სპეციალური წარმომადგენელი საქართველოში, რათა შემდეგ დამკვირვებლები გამოეგზავნა.

2008 წლის 10 ოქტომბრისათვის რუსეთმა ნაწილობრივ შეასრულა მასზე დაკისრებული ვალდებულება - გაიყვანა ე.წ. „ბუფერული“ ზონებიდან ჯარის ნაწილები, მაგრამ ვალ-

დებულებები მაინც ბოლომდე არ შეასრულა, რაც საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევა იყო.

ევროკავშირის პოლიტიკური უსაფრთხოების კომიტეტის გადაწყვეტილებით საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელად დაინიშნა ჰანსიორგ ჰაბერი. საქართველოს ევროკავშირის უსაფრთხოების სისტემაში ჩართვის პერსპექტივაში მნიშვნელოვანი იყო 22 ოქტომბერი, როდესაც ბრიუსელში ევროკავშირის ეგიდით გაიმართა დონორი ქვეყნების კონფერენცია, სადაც საქართველოსთვის ფინანსური დახმარების გამოყოფაზე მიიღეს გადაწყვეტილება. ბრიუსელში დონორთა კონფერენციაზე საქართველოსთვის 4 მილიარდ 550 მილიონი დოლარის ოდენობის დახმარების გამოყოფა გადაწყდა. “ეს გაცილებით მეტია ვიდრე აქამდე ვვარაუდობდით” – განაცხადა ევროკავშირის საგარეო ურთიერთობათა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში მთავარმა წარმომადგენელმა ბენიტა ფერერო ვალდნერმა.

დახმარება, რომელიც ომის შედეგების ლიკვიდაციისა და ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის არის განკუთვნილი, მსოფლიოს მიერ საქართველოს მხარდაჭერის ყველაზე მკაფიო დეკლარაცია გახდა. 2008 წლის 22 ოქტომბრის ბრიუსელის დონორთა კონფერენციაზე იყო საუბარი ევროპის ურთიერთობებში საქართველოს განსაკუთრებულ როლზეც.

ამრიგად, დღეისათვის ევროკავშირი საქართველოს უსაფრთხოების გარანტად გამოდის. იგი არ იშურებს მცდელობას დაეხმაროს საქართველოს არსებული კრიზისის მოგვარებასა და სტაბილურობის განმტკიცებისათვის რეგიონში.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. ევროკავშირის ინსტიტუტები და პოლიტიკა, თბ., 2006.
2. რიჩი, როდნი, ევროპა: ევროკავშირის მოკლე ენციკლოპედია, თბ., 2002.
3. საქართველო და ევროკავშირი, თბ., 2006.

4. Международные отношения, теории, конфликты, движения, организации, Учебное пособие, М., 2008.
5. Борько Ю.А. Что такое Европейский Союз, М., 2000.
6. ЕС [http: / WWW europa eu](http://WWW.europa.eu) . Inf [htt p:/ europa. Inf /comm/ external relations /Cfsp/ intro](http://p:/ europa. Inf /comm/ external relations /Cfsp/ intro).

## **Tengiz Grigolia**

### **Georgia, in the Policy of foreign security of European Union**

#### **Summary**

Foreign and security policy of Euro union is a high level of Euro integration. In the above mentioned sphere intersection is very smooth and is having the slowest tempo. Euro union from the years of his existence has been trying to create security policy and independent self defendant structure. Euro union during last period is trying to get out from NATO influence.

After Euro union referred Georgia in 1992 it began to implement different projects in south Caucasus, for Georgia's security reasons, these projects were TRACECA, INOCATE, PETRA. Europe's energetic match became important tool for Georgia to be involved in Europe's security policy.

## **Тенгиз Григолия**

### **Грузия во внешней политике безопасности Евросоюза**

#### **Резюме**

Высшим показателем уровня интеграции Евросоюза является внешняя политика и политика безопасности. В данной сфере интеграция намного мягче и характеризуется медленными темпами развития. С первого дня своего существования Евросоюз пытался с сфере самообороны разработать политику безопасности и создать



независимую структуру самообороны. Евросоюз и сегодня пытается обойти стороной влияние НАТО.

С 1992 года, после того как Евросоюз признал Грузию, он пытается в целях её безопасности начать осуществление экономических проектов на Южном Кавказе. Это проекты TRACECA, INOCATE, PETRA. Важным инструментом стало соглашение, признанное Европой для безопасности Грузии, которое называется Хартия Европейской Энергетики.

## ქ რ ო ნ ი კ ა

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიის განყოფილება სასიხარულო სიახლეებით შეეგება ინსტიტუტის დაარსების 50-ე წლისთავს. კერძოდ, მიმდინარე 2008 წლის ზაფხულში განყოფილების წევრებმა უჩა ოქროპირიძემ და ოლეგ ჯიბაშვილმა წარმატებით დაიცვეს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხი.

დაცვები შედგა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის სადისერტაციო კოლეგიების სხდომებზე, სადაც 30 ივნისს განიხილეს უჩა ოქროპირიძის სადისერტაციო ნაშრომი – „აჭარის ავტონომიის შესახებ“, ხოლო 15 ივლისს ოლეგ ჯიბაშვილის დისერტაცია – „რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომი და სამხრეთ საქართველო“.

ნაშრომებმა საერთო მოწონება დაიმსახურა.

ვულოცავთ ჩვენს კოლეგებს ამ გამარჯვებას და ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს.

**ნანა ხახუტაიშვილი**

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის  
ეთნიკური შემადგენლობა ადრერეკინის ხანაში (კოლხები  
და კოლხური ტომები წერილობით წყაროებში)

5

**Nana Khakhutashvili**

The ethnic structure of the population of southwestern Georgia in  
the early Iron Age: (Colchians and Colchian tribes according to  
literature sources)

36

**Нана Хахутаишвили**

Этнический состав населения Юго-Западной Грузии в эпоху  
раннего железа (Колхи и колхские племена в письменных  
источниках)

37

**სიმონ გოგიტიძე**

ტერმინ აბეშლას წარმომავლობისათვის

38

**Simon Gogitidze**

The Origin of the Term Abeshla (Kashka)

51

**Симон Гогитидзе**

О происхождении термина Абешла (Кашка)

52

**მარიამ ჩხარტიშვილი**

დედა-ნინო და მეფე მირიანის რელიგიური რეფორმა

53

**Mariam Chkhartishvili**

Mother – Nino and religious reform of King Mirian

74

**Мариам Чхартишвили**

Мать – Нино и религиозная реформа царя Мириана

75

**ბიჭიკო დიასამიძე**

აბუსერისძეები XI-XIV საუკუნეების საქართველოს  
პოლიტიკურ ცხოვრებაში

77

**Bichiko Diasamidze**

The Abuseridzes in the Political Life of Georgia in  
the XIth – XIVth Centuries

92

**Бичико Диасамидзе**

Род Абусеридзе в политической жизни Грузии в XI-XIV вв.

92

**მურმან პაპაშვილი**

ერთი დიპლომატიური საკითხის გარკვევისათვის

94

|                                                                                                                           |     |
|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----|
| <b>Murman Papashvili</b>                                                                                                  |     |
| For Finding-out of One Diplomatic Issue                                                                                   | 105 |
| <b>Мурман Папашвили</b>                                                                                                   |     |
| По поводу одного дипломатического вопроса                                                                                 | 105 |
| <b>ციური ქათამაძე</b>                                                                                                     |     |
| იერუსალიმის ბერძნულ საპატრიარქოსთან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (XVII ს. 50-80-იანი წლები)        | 107 |
| <b>Tsiuri Katamadze</b>                                                                                                   |     |
| From the history of South-Western Georgia relationships with Greek Patriarchy of Jerusalem (50-80s of the XVIIth century) | 116 |
| <b>Циური Катамадзе</b>                                                                                                    |     |
| Из истории отношений юго-восточной Грузии с греческой патриархией Иерусалима (50-80 г.г. XVII века)                       | 116 |
| <b>რევაზ უზუნაძე, მერაბ უზუნაძე</b>                                                                                       |     |
| ქრისტიანობის ისტორიიდან აჭარაში                                                                                           | 118 |
| <b>Revaz Uzunadze, Merab Uzunadze</b>                                                                                     |     |
| The christianes of history in Adjara                                                                                      | 127 |
| <b>Узунадзе Реваз, Узунадзе Мераб</b>                                                                                     |     |
| Из истории христианства в Аджарии                                                                                         | 127 |
| <b>ოლეგ ჯიბაშვილი</b>                                                                                                     |     |
| ჭარ-ბელაქანთან ერეკლე II-ის ურთიერთობის ისტორიიდან                                                                        | 128 |
| <b>Oleg Jibashvili</b>                                                                                                    |     |
| From the history of the relationship between King Erekle II and Char-Belaqan in 90-th of XVIII century                    | 139 |
| <b>Олег Джибашвили</b>                                                                                                    |     |
| Из истории взаимоотношений Ираклия II-го с Джаро-Белоканы в 90-х годах XVIII в.                                           | 139 |
| <b>ოთარ თურმანიძე</b>                                                                                                     |     |
| საადგილმამულო გადასახადები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (1878-1900 წწ.)                                                  | 140 |
| <b>Otar Turmanidze</b>                                                                                                    |     |
| Land Taxes in South-West Georgia (1878-1900)                                                                              | 149 |
| <b>Турманидзе О.М.</b>                                                                                                    |     |
| Поземные налоги, подати и повинности в Юго-западной Грузии (1878-1900 гг.)                                                | 149 |

|                                                                                                                                                                   |     |
|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----|
| <b>კახაბერ სურგულაძე, ირაკლი მანველიძე</b><br>საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების ზოგიერთი<br>თავისებურება ბათუმის ოლქში (XIX ს. 70-იანი – XX ს.<br>20-იანი წლები) | 151 |
| <b>Kakhaber Surguladze, Irakli Manvelidze</b><br>Peculiarities of Social-Political Movement in Batumi District<br>(1870s-1920s)                                   | 159 |
| <b>Кахабер Сургуладзе, Иракли Манвелидзе</b><br>Особенности общественно-политического движения в<br>Батумском округе (70 – ые годы XIX в – 20- ые XX в)           | 159 |
| <b>ოთარ გოგოლიშვილი</b><br>მრეწველობის განვითარების პირველი ნაბიჯები აჭარაში<br>(მოკლე მიმოხილვა)                                                                 | 160 |
| <b>Otar Gogolishvili</b><br>The first steps of development of industry in Adjara (a short review)                                                                 | 166 |
| <b>Отар гоголишвили</b><br>Первые шаги развития промышленности в Аджарии<br>(краткий очерк)                                                                       | 166 |
| <b>მალხაზ სიორიძე</b><br>ერზინჯანის დროებითი ზავი და მისი შედეგები                                                                                                | 167 |
| <b>Malkhaz Sioridze</b><br>Temporary Truce of Erzinjan and Its Results                                                                                            | 175 |
| <b>Малхаз Сиоридзе</b><br>Эрзинджанское временное перемирие и его итоги                                                                                           | 175 |
| <b>ვაჟა შუბითიძე</b><br>ევროპეიზაცია და ქართული კულტურული აზრი XX<br>საუკუნეში                                                                                    | 177 |
| <b>Vadja Shubitidze</b><br>Europeanization and Georgian Political thought of XX- century                                                                          | 190 |
| <b>Важа Шубитидзе</b><br>Европеизация и грузинская политическая мысль в XX веке                                                                                   | 190 |
| <b>უჩა ოქროპირიძე</b><br>აჭარა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი<br>ბრძოლის საწყის ეტაპზე (1988 წ. ოქტომბერი - 1989წ.<br>აპრილი)                             | 191 |

|                                                                                                                                          |     |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----|
| <b>Ucha Okropiridze</b>                                                                                                                  |     |
| Adjara at the initial stage of national-liberating struggle of Georgia (October, 1987-April, 1989)                                       | 205 |
| <b>Уча Окропиридзе</b>                                                                                                                   |     |
| Аджария на начальном этапе национально-освободительного движения Грузии (Октябрь, 1988г. – Апрель, 1989г.)                               | 206 |
| <b>სულხან აღექსაია</b>                                                                                                                   |     |
| ეთნიკური კონფლიქტები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში XX ს. 90-იან წლებში (ცხინვალის რეგიონის მაგალითზე)                                        | 207 |
| <b>Sulkhan Aleksia</b>                                                                                                                   |     |
| Ethnic conflicts in polyethnic societies in 90 years of the XX century (On the example of Tskhinvali region)                             | 221 |
| <b>Сулхан Алексана</b>                                                                                                                   |     |
| Этнические конфликты полиэтнической общности в 90-ые годы XX века (на примере Цхинвальского региона)                                     | 221 |
| <b>მალხაზ ნაკაშიძე</b>                                                                                                                   |     |
| აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ყოფილ სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში მცხოვრები პირების მოქალაქეობის საკითხისათვის                 | 222 |
| <b>Malxaz NakaShidze</b>                                                                                                                 |     |
| On the issue of citizenship of Former South Ossetia Autonomous Republic and Abkhazian Autonomous Republic population                     | 238 |
| <b>Малхаз Накашидзе</b>                                                                                                                  |     |
| работе «Российские паспорта и гражданство Российской Федерации в бывшей автономной области Южной Осетии и автономной республике Абхазии» | 239 |
| <b>თენგიზ გრიგოლია</b>                                                                                                                   |     |
| ევროკავშირის საგარეო უსაფრთხოების პოლიტიკა და საქართველო                                                                                 | 240 |
| <b>Tengiz Grigolia</b>                                                                                                                   |     |
| Georgia, in the Policy of foreign security of European Union                                                                             | 246 |
| <b>Тенгиз Григолия</b>                                                                                                                   |     |
| Грузия во внешней политике безопасности Евросоюза                                                                                        | 246 |
| <b>ქრონიკა</b>                                                                                                                           | 248 |

გამომცემლობის დირექტორი  
**ნანა ხახუტაიშვილი**

გამომცემლობის რედაქტორი – ლალი კონცელიძე  
ტექნიკური რედაქტორი – ედუარდ ანანიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 5.12.2008  
ქაღალდის ზომა 60X84 1/16  
ფიზიკური თაბახი 16  
ტირაჟი 100

ფასი სახელმწიფოებრივად

დაიბეჭდა უნივერსიტეტის სტამბაში  

---

ქ. ბათუმი, ნინოშვილის 35.